



საქართველოს  
ეკონომიკური  
კერსკეტი



შ. ვეშაპიძე, ლ. ჯამაგაძე, ლ. კერესელიძე,  
რ. ფუტკარაძე, თ. დაუდიშვილი, ს. კიტაშვილი,  
გ. მეგრელიძე

# საქართველოს ეკონომიკური კონსტიტუციის კერძო კვლევა

მონოგრაფია

შოთა ვეშაპიძის საერთო რედაქციით

© შ. ვეშაპიძე, ლ. ჯამაგაძე, ლ. კერესელიძე,  
რ. ფუტკარაძე, თ. დაუდიშვილი, ს. კიტაშვილი, გ. მეგრელიძე

თბილისი  
2025

საქართველოს ეკონომიკა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი:

მონოგრაფია /ვებაპიდე შ. და სხვა/; თბილისი, „Smarty,“ 2025. 242 გვ.

**ავტორები:**

**შოთა ვემაპიძე** (პასუხისმგებელი რედაქტორი) – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

**ლელა ჯამაგიძე** (პასუხისმგებელი რედაქტორი) – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

**ლევან კერესელიძე** – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი;

**რამაზ ფუტყარაძე** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

**თინა დაუდიშვილი** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი (ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა);

**სოფიკო კიტაშვილი** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი (ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა).

**გიორგი მეგრელაძე** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი (ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა);

**რედაქტორი:**

**თემურაზ შენგელია** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

**რეცენზენტები:**

**გულნაზ ერქომაიშვილი** – ეკონომიკის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

**ნათია წიკლაშვილი** – ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი.

**ნიკო ჩიხლაძე** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თეოლოგიის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

**ამბროსი გრიშკაშვილი** – ეკონომიკის დოქტორი, პოლონეთის კულტურის დამსახურებული მოღვაწე.

**ISBN 978-9941-8-7529-8**

მონოგრაფიული ნაშრომი „საქართველოს ევროინტეგრაციული პერსპექტივა,“ ეძღვნება ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის თანამედროვე გამოწვევებს წევრ და არაწევრ სახელმწიფოთა გამოცდილების შესწავლის ფონზე. ამ პროცესების სიღრმისეული ანალიზი საქართველოს დაეხმარება ევროპასთან ინტეგრაციის გაღრმავებაში. შედეგად, ქვეყანა პერსპექტივაში უკეთ შეძლებს არსებული გამოწვევების შესაძლებლობებად გადაქცევას და მის თანმიმდევრულ და წარმატებულ განხორციელებას. ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარე საქართველო დიდი ხანია არის სტრატეგიული გეოპოლიტიკური პოზიციის მქონე ქვეყანა, მდიდარი ისტორიით და კულტურით. ქვეყნის ევროინტეგრაციული პერსპექტივა მოიცავს სხვადასხვა განზომილებებს, როგორცაა ეკონომიკური განვითარება და აგრარული სექტორის მოდერნიზაცია, ტრანსპორტი, სავაჭრო ურთიერთობები, ინვესტიციები, კანონმდებლობის ჰარმონიზება. მონოგრაფიაში დასაბუთებულია, რომ ევროინტეგრაციისკენ მიზნობრივი და უწყვეტი სწრაფვა აუცილებელია, რაც საქართველოსთვის პერსპექტივის გაღებას, სტაბილურობისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას გულისხმობს. თუ ეს მიმართულება შეუქცევადი იქნება, საქართველო მაქსიმალურ სარგებელს მიიღებს. დღეს ქვეყნისთვის კრიტიკულ პირობებში, ევროკავშირში ინტეგრაცია მნიშვნელოვანი საშუალებაა სტაბილურობისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, ევროინტეგრაციას სწორედ ასე უნდა ვუდგებოდეთ, საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებთან და რეგიონებთან საუკეთესო ურთიერთობების პირობებში, აქედან გამომდინარე შედეგებით. ნიგნი სათანადო დახმარებას გაუწევს აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკვლევრებს, მეცნიერებს, სტუდენტებს.

# შინაარსი

რეზიუმე -----	6
Abstract -----	7
შესავალი -----	8
თავი 1. საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის გაძლიერების მთავარი მიმართულებები-----	15
თავი 2. ევროკავშირის საერთო აგრარული პოლიტიკა და საქართველოს ურთიერთობა -----	37
თავი 3. სამრეწველო სექტორის განვითარება ევროკავშირსა და წევრობის კანდიდატ ქვეყნებში-----	58
თავი 4. მწვანე ენერჯეტიკის განვითარების ევროპული გამოცდილება და საქართველოს პერსპექტივა -----	72
თავი 5. ევროპის ენერჯეტიკული დეკარბონიზაციის გამოცდილების როლი საქართველოსთვის -----	83
თავი 6. საქართველოს როლი და პერსპექტივები ევროპის სატრანსპორტო და ლოგისტიკის სფეროში ინტეგრაციის პროცესში-----	97
თავი 7. საქართველოს ციფრული ტრანსფორმაციის გამონვევები ევროკავშირის სატელეკომუნიკაციო სექტორის ნარმატებების ფონზე-----	110
თავი 8. საქართველოს შესაძლებლობები უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში ევროკავშირის საინვესტიციო გარემოს ფონზე-----	124
თავი 9. საქართველოს ვაჭრობის განვითარების პერსპექტივები ევროკავშირთან -----	155
თავი 10. საქართველოსთვის ევროკავშირის საერთო ბაზრის მნიშვნელობა და სარგებელი-----	167

თავი 11. ევროკავშირისგან ფინანსური დახმარების გაზრდილი შესაძლებლობები კანდიდატი ქვეყნებისათვის -----	189
თავი 12. ევროკავშირის საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდელი და მისი განვითარების შესაძლებლობები საქართველოს კონტექსტში -----	200
თავი 13. საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროპის ქვეყნებში მოგზაურობისა და განათლების მიღების ხელმისაწვდომობა, აკადემიური და კულტურული გაცვლის მხარდაჭერა -----	210
გამოყენებული ლიტერატურა-----	214
მონოგრაფიის ავტორების შესახებ -----	235

## რეზიუმე

საქართველოსთვის უნიკალურ ინტეგრაციულ გაერთიანება ევროკავშირთან (EU) ინტეგრაციისკენ სწრაფვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდის, განვითარებისა და გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის. ევროკავშირის წევრ და არანწევრ სახელმწიფოთა გამოცდილების სიღრმისეული ანალიზი, საქართველოს ევროინტეგრაციული პროცესების გაღრმავებაში დაეხმარება. შედეგად, ქვეყანა პერსპექტივაში უკეთ შეძლებს არსებული გამოწვევების შესაძლებლობებად გადაქცევას და მის თანმიმდევრულ და ნარმატიულ განხორციელებას. ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარე საქართველო დიდი ხანია არის სტრატეგიული გეოპოლიტიკური პოზიციის მქონე ქვეყანა, მდიდარი ისტორიით და კულტურით. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველო აქტიურადაა ჩართული ევროინტეგრაციულ პროცესებში. ქვეყნის ევროინტეგრაციის პერსპექტივა მოიცავს სხვადასხვა განზომილებებს. მნიშვნელოვანია ფოკუსირება აგრარულ და სამრეწველო სექტორებზე, სატრანსპორტო და სავაჭრო ინფრასტრუქტურაზე, ინვესტიციების ზრდაზე, ინოვაციებსა და ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციაზე.

ევროინტეგრაციისკენ მიზნობრივი და უწყვეტი სწრაფვა აუცილებელია, რადგან ეს პროცესი საქართველოსთვის პერსპექტივების გაღებას, სტაბილურობისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას განაპირობებს. თუ ეს მიმართულება შეუქცევადი იქნება, ქვეყანა შეძლებს, ევროკავშირის საყოველთაო ღირებულებებისა და სტანდარტების ოპტიმალური სინთეზის მიღწევას და შედეგად EU-სთან ინტეგრაცია ხელს შეუწყობს საქართველოს უფრო დაცულ, დემოკრატიულ და მდგრად სოციუმად გარდაქმნას, მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, გაუმჯობესდება სოციალური მდგომარეობა და მმართველობა, გაძლიერდება პოლიტიკური სტაბილურობა და უსაფრთხოება.

საქართველო დღეს წარმოუდგენლად რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში იმყოფება. ქვეყნისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დამაკავშირებელი ხიდის როლის შესრულებაა, რაც ახლა უფრო მეტად აქტუალურია, ვიდრე ოდესმე. ამ როლის ეფექტურად შესრულებისთვის საჭიროა გეოპოლიტიკური სიტუაციის სწორი ანალიზი, რათა ქვეყანამ მაქსიმალური სარგებელი მიიღოს. დღეს საქართველოსთვის კრიტიკულ პირობებში, ევროკავშირში ინტეგრაცია ეროვნული ინტერესების დაცვის მნიშვნელოვანი საშუალებაა. ევროკავშირში ინტეგრაციას სწორედ ასე უნდა ვუდგებოდეთ, საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებთან და რეგიონებთან საუკეთესო ურთიერთობების პირობებში, აქედან გამომდინარე შედეგებით.

## ABSTRACT

Georgia's aspiration towards the European Union (EU), which represents a unique integration, is vital for fostering its economic growth, development and global competitiveness. A thorough analysis of the experiences of both EU member and non-member countries can be helpful for Georgia to deepen its European integration process. As a result, the country will be better positioned to transform existing challenges into opportunities in a consistent and successful manner.

Situated at the crossroads of Europe and Asia, Georgia has long held a strategic geopolitical position, enriched by its deep historical and cultural heritage. Since gaining independence, the country has actively engaged in European integration processes. The prospect of Georgia's European integration encompasses multiple dimensions. Among them the present study focuses on the agricultural and industrial sectors, transport and trade infrastructure, investment growth, innovation, and the harmonization of national legislation the EU standards.

A targeted and continuous commitment to European integration is essential, as this process directly contributes to opening new opportunities for Georgia, ensures stability, and fosters its resilient development. If this trajectory remains irreversible, Georgia will be able to achieve an optimal synthesis of universal EU values and standards. Consequently, integration with the EU will facilitate the country's transformation into a more secure, democratic, and sustainable society, yielding economic benefits, improving social conditions and governance, and strengthening political stability and security.

Today, Georgia faces an extraordinarily complex geopolitical environment. One of the most significant roles of the country is to function as a bridge connecting the West and the East—a role that is now more relevant than ever. To fulfill this function effectively, a precise analysis of the geopolitical landscape is required to maximize national benefits. Under the critical conditions Georgia currently faces, integration with the European Union represents a key instrument for safeguarding national interests. This integration should be pursued with a clear understanding of its implications, ensuring the best possible relations with neighboring states and the broader region.



# შესავალი

მსოფლიო დღეს მრავალი სერიოზული პრობლემის წინაშეა, როგორცაა შეიარაღებული კონფლიქტები, არათანაბარი ციფრული განვითარება, კლიმატის ცვლილება, სოციალური დაპირისპირებები, სიღარიბე, შიმშილი და უთანასწორობა. ამ საკითხების გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი ძალისხმევით, დიალოგისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით, ასევე კოორდინირებული, ეფექტური და ინკლუზიური მიდგომების დანერგვით. 2008-2009 წლის გლობალური კრიზისის შემდეგ განხორციელებული ტექტონიკური ცვლილებები კიდევ უფრო გამძაფრდა 2020 წლის COVID-19-ის პანდემიისა და განსაკუთრებით 2022-2024 წლებში გეოპოლიტიკური დაპირისპირებების შედეგად, რაც გვაფიქრებინებს გლობალიზაციის და რეგიონალიზაციის ფუნდამენტურ ცვლილებებზე და იმის მნიშვნელობაზე, რომ ეკონომიკური ინტეგრაცია იყოს ამ პროცესების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ეკონომიკური ინტეგრაცია უმნიშვნელოვანესი კონცეფციაა ნებისმიერი ქვეყნისთვის, რომელიც მიზნად ისახავს გაზარდოს თავისი განვითარება, გააძლიეროს თავისი პოზიციები გლობალურ ბაზარზე და უზრუნველყოს მდგრადი კეთილდღეობა. ეს ეხება პროცესს, რომლის მეშვეობითაც სხვადასხვა ეკონომიკები ერთიანდება უფრო მჭიდრო და ურთიერთდაკავშირებული ბაზრის შესაქმნელად. ეკონომიკური ინტეგრაცია, როგორც წესი, მოიცავს სავაჭრო ბარიერების შემცირებას, პოლიტიკის ჰარმონიზაციას და საზღვრებს მიღმა უფრო მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობას. ეკონომიკური ინტეგრაცია, წარმოქმნის გარკვეულ გავლენებს, რომლებსაც განეკუთვნება: სავაჭრო და საინვესტიციო შესაძლებლობების გაუმჯობესება; მასშტაბის ეკონომია და ეფექტიანობა; რეგიონული სტაბილურობის გაძლიერება; ეკონომიკის დივერსიფიკაცია; ტექნოლოგიებისა და ცოდნის გადაცემა; მსოფლიო დონის ტალანტების მოზიდვა; პოლიტიკის კოორდინაცია და გაძლიერებული გლობალური პოზიციონირების გაუმჯობესება; ინფრასტრუქტურისა და დაფინანსების ხელმისაწვდომობა; რეგიონული უთანასწორობის აღმოფხვრა; გამონწვევები და რისკები.

საქართველოსთვის უნიკალურ ინტეგრაციულ გაერთიანება ევრო-

კავშირთან (EU) ინტეგრაციისკენ სწრაფვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდის, განვითარებისა და გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის. ევროკავშირის წევრ და არაწევრ სახელმწიფოთა გამოცდილების სიღრმისეული ანალიზი, საქართველოს ევროინტეგრაციული პროცესების გაღრმავებაში დაეხმარება. შედეგად, ქვეყანა პერსპექტივაში უკეთ შეძლებს არსებული გამოწვევების შესაძლებლობებად გადაქცევას და მის თანმიმდევრულ და წარმატებულ განხორციელებას. ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარე საქართველო დიდი ხანია არის სტრატეგიული გეოპოლიტიკური პოზიციის მქონე ქვეყანა, მდიდარი ისტორიით და კულტურით. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველო აქტიურადაა ჩართული ევროინტეგრაციულ პროცესებში. ქვეყნის ევროინტეგრაციის პერსპექტივა მოიცავს სხვადასხვა განზომილებებს. მნიშვნელოვანია ფოკუსირება აგრარულ და სამრეწველო სექტორებზე, სატრანსპორტო და სავაჭრო ინფრასტრუქტურაზე, ინვესტიციების ზრდაზე, ინოვაციებსა და ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციაზე.

ევროინტეგრაციისკენ მიზნობრივი და უწყვეტი სწრაფვა აუცილებელია, რადგან ეს პროცესი საქართველოსთვის პერსპექტივების გაღებას, სტაბილურობისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას განაპირობებს. თუ ეს მიმართულება შეუქცევადი იქნება, ქვეყანა შეძლებს, ევროკავშირის საყოველთაო ღირებულებებისა და სტანდარტების ოპტიმალური სინთეზის მიღწევას და შედეგად EU-სთან ინტეგრაცია ხელს შეუწყობს საქართველოს უფრო დაცულ, დემოკრატიულ და მდგრად სოციალურ გარდაქმნას, მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, გაუმჯობესდება სოციალური მდგომარეობა და მმართველობა, გაძლიერდება პოლიტიკური სტაბილურობა და უსაფრთხოება.

საქართველო დღეს წარმოუდგენლად რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში იმყოფება. ქვეყნისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დამაკავშირებელი ხიდის როლის შესრულებაა, რაც ახლა უფრო მეტად აქტუალურია, ვიდრე ოდესმე. ამ როლის ეფექტურად შესრულებისთვის საჭიროა გეოპოლიტიკური სიტუაციის სწორი ანალიზი, რათა ქვეყანამ მაქსიმალური სარგებელი მიიღოს. დღეს საქართველოსთვის კრიტიკულ პირობებში, ევროკავშირში ინტეგრაცია ეროვნული ინტერესების დაცვის მნიშვნელოვანი საშუალებაა. ევროკავშირში ინტეგრაციას სწორედ ასე უნდა

ვუდგებოდეთ, საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებთან და რეგიონებთან საუკეთესო ურთიერთობების პირობებში, აქედან გამომდინარე შედეგებით.

მონოგრაფიის მიზანი არის კვლევა იმისა, თუ როგორ განისაზღვრება ევრინტეგრაციის როლი საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების და კეთილდღეობის მიღწევაში, ქვეყნის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით.

დასახული მიზნიდან გამომდინარე, მონოგრაფიაში განხილული საკითხების სპექტრი მრავალფეროვანია და მოიცავს სხვადასხვა მიმართულებებს, როგორცაა: საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის გაძლიერების მთავარი მიმართულებები; ევროკავშირის საერთო აგრარული პოლიტიკა და საქართველოსთან ურთიერთობა; სამრეწველო სექტორის განვითარება ევროკავშირსა და წევრობის კანდიდატ ქვეყნებშიმწვანე ენერჯეტიკის განვითარების ევროპული გამოცდილება და საქართველოს პერსპექტივა; ევროპის ენერჯეტიკული დეკარბონიზაციის გამოცდილების როლი საქართველოსთვის; საქართველოს როლი და პერსპექტივები ევროპის სატრანსპორტო და ლოგისტიკის სფეროში ინტეგრაციის პროცესში; საქართველოს ციფრული ტრანსფორმაციის გამოწვევები ევროკავშირის სატელეკომუნიკაციო სექტორის წარმატებების ფონზე; საქართველოს შესაძლებლობები უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში ევროკავშირის საინვესტიციო გარემოს ფონზე; საქართველოს ვაჭრობის განვითარების პერსპექტივები ევროკავშირთან; საქართველოსთვის ევროკავშირის საერთო ბაზრის მნიშვნელობა და სარგებელი; ევროკავშირის საერთო ბაზართან საქართველოს ინტეგრაციის პერსპექტივები: სასაქონლო, მომსახურებისა და შრომის ბაზრების ლიბერალიზაცია და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება; ევროკავშირისგან ფინანსური დახმარების და განვითარების ფონდის დახმარების გაზრდილი შესაძლებლობები კანდიდატი ქვეყნებისათვის; ევროკავშირის საჯარო – კერძო პარტნიორობის მოდელი და მისი განვითარების შესაძლებლობები საქართველოს კონტექსტში; საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროპის ქვეყნებში მოგზაურობისა და განათლების მიღების ადვილად ხელმისაწვდომობა, აკადემიური და კულტურული გაცვლის მხარდაჭერა.

მონოგრაფიაში გამოკვლეულია ევროკავშირისა და საქართველოს მრავალწლიანი ეკონომიკური ურთიერთობები, საქართველოს

ეკონომიკური პოტენციალი, მისი პრიორიტეტული მიმართულებები, რომელიც ქვეყანას აქვს ევროინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე. გაანალიზებულია ევროკავშირის ზოგიერთი წევრი ქვეყნის წარსული გამოცდილება, ნაჩვენებია საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები და ქვეყნის სტრატეგიული მიზანი - თავისუფლების, სტაბილურობის, განვითარების უზრუნველყოფა, ადამიანის, ოჯახის უსაფრთხოების, ჯანმრთელობის, სოციალური მდგომარეობის, ღირსეული სიბერის, ადამიანის ყველა უფლების დაცვა. ნაშრომში გაანალიზებულია ევროკავშირის რიგი პრიორიტეტული მიმართულებები და გრძელვადიანი პერსპექტივები, საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის ისტორიული ასპექტები და საქართველოს ქმედითი ნაბიჯები ევროკავშირითან ინტეგრირების გასაღრმავებლად. გამოვლენილია ევროინტეგრაციის კონტექსტში საქართველოს გამოწვევები სხვადასხვა სფეროში, როგორცაა: ინოვაციური განვითარება და სატრანსპორტო-ლოჯისტიკური ფუნქციის განვითარება, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ათვისების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა, დადგენილია ევროკავშირის დადებითი ჩართულობა მიღწეულ ნარმატებებში.

საქართველოს ევროინტეგრაციის გაღრმავების შედეგად, ჩნდება დადებითი ცვლილებების, რეფორმების გატარების და ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლების მყარი და გაზრდილი შესაძლებლობები. ქვეყანა უფრო მალე მიაღწევს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის სასურველ ტემპებს - კერძოდ, შეამცირებს უმუშევრობას, სიღარიბეს, გაზრდის საშუალო პენსიას, შემცირდება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობა, შემცირდება ატმოსფეროში CO<sub>2</sub>-ის გამონაბოლქვები, გაუმჯობესდება ჰაერის ხარისხი. ევროკავშირი საქართველოს უდიდესი დონორია. საინტეგრაციო ბლოკი ყოველწლიურად გრანტების სახით გასცემს დიდი რაოდენობით თანხებს რეფორმების მხარდასაჭერად. დახმარების მიზანია განვითარდეს ეკონომიკური მდგომარეობა, ამაღლდეს განათლების ხარისხი, დამკვიდრდეს კარგი, მიუხეობელი, სამართლიანი, ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზებული მმართველობა, დაცული იყოს ადამიანთა უფლებები, ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვროს გარემოს დაცვა.

ევროკავშირის წევრი და არაწევრი განვითარებადი ქვეყნების განვითარების ტემპების და ეკონომიკური მაჩვენებლების შედარების შე-

დეგად გამოვლენილია ტენდენცია, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყანა უფრო ნაკლებ დროში და შედარებით მარტივად აღწევს პროგრესს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ სფეროებში.

საქართველო ერთ-ერთი წამყვანი სატრანზიტო ქვეყანაა - ის თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით ერთგვარი ხიდის ფუნქციას ითავსებს დასავლეთსა და ცენტრალურ აზიას შორის. სწორედ ამგვარი მდებარეობა აძლევს ქვეყანას საშუალებას, რომ დაიკავოს მნიშვნელოვანი ადგილი მსოფლიოს ეკონომიკურ პროცესებში. ამ მიმართულებით ქვეყნის პოტენციალის განვითარება, როგორცაა „ევროპა-კავკასია-აზიის დერეფნის პროგრამა“, ტრანსკავკასიური ნავთობსადენის, „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა“ და „ბაქო-თბილისი-ერზრუმის“ გაზსადენები, შავ ზღვაზე ბათუმისა და ფოთის საზღვაო პორტები, ანაკლიის ღრმანწყლოვანი პორტის მშენებლობა, საქართველოს სატრანსპორტო-ეკონომიკურ ჰაზად გადაქცევა, ასევე საერთო სარგებლობის მომტანი იქნება.

მონოგრაფია განიხილავს ევროინტეგრაციის გავლენას საქართველოს ეკონომიკაზე, აქვე ანალიზდება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ასპექტები. შესწავლილია ინტეგრაციის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მხარეები, ასევე მათი ზეგავლენა ქვეყნის შიდა და რეგიონულ განვითარებაზე.

კვლევის ობიექტი შეეხება ევროინტეგრაციის პროცესებს როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ დონეზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ევროკავშირის წევრ და არაწევრ ქვეყნებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ამ პროცესებში, მათი მიღწევების, გამოწვევებისა და პოტენციალის ზრდის შესაძლებლობების გაანალიზებას.

მონოგრაფია იყენებს შერეულ კვლევის მეთოდებს, რომლებიც აერთიანებს თვისებრივ და რაოდენობრივ ანალიზს. მასში შედის არსებული ლიტერატურის მიმოხილვა, შემთხვევის ანალიზი და ძირითადი ინდიკატორების, როგორცაა მშპ-ს ზრდა, ვაჭრობის მოცულობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) და დასაქმების დონეების სტატისტიკური გამოკვლევა. ემპირიული კვლევა ასევე დაფუძნებულია ექსპერტების ინტერვიუებზე.

მონოგრაფია გთავაზობთ პრაქტიკულ რეკომენდაციებს პოლიტიკის შემქმნელებს, ბიზნესს და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც მონაწილეობენ ან განიხილავენ ევროინტეგრაციის პროცესებს. მის დასკვნებს შეუძლიათ დახმარება გაუწიონ გადაწყვეტილებების

მიღებაში, რომლებიც ეხება სავაჭრო ხელშეკრულებებს, საინვესტიციო პოლიტიკასა და სტრატეგიებს, რეგიონალურ და გლობალურ ეკონომიკურ პირობებში თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით. გარდა ამისა, იგი განიხილავს ევროინტეგრაციის მნიშვნელობას ევროკავშირის წევრ და არაწევრ ქვეყნებსა და რეგიონებს შორის ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებაში.

ევროინტეგრაციის შესახებ ლიტერატურა მოიცავს სხვადასხვა დარგს, როგორცაა ეკონომიკა, საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკურ მეცნიერებები. ბევრ კვლევაში გამოხატულია ინტეგრაციის დადებითი მხარეები, მაგალითად, ვაჭრობის ზრდა, ახალი ბაზრებზე წვდომა და ეკონომიკური ეფექტურობა. თუმცა, სხვა კვლევები მიუთითებს იმ პრობლემებზე, რაც შეიძლება წარმოიშვას, მაგალითად, არათანაბარი სარგებელი სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისთვის და შედარებით დიდი ეკონომიკური დამოკიდებულება განვითარებულ ქვეყნებზე. მეცნიერებმა, როგორცაა ბელა ბალასა (1961) და ნორბერტ ვინერი (1950), მნიშვნელოვნად განავითარეს ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიის გაგება, ხოლო თანამედროვე კვლევები აფასებენ მის გავლენას განვითარებად ბაზრებსა და ქვეყნებზე.

მონოგრაფია ნაწილობრივ დაეყრდნო ავტორების მიერ უკანასკნელ პერიოდში შესრულებულ კვლევით ნაშრომებს, რომელთა შედეგები წარდგენილია სამეცნიერო კონფერენციებზე, ასევე, ზოგიერთი მათგანი გამოქვეყნებულია სამეცნიერო ჟურნალებში. კერძოდ:

1. ვეშაპიძე შ., კიტაშვილი ს., (2024). საქართველოს ევროინტეგრაციული პერსპექტივა. "ეკონომისტი", N2. 94-112 , ISSN 1987-6890 e ISSN 2346-8432

2. ვეშაპიძე შ., მეგრელაძე გ. (2024). საქართველოს ევროკავშირთან ვაჭრობის განვითარების პერსპექტივები. „ახალი ეკონომისტი,“ N2-3 (73-74) 2024,

3. ვეშაპიძე შ., კიტაშვილი ს. (2024). საქართველოსთვის ევროკავშირის ერთიანი ბაზრის მნიშვნელობა და სარგებელი. „ახალი ეკონომისტი,“ N 4.

4. ვეშაპიძე შ. (2024). მწვანე ენერჯეტიკის განვითარების ევროპული გამოცდილება და საქართველოს პერსპექტივა. 2024 წლის 8 თებერვალი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია: „მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარება“

5. ფუტკარაძე რ. (2024). ევროკავშირის საჯარო-კერძო პარტნიორობა და საქართველო. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მეცხრე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. თბილისი, 1 ნოემბერი.

6. ჯამაგიძე ლ. (2024). სამრეწველო სექტორის განვითარება ევროკავშირსა და წევრობის კანდიდატ ქვეყნებში. ჟ. ეკონომისტი. ტომი XX, N3, გვ. 92-104

7. ვეშაპიძე შ., კერესელიძე ლ., ცირდავა ნ. (2024). ენერგეტიკის დეკარბონიზაცია და საქართველოს მდგრადი განვითარების გამოწვევები. “ეკონომისტი”, N4.

8. ჯამაგიძე ლ. ევროკავშირის ფინანსური დახმარება ეკონომიკური ინტეგრაციისთვის: საქართველოს შემთხვევა. ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია: ეკონომიკური ინტეგრაცია ევროკავშირში: შედეგები და პერსპექტივები, 7 თებერვალი, 2025, თსუ, თბილისი.

მონოგრაფიული კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ეკონომიკურ ინტეგრაციას შეუძლია მნიშვნელოვნად გაზარდოს ქვეყნის კონკურენტუნარიანობა რეგიონალურ და გლობალურ ბაზრებზე მეტი წვდომის, ინოვაციების ხელშეწყობისა და რესურსების განაწილების ეფექტურობის გაუმჯობესების გზით. ის ასევე ხელს უწყობს ეკონომიკის სტაბილიზაციას, დივერსიფიცირების შედეგად და ინდუსტრიებზე დამოკიდებულების შემცირებით. თუმცა, განხილვა ასევე აჩვენებს, რომ ინტეგრაციამ შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი პრობლემები, როგორცაა შემოსავლების უთანასწორობა, გარკვეული სექტორების დასუსტება და გარე ეკონომიკური შოკებისადმი დიდი მგრძობელობა. ევროკავშირის (EU) გამოცდილება წარმოგვიდგენს მნიშვნელოვან მაგალითებს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ასეთი გამოწვევების მართვა კოორდინირებული პოლიტიკის საშუალებით.

# თავი 1.

## საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის გაძლიერების მთავარი მიმართულებები

1920-1940-იან წლებში ევროპაში ნაციონალიზმისა და პროტექციონიზმის გავლენა იყო უმთავრესი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ეკონომიკის აღდგენის მიზნით, შექმნილმა მარშალის გეგმამ ხელი შეუწყო ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის დაარსებას, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერებას. ამ ორგანიზაციამ საშუალებას მისცა ევროპულ ქვეყნებს პირველად დაეწყოთ მჭიდრო თანამშრომლობა საერთო მიზნებისთვის. 1961 წელს, იგი გარდაიქმნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციად (OECD).

1950 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რობერტ შუმანი წინადადებით გამოვიდა საფრანგეთისა და გერმანიის ქვანახშირის და მეტალურგიული რესურსების გაერთიანების შესახებ, რათა შეექმნათ ორგანიზაცია, რომელსაც სხვა ევროპულ ქვეყნებაც შეუერთდებოდნენ. 1952 წელს ექვსმა ევროპულმა ქვეყანამ (ბელგიამ, დასავლეთ გერმანიამ, იტალიამ, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდებმა და საფრანგეთმა) ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც მიზნად ისახავდა ნახშირის და ფოლადის ევროპული გაერთიანების შექმნას და საერთო ბაზრის ჩამოყალიბებას ამ დარგებში. ეს ორგანიზაცია მათი დარგების აღორძინებას და კონკურენტუნარიანობის გაზრდას შეუწყობდა ხელს. 1956 წელს გაფორმდა კიდევ ერთი მსგავსი შეთანხმება, რომელიც მიმართული იყო ატომური ენერჯის განვითარებისაკენ (ატომური ენერჯის ევროპული თანამეგობრობა).

1957 წელს რომის ხელშეკრულების ხელმოწერამ, რომელიც ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის (European Economic Community) შექმნას ისახავდა მიზნად, ევროპის ინტეგრაციის მნიშვნელოვანი ეტაპი დააგვირგვინა. ეს შეთანხმება გახდა ევროპული თანამეგობრობის (1967) და ევროპული კავშირის (1992) საფუძველი. რომის ხელშეკრულება მოიცავდა რამდენიმე ძირითად მიმართულებას ეკონომიკური ინტეგრაციისთვის: თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნა, რომლის მიზანი იყო ეტაპობრივად მოეხსნათ ტარიფები, კვოტები და სხვა სა-



ვაჭრო ბარიერები; სამუშაო ძალისა და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის შესაძლებლობის გაფართოება; საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკის შექმნა; საინვესტიციო ფონდის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა კაპიტალის გადინებას განვითარებული რეგიონებიდან ნაკლებად განვითარებულ მიმართულებებზე; საბაჟო კავშირის შექმნა, რომელიც განსაზღვრავდა უნიფიცირებულ ტარიფებს იმპორტისთვის სხვა ქვეყნების მიმართ. (გუროვა, 2014).

რომის ხელშეკრულება განსაზღვრავდა „ოთხი თავისუფლების“ (four freedoms) პრინციპს, რომელიც გულისხმობდა კაპიტალის, საქონლის, მომსახურების და სამუშაო ძალის თავისუფალ გადაადგილებას. ამ პრინციპმა ხელი შეუწყო საერთო ბაზრის შექმნას და ევროპული ეკონომიკების უფრო ღრმა ინტეგრაციას. ამ პერიოდში ევროპულმა ქვეყნებმა, რომლებმაც არ ისურვეს ღრმა ინტეგრაციაში მონაწილეობა, 1960 წელს სტოკჰოლმში შექმნეს საკუთარი ორგანიზაცია — თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია (EFTA), რომელშიც მონაწილეობდნენ ავსტრია, დანია, ფინეთი, ნორვეგია, პორტუგალია, შვედეთი, შვეიცარია და დიდი ბრიტანეთი. თუმცა დროთა განმავლობაში ზოგიერთი ყოფილი წევრი ქვეყანა შეუერთდა ევროპულ ეკონომიკურ თანამეგობრობას. 1970-1990-იან წლებში ინტეგრაციული ბლოკის გაფართოება გაგრძელდა.

ევროპული ინტეგრაცია არა მხოლოდ ფართოვდებოდა, არამედ უფრო ღრმავდებოდა. 1967 წელს ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობა შეერწყა ნახშირის და ფოლადის ევროპულ კავშირსა და ევროატომს, რის შედეგადაც მას ეწოდა „ევროპული თანამეგობრობა“ (European Communities), სახელწოდება, რომელიც გამოიყენებოდა თითქმის 1992 წლამდე, სანამ იგი არ შეიცვალა „ევროპული კავშირით“.

1987 წელს ლუქსემბურგსა და ჰააგაში ხელი მოეწერა ერთიან ევროპულ აქტს (Single European Act), რაც ნიშნავს, რომ ერთიანი საერთო ბაზარი საბოლოოდ ჩამოყალიბდა. შემდეგში, 1991 წელს, მასტრიხტის ხელშეკრულების დადებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომელიც გულისხმობდა ევროპული კავშირის შექმნას და საერთო ვალუტის – ევროს – შემოღებას. სავალუტო ზონა, ანუ ევროს ზონა, ჩამოყალიბდა 1999 წელს. **ევროზონა** (ინგლ. Eurozone), ასევე **ევროსისტემა** ან **ევროლენდი** — გეოგრაფიული და ეკონომიკური რეგიონი, რომლის წევრიცაა ევროკავშირის წევრი ქვეყნები, რომელთა პირველადი და ერთადერთი იურიდიული ვალუტა ევროა. ევროკავშირის წევრი 8 ქვეყანა

ისევ იყენებს საკუთარი ფულის ერთეულს, მიუხედავად იმისა, რომ მათ უმეტესობას მომავალში ექნებათ ვალდებულება, გადავიდნენ ევროს გამოყენებაზე. ამ სახელმწიფოებს ევროს მონეტებისა და ბანკნოტების გამოშვების უფლება აქვთ. ამ ზონაში მონეტარულ პოლიტიკას ევროპის ცენტრალური ბანკი ატარებს.

2023 წლის მონაცემებით ევროზონაში შედის 20 ქვეყანა: ავსტრია, ბელგია, გერმანია, ესტონეთი, ესპანეთი, ირლანდია, იტალია, კვიპროსი, ლატვია, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ფინეთი და ხორვატია. ევროზონაში დაახლოებით 340 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. ყველა ევროკავშირის წევრი ქვეყანა (გარდა დანიისა) ვალდებულია შეუერთდეს ევროზონას შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ.

1994 წელს ხელს მოაწერეს ევროპულ შეთანხმებას (European Agreement) აღმოსავლეთ ევროპის ათ ქვეყანასთან, რაც გულისხმობდა თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნას და ამ ქვეყნებში პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას. 2004 წელს ევროკავშირში შეუერთდა 8 ახალი ქვეყანა, ხოლო 2007 წელს – ბულგარეთი და რუმინეთი. 2004 წელს ევროკავშირში ასევე გაერთიანდნენ მალტა და კვიპროსი. ხორვატია გაწევრიანდა 2023 წელს. ამჟამად აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ ალბანეთი, მონეტენეგრო, ჩრდ. მაკედონია, სერბეთი, მოლდოვა და უკრაინა. გაფართოებასთან ერთად, ევროპული კავშირის სტრუქტურა უფრო გართულდა, და ახლა მასში რამდენიმე ქვეჯგუფია: ევროკავშირი -15 (2004 წლამდე შესული ქვეყნები), ევროკავშირი - 10 (2004 წელს შესული ქვეყნები) რომელთა შორის არის და ეკ-8 (ყოფილი სოციალისტური ქვეყნები, რომლებიც 2004 წელს შევიდნენ).

ევროკავშირი 27 წევრი სახელმწიფოსგან შემდგარი საინტეგრაციო ბლოკია, რომელიც სათავეს ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებისა და ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისგან იღებს და რომელსაც საფუძველი ექვსმა ევროპულმა ქვეყანამ ჩაუყარა. დღეს გაერთიანების კომპეტენცია ვრცელდება მისი ყველა წევრი სახელმწიფოს ეკონომიკაზე, მრეწველობაზე, საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, მოქალაქეთა უფლებებზე და სხვ. წევრი სახელმწიფოები, როგორც ცალკე, ასევე ერთიანად, დიდ გავლენას ახდენენ მსოფლიო ეკონომიკაზე, აღნიშნულის გამოა, რომ ევროკავშირის ეკონომიკა ერთ-ერთ

ყველაზე კონკურენტუნარიანად ითვლება მსოფლიოში, კონკურენტუნარიანს ვუნოდებთ ეკონომიკას, რომელსაც საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპების სტაბილურად შენარჩუნება შეუძლია.

როგორც განვითარებულ ქვეყნებსა და გაერთიანებებს ახასიათებთ, ევროკავშირიც თავისი კონკურენტუნარიანობის ამალგებას არა ერთ დარგში სპეციალიზაციით, არამედ მრავალი სექტორის განვითარებით ინარჩუნებს. საინტეგრაციო ბლოკს აქვს მაღალგანვითარებული ინფრასტრუქტურა, საგანმანათლებლო სექტორი, საკანონმდებლო ბაზა, ძლიერი პოლიტიკა აქვს შემუშავებული შიდა და საერთაშორისო კონკურენციასთან მიმართებითაც, მუდმივად ისწრაფვის სრულყოფისკენ ინოვაციებისა და კვლევის სფეროში და ამასთან, მის პრიორიტეტულ პერსპექტივას წარმოადგენს მდგრადობა; მდგრადი განვითარება საინტეგრაციო ბლოკის უმთავრესი მიზანი მასტრიხტისა (1992) [Maastricht Treaty 1992] და ამსტერდამის (1996) ხელშეკრულებების მიხედვით გახდა. გარდა მდგრადობისა, ეკოლოგიური პოლიტიკის ძირითად მიზნებად განისაზღვრა: ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, საერთაშორისო ეკოლოგიური თანამშრომლობა.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ხელშეკრულებაში გარემოს დაცვის პრობლემებს დიდი ყურადღება ეთმობა. აღნიშნულ ხელშეკრულებაშივეა მითითებული, რომ ევროკავშირი მიისწრაფის ეკონომიკის ჰარმონიული, დაბალანსებული და მდგრადი განვითარებისკენ. გარემოს დაცვის მაღალი დონისაკენ. (აბესაძე & ბიბილაშვილი, 2021).

მუდმივი სწრაფვა ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური გარემოს სრულყოფისკენ, გაერთიანებას მსოფლიო ეკონომიკის ძლიერ მოთამაშედ აქცევს, ეს კი, რა თქმა უნდა, არაერთი ევროპული სახელმწიფოსთვის ძლიერი მოტივატორია, რომ გახდეს ევროკავშირის წევრი. საინტეგრაციო ბლოკის ღიაობა იმ ევროპული სახელმწიფოებისთვის, რომელთაც გაზიარებული აქვთ ევროკავშირის ფასეულობები, ფუნდამენტური პრინციპები და ღირებულებები, მაღალია, თუმცა გზა სავაჭრო პარტნიორობიდან წევრობამდე მარტივი არაა და მთელ რიგ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ მოთხოვნებს მოიცავს.

საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა 1992 წლიდან იწყება, როდესაც ევროგაერთიანებამ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან თანამშრომლობა

საქართველოსთვის დახმარების განწევით შემოიფარგლებოდა, წლების განმავლობაში აღნიშნული ორმხრივი ვალდებულებების აღებით გამოიხატა. 1996 წელს ევროკომისიისა და საქართველოს პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას, რომელიც 1999 წელს შევიდა ძალაში 10 წლით და საწინააღმდეგო პოზიციის არ არსებობის შემთხვევაში ავტომატურად გაგრძელდებოდა. ამ შეთანხმებით ორივე მხარე იღებდა ვალდებულებას, ერთდროულად ემუშავათ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მიზნების მისაღწევად, ეს შეთანხმება გულისხმობდა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარემოს ევროკავშირთან დაახლოებას. 2007 წელს ევროკავშირს რუმინეთი და ბულგარეთი შეუერთდა და გაჩნდა საზღვაო საზღვარი საქართველო-ევროკავშირს შორის. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ევროკავშირი-საქართველოს შორის 2014 წელს დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომელიც 2016 წელს შევიდა ძალაში, აღნიშნულის მიზანია პოლიტიკური კავშირების გამყარება და ეკონომიკური ინტეგრაცია, საქართველომ და ევროკავშირმა ასევე ხელი მოაწერეს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ხელშეკრულებას (DCFTA), რომელიც განსაკუთრებული ტიპის შეთანხმებად არის მიჩნეული, რადგან იგი მოიცავს ევროკავშირის შიდა ბაზარში ინტეგრირების ამბიციურ ამოცანას, აღსანიშნავია, რომ DCFTA ასოცირების შეთანხმების მთავარი ღერძია და საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზებასა და დივერსიფიცირებას ეხმარება. ხოლო 2017 წლის 28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეებს შენგენის ზონაში უვიზოდ მიმოსვლის უფლება მიენიჭათ.

საქართველოს ევროკავშირთან თანამშრომლობის უახლოესი ბოლო წლების ისტორიას თუ გადავხედავთ, 2022 წლის 3 მარტს საქართველომ ევროკავშირში განწევრიანებაზე განაცხადი გააკეთა, ამავე წლის 17 ივნისს ევროკომისიამ წარმოადგინა თავისი მოსაზრებები უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს განცხადებების შესახებ. 2023 წლის 14 დეკემბერს ევროპულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ. 2023 წელი საქართველომ კანდიდატის სტატუსით დახურა. 2023 წლის მდგომარეობით - ქვეყანაში 3.7 მილიონი მოქალაქეა, მთლიანი სამამულო პროდუქტი 30.54 მილიარდი აშშ. დოლარია, მშპ ერთ სულ მოსახლეზე - 8 284 აშშ დოლარს შეადგენდა, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა კი 71.7 წელია, საქართველომ მიაღწია შესამჩნევ შედეგებს შემოსავლების

ზრდასა და სიღარიბის შემცირების მიმართულებით. საქართველოს მთლიანი ეროვნული შემოსავალი 2022 წელს ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 15 880 აშშ დოლარს, ხოლო სიღარიბე 2017 წელთან შედარებით შემცირებულია 70.6 %-დან 47.7 %-მდე, შრომითმა ბაზარმა ც განიცადა პოზიტიური ცვლილებები და უმუშევრობა 2021 წლის მაჩვენებელთან(20.6%) შედარებით შემცირებულია 16.4 %-მდე 2023 წელს. მიუხედავად პოზიტიური ნაბიჯებისა, იმ სტრუქტურულ გამოწვევებს შორის, რომლის წინაშეც ქვეყანა დგას, აღსანიშნავია დაბალი პროდუქტიულობისა და მაღალი ხარისხის სამუშაო ადგილების შექმნის პრობლემა. მნიშვნელოვანი გამოწვევად უნდა დავასახელოთ დასაქმებულთა დაახლოებით 1/3-ის ჩართულობა სოფლის მეურნეობაში, ასევე, თვითდასაქმებულთა დიდი წილი ეკონომიკის სხვა სექტორებშიც. ქვეყნისთვის გამოწვევას წარმოადგენს ისიც, რომ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ჯერ კიდევ დაბრკოლებად რჩება, სამუშაო ძალის ნაწილის კომპეტენცია და ხელმისაწვდომობა უნარ-ჩვევების შესაბამისობასთან კი დღესაც აქტუალური საკითხია. მსოფლიოს ბანკის მოხსენებაში ვკითხულობთ იმასაც, რომ საქართველო ტურიზმზე დამოკიდებულების გამო, დაცული არაა ეგზოგენური შოკებისგან. ბოლო წლებში ქვეყანაში მეტ-ნაკლებად სტაბილური ინფლაცია ფიქსირდებოდა და ძირითადად 3%-6% -ს შორის მერყეობდა, თუმცა 2020 – 2022 წლებში ინფლაციის მაჩვენებელი საკმაოდ გაიზარდა, კერძოდ 5.2%-დან 11.9 %-მდე 2022 წლის ბოლოსთვის, ლოგიკურია, 2020- 2022 წლებში ინფლაციის ზრდა პანდემიურ და პოსტ-პანდემიურ პერიოდსა და მისგან გამოწვეული ეკონომიკური საქმიანობის შენელებას დავუკავშიროთ. 2023 წელს, როდესაც მსოფლიომ და დანარჩენ ქვეყნებთან ერთად საქართველომაც თავი დაააღწია პანდემიის გავლენას, ინფლაცია 2.47 % დაფიქსირდა, თუმცა არსებობს მოლოდინი შემდგომ წლებში მისი გაზრდისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 3%-ია. რაც შეეხება უმუშევრობას, 2023 წელს, შეიძლება ითქვას, რომ უმუშევრობამ ისტორიულ მინიმუმს მიაღწია- დაფიქსირდა 16.4 %, ამასთან, აღსანიშნავია, რომ დასაქმებულთა დიდი ნაწილი კერძო სექტორშია, სახელმწიფო დიდ ყურადღებას ამახვილებს ქვეყანაში მიმზიდველი ბიზნეს გარემოს ფორმირებასა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე. საქართველო სულ უფრო მეტად მიმართავს თავის პოლიტიკას თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისკენ, საკუთრების უფლე-

ბების დაცვასა და თავისუფალი, ჯანსაღი კონკურენციის პირობების შექმნაზე, ასევე, ხდება ადგილობრივი ბიზნესების წახალისება და ჯანსაღი საგადასახადო სისტემის ფორმირება. 2023 წელს ქვეყანაში დაფიქსირდა რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდა - 7.8 %-ით და შეადგინა 8 284.0 აშშ დოლარი ერთ სულ მოსახლეზე, მშპ-ს ზრდაში ზოგიერთი სექტორის წვლილი დიდია, აღნიშნულს მიეკუთვნება: მშენებლობა, განათლება, პროფესიული სერვისები. საქართველო დიდწილად ეყრდნობა უცხოურ ინვესტიციებს, ეს არის ორმხრივი შანსი, როგორც ინვესტორებისთვის, ასევე საქართველოსთვის, ამ ტენდენციას აშკარად ასახავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების ტენდენცია, კერძოდ, 2023 წლის მეორე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება გაიზარდა 30 %-ით და 505 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი შემოდინება 2023 წლის პირველ 6 თვეში 1 მლრდ. აშშ დოლარზე მეტი იყო, ეს მაჩვენებელი 2022 წელთან შედარებით 10%-ით მეტია, ხოლო პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით 88%-ით მეტია (Abashmadze & Muradian, 2024). იმისათვის, რომ საქართველოს საინვესტიციო კლიმატი იყოს მიმზიდველი ინვესტორისთვის, ქვეყანა ვალდებულია უზრუნველყოს საინვესტიციო გარემოს უსაფრთხოდ ფორმირება და ინვესტორების უფლებების დაცვა. იმ შემთხვევაში თუ ინვესტორი გადაწყვეტს, უცხოელ ინვესტორებსა და სახელმწიფოს შორის დავები შეიძლება, გადაწყდეს საერთაშორისო არბიტრაჟის გზით, ნაცვლად ადგილობრივი სასამართლოებისა. დავის გადაწყვეტის ეს მექანიზმი იძლევა გარანტიას, რომ ნებისმიერი დავის მოგვარება, მოხდება მესამე, მიუკერძოებელი, ნეიტრალური მხარის მიერ.

საქართველოს მთავრობამ პრიორიტეტად მიიჩნია ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოსა და ისეთი კლიმატის შენარჩუნება, სადაც ინვესტორები დარწმუნებულნი არიან თავიანთი თანხების განთავსებაში სხვადასხვა სექტორში, რადგან იციან, რომ სამართლებრივი გარემო უზრუნველყოფს მათ დაცვას. ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, ბუნებრივია, პოზიტიურ, წინ გადადგმულ ნაბიჯად ითვლება, რომელიც ქვეყანას აძლევს შესაძლებლობას მთელი რიგი დადებითი ცვლილებებისა და რეფორმების გასატარებლად, რაც ქვეყნის კეთილდღეობაზე დადებით გავლენას მოახდენს. ევროკავშირისკენ აღებული გეზი რომ სწორი არჩევანია, ამას ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტი მოწმობს, კანდიდატის სტატუსის პარალელურად, ევროკავშირი რჩება საქართველოს

ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებთან გრძელვადიანი კონფლიქტების აღმოფხვრის პოლიტიკის მხარდამჭერი. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია მოქმედებს ადმინისტრაციული სასაზღვრო ზონის მახლობლად, ამასთან საინტეგრაციო ბლოკი საქართველოს მსხვილი ფინანსური მხარდამჭერია, ევროკავშირი მისი პრინციპებიდან და ფასეულობებიდან გამომდინარე ხელს უწყობს საქართველოს სოციალურეკონომიკურ განვითარებასა და რეფორმებს, მხარდაჭერა გამოიხატება ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებაში სამეზობლოს, განვითარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტრუმენტის (NDICI) ფარგლებში მოქმედებით. 2021-2024 წლისთვის საქართველოსთვის გამოყოფილი ბიუჯეტი დაახლოებით 304 მილიონ ევროს შეადგენს, პრიორიტეტულ სფეროებად განისაზღვრა ეკონომიკა, ინსტიტუტები, ციფრული სფერო და მწვანე გარდაქმნა. (თიბისი კაპიტალი, 2023). ყურადსაღებია, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა განიცადა, ეს ნაწილობრივ გატარებული ეკონომიკური რეფორმების დამსახურებაა, აღნიშნული რეფორმები მოიცავდა საგადასახადო მოსაკრებლების პროცედურის განახლებას, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას, უცხოური ინვესტიციებისა და ვაჭრობისათვის ქვეყნის ღიაობის შენარჩუნებას, ბიზნესგარემოს გამარტივებასა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

მნიშვნელოვანია, აღნიშნოს საქართველოს ეკონომიკის ინოვაციური განვითარებისკენ გადადგმული ნაბიჯები. თუმცა, შეუძლებელია იმ გამოწვევების უგულვებლყოფა, რომელიც ქვეყნისთვის ჯერ-ჯერობით გადაუჭრელია, მსგავს გამოწვევებს შესაძლოა, მივაკუთვნოთ ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალი, კერძოდ, დარგში არსებული დაბალი ანაზღაურების გამო სულ უფრო მცირდება სამეცნიერო საქმიანობით დაინტერესებულთა რიცხვი, ეს კი, რა თქმა უნდა, დიდ დარტყმას აყენებს საგანმანათლებლო სექტორს.

აღსანიშნავია ისიც, რომ წინ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, საქართველოში ჯერ თითქმის არ არსებობს კავშირი მეცნიერებას, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის, რაც ინოვაციური ეკონომიკის აუცილებელი მოთხოვნაა. ეს მკაფიო გამოწვევა სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის ინტერესებში შედის, ქვეყნის მიზანი გამოწვევებზე მყისიერი და სწორი რეაგირებაა, შესაბამისად, საქართველოს ინოვაციური

პოლიტიკის ძირითად მიმართულებებად უნდა განისაზღვროს ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერება, რომლის ფარგლებშიც მოხდება მეცნიერთა ხელფასების ზრდა, განმტკიცდება სამეცნიერო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აღნიშნული ქმედებები იქნება ერთგვარი მოტივატორი მეცნიერებით დაინტერესებისა და მეცნიერთა პროდუქტიულობის ამაღლებისა, ამასთან მნიშვნელოვანია მეცნიერთა გლობალურ სამეცნიერო სივრცეში ჩართვა, რითიც მოხდება ერთმანეთის გამოცდილებების გაზიარება და უკვე ნაცადი, საუკეთესო პრაქტიკების დანერგვა ქვეყნის სამეცნიერო სფეროში; ამასთან, ინოვაციური პოლიტიკის განსაზღვრისას ერთ-ერთი მთავარი მიმართულება არის ინოვაციების იმპორტის როლი ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის ამაღლებაში, თუმცა ახალი, მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების იმპორტი, თავისთავად დიდ ფულად საახსრებთან ერთად მოითხოვს, რომ ქვეყანაში იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრები, იყოს მიმზიდველი საინვესტიციო გარემო და არ ჰქონდეს ადგილი პოლიტიკურ თუ სოციალურ დაძაბულობას. სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას ასევე საჭიროებს მცირე და საშუალო სანარმოები, ვინაიდან აღნიშნული სექტორის განვითარება უმუშევრობის შემცირებისა და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი წინაპირობაა, ამ მიმართულებით ევროკავშირის ჩართულობა საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება-გაძლიერებაში მაღალია, თუმცა სახელმწიფოს მხრიდან მეტად ეფექტიანი მასტიმულირებელი ინსტრუმენტებით, როგორებიცაა: იაფი კრედიტები, რისკების დაზღვევა, სახელმწიფო შესყიდვების გაიოლება, საგადასახადო შეღავათები და სხვ. უფრო სწრაფად არის შესაძლებელი დარგის გამოცოცხლება.

საქართველოში არსებული გამოწვევა ინოვაციებსა და კვლევებთან მიმართებაში, რომელიც ევროკავშირის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, როგორც ვხედავთ, საკმაოდ კომპლექსურია, ის მოითხოვს ინოვაციური სისტემის ხუთრგოლიანი სისტემის ჩამოყალიბებას: მეცნიერება-სახელმწიფო-ბიზნესი-სამოქალაქო საზოგადოება-გარემო, აღნიშნული მოდელში ინოვაციების ღიაობის პრინციპი დაცულია, რაც გულისხმობს ინოვაციურ პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობასა და ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებას. (აბესაძე ნ., 2022). მნიშვნელოვანია, გააზრება იმისა, რომ ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პროცესი შეხებაშია ეროვნული ეკონომიკის სტრატეგიულ და ტაქტიკურ მიზნებთან, ცვლის მიზნების



მიღწევის ხერხებსა და მეთოდებს, მაგრამ ეკონომიკის განვითარების პრინციპული ამოცანები იგივე რჩება: მდგრადობა, ეკონომიკური ეფექტურობა, კონკურენტუნარიანობა, ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ეკონომიკის უნარი თვითგანვითარებისა და პროგრესისკენ, უსაფრთხოება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ქმედითი ნაბიჯების ეფექტიანობა, სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ სწორ პოლიტიკაზეა დამოკიდებული. ევროკავშირის მიერ განეული მხარდაჭერა, რომელიც გამოწვევებთან შეჭიდებისა და მათი გადაჭრის ერთ-ერთი წინაპირობაა, მიზნად ისახავს ქვეყნის მოქალაქეების ცხოვრების დონის ამაღლებას. ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს, რომ ქვეყანამ თავისი ეკონომიკური პოტენციალი მაქსიმალურად იქნეს ათვისებული საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით, დახმარება ხორციელდება ევროკავშირის კანონმდებლობის ფარგლებში.

საინტეგრაციო ბლოკი ხელს უწყობს მთავრობას ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში (თიბისი კაპიტალი, 2023). სამომავლო გეგმებთან ერთად, მნიშვნელოვანია, საქართველოს ამჟამინდელი საგარეო სავაჭრო პოზიციის მიმოხილვა- საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2020 წლიდან ზრდის ტემპით ხასიათდება და ამ ტენდენციას 2023 წლის ჩათლით ინარჩუნებს. 2023 წლის მონაცემებით, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 21 529 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12.5%-ით მეტია, ექსპორტი გაზრდილია 9.1 %-ით და შეადგენს 6090,6 მლნ. აშშ დოლარს, ხოლო იმპორტი გაზრდილია 14%-ით და შეადგენს 15 438.45 მლნ აშშ დოლარს, სავაჭრო სალდო კვლავ უარყოფითია - 9 347.8 მლნ. აშშ დოლარი. პროდუქციის მიხედვით ადგილობრივი ექსპორტი, რომელიც მთლიანი ექსპორტის 46%-ს შეადგენს, ძირითადად შემცირდა შემდეგი პროდუქციის ხარჯზე: ფეროშენადნობი(ექსპორტის კლება 60%-ით), სპილენძის მადნები და კონცენტრატები (კლება 54%-ით), ძვირფასი ლითონის მადნები(კლება 23%-ით), აზოტოვანი სასუქები(კლება 44%-ით), თხილი და კაკალი (კლება 13%-ით), განსხვავებით აღნიშნულისგან, ადგილობრივ პროდუქციაში ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა ისეთ მნიშვნელოვან სასაქონლო პოზიციებზე, როგორცაა ოქრო(ზრდა 8.9%), სპირტიანი სასმელები(ზრდა 11.1%), უალკოჰოლო სასმელები(ზრდა 31.4), მინერალური წყალი (ზრდა 18%), ღვინო (ზრდა 9.2 %), ელექტროენერგია (ზრდა 13.2%), გარდა ამისა, უნდა აღვნიშ-

ნოთ, რომ საქართველოს მთლიანი ექსპორტის ზრდის დიდი წილი მოდის რეექსპორტზე, ის გაზრდილია შემდეგ პოზიციებზე: სატვირთო ავტომობილები (ზრდა 45%), მსუბუქი ავტომოვილები (ზრდა 135%), სიგარეტები (ზრდა 24%), სამედიცინო ხელსაწყოები (ზრდა 23%), სამკურნალო საშუალებები (ზრდა 16%), გამომთვლელი მანქანები (ზრდა 50%) და მიკროავტობუსები (ზრდა 104%). მთლიანობაში, 2023 წელს სასაქონლო ჯგუფებიდან საქსპორტო ათეულში პირველი ადგილი დაიკავა მსუბუქმა ავტომობილებმა - 2 126.6 მლნ აშშ დოლარიდან მთლიანი ექსპორტის დაახლოებით 35%-ს შეადგენს, მეორე ადგილს იკავებს სპილენძის მადნები და კონცენტრატები - მთლიანი ექსპორტის 8%-ით, ხოლო მესამე ადგილზეა ყურძნის ნაყურალური ღვინოები, რომლის ექსპორტიც მთლიან ექსპორტში 4.3%-ითაა გაზრდილი, გაზრდილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 15%-ით და სამრეწველო პოზიციების ექსპორტი 7%-ით, რაც შეეხება იმპორტს 2023 წლის უმსხვილესი საიმპორტო ჯგუფი იყო მსუბუქი ავტომობილები (მთელი იმპორტის 20.5 %), ნავთობი და ნავთობპროდუქტები (მთელი იმპორტის 7.6%), დაფასობული სამკურნალო საშუალებები (იმპორტის 3.5 %), გაზრდილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 9 %-ით, ხოლო სამრეწველო პროდუქციის იმპორტი 15 %-ით, იმპორტი საქართველოში ძირითადად შემდეგ სასაქონლო პოზიციებზეა გაზრდილი: ნაღების კარაქი (10%-ით), გაყინული ღორის ხორცი (42%-ით), შაქარი (11%-ით), მეტალოკონსტრუქციები (იმპორტის ზრდა 56 %-ით), მსუბუქი ავტომობილები (85 %-ით), სატელეფონო აპარატები (16%-ით), სამკურნალო საშუალებები (34 %-ით), იმპორტის კლება დაფიქსირდა: ნავთობის აირებზე (3%-ით), ფრინველის ხორცსა და გაყინულ სუბპროდუქტებზე (2 %-ით), მხენარეულ ზეთზე (იმპორტის კლება 4 %-ით), ხორბალზე (11%-ით), ხორბლის ფქვილზე (45%-ით), მანგანუმის მადნებზე (37%-ით), ძვირფასი ლითონის მადნებზე (40%-ით). სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებზე (69 %-ით), ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე (13%-ით).

არანაკლებ მნიშვნელოვანია საქართველო-ევროკავშირის საგარეო სავაჭრო ბრუნვის ანალიზი, ევროკავშირი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, 2023 წელს საქართველოს ბრუნვა საინტეგრაციო ბლოკთან გაიზარდა 15 %-ით და საქართველოს მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 21% შეადგინა, იმავე პროცენტული მაჩვენებელი რაც 2022 წელს იყო, ამასთან ექსპორტი შემცირდა 18 %-ით და 704.4 მლნ. აშშ.

დოლარი შეადგინა(საქართველოს მთლიანი ექსპორტის 11.6 %), ხოლო იმპორტი გაიზარდა 24%-ით და 3 795.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (საქართველოს მთლიანი იმპორტის 24.6%).

ევროკავშირში ადგილობრივი ექსპორტი 22%-ით შემცირდა, 576 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და ევროკავშირში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 81.8% დაიკავა (საქართველოს მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 20.6%). საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირში შემცირდა 6%-ით, ხოლო სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი შემცირდა 21 %-ით, ამასთან ექსპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე: სპირტიანი სასმელები (ზრდა 27%-ით), ხილ-ბოსტნეულის კონსერვები (46%-ით), მინერალური წყალი (17%-ით), საბურავები და რეზინის პნევმატური სალტები (ზრდა 31 %-ით), გამომთვლელი მანქანები (111%-ით ზრდა), აზოტოვანი სასუქები (94 %-ით), ღვინო(0.3 %-ით). ექსპორტი შემცირებულია შემდეგ პოზიციებზე: სპილენძის მადნები და კონცენტრატები (კლება 32 %-ით), ფეროშენადნობი (კლება 75%-ით), მსუბუქი ავტომობილები(კლება 19%-ით), თხილი (32%-ით); რაც შეეხება იმპორტს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი ევროკავშირიდან გაიზარდა 29%-ით, ხოლო სამრეწველო პროდუქციის იმპორტი გაიზარდა 23 %-ით, ევროკავშირიდან იმპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე: კარაქი(73 %-ით), საკვები ინგრედიენტები (31 %-ით), სამედიცინო ხელსაწყოები (46 %-ით), სასმელების წარმოებაში გამოსაყენებელი ნარევეები (27%-ით), სატვირთო ავტომობილები (55 %-ით), სატელეფონო აპარატები (44%-ით), სამკურნალო საშუალებები (21 %-ით), მსუბუქი ავტომობილები (57%-ით), ევროკავშირიდან იმპორტი შემცირდა შემდეგ პროდუქციაზე: ფრინველის ხორცი (2%-ით კლება), შაქარი (კლება 52 %-ით), ლაბორატორიული რეაგენტები (კლება 14 %), ნავთობი და ნავთობპროდუქტები (კლება 22 %-ით). (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2023). 2020 წლიდან ევროკავშირში ევროკომისიის ჩარევით ამოქმედდა ონლაინ პორტალი Access2Markets, ვაჭრობასთან დაკავშირებული ინფორმაციის განსათავსებლად, აღნიშნულ პორტალზე ევროკავშირის სხვა საგარეო სავაჭრო პარტნიორებთან ერთად ვნახავთ საქართველოსაც, პორტალზე შესაძლებელია ისეთი ინფორმაციების მოძიება, როგორცაა ინფორმაცია პროდუქტის შესახებ, ტარიფები, ეროვნული გადასახადები, საქონლის წარმოშობის დადგენის წესები, საბაჟო პროცედურები, იმპორტთან დაკავშირებული ფორმალობები

და პროდუქტთან მიმართებაში არსებული მოთხოვნები, სავაჭრო ბარიერები და ნაკადები, აღნიშნული პლატფორმა ეხმარება კომპანიებს, იპოვონ ახალი შესაძლებლობები, გამოავლინონ პოტენციური პარტნიორები და გაეკვინენ პროცედურულ ნაწილში. ნათელია, რომ მიუხედავად კვლავ არსებული უარყოფითი სავაჭრო საღდოსა, ქვეყნის მთლიან ექპორტში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ღვინის, მინერალური წყლების ექპორტის წილის ზრდა (იგულისხმება როგორც ევროკავშირის ქვეყნები, ასევე სხვა სავაჭრო პარტნიორები), პოზიტიური ტენდენციაა, ვინაიდან საქართველოს ხელთ არსებული რესურსებიდან გამომდინარე, ცხადია, აღნიშნული პროდუქციის წარმოებაში შედარებითი უპირატესობით სარგებლობს, აქედან გამომდინარე, ქვეყნის უნარი, მოახდინოს იმ პროდუქციის ექსპორტი, რომლის წარმოებაშიც შედარებითი უპირატესობა აქვს, დადებითი მოვლენაა და სახელმწიფოს ეკონომიკური ზრდის ერთერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა.

ევროკავშირი აქტიურადაა ჩართული საქართველოს იმ მიმართულებით მხარდაჭერაზე, რაც თავად საინტეგრაციო ბლოკისთვისაც პრიორიტეტს წარმოადგენს. ევროკავშირი საქართველოში მხარს უჭერს კლიმატის ცვლილებების მოგვარების მცდელობებს; EU4Climate პროექტისა და მრავალი ინფრასტრუქტურული ინვესტიციის დაფინანსებით, ევროკავშირი ცდილობს ქვეყანას დაეხმაროს სათბურის გაზების ემისიის შემცირებაში. ის ასევე მხარს უჭერს საქართველოს ძალისხმევას ენერგოეფექტურობასა და განახლებადი ენერჯის დანერგვის ხელშეწყობასთან დაკავშირებით, დაცული ტერიტორიების განვითარებასა და წყლის რესურსების დაცვაში წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო სისტემის სრულყოფით, ამასთან წყლის ხარისხის მონიტორინგისთვის აღწერული უზრუნველყოფით. ევროკავშირი ასევე ეხმარება საქართველოს ნარჩენების გაუმჯობესებულ მართვაში, კვების მდგრად სისტემაზე გადასვლაში, ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ევროკავშირის აქტიურობა გამოიხატება სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპული სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში საქართველოს მუშაობის ხელშეწყობითა და მხარდაჭერით. აღნიშნული პროგრამა საქართველოში 2013 წლიდან ხორციელდება და მისი მიზანა სოფლად სიღარიბის შემცირებაა. პროგრამა ეხმარება საქართველოს მთავრობას, და ასევე ადგილობრივ თემებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს.

ENPARD-ის ფარგლებში ევროკავშირის დახმარება შემდეგ ძირითად საკითხებს ითვალისწინებს:

1. სოფლის მეურნეობის ინსტიტუტების ეფექტიანობის გაუმჯობესება და მათი დახმარება სოფლის მეურნეობის სექტორის რეფორმირების პროცესში;

2. სოფლად დასაქმებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება მცირე ფერმერული კოოპერატივების გაძლიერებით და რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით;

3. სოფლად სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობების დივერსიფიკაციის ხელშეწყობა, განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდების ჩართულობით, გარემო პირობების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვით. 2013-2025 წლის ბიუჯეტი, რომელიც საქართველოსთვის ENPARD-ის ფარგლებში გამოიყო შეადგენს 234.5 მილიონ ევროს (European Union, 2024).

პოლიტიკურ და ეკონომიკურ მხარდაჭერასთან ერთად ევროკავშირის ინტერესებში შედის პარტნიორ და მით უფრო კანდიდატ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დაცვა, კანონის უზენაესობა, სასამართლოს მიუკერძოებლობა და გენდერული თანასწორობა. საქართველოში ევროკავშირი მხარს უჭერს ადამიანის უფლებათა პრაქტიკის, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პოზიტიურ განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვისა და ჯანსაღი სამართლებრივი გარემოს შექმნისათვის მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა, ორივე სფეროში მაინც რჩება გამოწვევები, ევროკავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის უფლებათა დაცვასა და ჯანსაღი საკანონმდებლო გარემოს ფორმირებას განსაკუთრების საარჩევნო პროცესისას, აუცილებელია, პროცესი იყოს გამჭვირვალე. ამ მიმართულებით საქართველო 2024 წლის არჩევნების მოახლოებასთან ერთად მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას.

ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრის -, პროგრესის სახლი“ - ის მიერ შემოთავაზებულ კვლევაში, რომელიც მომზადდა პროექტის „მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად“ ფარგლებში (პროექტი დაფინანსებულია NDO (National Endowment for Democracy)-ის მიერ) - გაანალიზებულია ევროკავშირის ნევრი ქვეყნების ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი ინსტიტუტების სტაბილური პროგრესი საინტეგრაციო ბლოკის ნევრობის პირველივე წლებიდან დღემდე და პარალელი გავლენებია საქართველოსთან. 2004 წელს ევროკავშირს შეუერთდა ესტონეთი, ლატვია, კვიპროსი, მალტა, ლიეტუვა, სლოვენია, სლოვა-

კეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, პოლონეთი და უნგრეთი - 2004-2021 წლების პერიოდში სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორების ანალიზით, ვლინდება, რომ გაერთიანების წევრობიდან აღნიშნულმა ქვეყნებმა ძალიან მალე მიაღწიეს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის ტემპის ამალლებას - კერძოდ, შეამცირეს უმუშევრობა, სიღარიბე, გაიზარდა საშუალო პენსია, შემცირდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობა, შემცირდა ატმოსფეროში CO<sub>2</sub>-ის გამონაბოლქვები, გაუმჯობესდა ჰაერის ხარისხი; მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნა საქართველოს პროგრესული ნაბიჯები სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან მიმართებაში, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამალლების იმავე ასპექტები მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაჩვენებლებს, კერძოდ, 2022 წლის მონაცემებით, ევროკავშირის მთლიანი სამამულო პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე მიმდინარე ფასებში შეადგენს 37 433.3 აშშ დოლარს, მაშინ როდესაც საქართველოს 2022 წლის მაჩვენებელი 6731.2 აშშ დოლარს შეადგენს; რაც შეეხება უმუშევრობას, 2023 წლის მონაცემებით უმუშევრობა ევროკავშირში აღწევს 6%-ს, მაშინ როდესაც საქართველოს იმავე წლის ანალოგიური მაჩვენებელი 16.4 %-ია; აღსანიშნავია 2020 წლის მონაცემები იმ ახალგაზრდების ნილთან დაკავშირებით, რომლებიც არც სწავლობენ და არც მუშაობენ - გამოიკვეთა, რომ საქართველოში ორჯერ მაღალია, ევროკავშირის იმავე მაჩვენებელთან შედარებით; იმავე, 2020 წლის მონაცემებით, საშუალო თვიური პენსია ევროკავშირის ქვეყნებში (1201 ევრო) დაახლოებით 18-ჯერ აღემატება საქართველოს მაჩვენებელს (64 ევრო). გარდა ამისა, ევროსტატის 2018 წლისა და საქსტატის 2021 წლის მონაცემებით, საგანმანათლებლო სფეროში ევროკავშირში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი 11-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში, ხოლო ჯანდაცვაში დასაქმებულთა შემოსავალი 9-ჯერ აღემატება, იმავე მაჩვენებელს საქართველოში. უშუალოდ იმ სახელმწიფოებთან თუ გავაგლებთ პარალელს, რომლებიც ევროკავშირში 2004 წელს გაწევრიანდნენ, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ მიუხედავად 2004 წელს საქართველოსა და აღნიშნული ქვეყნების დაახლოებით ერთნაირი ეკონომიკური პოზიციებისა, ევროკავშირის წევრობამ ზემოთ აღნიშნულ 10 ქვეყანაზე დადებითი გავლენა მოახდინა, კერძოდ, უმუშევრობის მაჩვენებელი აღნიშნულ ქვეყნებში 2021 წლის მონაცემებით განახევრებულია მაშინ, როდესაც საქართველოში იმავე პერიოდის მონაცემებით მხოლოდ 3

%-ითაა შემცირებული; 2014-2020 წლებში 2004 წლის გაფართოების 10 ქვეყანაში საპენსიო ასაკის მოსახლეობის პენსია ევროში საშუალოდ 20 %- მდეა გაზრდილი, საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი 34%-ია ლარში, თუმცა ევროში დაანგარიშებით საშუალო პენსიის ზრდა არ ფიქსირდება; კეთილდღეობაზე საუბრისას, აუცილებელია, აღვნიშნოთ შინამეურნეობების მიერ განეული ხარჯები დასვენებასა და კულტურაზე, ევროკავშირის 2004 წლის გაფართოების 10 სახელმწიფოში დასვენებასა და კულტურაზე 2021 წელს შინამეურნეობები საშუალოდ თვიური შემოსავლის 8%-ს ხარჯავდნენ, მაშინ, როდესაც საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი 1.2 %-ია. როგორც არაერთხელ აღინიშნა, ევროკავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგია მწვანე ეკონომიკაზე გადასვლაა, გამონაბოლქვთან დაკავშირებით იკვეთება ტენდენცია, რომ მიუხედავად 2004 წელს ევროკავშირის გაფართოების 10 ქვეყანაში არსებული CO2-ის ემისიის 2-ჯერ მაღალი მაჩვენებლისა, ვიდრე ეს საქართველოში იყო, ნევრობის შემდეგ, 2019 წლისთვის ქვეყნებმა შეძლეს აღნიშნული მაჩვენებლის 65%-ით შემცირება, როდესაც საქართველოში ამავე პერიოდისთვის ეს მაჩვენებელი 8%-ითაა შემცირებული, უთანაბრობა იკვეთება ჰაერის დაბინძურებისა და ჰაერის დაბინძურების შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობებს შორისაც, საქართველოში აღნიშნული მაჩვენებლები უფრო მაღალია, ვიდრე ევროკავშირის 27 ქვეყანას თუ ცალკე აღებულ 2004 წლის გაფართოების 10 სახელმწიფოს შორის. ამასთან, 2019 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსით (GCI) თუ ვიხელმძღვანელებთ, ნათელია, რომ 2004 წლის გაფართოების 10 ქვეყანას შორის ბოლო, 47-ე ადგილს უნგრეთი იკავებს, მაშინ როდესაც საქართველო 74-ე ადგილზეა. (World Economic Forum, 2019).

აღნიშნული განვითარების ტემპებისა და ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება ევროკავშირის წევრ და არაწევრ განვითარებად ქვეყნებს შორის გვაძლევს საშუალებას, გამოვავლინოთ ტენდენცია, რომ საინტეგრაციო ბლოკის წევრი ქვეყანა უფრო ნაკლებ დროში და შედარებით მარტივად აღწევს პროგრესს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ სფეროებში. დღეს, საქართველოს კანდიდატის სტატუსი, გვაძლევს შესაძლებლობას, ვიფიქროთ სამომავლო განვითარებაზე; აღსანიშნავია ისიც, რომ ჩეხეთის, ესტონეთის, უნგრეთის, ლატვიის, ლიეტუვის, პოლონეთის, სლოვაკეთის, სლოვენის, მალტის, კვიპროსის, ბულგარეთის, რუმინეთისა და ხორვატიის მაგალითიდან გამომდინარე, ევროკავშირში განვითარებას კანდიდატის სტატუსის მიღებიდან საშუალოდ 6 წელი

დასჭირდა; ამასთან, ყველაზე დიდი დრო განევრიანების მოლაპარაკებებს სჭირდება და ის ეხება თითქმის ყველა ასპექტს, როგორცაა: ფუნდამენტური საკითხები; ადგილობრივი ბაზარი; კონკურენცია და ინკლუზიური ზრდა; მწვანე დღის წესრიგი და მდგრადი კავშირები; რესურსები, სოფლის მეურნეობა და კოოპერაცია; საგარეო ურთიერთობები. ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარსული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კანდიდატი ქვეყნის მთლიან სამამულო პროდუქტსა და ევროკავშირის საშუალო მთლიან სამამულო პროდუქტს შორის განსხვავება მცირდება, იზრდება კავშირები საინტეგრაციო ბლოკთან, ეს გამოიხატება სავაჭრო ურთიერთობებითაც, მაგალითად, ბულგარეთის შემთხვევაში 2000-2006 წლებში, როდესაც ქვეყანას კანდიდატის სტატუსი ჰქონდა, ქვეყნის ექსპორტი ევროკავშირში საკმაოდ გაიზარდა და წლიური ზრდის ტემპის 23 % შეადგინა, ასევე გაიზარდა ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება დაახლოებით 8-ჯერ, 2000-2006 წლებში გაუმჯობესდა ბულგარეთის საკრედიტო რეიტინგი(S&P). აღნიშნული ტენდენცია, ერთი მხრივ, გამომდინარეობს იქიდან, რომ კანდიდატი ქვეყანა ატარებს რეფორმებს, რომელიც ჩვეულებისამებრ კანდიდატი ქვეყნის მოვალეობას წარმოადგენს, რათა მოიპოვოს უფლება, გახდეს საინტეგრაციო ბლოკის წევრი სახელმწიფო და აღნიშნული რეფორმების გატარება, ბუნებრივია, აუმჯობესებს ქვეყნის მდგომარეობას და უკეთეს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ კლიმატს ქმნის, ხოლო, მეორე მხრივ, ევროკავშირი კანდიდატ ქვეყნებს გაძლიერებასა და ევროპულ ფასეულობებთან დაახლოებაში სხვადასხვა სახის დახმარებას უწევს, რაც ასევე კანდიდატი ქვეყნის გაძლიერებაში გამოიხატება; ევროკავშირში განევრიანების გზაზე ევროკავშირის მიერ დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებისა და თურქეთისთვის გამოყოფილი სახსრები იყოფა შემდეგნაირად: განევრიანებამდელი მხარდაჭერის ინსტრუმენტი - 14 მილიარდი ევრო (კანონის უზენაესობა - 15%, კარგი მმართველობა - 17 %, მწვანე დღის წესრიგი - 42%, კონკურენცია და ინკლუზიური ზრდა - 22 %, ტერიტორიული და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა - 4 %, ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმა დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებისთვის - 9 მილიარდი ევრო (ტრასპორტი, ენერჯეტიკა, მწვანე და ციფრული გარდაქმნა), ქვეყნების მიხედვით, ბოსნია და ჰერცეგოვინაში ჩაიდო ინვესტიციები სასოფლო სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელ მრეწველობაში, მეტალურგიასა და ხე-ტყის მრეწველობაში, ჯამური ღირებულებით 30 მილიონი ევრო, ჩრდილოეთ მაკედონიაში ევროკავშირმა



განახორციელა ინვესტიცია 6 რეგიონული სამედიცინო ცენტრის აღჭურვაში (25 მილიონ ევრომდე) და ამასთან დაეხმარა სახელმწიფოს სერბეთთან სასაზღვრო ინფრასტრუქტურის მოდერნიზებაში (6.5 მილიონი ევრო), რითაც გამტარუნარიანობა გაიზარდა 30 %-ით, დასავლეთ ბალკანეთსა და თურქეთში სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში ათასობით ფერმა და აგრო-სასურსათო გადამამუშავებელი საწარმო მოდერნიზდა (400 მილიონ ევრომდე), ალბანეთში შეიქმნა სტრატეგიული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მცირე და საშუალო მასშტაბის საგზაო ინფრასტრუქტურა(51 მილიონი ევრო), აღნიშნული პროექტის შედეგად სოფლები დაუკავშირდა ცენტრალურ მაგისტრალებს, რამაც ხელი შეუწყო ტურიზმს და სოფლის მეურნეობის დარგს, რადგან გზა გაიხსნა გასაღების ბაზრებისკენ (თიბისი კაპიტალი, 2023).

ევროკავშირი საქართველოსთვისთვისაც მნიშვნელოვან მხარდამჭერს წარმოადგენს, მასწავლებლების დამეგობრების პროგრამა,, eTwinning Plus” ევროპისა და მისი მეზობელი ქვეყნების სკოლების თანამშრომლების ხელშესაწყობად შექმნილი ონლაინ პლატფორმაა, პროგრამა საშუალებას იძლევა, მასწავლებლები ევროპის მასშტაბით ყველაზე საინტერესო საგანმანათლებლო ქსელში ჩაერთონ, საქართველოში პროგრამის ფარგლებში ონლაინ პლატფორმის დამკვიდრება მიზნად ისახავს ქართველი და ევროპელი პედაგოგების დამეგობრებას, აქტიურ კომუნიკაციასა და გამოცდილების გაზიარებას, პროგრამა საქართველოში 2013 წლიდან დაიწყო. ევროკავშირის შემდეგი პროგრამა, რომელიც ასევე საქართველოშიც ვრცელდება არის,,ჰორიზონტი ევროპა“, რომელიც კვლევისა და ინოვაციების დარგში ევროკავშირის ძირითადი დაფინანსების პროგრამაა, ბიუჯეტით - 95.5 მილიარდი ევრო, თანხა 7 წლის განმავლობაში (2021-2027 წწ.) გრანტების სახით გაიცემა. 2021 წლის 7 დეკემბერს ევროკომისარმა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც საქართველოს,, ჰორიზონტი ევროპა“-სთან ასოცირების სტატუსს ანიჭებს, შეთანხმებაზე ხელმოწერით საქართველომ აიღო ვალდებულება, ევროპული კვლევითი სივრცის პრინციპების დანერგვასა და დაცვაზე. ქართველ ნოვატორებს, მკვლევრებსა და ქართულ კვლევით ორგანიზაციებს შეუძლიათ აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებთან თანაბარი სტატუსით მიიღონ. საქართველოში მოქმედებს ევროკავშირის პროგრამა განათლების, ტრენინგის, ახალგაზრდობისა და სპორტის მი-

მართულებით „ERASMUS +“, პროგრამის მიზანია განათლების მოდერნიზება, ცოდნისა და დასაქმების დონის ამაღლება, ტრენინგების კულტურის დამკვიდრება და ახალგაზრდებთან მუშაობა, 2021-2027 წლის ბიუჯეტი შეადგენს 26 მილიარდ ევროს. „შემოქმედებითი ევროპა“ ასევე ევროკავშირის ის პროგრამაა, რომელიც საქართველოშიც მოქმედებს, ის შეიქმნა ევროპული კულტურისა და ხელოვნების სფეროს მხარდასაჭერად, მიზნად ისახავს ხელოვანთა როლის ზრდას, ეკონომიკურ წინსვლასა და სამუშაო ადგილების შექმნას, 2021-2027 წლებზე გათვლილი ბიუჯეტი შეადგენს 1,85 მილიარდ ევროს, პროგრამა მხარს უჭერს ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს, მათ შორის საქართველოშიც. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება ასევე უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო და სამენარმეო კუთხითაც, მაგალითად, EU4BUSINESS, რომლის მიზანია მცირე და საშუალო მენარმეების ხელშეწყობა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში-პროექტი 2018 წელს ამოქმედდა და 2039 წლამდე გრძელდება. ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის-2009 წელს ამოქმედებული პროექტი მიზნად ისახავს ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობის მხარდაჭერას დამატებითი დაფინანსების მდგრადი უზრუნველყოფით, ეს გამოიხატება მიკრო და მცირე საწარმოებისა და კერძო მეურნეობების მხარდაჭერით. საინტეგრაციო ბლოკს წვლილი შეაქვს ასევე საქართველოს კონკურენციის სააგენტოს გაძლიერებაში, სურსათის უვნებლობისა და სანიტარული და ფიტოსანიტარული სექტორის მხარდაჭერაში, რომელიც სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო (ENPARD) პროგრამის მე-4 ფაზის (2021-2025 წწ.) მიზანს წარმოადგენს; დღემდე გრძელდება ევროკავშირის, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO), გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA), გაეროს ბავშვთა ფონდისა (UNICEF) და გარემოს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) საერთო პროგრამა - საქართველოში COVID-19 პანდემიის უარყოფითი ზეგავლენის მინიმუმამდე შემცირება ტელემედიცინისა და ციფრული სამედიცინო ტექნოლოგიების საშუალებით. საქართველოში ხორციელდება ასევე „ერთიანი გარემოსდაცვითი საინფორმაციო სისტემის II ფაზის“ და „ევროკავშირის წყლის ინიციატივა +“, რომლის ფარგლებშიც ხდება გარემოსდაცვითი მონიტორინგი და მონაცემთა ანალიზის სისტემის მოდერნიზება, პროექტის მიზანს ძირითადად წყლის რესურსების ეფექტიანი მართვა წარმოადგენს; ევროკავშირის

მხარდაჭერით საქართველოში ხორციელდება პროექტები ადამიანის უფლებათა დაცვაზე, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაზე, ევროპული სკოლების დანერგვაზე, სამეცნიერო და საგანმანათლებლო წრეების დაკავშირებაზე (EU4DIGITAL) და სხვ. ( Projects – EU for Georgia).

როგორც ჩანს, ევროკავშირი საქართველოს უდიდესი დონორია; საინტეგრაციო ბლოკი ყოველწლიურად გრანტების სახით გასცემს 120 მილიონ ევროს რეფორმების მხარდასაჭერად, დახმარება გამომდინარეობს მიზნიდან - განვითარდეს ეკონომიკური მდგომარეობა, ამაღლდეს განათლების ხარისხი, ადგილი ჰქონდეს კარგ, მიუკერძოებელ, სამართლიან, ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციაში მყოფ მმართველობასთან, დაცული იყოს ადამიანთა უფლებები, ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვროს გარემოს დაცვა. ევროკავშირის მხრიდან დახმარება გამოიხატება როგორც მთავრობისთვის პირდაპირი ფინანსური დახმარებით, ასევე ტექნიკური მხარდაჭერის პროექტებითა და სამოქალაქო საზოგადოებისათვის გამოყოფილი გრანტების სახით.

საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობას, გარდა ზემოთ მოყვანილი ფინანსური დახმარებებისა და ამ გზით ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა, სხვა მეტად მნიშვნელოვანი და პოლიტიკურ-კულტურული დატვირთვაც გააჩნია ჩვენი ქვეყნისთვის. საქართველო ერთ-ერთი წამყვანი სატრანზიტო ქვეყანაა - ის თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით ერთგვარი ხიდის ფუნქციას ითავსებს დასავლეთსა და ცენტრალურ აზიას შორის. სწორედ ამგვარი მდებარეობა აძლევს ჩვენს ქვეყანას საშუალებას, რომ დაიკავოს დიდი ადგილი მსოფლიოს ეკონომიკურ პროცესებში. ამ მიმართულებით რომ ხდება ქვეყნის პოტენციალის განვითარება, მონიშნავს „ევროპა-კავკასია-აზიის დერეფნის პროგრამა“, ტრანსკავკასიური ნავთობსადენის-„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა“ და „ბაქო-თბილისი-ერზრუმის“ გაზსადენები, შავ ზღვაზე ბათუმისა და ფოთის საზღვაო პორტები, ანაკლიის ღრმანწყლოვანი პორტის მშენებლობა, საქართველოს სატრანსპორტო-ეკონომიკურ ჰაბად გადაქცევა, ასევე საერთო სარგებლობის მომტანი იქნება.

როგორც უკვე ვნახეთ, ევროკავშირის ამ მიმართულებით სამომავლო გეგმებიც აქვს საქართველოში და ჩვენი ქვეყნის სატრანსპორტო პოლიტიკა ევროკავშირის ინტერესის სფეროცაა, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური პოზიციების გამყარება დიდწილად დამოკიდებულიცაა იმაზე, თუ როგორ შეძლებს საქართველო, გამოიყენოს თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობა, რადგანაც ამ მიმართულებით განხორციე-

ლებული ინვესტიციები მას სასურველი რეალობის წინაშე დააყენებს - დაჩქარდება ქვეყნის ტრანსპორტის ინტეგრაცია ევროპულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში.

ევროკავშირი საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე წლებიდან ქვეყნისთვის დემოკრატიული განვითარებისა და სანდოობის წყაროდ შეიძლება, ჩაითვალოს. საქართველოსთან თანამშრომლობს ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და მისი აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში, ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოებით მიზნით. 1992 წლიდან საქართველო ეკონომიკური პრიორიტეტების განსაზღვრის ეტაპზეა და გრძელვადიანი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული სტაბილურობისკენ მიიწევს, რასაც მოჰყვება მოპოვებული ევროკავშირის კანდიდატი სტატუსი, როგორც შედეგი. ევროპულ სივრცეში ინტეგრირების გაღრმავება, მკაფიო და მტკიცეა.

2020 წლიდან ევროკავშირში ევროკომისიის ჩარევით ამოქმედდა ონლაინ პორტალის Access2Markets, ამოქმედების შედეგად ვაჭრობასთან დაკავშირებული ინფორმაციის განსათავსებლად, ევროკავშირი აქტიურადაა ჩართული საქართველოს იმ მიმართულებით მხარდაჭერაზე, რაც თავად საინტეგრაციო ბლოკისთვისას პრიორიტეტს წარმოადგენს. ევროკავშირი საქართველოში მხარს უჭერს კლიმატის ცვლილებების მოგვარების მცდელობებს; პოლიტიკურ და ეკონომიკურ მხარდაჭერასთან ერთად ევროკავშირის ინტერესებში შედის პარტნიორ და მით უფრო კანდიდატ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დაცვა, კანონის უზენაესობა, სასამართლოს მიუკერძოებლობა და გენდერული თანასწორობა. აღნიშნული განვითარების ტემპებისა და ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება ევროკავშირის წევრ და არაწევრ განვითარებად ქვეყნებს შორის გვაძლევს საშუალებას, გამოვავლინოთ ტენდენცია, რომ საინტეგრაციო ბლოკის წევრი ქვეყანა უფრო ნაკლებ დროში და შედარებით მარტივად აღწევს პროგრესს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ სფეროებში;

წევრი ქვეყნების წარსული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კანდიდატი ქვეყნის მთლიან სამამულო პროდუქტსა და ევროკავშირის საშუალო მთლიან სამამულო პროდუქტს შორის განსხვავება მცირდება, იზრდება კავშირები საინტეგრაციო ბლოკთან, ეს გამოიხატება სავაჭრო ურთიერთობებითაც.

როგორც ჩანს, ევროკავშირი საქართველოს უდიდესი დონორია; საინტეგრაციო ბლოკი ყოველწლიურად გრანტების სახით გასცემს 120

მილიონ ევროს რეფორმების მხარდასაჭერად, დახმარება გამომდინარეობს მიზნიდან - განვითარდეს ეკონომიკური მდგომარეობა, ამაღლდეს განათლების ხარისხი, ადგილი ჰქონდეს კარგ, მიუკერძოებელ, სამართლიან, ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციაში მყოფ მმართველობასთან, დაცული იყოს ადამიანთა უფლებები, ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვროს გარემოს დაცვა. ევროკავშირის მხრიდან დახმარება გამოიხატება როგორც მთავრობისთვის პირდაპირი ფინანსური დახმარებით, ასევე ტექნიკური მხარდაჭერის პროექტებითა და სამოქალაქო საზოგადოებისათვის გამოყოფილი გრანტების სახით.

საქართველო ერთ-ერთი ნამყვანი სატრანზიტო ქვეყანაა - ის თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით ერთგვარი ხიდის ფუნქციას ითავსებს დასავლეთსა და ცენტრალურ აზიას შორის. სწორედ ამგვარი მდებარეობა აძლევს ჩვენს ქვეყანას საშუალებას, რომ დაიკავოს დიდი ადგილი მსოფლიოს ეკონომიკურ პროცესებში. ამ მიმართულებით რომ ხდება ქვეყნის პოტენციალის განვითარება, მონობს „ევროპაკავკასია-აზიის დერეფნის პროგრამა“, ტრანსკავკასიური ნავთობსადენის-„ბაქოთბილისი-ჯეიჰანისა“ და „ბაქო-თბილისი-ერზრუმის“ გაზსადენები.

ევროკავშირის გაფართოების ქვეყნების ანალიზითა და, ზოგადად, ევროკავშირის ფასეულობების, ღირებულებების, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული მოცემულობების გაანალიზებით, ამასთან საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის მიმოხილვით, ნათელია, რომ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია დადებითი შედეგების მომტანია. ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის სრულად გამოვლენის საშუალებას ევროპასთან დაახლოება წარმოადგენს, მეორე მხრივ, საქართველოს ევროკავშირში განეწიანება, თავად საინტეგრაციო ბლოკის ინტერესიცაა. სამართლიანია, აღვნიშნოთ, რომ ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებები, ვიზალიბერალიზაცია და ახლა უკვე ახალი მოცემულობა - კანდიდატის სტატუსი, ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯებია ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე. კანდიდატის სტატუსი ქვეყანას ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს, თუმცა დიდია ვალდებულებებიც და გამონწვევებიც; მნიშვნელოვანია, დროის, რესურსების ეფექტიანად გამოყენება. ევროკავშირთან ინტეგრირების გაღრმავება საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვის საუკეთესო ალტერნატივაა.

## თავი 2.

### ეკონომიკური საერთო აგრარული პოლიტიკა და საქართველოს ურთიერთობა

აგრარული სექტორის განვითარება მრავალი ქვეყნის პრიორიტეტული მიმართულებაა. გაეროს საერთაშორისო სტარდარტული დარგობრივი კლასიფიკაციის მიხედვით, აგრარული სექტორი ეკონომიკის პირველადი სექტორია და მასში შედის სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, ნადირობა და მეთევზეობა. მეტიც, აღსანიშნავია, რომ XXI საუკუნის თანმდევი პროცესები, ინოვაციები, ტექნოლოგიური პროგრესი, არა თუ უკანა პლანზე სწევს აგრარული სექტორის მნიშვნელობას, არამედ აყენებს ახალ საჭიროებას, მოხდეს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვა სასოფლო-სამეურნეო დარგებში, რათა მსოფლიო მოსახლეობის მკვეთრ ზრდასა და, შესაბამისად, საერთო მოთხოვნის ზრდას სექტორმა შესაბამისად უპასუხოს.

ეკონომისტები და პოლიტიკოსები აგრარულ პოლიტიკას ვიწრო და ფართო გაგებით განიხილავენ. ვიწრო გაგებით აგრარული პოლიტიკის განსაზღვრა გულისხმობს ცალკეული დარგების, საწარმოების ან მათი ჯგუფის მართვის დონეზე სტრუქტურულ ცვლილებებს, დარგებისა და ქვედარგების, საწარმოების ფუნქციონირებას, წარმოების მოცულობებს, რესურსების განაწილებას, სპეციალიზაციასა და სხვ., აგრარული პოლიტიკის ფართო ქრილში განხილვა კი ნიშნავს აქცენტის ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა სახელმწიფოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები, ტექნიკური პოლიტიკა, საკუთრებითი ურთიერთობანი, საკანონმდებლო ბაზა, ფინანსური მეურნეობა და ა.შ. ესეიგი, ეკონომიკის გარდაქმნის თითქმის ყველა მხარეზე.

სამართლიანია, ითქვას, რომ დღეს სახელმწიფო, რომელიც აგრარული სექტორის განვითარებას თავისი ეკონომიკური, კულტურული და მეცნიერული პოტენციალის უგულვებელყოფის პარალელურად ცდილობს, გრძელვადიან პერიოდში კონკურენტულ უპირატესობას ვერცერთ დარგში შეინარჩუნებს და პირიქით, ქვეყანას, რომელიც აგრარული პოტენციალის ათვისებასა და სწორი პოლიტიკის გატარებას სხვა დარგების განვითარების თანხვედრით ახდენს, ეკონომიკური ზრდის სამართლიანი პრეტენზია ექნება. სწორედ ამ უკანასკნელის

მაგალითია ევროკავშირი - 27 სახელმწიფოს გაერთიანება, რომლის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად საინტეგრაციო ბლოკისა და ცალკეული წევრი სახელმწიფოების აგრარული პოტენციალის სრულად ათვისება და სექტორის განვითარებაა, თუმცა ამ პოლიტიკას გაერთიანება სხვა სექტორების განვითარებისა და მხარდაჭერის პარალელურად ატარებს.

საერთო აგრარული პოლიტიკა (CAP) არის ევროკავშირის კანონთა ერთობლიობა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკის უზრუნველსაყოფად. მნიშვნელოვანია, აგრარული პოლიტიკის პრიორიტეტულობის ისტორიისთვის თვალის გადავლება, საერთო აგრარული პოლიტიკა იმ თავდაპირველ ოთხ პოლიტიკას შორის ერთ-ერთი იყო, რომელიც 50-იანი წლებიდან საფუძვლად უდევს ევროგაერთიანების განვითარებას, აღნიშნული ოთხი პოლიტიკაა - საქონლის, მომსახურების, ადამიანებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. გარდა ამისა, საერთო აგრარული პოლიტიკა, სატრანსპორტო სექტორთან ერთად ჩართული იყო ასევე რომის ხელშეკრულებაში მოხსენიებულ პოლიტიკურ მიმართულებებს შორის.

ევროკავშირის სოფლის მეურნეობა მრავალფეროვანია, რასაც განაპირობებს ცალკეულ ქვეყნებს შორის არსებული კლიმატური სხვაობები, ბუნებრივია, აღნიშნულიდან გამომდინარე წევრი სახელმწიფოები არ არიან სპეციალიზებული ერთი და იმავე ტიპის სასოფლო-სამეურნეო ქვედარგის განვითარებაზე, არამედ ჩრდილოეთის ქვეყნები ძირითადად ახდენენ მეცხოველეობის სპეციალიზაციას, მაშინ როდესაც სამხრეთის ქვეყნებში ყურადღება მეტად ეთმობა მემცენარეობას, მეხილეობასა და მევენახეობას.

ევროკავშირის მიერ განხორციელებული ერთიანი აგრარული პოლიტიკის (EU Common Agricultural Policy) ფარგლებში გატარებული ღონისძიებები ევროკავშირის ერთიანი ბიუჯეტიდან ფინანსდება. ერთიანი აგრარული პოლიტიკის მიზნები განისაზღვრება ევროკავშირის დამფუძნებელ ხელშეკრულებაში, აღნიშნული მიზნებია:

1. სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციისა და საკვები პროდუქტების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება
2. აგრარულ სექტორში შრომის პროდუქტიულობის ზრდა და ტექნიკური პროგრესის ხელშეწყობა
3. სოფლად ცხოვრების მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფა, რომელშიც ასევე გათვალისწინებულია, სოფლის მეურნეობაში და-

საქმებულთა შემოსავლების ზრდა

4. შიდა და გარე ბაზრებზე ევროპული აგრარული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდა

5. აგრარული პროდუქციის ბაზრების სტაბილურობის უზრუნველყოფა

6. წარმოებული პროდუქციის მომხმარებლისთვის გონივრულ ფასად მიწოდების უზრუნველყოფა

ევროკავშირის ერთიანი აგრარული პოლიტიკა განსაზღვრავს და არეგულირებს აგროსექტორის 4 ძირითად სფეროს: სოფლის მეურნეობის ბაზრისა და პროდუქტების ფასებს, მის სტრუქტურას, სოციალურ სფეროსა და ლანდშაფტს. ბაზარი და პროდუქციის ფასი, ასევე ლანდშაფტის მოვლა რეგულირდება გაერთიანების დონეზე, ხოლო სოფლის მეურნეობის სტრუქტურასა და სოციალურ სფეროს ინდივიდუალურად არეგულირებენ კავშირის წევრი სახელმწიფოები ბრიუსელთან შეთანხმებით

ევროკავშირის ერთიანმა აგრარულმა პოლიტიკამ გაერთიანების დაარსების პირველი წლებიდან გრძელი გზა განვლო, საერთო აგრარული პოლიტიკის შექმნისა და განვითარების გზა შემდეგნაირად გამოიყურება:

- 1962 წელი - ერთიანი აგრარული პოლიტიკის (CAP) შექმნა - მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიო ეკონომიკის გამოცოცხლების პერიოდში, ევროპამაც გადადგა ნაბიჯი მშვიდი მომავლისკენ. სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გამოსაცოცხლებლად, ევროკავშირის ექვსმა დამფუძნებელმა სახელმწიფომ დაიწყო მოლაპარაკებები სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარების ერთიანი მიდგომის შექმნაზე. აგრარულმა სექტორმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ომისშემდგომი ევროპის ეკონომიკის აღორძინებაში, თუმცა მას ახასიათებდა რიგი თავისებურებები:

1. დაბალი მწარმოებლურობა, კერძოდ, პროდუქციის წარმოების დაბალი ტემპი

2. ფერმერების შემოსავლები, რომლებიც სხვა სექტორში დასაქმებულებთან შედარებით გაცილებით დაბალი იყო

3. საკვებზე მარტივი წვდომისა და პროდუქტიულობის ამაღლების საჭიროება

4. წევრი სახელმწიფოების არა თანხვედრაში მყოფი ეროვნული მეურნეობის პოლიტიკა



შესაბამისად, 1962 წელს ერთიანი აგრარული პოლიტიკის მიზნებად განისაზღვრა

1. აგრარული პროდუქტიულობის ზრდა

2. ფერმერებისთვის ცხოვრების სამართლიანი დონის უზრუნველყოფა

3. მარაგებზე ხელმისაწვდომობის გარანტია

4. ბაზრის სტაბილიზაცია

5. უსაფრთხო მიწოდების ქსელის შექმნა გონივრული ფასებით

6. კონკურენციის შეთანხმებული წესების შექმნა გაერთიანების ყველა ქვეყანაში

აღნიშნული მიზნების მისაღწევად შეიქმნა ფასების ეკონომიკური სისტემა და ბაზრის მხარდაჭერა გახდა ინტერესის მთავარი საგანი გაერთიანებისათვის; აღნიშნულმა მექანიზმმა ფერმერები უზრუნველყო პროდუქციის გარანტირებული ფასით, შემოვიდა ტარიფები იმპორტირებულ პროდუქციაზე და შემუშავდა დამატებითი მექანიზმები იმ შემთხვევისთვის თუ საბაზრო ფასი დაეცემა.

● 1970 წელი - მანსჰოლტის გეგმა - მოდერნიზაცია

წლებთან ერთად გაიზარდა პროდუქტიულობა და ხელმისაწვდომობა საკვებ პროდუქციაზე, თუმცა, ერთიანი პოლიტიკის მიუხედავად, ფერმერთა შემოსავალი კვლავაც განიცდიდა სტაგნაციას. ამ სიტუაციის გათვალისწინებით ევროკომისარმა მანსჰოლტმა სოფლის მეურნეობის დარგში, იწინასწარმეტყველა, რომ ბაზრის არასტაბილურობა შესაძლოა, წარმოშვას ქარბმა წარმოებამ და ფასების კონტროლმა.

ამრიგად, მანსჰოლტის შეთავაზება მდგომარეობდა იმაში, რომ მომხდარიყო სოფლის მეურნეობის სექტორის მოდერნიზაცია, ფერმერების ცხოვრების დონის გაუმჯობესება და ბაზრის სტრუქტურის დამახინჯების თავიდან აცილება.

მანსჰოლტის გეგმამ, რომელიც ამასთან იყო ერთიანი აგრარული პოლიტიკის პირველი რეფორმა, მიზნად დაისახა:

1. კულტივირებული მიწის ფართობის ოპტიმიზაცია

2. მეურნეობების გაერთიანება უფრო დიდი დანაყოფების შესაქმნელად

● 1984 წელი - მიწოდების მენეჯმენტი, ბაზრის საჭიროებებზე მორგებული წარმოება.

უკვე 1970-იანი წლებიდან და 1980-იანი წლების დასაწყისში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდა დაიწყო, ამან გამო-

ინვია წარმოების ისეთი სიჭარბე, რომლის აღსაწერადაც ხშირად იყენებენ ტერმინებს: „კარაქის მთები“ და „ლვინის ტბები“. შედეგად ნაწილი ჭარბი საკვებისა გაანადგურეს, ხოლო ნაწილი მსოფლიო ბაზარზე დაბალ ფასად გაიყიდა.

1984 წელს დაწესდა კვოტები რძის პროდუქტებზე და განისაზღვრა საბიუჯეტო დისციპლინის წესი, რა ციმას ნიშნავდა, რომ ბიუჯეტი წინასწარ უნდა განსაზღვრულიყო და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა განსაზღვრულიყო აგრარული სექტორის ბიუჯეტი, რათა გადახარჯვა არ მომხდარიყო.

● 1992 წელი - მაკშარის რეფორმა - CAP -ის პირველი გრძელვადიანი რეფორმა. რეფორმის მიზანს წარმოადგენდა საერთო ბიუჯეტისა და გარანტირებული ფასების შემცირება ბურღულეულსა და სხვა აგრარულ ნაწარმზე. ამ რეფორმის მთავარ ელემენტებს წარმოადგენდა:

1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების შემცირება
2. კომპენსაციის გადახდა ფერმერებისთვის
3. ახალი საბაზრო მექანიზმები
4. გარემოს დაცვის საკითხებზე გარკვეული ზომების მიღება

მაკშარის რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა მარცვლეულისა და ხორცის ფასები და ისინი გაუთანაბრდა მსოფლიო ფასებს. ფერმერებს აუნაზღაურდა დანაკარგები, იმ პირობით, თუ ისინი დატოვებდნენ ფერმებს და სხვა სფეროში გააგრძელებდნენ საქმიანობას. შემუსავდა ნაადრევი პენსიების სისტემა, ამავდროულად დაიწყო ეკოლოგიურად სუფთა ფერმერული პრაქტიკის ხელშეწყობის პროგრამები.

● 1999 წელი - დამატებითი რეფორმები სასოფლო-სამეურნეო სექტორში.

ევროკავშირმა ამერიკასთან მიაღწია შეთანხმებას, რომ ორივე გააგრძელებდა მარცვლეულისა და მესაქონლე ფერმერების სუბსიდირებას 2003 წლამდე. აღნიშნული დახმარება უნდა გამოყოფილიყო იმ ფერმერებისთვის, რომლებიც არ დაარღვევდნენ წარმოებისა და კონკურენციის წესებს.

1999 წლის 26 მარტს შემუშავებულ იქნა დღის წესრიგი 2000, ე.წ. „agenda 2000“, რომელიც წარმოადგენს სამოქმედო გეგმას, რომლის მთავარი მიზანია გაძლიერდეს საინტეგრაციო ბლოკის სხვადასხვა პოლიტიკის მიმართულებები და შეიქმნას ახალი, უფრო ძლიერი და ეფექტური ფინანსური ინსტიტუტი. დღის წესრიგი 2000-ის მიხედვით აგრარული პოლიტიკის რეფორმა შემდეგი საკითხების გარშემო აეგო:

1. ფასების მომდევნო შემცირება  
2. სოფლის განვითარებისა და პირდაპირი გადახდების სისტემის შენარჩუნება

3. სტრუქტურული და შერწყმის ფორნდების ეფექტურობის ზრდა

4. განევრიანების წინა სტრუქტურული ინსტრუმენტის (ISPA-pre-accession structural instrument) და განევრიანების წინა აგრარული ინსტრუმენტის (SAPARD-pre accession agricultural instrument) სრული ამოქმედება

5. ახალი ფინანსური ინსტრუმენტის მიღება 2000-2006 წლებში

- 2013 წელი - პირველი რეფორმა, რომელიც შემუშავდა ჩვეულებრივი საკანონმდებლო წესით.

ახალმა ათასწლეულმა CAP-ს ახალი გამოწვევები მოუტანა. დღის წესრიგში დადგა არა მხოლოდ საზოგადოების გამოკვების საკითხი, როგორც ეს უწინ იყო, არამედ ხაზი გაესვა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებსაც, როგორებიცაა, კლიმატის ცვლილებებზე რეაგირება, ცხოველთა კეთილდღეობა, საკვების უსაფრთხოების ნორმების დანერგვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება.

2013 წლის რეფორმა ცდილობდა, რომ აღნიშნული მოთხოვნები შემდეგი სვლებით მოეგვარებინა:

1. უფრო მდგარი აგრარული სექტორი

2. მხარდაჭერის თანაბარი განაწილება და მსხვილი მეურნეობებისთვის ბიუჯეტის შეზღუდვა

3. დამატებითი ხელშეწყობა მცირე მეურნეობებს და შემოსავლის განაწილების მიზნობრიობის განსაზღვრა

4. სტიმულის მიცემა ახალგაზრდებისთვის, რომ ჩაერთონ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში.

აღსანიშნავია, რომ ამ რეფორმამ გაზარდა დანახარჯები აგრარულ სექტორში; მნიშვნელოვანია, იმის აღნიშვნაც, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც CAP-ის რეფორმა განხორციელდა ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცედურების მიხედვით, რომელიც შემოღებული იქნა ლისაბონის ხელშეკრულებით.

- 2021 წელი - უფრო სამართლიანი, მწვანე და შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკა

ევროკავშირის პოსტ-კოვიდ რეფორმა აგრარულ სექტორში მიზნად ისახავს ახალ სტრატეგიულ მიღწევებს, წევრი სახელმწიფოებისთვის ავტონომიურობის მინიჭებას, რათა ერთად დანერგონ სტრატეგიული

სამოქმედო გეგმა თავისი იმ საჭიროებებიდან გამომდინარე, რომელიც თანხვედრაშია ევროკავშირის გრძლევადიან ფართომასშტაბიან მიზნებთან. ეს გულისხმობს იმას, რომ ეროვნულ დონეზე საკითხის განხილვა და შემდეგ შეჯამება მეტად გამოკვეთს ცალკეულ რეგიონში არსებულ საჭიროებას, რაც უფრო ნათელი სურათი იქნება გეგმის შემუშავებისას.

კლიმატის ცვლილებისა და გარემოსდაცვითი გამოწვევების ფონზე, ახალი ერთიანი აგრარული პოლიტიკა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მწვანე მოთხოვნებს, შესაბამისად, დაფინანსებები ამ სფეროში უკვე პირდაპირპოროპორციული ხდება გარემოსდაცვითი და კლიმატის შესახებ კანონების დაცვასთან სასოფლო-სამეურნეო პროცესში. გარდა ამისა, რეფორმა გულისხმობს მრავალ ჯილდოს უფრო მწვანე პრაქტიკის დანერგვის სტიმულისთვის.

საერთო აგრარული პოლიტიკა (CAP) ასევე უფრო მეტადაა ორიენტირებული დასაქმებულთა უფლებების დაცვაზე, ვიდრე ეს წინარე რეფორმების დროს იყო (European Council, 2025).

ერთიანი აგრარული პოლიტიკის მრავალწლიანი რეფორმების გადახედვა გვაძლევს საშუალებას, ცალსახად და ნათლად ვთქვათ, რომ ევროკავშირის გეზი აგრარული სექტორის გაძლიერებასა და განვითარებაში აღებულია იმ მიმართულებით, რომელიც გულისხმობს სოციალური, კულტურული, ინოვაციური ასპექტების დანერგვას დარგში, რაც, ბუნებრივია, 21-ე საუკუნის გარდაუვალი საჭიროებაა.

2023 წელს ევროკავშირის აგრარულმა სექტორმა 223,9 მლრდ. ევროს მთლიანი დამატებული ღირებულება შექმნა, ხოლო სოფლის მეურნეობის ინდუსტრიის შუალედურმა მოხმარებამ 313.2 მლრდ ევრო შეადგინა, ამასთან, 2023 წელს სოფლის მეურნეობამ ევროკავშირის მთლიან სამამულო პროდუქტში 1,3% დაიკავა, რაც შეეხება შემოსავალს სასოფლო სამეურნეო სექტორში დასაქმებულ ერთ მომუშავეზე, ის 2023 წელს შემცირდა(-7,6%), თუმცა მაინც 34,3 %-ით უფრო მეტია, ვიდრე 2015 წელს იყო.

ევროკავშირის აგრარული სექტორის მიერ წარმოებულმა პროდუქციამ და მომსახურებამ 2023 წელს მთლიანობაში 537.1 მლრდ. ევრო შეადგინა. ის მოიცავს ბოსტნეულს და მარცვლოვან კულტურებს ყველაზე დიდი ღირებულებით (273.6 მლრდ. ევრო), რაც 51.0 %-ს შეადგენს, ასევე მეცხოველეობასა და ხორცპროდუქტებზე მოდის წარმოების ღირებულების 39.9 % (214.3 მლრდ. ევრო), ასევე, 25.4 მლრდ.

ევრო შეადგინა სოფლის მეურნეობის სექტორში შესრულებულმა მომსახურების ღირებულებამ.

რაც შეეხება, უშუალოდ დასაქმებულთა დინამიკას, ევროკავშირის აგრარულ სექტორში შრომის მოცულობის შემცირების ტენდენცია 2023 წელსაც გაგრძელდა. საინტეგრაციო ბლოკში სოფლის მეურნეობაში სრულ განაკვეთზე დასაქმებულთა რიცხვი 7.6 მილიონია, ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ სასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმებულთა უმეტესობა არაანაზღაურებად სამუშაოს ასრულებს, მათი რიცხვი 2023 წელს 5.3 მილიონს შეადგენდა, ხოლო ანაზღაურებად სამუშაოზე დასაქმებულებმა კი 2.3 მილიონი შეადგინეს. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართულთა რიცხვმა კლებადი დინამიკა აჩვენა 2023 წელს, კერძოდ, ევროკავშირის ცალკეული ქვეყნებიდან აგრარულ სექტორში დასაქმებულთა რიცხვი შემცირდა დანიაში (-11,3%), ფინეთში (-11,2%), ლატვიასა (-10,9%) და ბულგარეთში (-7,3%), ზრდის ტემპი შეიმჩნეოდა რუმინეთში (+7,3%), კვიპროსსა (+6,3%) და მალტაში (+3,6%). (European Commission, 2024).

ევროკავშირის ერთიანი აგრარული პოლიტიკა მხარს უჭერს ფერმერებს და უზრუნველყოფს საკვების უსაფრთხოების ნორმების დაცვას. 1962 წლიდან დღემდე ერთიანი აგრარული პოლიტიკა უზრუნველყოფს აგრარული სექტორისა და საზოგადოების, ევროპისა და მისი ფერმერების დაახლოებას. ერთიანი აგრარული პოლიტიკის ძირითად მიზნებად განისაზღვრება:

- ფერმერების მხარდაჭერა და აგრარული პროდუქტიულობის ამაღლება, ვარგისი საკვების მიწოდების უზრუნველყოფა
- ევროკავშირის ფერმერების უზრუნველყოფა და მხარდაჭერა ღირსეული საცხოვრებლის შესაქმნელად
- კლიმატის ცვლილების კონტროლი და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა
- ევროკავშირის მასშტაბით სოფლის ტერიტორიისა და ლანშაფტის შენარჩუნება/ათვისება
- სოფლად ცხოვრების ხელშეწყობა, ფერმერული საქმიანობების, აგრომეურნეობებისა და მონათესავე საქმიანობების განვითარებით.

ერთიანი აგრარული პოლიტიკის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ის შემუშავდება ევროკავშირის მასშტაბით და საერთოა საინტეგრაციო ბლოკის ყველა წევრი სახელმწიფოსათვის. იგი იმართება და ფინანსდება ევროპულ დონეზე ევროკავშირის საერთო ბიუჯეტიდან.

სამომავლოდ ევროკავშირში სოფლის მეურნეობისა და სოფლად ცხოვრების პირობების გაუმჯობესების პოლიტიკის გასამყარებლად, ერთიანი აგრარული პოლიტიკა წლების განმავლობაში ვითარდება და ერგება ცვალებად ეკონომიკურ გარემოებებსა და მოქალაქეების საჭიროებებს.

2023 წლის 1 იანვარს შემუშავდა ევროკავშირის ერთიანი აგრარული პოლიტიკის 2023-2027 წლის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ფერმერებისა და სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში ინვესტიციების მხარდაჭერას გაერთიანების წევრი 27 სახელმწიფოს მასშტაბით და რომელიც დამტკიცებულია ევროკომისიის მიერ. ერთიანი აგრარული პოლიტიკის სტრატეგიული გეგმა თამაშობს მნიშვნელოვან როლს უფრო მდგრადი სამეურნეო გარემოს შექმნაში, გეგმაში გათვალისწინებულია სოფლის სოციალ-ეკონომიკური სტრუქტურების გაძლიერება, ფერმერთა შემოსავლების ზრდა და სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოების მკაცრი კონტროლი, მნიშვნელოვნად ხაზგასმულია ასევე კლიმატ-ნეიტრალურობის, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და ბიომრავალფეროვნების გაუმჯობესების საკითხები. ევროკავშირის თითოეული წევრი სახელმწიფოს მხრიდან, გარდა ბელგიისა, მოხდა გეგმის სრულყოფა და ინდივიდუალურად ეროვნულ დონეზე შემუშავება, რასაც ის დატვირთვა ჰქონდა, რომ ინდივიდუალურ დონეზე მეტად გამოიკვეთა თითოეული სახელმწიფოს საჭიროებები და საერთო გეგმაც სწორედ ამის საფუძველზე ჩამოყალიბდა. ერთიანი აგრარული პოლიტიკის (CAP)-ის სტრატეგიული გეგმები მოიცავს იმ CAP ინსტრუმენტებს, რომლის გამოყენებაც ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა 2023 წლიდან დაიწყეს და რომელიც აქცენტს აკეთებს შემდეგ მიმართულებებზე: კონკურენტუნარიანობა, საკვების ხარისხის კონტროლი, კლიმატის ცვლილებები, გარემოს დაცვა, ლანდშაფტი, თაობათა ცვლა, სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები, საკვები და ჯანმრთელობა, ცოდნა და ინოვაციები, სამართლიანი შემოსავალი. (CAP, 2023-2027, n.d.). მიუხედავად საერთო აგრარული პოლიტიკის 1962 წლიდან მუდმივი განახლება-განვითარებისა, სამართლიანია ითქვას, რომ 2023-2027 წლის სამოქმედო გეგმა უფრო ამბიციური და თანამედროვე საჭიროებებს მეტად მორგებულია, გათვალისწინებულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება, ასევე კლიმატ-ნეიტრალურობის საკითხი. აგრარულ სექტორში 2023-2027 წლის სამოქმედო გეგმისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი შეადგენს

307 მლრდ. ევროს, საიდანაც 264 მლრდ. ევრო გამოყოფილია ევროკავშირის საერთო ბიუჯეტიდან, ხოლო დარჩენილი 43 მლრდ. ევრო ეროვნული ფონდებიდან, გეგმაში გათვალისწინებულია წევრი სახელმწიფოების მიერ შემუშავებული 2500 საკითხი და გეგმა დამტკიცებულია ევროკომისიის მიერ. საკითხები, რომლებსაც 2023-2027 წლის სამოქმედო გეგმაში მკაფიო ადგილი უჭირავს, ეხება:

1. ფერმერთა სამართლიანი შემოსავლები - აღნიშნული საკითხის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მცირე და საშუალო მეურნეობების წახალისებასა, ფერმერებისთვის სამართლიანი, კნკურენტული შემოსავლების უზრუნველყოფას, შემოსავლებს შორის უთანაბრობის აღკვეთას, მეტი ადამიანის დაინტერესებაც ფერმერული საქმიანობით და ფერმების მოდერნიზაციას, რაც პირდაპირპორციულადაა დამოკიდებული დარგის კონკურენტუნარიანობის ზრდასთან. გათვალისწინებულია მცირე და საშუალო მეურნეობებზე გამოყოფილი თანხების წინა პერიოდებთან შედარებით გაორმაგება. გარდა ამისა, ევროკავშირის მეურნეობების 23%-დან მიღებული შემოსავლების გათანაბრება მოხდა საშუალო ხელფასის დონეზე, მაშინ როდესაც, ეკონომიკაში საშუალო ხელფასის მხოლოდ 45%-ს შეადგენს აგრარულ სექტორში მიღებული შემოსავლები. საინტეგრაციო ბლოკში გააზრებულია, რომ ძლიერი აგრარული სექტორს აქვს უდიდესი ისტორიული და ეკონომიკური ფუნქცია - საკვების მიწოდების უზრუნველყოფა. გაცნობიერებულია ასევე მეურნეობაში დასაქმებულთა თაობათა ცვლის პრობლემა და შემუშავებულია რიგი ნაბიჯებისა, რომელიც უზრუნველყოფს 377 000 ახალგაზრდა ფერმერის ჩართვას აგრარულ საქმიანობაში.

2. უფრო მწვანე აგრარული სექტორი - იმისათვის, რომ ფერმერებმა ისარგებლონ აგრარულ სექტორში არსებული საგადასახადო მხარდაჭერებით, აუცილებელია, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისას გარემოს დაცვის, კლიმატ-ნეიტრალურობის, ჯანდაცვის ნორმებისა და ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა, ეს პრინციპი და მსგავსი მიდგომა ვრცელდება ევროკავშირის აგრარული სექტორის დაახლოებით 90%-ზე და თამაშობს მნიშვნელოვან როლს მდგრადი მეურნეობის პრაქტიკის დანერგვაში.

აღნიშნული საკითხებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი შეადგენს ევროკავშირის აგრარული სექტორის მთლიანი ბიუჯეტის 32 %-ს, მათგან ყველაზე დიდი თანხები გამოყოფილია ეკო-სქემების შემუშავე-

ბასა და კლიმატ-ნეიტრალურობის პრობლემის გადაჭრაზე, შესაბამისად 44.7 მლრდ. და 33.2 მლრდ. ევრო. ამ საკითხებზე კონცენტრირებამ წევრ სახელმწიფოებს მისცა შესაძლებლობა გაენალიზებინათ საჭიროებები ეროვნულ და რეგიონულ დონეზე და გამოეკვეთათ უპირატესობები, მაგალითად, პორტუგალიის, ბულგარეთის, ხორვატიის, კვიპროსის, საბერძნეთისა და სლოვენის ინტერესებშია ორგანული სასუქით სინთეზური სასუქის ჩანაცვლება; გერმანიის ინტერესის საგანია სატყეო მეურნეობის განვითარება და ხელშეწყობა; ფინეთმა შეიმუშავა ზამთრის საფარის გეგმა ნიადაგის დასაცავად, ხოლო ესპანეთი საძოვრების მდგრადი ათვისების პრაქტიკის დანერგვაზეა ორიენტირებული, რათა აღმოიფხვრას ნიადაგის გამოფიტვის პრობლემა;

მთლიანობაში, ცხადია, რომ აღნიშნული პრაქტიკის დანერგვა გაერთიანების წევრი სახელმწიფოების მხრიდან უწყვეტად მიმდინარეობს, მეტიც, ევროკავშირის „მწვანე შეთანხმების“ (ე.წ. EU Green Deal) 2030 წლის მიზანს წარმოადგენს ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო ფართობის 25% პროცენტის ორგანული მეთოდით დამუშავება. 2027 წლისთვის უკვე იგეგმება სასოფლო-სამეურნეო მიწების 10 %-ის ორგანული წარმოებისთვის გამოყენება, მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი 2020 წელს 5,6 %-ს შეადგენდა

მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირის ერთიანი აგრარული პოლიტიკის მნიშვნელობისა, ევროკომისია აღიარებს, რომ მხოლოდ CAP-ის სტრატეგია არაა საკმარისი ყველა მიზნის მისაღწევად, არამედ მდგრადობა, კლიმატ-ნეიტრალურობა და ბიომრავალფეროვნება ის მნიშვნელოვანი საკითხებია, რომლებსაც მრავალმა სტრუქტურამ თუ ფონდმა უნდა მიაქციოს ყურადღება, შესაბამისად ევროკავშირის სხვადასხვა სტრუქტურისა და ფონდის შეთანხმებული ქმედება მიზნის მიღწევის მთავარი წინაპირობაა (European Commission, 2023b).

ნათელია, რომ ევროკავშირის ბოლოდროინდელი საერთო აგრარული პოლიტიკის მიზნები და სამოქმედო სტრატეგიები გასცდა მის ისტორიულ საზღვრებს - გაეზარდა მწარმოებლურობა, უზრუნველყოფერმერთა კეთილდღეობა და ეკონტროლებინა მიწოდება მომხმარებელთა საჭიროებებიდან გამომდინარე; წინა საუკუნეებთან შედარებით დღეს მომხმარებელთა საჭიროებები უკვე სცდება მოთხოვნას უბრალოდ საკვებზე, მეორე მხრივ, მოსახლეობის მუდმივ ზრდასთან, ინდუსტრიალიზაციასა და განუწყვეტელ სამრეწველო პროცესებთან ერთად იზრდება გარემოს დაბინძურების მაჩვენებელი, აღნიშნული და




სხვა ფაქტორები წარმოშობს საჭიროებას ყველა სექტორმა მეტი ყურადღება დაუთმოს გარემოს მდგრადობას, კლიმატნიეტრალურობასა და მწვანე მენეჯმენტს; ევროკავშირის საერთო აგრარული პოლიტიკა დღეს უკვე საკმაოდ დიდ ყურადღებას აქცევს სასოფლო-სამეურნეო სექტორის მდგრად განვითარებას; ზოგადად, ამ სექტორის პრიორიტეტულობა ევროკავშირისთვის ნათელი და ცალსახაა, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ტენდენცია არა მხოლოდ საინტეგრაციო ბლოკის ფარგლებში შეინიშნება არამედ მისი სავაჭრო და სტარტეგიული პარტნიორებიც ცდილობენ დარგის გამოცოცხლებას, განსაკუთრებით აღსანიშნავია სასოფლო-სამეურნეო სექტორის როლი განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში, ამიტომ სამართლიანი იქნება საქართველოს აგრარული სექტორის მიმოხილვა.

საქართველოში სოფლის მეურნეობა, რომელიც ასიათასობით ადამიანის დასაქმების სფეროა, სხვა დარგებთან შედარებით ნელა ვითარდება, თუმცა ქვეყნის აგრარული სექტორის რეფორმირება პოლიტიკური დღის წესრიგში მუდამ აქტუალურია. საქართველოს აგრარულ სექტორს ისტორიულ ჭრილში თუ გადავხედავთ, შევნიშნავთ, რომ დამოუკიდებლობის აღდგენიდან ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორია, 1991 წლის მონაცემებით, ქვეყანაში სოფლად მოსახლეობის 57 % ცხოვრობდა, ხოლო მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი 26 %-ს აღემატებოდა. ქვეყანაში აგრარული რეფორმის განხორციელების მნიშვნელოვან სახელმძღვანელო დოკუმენტად შეგვიძლია მივიჩნიოთ, „საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფცია“, რომელიც 1997 წლის 7 აპრილს იქნა მიღებული, თუმცა, მიწაზე საკუთრების რეფორმის განხორციელების საწყის საფუძვლად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის N48 „დადგენილება მიწის პრივატიზაციის შესახებ“ ჩაითვლება, აღნიშნულის მიზანი იყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების განაწილება და საბოლოოდ საკუთრებაში გადაცემა, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ აგრარული პოლიტიკის განხორციელების პირველ ეტაპად ითვლება 1992-1998 წწ - პერიოდი, როდესაც მომზადდა საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი საფუძვლები; დაიწყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სახელმწიფო საკუთრებიდან კერძო საკუთრებაში გადასვლის პროცესი; 2010-იანი წლებიდან უკვე იზრდება კონკურენცია

2010-2022 წლებში მთლიან სამამულო პროდუქტში აგრარული სექ-

ტორის რეალური გამოშვება, რეალურ მაჩვენებლებში, საშუალოდ, 2.7 %-ით იზრდებოდა, ხოლო მთლიან სამამულო პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა:



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

### გრაფიკი 2.1. სოფლის მეურნეობის სექტორის ნომინალური და ფარდობითი (მშპ-სთან) მაჩვენებელი (მლნ ლარი, %)

აღსანიშნავია, რომ 2020 წლიდან, მიუხედავად covid-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისისა, მზარდია რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტის მაჩვენებელი და 2022 წლის მონაცემებით ის 3 078 მლნ ლარს შეადგენს, ეს მაჩვენებელი დაახლოებით 13 %-ით აღემატება პანდემიამდე პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს.

სოფლის მეურნეობა საქართველოს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს. 2022 წლის მონაცემებით, საქართველოში დასაქმებულთა 17,9 %-ზე მეტი სოფლის მეურნეობის სექტორშია დასაქმებული, ხოლო არაფორმალურად დასაქმებულთა რიცხვი ბევრად მეტია.

2015-2022 წლებში დარგში განხორციელებული სახელმწიფო ინვესტიციები 2015 წლიდან 2023 წლამდე პერიოდში, საგადასახადო შეღავათების გათვალისწინებით, 3.6 მლრდ. ლარზე მეტია, აღნიშნულმა ხელი შეუწყო აგრო-სასურსათო პროდუქციის გამოშვების ზრდას, რომელმაც 2022 წელს დაახლოებით 7% შეადგინა და 10 წლის წინანდელ მაჩვენებელთან შედარებით თითქმის გაორმაგებულია. საქართველოში, აგრარული სექტორის გამოცოცხლებისა და ხელშეწყობის მიზნით, აგრარული სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობა დაი-

ხვენა და გაუმჯობესდა, ეს ერთი მხრივ, განპირობებულია იმით, რომ აგრარული სექტორი განისაზღვრა პრიორიტეტულ დარგად, ხოლო, მეორე მხრივ, ევროკავშირთან ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში გათვალისწინებული საკანონმდებლო დაახლოების პროცესით. საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-10 თავის - „სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება“ თანახმად, საქართველომ უნდა უზრუნველყოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება ევროკავშირის პოლიტიკის და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და დაუახლოვოს საქართველოს კანონმდებლობა ევროპულს, ასევე, ხელი შეუწყოს როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა პოლიტიკის დაგეგმვა და შეფასება შეესაბამებოდეს ევროპულ ნორმებს. “მხარეები ითანამშრომლებენ, რათა ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებას, კერძოდ, პოლიტიკისა და კანონმდებლობის თანმიმდევრული დაახლოების გზით” (ასოცირების შეთანხმება, 333 მუხლი). 2015 წლიდან ქართული კანონმდებლობა დაუახლოვდა ევროკავშირის 180-ზე მეტ სამართლებრივ აქტს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში.

მნიშვნელოვანია აღნიშვნა 2019 წლის 25 ივნისს მიღებული ორგანული კანონისა „სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, რომელიც „საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მიწას აღიარებს სახელმწიფოს ეროვნულ სიმდიდრედ, რომელსაც სახელმწიფოებრივი ამოცანების შესრულებისა და ადამიანის ძირითადი უფლებების რეალიზებისთვის განსაკუთრებული პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და კულტურული ღირებულება აქვს“. აღნიშნულ კანონს საფუძვლად დაედო 2017 წელს ქვეყნის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილება, არარეზიდენტი მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებასთან დაკავშირებულ შეზღუდვაზე. (საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი, 2023). დღეს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობისათვის, აგრარული სექტორი შემდეგის აგადასახადო შეღავათით სარგებლობს:

1. სამემოსავლო გადასახადით არ იბეგრება აგრარულ სექტორში დასაქმებული პირის მიერ პროდუქციის პირველადი წარმოებით მიღებული შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში, შემოსა-

ვლის ჯამურმა ოდენობამ 200 000 ლარი ან ნაკლები შეადგინა

2. არ იბეგრება აგრარულ სექტორში დასაქმებული პირის ხელფასი, თუ დამქირავებლის ჯამური წლიური შემოსავალი 200 000 ლარზე ნაკლებია

3. მოგების გადასახადისგან თავისუფლდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ წარმოებული პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება და ხარჯები

4. დღგ-სგან თავისუფლდება საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციისა და საქონლის მიწოდება

5. დღგ-სგან თავისუფლდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესი და სარგავი მასალების იმპორტი

6. საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან თავისუფლდება პირის მიერ აგროტურისტული და ღვინის ტურისტული საქმიანობის ფარგლებში მიღებული შემოსავალი და გასაცემი ხელფასი, თუ წლიური შემოსავალი არ აღემატება 500 000 ლარს

7. ქონების გადასახადისგან 5 წლის განმავლობაში თავისუფლდებიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებმაც ახალასათვისებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები მიიღეს

8. საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისგან თავისუფლდება ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც პირად ან საოჯახო მეურნეობაში მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციას ან მისგან წარმოებულ საქონელს ყიდის

გარდა საგადასახადო შეღავათებისა, აღსანიშნავია ისიც, რომ აგრარული სექტორი არაპირდაპირი დახმარებითაც სარგებლობს, კერძოდ, ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელშეწყობის მიზნით, აგრარული პროდუქციის ქვეყანაში შემოტანა იმპორტის გადასახადის 5%-იანი და 12%-იანი განაკვეთებით იბეგრება, ხოლო ექსპორტი სრულად გათავისუფლებულია გადასახდელებისაგან, შედეგად, იმპორტის გადასახადი აძვირებს იმპორტირებულ პროდუქციას და უქმნის სტიმულს ადგილობრივ ფერმერებს წარმოებული აგრო-სასურსათო პროდუქციით კონკურენცია გაუწიონ იმპორტულს. (ხორგუაშვილი, 2023). საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სექტორის უდიდეს გამონწვევას წარმოადგენს დაბალი მოსავლიანობა, ეს ნაწილობრივ მცირემიწიანობით, ხოლო ნაწილობრივ დარგში ინოვაციების დანერგვის სირთულითა და შესაბამის საწარმოო ტექნოლოგიებთან შეზღუდული

წვდომითაა გამონვეული, მიუხედავად დარგში არსებული გამონვევებისა, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მოსავლიანობის კოეფიციენტებში პოზიტიური ცვლილებებიც შეინიშნება, კერძოდ, 2014 წლიდან 2022 წლამდე პერიოდში ხორბლის საჭექტრო მოსავლიანობა 1.9 ტონა/ჰა-დან 2.9 ტონა/ჰა-მდე გაიზარდა (საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი, 2023). გარდა აღნიშნული, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში გაზრდილია აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტიც, მან 2022 წელს 1 252 მლნ აშშ. დოლარი შეადგინა, თუმცა ექსპორტის ზრდის ტემპი არასტაბილური იყო და მერყეობით ხასიათდებოდა, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ სასოფლო-სამეურნეო დარგი მოწყვლადია შიდა და გარე შოკების მიმართ, გარდა ამისა, აგროსასურსათო პროდუქციის ზრდის ტემპის მერყეობა შესაძლოა პროდუქციის კონკურენტუნარიანობასა და პროდუქციის სტაბილური მიწოდების პრობლემებზე მიუთითებდეს.

ქვეყნის აგრარულ სექტორში არსებული მრავალი გამონვევა, რომელიც დაკავშირებულია, ერთი მხრივ, როგორც აღვნიშნეთ, სტაბილური მიწოდების ჯაჭვთან, ხოლო, მეორე მხრივ, აუთვისებელ აგრარულ პოტენციალთან, ქმნის სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების უფრო დიდ საჭიროებას. საყურადღებოა ის პროექტები და პროგრამები, რომლითაც ხდება ქვეყანაში აგრარული სექტორის ხელშეწყობა:

- 2013-2017 წლებში მცირემინიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში ჯამში 800 000 ჰა-ზე მეტი მიწის ფართობი დამუშავდა
- 2013-2022 წლებში შეღავათიან აგროკრედიტების პროექტით ისარგებლა 40 000 ათასზე მეტმა ბენეფიციარმა და გაიცა 74 000-ზე მეტი შეღავათიანი სესხი
- 2014 წლიდან ქვეყანაში მოქმედებს აგროდაზღვევის პროგრამა, რომელმაც 2022 წლის ჩათვლით 67 მლნ. ლარზე მეტი ღირებულების ზარალი აანაზღაურა
- 2015 წლიდან ხორციელდება პროექტი: „დანერგე მომავალი!“, რომლის მიზნებსაც წარმოადგენს:

1. საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ეფექტური გამოყენება მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც მოხდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება საქსპორტო პოტენციალი, გაადვილდება

გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

2. ადგილობრივი მაღალხარისხიანი ფიტოსანიტარული სუფთა სარგავი მასალების წარმოების მხარდაჭერა, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება თანამედროვე ინტენსიური ბაღების გაშენებით დაინტერესებული პირებისთვის იმპორტირებულთან შედარებით იაფი სარგავი მასალების შეთავაზება. ეს ყოველივე ხელს შეუწყობს ქვეყანაში ახალი ბაღების გაშენებას და მეხილეობის სექტორის რაოდენობრივ და თვისებრივ გაუმჯობესებას (საქართველოს მთავრობის დადგენილება N56, 2015 წლის 12 თებერვალი, ქ. თბილისი, „დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ; 411\_47512\_675275\_56.pdf).

2022 წლის ჩათვლით პროექტის ფარგლებში 3816 ბენეფიციარს გაუფორმდა 5223 ხელშეკრულება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯამური ინვესტიციების მოცულობამ კი 287.5 მლნ. ლარი შეადგინა.

- 2019 წელს დაიწყო მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსები პროგრამა; პროგრამის მიზანს წარმოადგენს მოსავლის ამღებ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

- 2021 წლიდან ამოქმედდა ენერგოეფექტური ღუმელების თანადაფინანსების პროგრამა, რომელიც ხორციელდება პროექტის „საქართველოში სატყეო სექტორის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა ტყის დეგრადაციით გამონვეული სათბური აირების ემისიის შემცირებისთვის“ ფარგლებში; პროგრამის მიზანია მოსახლეობის მოთხოვნის სტიმულირება ენერგოეფექტური ღუმელების შეძენის მიზნით; პროგრამის მიზანს წარმოადგენს სოფლად გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება და კლიმატის ცვლილებების შერბილების ღონისძიებების ხელშეწყობა რეგიონებში მაცხოვრებელი მოსახლეობისთვის ენერგოეფექტური ღუმელების შეძენის თანადაფინანსების გზით.

- 2022 წლიდან ამოქმედდა პროგრამა ბიონარმოების ხელშეწყობის შესახებ; პროგრამა ითვალისწინებს კონვერსიის პერიოდში განეული შემდეგი მიზნობრიობების ანაზღაურებას: ბიონარმოების სერტიფიცირება, საკონსულტაციო მომსახურება, ორგანულ მეურნეობაში დაშვებული ორგანული სასუქების ან/და მავნებლებისა და დაავადე-

ბების წინააღმდეგ გამოსაყენებელი ბიოპრეპარატების შექმნა, ფუტკრის სამკურნალო ბიოპრეპარატებისა და ბიოფიჭის შექმნა, თაფლისა და ცვილის ლაბორატორიული ანალიზის მომსახურება; პროგრამის მიზანს წარმოადგენს ბიონარმოების მხარდაჭერა ბიოპროდუქტების წარმოების ზრდის უზრუნველსაყოფად, პროგრამის ამოცანა კი ბიონარმოების მსურველი პოტენციური ბენეფიციარების ფინანსური მხარდაჭერაა (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სახელმწიფო პროექტები, ბიონარმოების ხელშეწყობის პროგრამა).

აღნიშნული პროექტებისა და პროგრამების მიზანს ქვეყნის აგრარული პოტენციალის ათვისება, დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და იმპორტული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნაწილობრივი ჩანაცვლება წარმოადგენს.

გლობალური ეკონომიკის პირობებში მნიშვნელოვნად იცვლება ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები. დღეს აგროსასურსათო სექტორის მდგრადი განვითარება ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და სასურსათო დამოუკიდებლობის განმსაზღვრებელია. ბუნებრივია, მსოფლიო განვითარების ტენდენციები დარგის კონკურენტუნარიანობის ზრდის ერთ-ერთ წინაპირობად ტექნოლოგიების მასობრივ დანერგვასა და ინოვაციებისთვის ფეხის აწყობას გვისახავენ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბოლო ათწლეულის პერიოდში შეიქმნა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო და ამასთან გაზრდილია მზაობა ინოვაციების დანერგვისა, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო სექტორშიც, ამ ეტაპზე ინოვაციების ეკოსისტემა ჩამოყალიბების პროცესშია და არასისტემური ხასიათი გააჩნია, ამასთან პრობლემა არსებობს სათანადო კვალიფიკაციის არ მქონე მუშახელშიც, რაც განაპირობებს იმას, რომ ინოვაციების დანერგვის მცდელობები ყველა შემთხვევაში დადებითი შედეგის მომტანი ვერ არის, რადგან ვერ დაბალი კვალიფიკაციის გამო ვერ მიიღწევა მიზანი პროდუქტიულობის გაზრდისა. აღნიშნული პრობლემის გათვალისწინებით 2024 წლის აგვისტოს დაიწყო ინოვაციური ტექნოლოგიების საგრანტო პროგრამა, რომლის მიზანია ფერმერთა ცოდნისა და უნარების განვითარების ხელშეწყობა საქართველოს რეგიონებში მყოფი მცირე ზომის ფერმერების პროდუქტიულობისა და შემოსავლის გაზრდის მხარდასაჭერად, სხვადასხვა ინოვაციური ტექნოლოგიის გაძლიერებისა და დანერგვის გზით; პროგრამის ამოცანაა სოფლად მცოვრებთათვის სოფლის მეურ-

ნეობის მიმართულებით ინოვაციური და კლიმატგონივრული ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით სტარტაპ პროექტების განხორციელების ხელშეწყობა (ინოვაციური ტექნოლოგიების საგრანტო პროგრამა, სოფლის განვითარების სააგენტო, სახელმწიფო პროექტები. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო). ქვეყნის მდგრადი განვითარების პროცესში გასათვალისწინებელია ისიც, რომ ერთობლივი მოთხოვნა აგროსასურსათო პროდუქტებზე უფრო ნელა იზრდება, ვიდრე მიწოდება, შესაბამისად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მდგრადი განვითარების პარალელურად არ მოხდეს ქარბნარმობა, რაზეც ფასების მკვეთრი ცვლილება და შემოსავლების ცვლილებაცაა დაკავშირებული (ხარაიშვილი, 2011, გვ. 161). საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სექტორის გაძლიერებაში მნიშვნელოვანი როლი უჭირავთ ასევე საერთაშორისო პარტნიორებსაც. გასული ათწლეულის განმავლობაში დონორთა მხარდაჭერის ფარგლებში ყველაზე დიდი ფინანსური მხარდაჭერა ევროკავშირის მხრიდან განხორციელდა, თუმცა დარგის მხარდაჭერასა და პროგრამების შინაარსის მიხედვით საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის USAID-ს, USDA-ს, მსოფლიო ბანკს. მნიშვნელოვანია ასევე გაეროს განვითარების პროგრამების (UNDP) ფარგლებში განხორციელებული პროექტების მნიშვნელობა, არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის დარგის, არამედ, ზოგადად, რეგიონებისა და სოფლის განვითარებისთვის.

საქართველოს წარსულმა გამოცდილებამ, შედეგებმა, განხორციელებულმა რეფორმებმა და ევროკავშირის გამოცდილების საფუძველმა, მისცა შესაძლებლობა დაესახა 2021-2027 წლების განვითარების სტრატეგია აგრარულ სექტორში. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია ფარავს საქართველოს მთელს ტერიტორიას. მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია ითვალისწინებს ყველა იმ გამოწვევასა და საჭიროებას, რომელზე ყურადღების გამახვილებაც სავალდებულოა, სტრატეგიის მიზნებს წარმოადგენს:

1. კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები - მოიაზრებს ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარებას, ფერმერთა და მენარმეთა ცოდნის/ინფორმირებულობის ამაღლების უზრუნველყოფას,



სოფლად ახალგაზრდა მენარმეებისა და ფერმერების სტიმულირებას

2. ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია - მიიღწევა ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობით, აგრო-ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებით, ენერგო-ეფექტური და განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიების და პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობით, ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობითა და გარემოსთან ადაპტირებული, კლიმატ-გონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავრცელებით

3. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები - მიზნის ამოცანებს წარმოადგენს ლაბორატორიული შესაძლებლობების განვითარება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების ხარისხის უზრუნველყოფა, ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს სანიტარული და ფიტოსანიტარული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება, ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრისთვის მიწოდებული პროდუქციის შესაბამისობის უზრუნველყოფა სანიტარულ და ფიტოსანიტარულ სტანდარტებთან (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027).

ნათელია, რომ საქართველოს მიზაობა, გააძლიეროს აგრარული სექტორი, მყარია, ქვეყანას ნამდვილად აქვს დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისკენ გადადგმული პოზიტიური, წინ გადადგმული ნაბიჯები. ეს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყანა რჩება განვითარებადი სახელმწიფოების რიცხვში, მან შესაძლებლობებიდან გამომდინარე უნდა იმოქმედოს და გამოიყენოს ყველა ის საშუალება, რაც მას დარგის პოტენციალის ათვისებისთვის სჭირდება. თუმცა საქართველოს აგრარული სექტორი მთელი რიგი ეკონომიკური, სოციალური და ფინანსური გამოწვევების წინაშე დგას, კერძოდ, დაბალია ეკონომიკური ზრდის დონე, დარგი ხასიათდება რყევებით, სექტორი დაბალპროდუქტიულია, სოფლად არსებული სამენარმეო უნარ-ჩვევები დაბალია, მთელი რიგი პროგრამების მიუხედავად მაღალია შეზღუდულობა ტექნოლოგიებსა და ფინანსურ რესურსებზე, ინფრასტრუქტურა სუსტად ვითარდება, გარდა ამისა, საქმე გვაქვს არასახარბიელო დემოგრაფიულ სტრუქტურასთან, მოსახლეობის დაბერების მაღალ მაჩვენებელთან სოფლებში, რაც გამოწვეულია ახალგაზრდების მასობრივი მიგრაციით ქალაქებში, რისი უმთავრესი მიზეზიც შესაძ-

ლოა იყოს სოფლად ჯანდაცვასა და განათლებაზე არებული შეზღუდული ხელმისაწვდომობა. აღნიშნული მიზეზები სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს და აღნიშნული გამოწვები სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარების ხელისშემშლელი მიზეზებია. პოზიტიურია პროგნოზები, თუმცა, თვალსაჩინოა, რომ დადებითი შედეგები არ დადგება მოკლევადიან პერიოდში.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის შექმნა თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ მოცემულობაში აქტუალური, თუმცა რთული საქმეა. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში გაჩნდეს მოქნილი და ეფექტიანი ინსტიტუციური ცვლილებები რეგიონში, რითაც შევძლებთ ეკონომიკის რესურსული პოტენციალის და შესაძლებლობების ანალიზს, აქტიური ქცევის მოტივირებას, რაც არსებულ მოცემულობასა და დარგში არსებულ გამოწვევებს სტრუქტურულ-ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული, ტექნიკურ-ეკონომიკურად გამართული პოლიტიკით უპასუხებს. (კოლუაშვილი & ჩიხლაძე, 2023). სამომავლოდ დარგის გაძლიერებისათვის უმთავრესია რეფორმები არა მხოლოდ უშუალოდ აგრარულ სექტორში, არამედ იმ სექტორებშიც, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული სოფლად ცხოვრების სტიმულის შექმნასთან.

მნიშვნელოვანი და საყურადღებოა დარგში არსებული გამოწვევების მიუხედავად, საქართველოს წინ გადადგმული ნაბიჯი სასოფლო-სამეურნეო დარგის მდგრადი განვითარებისა და კლიმატნიეტრალურობის მხარდაჭერის მექანიზმები, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დანერგვის საჭიროების გამოვლენა და საგადასახადო სისტემაში განხორციელებული რეფორმები.

### თავი 3.

## სამრეწველო სექტორის განვითარება

## ევროკავშირსა და წევრობის კანდიდატ ქვეყნებში

მრეწველობის გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე მრავალმხრივია. მიუხედავად იმისა, რომ დღეს განვითარებული ქვეყნების დასაქმებასა და მსპ-ში უდიდესი წილი მომსახურებას უჭირავს, თვალსაჩინოა ამ ქვეყნების სტრატეგიისა და ეკონომიკური პოლიტიკის შემობრუნება ინდუსტრიალიზაციისა და სამრეწველო პოლიტიკის საკითხებთან, ერთგვარი შესუსტებული ინტერესის შემდეგ, რომელიც 1980-იანი წლებიდან 2000-იან წლებამდე გრძელდებოდა.

ინდუსტრიალიზაციის საკითხები გლობალურ დღისწესრიგშიც სულ უფრო აქტიურად ჩნდება – კერძოდ, ის ჩართულია მდგრადი განვითარების მიზნებში. მრეწველობა, განსაკუთრებით კი გადაამუშავებელი მრეწველობა, ეკონომიკის სხვა სექტორებთან მჭიდრო კავშირების გამო, ეკონომიკურ ზრდაზე, მწარმოებლურობასა და დასაქმების შესაძლებლობების განვითარებაზე დადებითად მოქმედებს და ეკონომიკური განვითარების პროცესს ასტიმულირებს. მრავალი ინოვაცია და ტექნოლოგიური მიღწევა სწორედ სამრეწველო სექტორში ჩნდება, რომლებიც შემდეგ სხვა, მასთან დაკავშირებულ დარგებში დასაქმებასა და მწარმოებლურობას ამაღლებს, მათ შორის, მომსახურების სფეროშიც. სამრეწველო დარგების განვითარების კიდევ ერთი უპირატესობა ეკონომიკურ დივერსიფიკაციას უკავშირდება, რაც ქვეყნის ეკონომიკას შოკების მიმართ უფრო მდგრადს ხდის.

ევროკავშირში მრეწველობა მისი ეკონომიკის დაახლოებით 20%-ს შეადგენს და 35 მილიონ სამუშაო ადგილს ქმნის (European Council, 2024) წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია სამრეწველო სექტორის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი ევროკავშირსა და კანდიდატ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში და ევროკავშირთან სტრუქტურული დაახლოების პერსპექტივის შესწავლა. ერთი მხრივ, გავაანალიზებთ, მრეწველობის განვითარებას კანდიდატ ქვეყნებში რა წვლილი შეაქვს წევრობის ეკონომიკური კრიტერიუმის დაკმაყოფილებაში, კერძოდ, ევროპის კავშირში არსებული კონკურენციისა და საბაზრო ძალების გამკლავების უნარის გაძლიერებაში და, ამავდროულად, ეს როგორ შე-

იძლება დაეხმაროს მათ საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაში.

ინსტიტუციური რეფორმები კანდიდატ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, ქმნის ევროკავშირთან ფორმალური ინტეგრაციის წინაპირობებს, ხოლო ეკონომიკის შესაძლებლობა, დაუახლოვდეს მონინავე განვითარებულ ქვეყნებს და გაუმკლავდეს გარედან მომდინარე კონკურენციის ძალებს, რეალური ინტეგრაციის საფუძველია. ამის გათვალისწინებით, ნაშრომში ყურადღება ეთმობა სტრუქტურული დაახლოებას, რაშიც მნიშვნელოვანი როლის შესრულება სამრეწველო სექტორის განვითარებას შეუძლია.

თავდაპირველად განვიხილავთ ევროკავშირის სამრეწველო სტრატეგიის ძირითად პრიორიტეტებს და მის მნიშვნელობას კანდიდატი ქვეყნების ევროკავშირთან დაახლოების პროცესში. შემდეგ გავანალიზებთ სამრეწველო სექტორის განვითარების არსებულ მდგომარეობას განსახილველ ქვეყნებში. ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნებისა და კანდიდატი ქვეყნების გადამამუშავებელი სამრეწველო საქონლის ექსპორტის პანელური მონაცემების საფუძველზე ავაგებთ პანელური ინდექსის მაჩვენებლებს და განვსაზღვრავთ სამრეწველო სექტორის ფუნქციონირების შედარებით მახასიათებლებს როგორც ქვეყნების, ისე წლების მიხედვით. დასკვნით ნაწილში წარმოვადგენთ მოსაზრებებს კანდიდატ ქვეყნებში ევროკავშირთან ეკონომიკური დაახლოების ღონისძიებების შესახებ, რომლებიც დაკავშირებული შეიძლება იყოს სამრეწველო სექტორის განვითარებასთან.

## **ევროკავშირის სამრეწველო სტრატეგიის ძირითადი მახასიათებლები**

2010 წელს მიღებული ლისაბონის სტრატეგიით ევროკავშირი მიზნად ისახავდა „კონკურენტული და დინამიკური, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის უზრუნველყოფას, რომელსაც შეუძლია მდგრადი ეკონომიკური ზრდა უფრო მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილების შექმნით და სოციალური ინტეგრაციით“ (European Parliament, 2009-2014). ლისაბონის სტრატეგიიდან გამომდინარე, ინდუსტრიული პოლიტიკის მიმართ მიდგომა ჰორიზონტალური იყო, რაც გულისხმობს საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას შესაფერისი ბიზნესის გარე-

მოს უზრუნველყოფით, კვლევასა/განვითარებაში ინვესტიციებით, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერით და სხვა ღონისძიებებით.

სამეცნიერო კვლევისა და ინოვაციების მიმართულებით აუცილებელი მიზნობრივი ღონისძიებები გულისხმობდა 2010 წლისთვის R&D ხარჯების მსპ-ს 3%-მდე გაზრდას, კერძო კვლევითი ინვესტიციებისთვის უკეთესი გარემოს შექმნას, სამეცნიერო კვლევითი პარტნიორობისა და ტექნოლოგიური სტრატაგების განვითარებას, ახალი და უახლესი ტექნოლოგიების ათვისებას, კონკრეტულად კი ბიოტექნოლოგიებისა და გარემოს დაცვის ტექნოლოგიების, მაღალკვალიფიციური კვლევითი პერსონალის შენარჩუნებას ევროპის ფარგლებში და სხვა.

ასევე, სამრეწველო დარგების განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენით ხასიათდება გარემოს კუთხით განსაზღვრული მიზნები და პირორიტეტები, რომლებსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლისაბონის სტრატეგიაში. კერძოდ, ეს გულისხმობდა ელექტროენერჯის 22%-ის განახლებადი წყაროებიდან მიღებას, გარემოს მიმართ მეგობრულ ტრანსპორტსა და ინფრასტრუქტურაში ინვესტირებას, ეკონომიკურ ზრდასა და რესურსების გამოყენებას შორის ბალანსის მიღწევას, სურსათის ხარისხისა და უვნებლობის უზრუნველყოფას ქიმიკატების გამოყენების, ინფექციური დაავადებების და ანტიბიოტიკების მიმართ მდგრადი მიდგომების გამოყენების გათვალისწინებით და სხვა.

### ცხრილი 3.1

#### ევროკავშირის სამრეწველო სტრატეგიის განმსაზღვრელი ძირითადი დოკუმენტები

დოკუმენტი	სამიზნე სფეროები	ინსტრუმენტები
2011 წლის კომუნიკე „სამრეწველო პოლიტიკა: კონკურენტუნარიანობის გაძლიერება“	სტრუქტურული ცვლილება ეკონომიკაში, დარგების ინოვაციურობა, მდგრადობა და რესურსების ეფექტურობა, ბიზნესგარემო, ერთიანი ბაზარი და მცირე და საშუალო საწარმოები	რესურსების ეფექტიანობის ზრდა, ინოვაციური სისტემების ფრაგმენტაციის შემცირება, ბიზნესის ადმინისტრაციული ტვირთის შემცირება, და სხვა.

<p>2012 წლის კომუნიკე „ძლიერი ევროპული ინდუსტრია ზრდისა და ეკონომიკური აღდგენისთვის – სამრეწველო პოლიტიკის კომუნიკაციის განახლება“</p>	<p>ინვესტიციების ხელშეწყობა ინოვაციებში დიდი პოტენციალის მქონე 6 ძირითად სფეროში: უფრო სუფთა წარმოების მონინავე ტექნოლოგიები; ძირითადი ხელსაყრელი ტექნოლოგიები; ბიოლოგიური პროდუქტები; მდგრადი სამრეწველო და სამშენებლო პოლიტიკა და ნედლეული; ეკოლოგიურად სუფთა სატრანსპორტო საშუალებები და გემთშენებლობა, ჭკვიანი ქსელები.</p>	<p>უკეთესი საბაზრო პირობების შექმნა, ფინანსებთან და კაპიტალთან ხელმისაწვდომობის გაზრდა, ადამიანურ კაპიტალისა და უნარ-ჩვევების, როგორც სამრეწველო კონკურენციის ხელშეწყობის საშუალებების განვითარება</p>
<p>2014 წლის კომუნიკე „ევროპის სამრეწველო რენესანსისთვის“</p>	<p>საინფორმაციო ქსელები, ენერჯია და ტრანსპორტი, ღია და ინტეგრირებული შიდა ბაზარი, ინვესტიციები ახალ ტექნოლოგიებში 2012 წლის კომუნიკეთი განსაზღვრულ ექვს სფეროში</p>	<p>უკეთესი საბაზრო პირობების შექმნა, ფინანსებთან და კაპიტალთან ხელმისაწვდომობის გაზრდა, ადამიანურ კაპიტალისა და უნარ-ჩვევების, როგორც სამრეწველო კონკურენციის ხელშეწყობის საშუალებების განვითარება, ევროკავშირის ფირმების ინტერნაციონალიზაცია</p>
<p>2016 წლის კომუნიკე „ევროპული მრეწველობის დიგიტალიზაცია – ციფრული ერთიანი ბაზრის სრული სარგებლის მიღება“</p>	<p>ციფრული ტრანსფორმაცია; ICT სტანდარტიზაცია, დიდი რაოდენობის მონაცემები</p>	<p>კერძო ინვესტიციების ნახალისება ინოვაციებში ყველა სამრეწველო სექტორში; ჰორიზონტი 2020 -ის ფრაგლებში ციფრული ინოვაციური ჰაბების დაფინანსება; უკეთესი მარეგულირებელი გარემოს შექმნა REFIT პროგრამის ფარგლებში</p>

<p>2017 წლის კომუნიკე „ინვესტირება ქვეყანა, ინოვაციურ და მდგრად მრეწველობაში“</p>	<p>ერთიანი ციფრული ბაზრის გაღრმავება, ვაჭრობა, მდგრადი მრეწველობა, სახელმწიფო შესყიდვები</p>	<p>ცალკეული სექტორის მხარდაჭერის უფრო ტრადიციული მეთოდების გამოყენება</p>
<p>2018 წლის კომუნიკე „ხელოვნური ინტელექტი ევროპისთვის“</p>	<p>ხელოვნური ინტელექტის სამრეწველო შესაძლებლობების ზრდისთვის გამოყენება და შესაბამისი სოციო-ეკონომიკური ცვლილებებისთვის მომზადება</p>	<p>ინვესტიციები, მონაცემებზე გაზრდილი წვდომა, კოორდინაცია ნევრ ქვეყნებს შორის, სათანადო ეთიკური და სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება</p>

წყარო: ევროკავშირის ოფიციალური ვებ გვერდი EUR-LEX <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/>

2020 წელს ევროკავშირმა ახალი სამრეწველო სტრატეგია შეიმუშავა, რომელიც მიზნად ისახავს მწვანე და ციფრულ ეკონომიკაზე გადასვლას, ამავდროულად, ევროკავშირის მრეწველობის გლობალური კონკურენტუნარიანობის გაზრდას და ევროპის სტრატეგიული ავტონომიის გაძლიერებას. 2021 წელს კოვიდ პანდემიის შედეგებიდან გამომდინარე, მის მიზნებში ცვლილებები შევიდა, რათა სამრეწველო სტრატეგიას სრულად გაეთვალისწინებინა უფრო მდგრადი, სიცოცხლისუნარიანი, მწვანე და გლობალურად კონკურენტუნარიანი ეკონომიკის მისაღწევად საჭირო ღონისძიებები. კერძოდ, ის ითვალისწინებს:

- ერთიანი ბაზრის მედეგობის გაძლიერებას;
- ევროპის ღია სტრატეგიული ავტონომიის გაძლიერებას;
- ბიზნესის მხარდაჭერას ერთდროულად მწვანე და ციფრული მიმართულებებით ორმაგი გარდაქმნისთვის (twin transition);

ღია ეკონომიკური კავშირები ვაჭრობისა და ინვესტიციების გზით კვლავ პრიორიტეტული მიმართულებაა ევროკავშირისთვის, თუმცა მთელ რიგ სფეროებში, რომლებიც ევროპის ინტერესებისთვის სტრატეგიულადაა მიჩნეული, მაღალია დამოკიდებულება უცხოურ მიწოდების წყაროებზე.

ერთ-ერთი ამგვარი კატეგორია არის ნედლეული, რომელზეც არა მხოლოდ ევროკავშირის მრეწველობაა დაფუძნებულია, არამედ მასზეა დამოკიდებული მწვანე შეთანხებისა და ციფრული ტრანსფორმაციის უზრუნველყოფაც. ევროკავშირის სამრეწველო სექტორი ნედლეულზე ნვდომისათვის გლობალურ კონკურენციაში ექცევა. ზოგიერთი კრიტიკულად მნიშვნელოვანი ნედლეულის მიწოდება კონკრეტულ ქვეყნებშია კონცენტრირებული (ჩინეთი, თურქეთი, სამხრეთი აფრიკა) და მოთხოვნის ზრდის პირობებში, მათი მიწოდება გარკვეულ საექსპორტო შეზღუდვებსაც ექვემდებარება (European Commission, 2024). ახალი სამრეწველო სტრატეგია კონკრეტულ სექტორებზეა ფოკუსირებული. ასეთებია ფარმაცევტული პროდუქტები, ლითიუმის ელემენტები წარმოება, ნახევარგამტარების წარმოება და ქლაუდ სისტემები.

ფარმაცევტული პროდუქტების მიწოდების ჯაჭვი საკმაოდ კომპლექსურია. ის ჯანმრთელობის ეკოსისტემის ნაწილია და, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირს ამ სფეროში საკუთარი მძლავრი სანარმოო შესაძლებლობები აქვს, ის მნიშვნელოვანწილად შეიძლება იყოს დამოკიდებული სხვა ქვეყნების სანარმოო შესაძლებლობებზე, უცხოურ პროცესებსა და შუალედურ პროდუქტებზე. ამიტომ საჭიროა დადგინდეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის თვალსაზრისით ის კრიტიკულად მნიშვნელოვანი პროდუქტები, სადაც ევროკავშირს საკმარისად ძლიერი სანარმოო შესაძლებლობები არ გააჩნია.

ლითიუმის ელემენტების, ნყალბადის, ნახევარგამტარებისა წარმოებასა და ქლაუდ სისტემების განვითარებაზე დიდად არის დამოკიდებული როგორც 2050 წლისთვის მწვანე შეთანხმებებით გათვალისწინებული კლიმატის მიმართ ნეიტრალურობის მიზნის მიღწევა, ისე ციფრული ტრანსფორმაცია. ევროპის ციფრულ სივრცეებსა და ქლაუდ სისტემებში თანაინვესტირება განხორციელდება 2021-2027 წლებში „ციფრული ევროპა“ (Digital Europe), ევროპის დამაკავშირებელი ინსტრუმენტი 2 (Connecting Europe Facility 2) და ჰორიზონტი ევროპა (Horizon Europe) პროგრამების დახმარებით.


რაც შეეხება ვერტიკალურ მიდგომას სამრეწველო პოლიტიკაში, ის უმთავრესად დამოკიდებულია სახელმწიფოს მხარდაჭერაზე კონკრეტული სექტორებისათვის. სახელმწიფოების მიერ გაცემული დახმარების სამართლებრივი საფუძველი არის ევროკავშირის სადამფუძნებლო ხელშეკრულების მუხლი 107. მის მიხედვით, დახმარება, რომელიც მიზნად ისახავს საერთო ევროპული მნიშვნელობის პროექტების



დანერგვას ან გამიზნულია ნეერი ქვეყნის ეკონომიკის სერიოზული პრობლემების აღმოსაფხვრელად, ევროპის ერთიანი ბაზარის პრინციპებთან თავსებადად განიხილება.

2022 წელს ევროკავშირში გაცემული მთლიანი სახელმწიფო დახმარება 228 მლრდ ევროს შეადგენდა, რაც მსპ-ს 1.43% იყო. მიზნობრივი მიმართულებების მიხედვით, საერთო ევროპული მნიშვნელობის პროექტებზე, ექსპორტისა და ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერაზე, სამეცნიერო კვლევებსა და ინოვაციებზე, სექტორულ განვითარებასა და მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერაზე 2022 წელს 27.4 მლრდ ევრო დაიხარჯა, რაც ევროკავშირის მსპ-ს 0.17% უტოლდება. ამ დანახარჯების განაწილება ნეერი ქვეყნების მიხედვით ასეთია:

**დიაგრამა 3.1.**  
**ევროკავშირის ქვეყნებში გაცემული სახელმწიფო დახმარება, 2022 (მლრდ ევრო)**



**წყარო: European Commission. Scoreboard State Aid Data. <https://competition-policy.ec.europa.eu/state-aid/scoreboard/scoreboard-state-aid-data-en>**

დიაგრამაზე დაჯგუფებულია ახალი და თავდაპირველი ნეერი ქვეყნები. თვალსაჩინოა, რომ თავდაპირველ ნეერ ქვეყნებში სახელმწიფო მხარდაჭერა ბევრად აღემატება ახალი ნეერების მიერ გაცემულ თანხებს. დაფინანსება მიემართება უშუალოდ იმ საწარმოებისკენ, რომელთა საქმიანობა ორმაგი გარდაქმნის (twin transition) პრიორიტეტებს შეესაბამება. მაგალითად, 2023 წელს ევროკომისიამ დაამტკიცა

1.5 მლრდ ევროს ღირებულების სახელმწიფო დახმარება საფრანგეთში კომპანია ProLogium-სთვის, რომელიც ელექტროავტომობილებისთვის ახალი თაობის ელემენტების წარმოებას ავითარებს მყარი ელექტროლიტების საფუძველზე. კიდევ ერთმა კომპანიამ, Verkor-მა, მიიღო 650 მლნ ევროს ოდენობის დახმარება, სამეცნიერო კვლევითი პროექტისთვის, რომელიც, ასევე, ელექტრომანქანების ელემენტებს ეხება (European Commission, 2023).

## **სამრეწველო სექტორი ევროკავშირისა და ნევროვის კანდიდატი ქვეყნების ეკონომიკების სტრუქტურაში**

ეკონომიკური განვითარების პროცესში მიმდინარეობს სტრუქტურული ტრანსფორმაცია, რაც, ტრადიციულად, მთლიან გამოშვებაში სოფლის მეურნეობის კლებადი, მრეწველობის თავდაპირველად მზარდი, ხოლო მოგვიანებით კლებადი და მომსახურების მზარდი წილით ხასიათდება. ევროკავშირის სოფლის მეურნეობის და მრეწველობის წილები მის მსპ-ში საშუალოდ, 1.7% და 23.7%-ია, ხოლო მთლიან დასაქმებაში, შესაბამისად, 4% და 25%-ს შეადგენს. ქვემოთ (იხ ცხრილი 3.2) მოცემულია ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნებისა და კანდიდატი ქვეყნების ეკონომიკების სტრუქტურული მახასიათებლები 2023 წელს.

კანდიდატი ქვეყნები ევროკავშირის წევრი ქვეყნებისგან განსხვავებულ სტრუქტურული ტრანსფორმაციის ეტაპზე იმყოფებიან, კერძოდ, სოფლის მეურნეობიდან სამრეწველო სექტორებში სამუშაო ძალის გადანაცვლების უფრო ნელი ტემპით ხასიათდებიან (Jamagidze, 2023). მონაცემები მოწმობს, რომ ეს ტემპი განსაკუთრებით დაბალია მოლდოვაში, საქართველოსა და ალბანეთში. მრეწველობაში დასაქმებულთა წილით ევროკავშირის ქვეყნებთან ახლოს დგანან ბოსნია, ჩრ. მაკედონია, თურქეთი და სერბეთი.

ახალ წევრ ქვეყნებში მრეწველობა გაცილებით მნიშვნელოვანია მათსავე მსპ-ში წილის მიხედვით, ხოლო მთლიანად ევროკავშირის სამრეწველო გამოშვებაში თავდაპირველი წევრი ქვეყნები ლიდერობენ, როგორც ეს მე-3.2 დიაგრამაზეა ნაჩვენები.

ამავდროულად, ახალ წევრი ქვეყნების მიერ მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულების წილი სტაბილურად მზარდია (დიაგრამა 3.3).


**ცხრილი 3.2**  
**ქვეყნების ეკონომიკის სტრუქტურული მახასიათებლები, 2023**

ქვეყანა	სოფლის მეურნეობის წილი % მსპ	მრეწველობის წილი % მსპ	მომსახურების წილი % მსპ	სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია წილი %	მრეწველობაში დასაქმებულია წილი %
ბულგარეთი	3.0	25.4	59.3	6	30
ჩეხეთი	1.6	30.2	59.8	3	36
ხორვატია	3.0	18.8	61.2	6	28
კვიპროსი	1.6	12.2	74.0	2	17
ესტონეთი	2.2	22.2	63.8	3	29
უნგრეთი	4.7	24.3	57.6	4	31
ლატვია	4.2	20.9	63.1	7	24
ლიეტუვა	3.0	24.1	63.1	5	26
პოლონეთი	2.9	28.7	58.8	8	31
რუმინეთი	3.9	27.6	59.8	18	33
სლოვაკეთი	2.0	32.7	56.5	3	36
სლოვენია	1.9	29.1	57.8	4	30
ალბანეთი	18.3	21.2	48.0	35	21
ბოსნია და ჰერცეგოვინა	5.4	23.3	56.4	17	33
თურქეთი	6.2	28.3	54.0	17	28
მოლდოვა	7.6	17.4	61.1	55	13
მონტენეგრო	6.9	11.9	62.4	7	18
ჩრ. მაკედონია	7.0	21.4	58.2	10	30
სერბეთი	5.2	26.4	51.2	14	29
საქართველო	7.3	19.0	61.7	40	14
უკრაინა	7.4	18.8	61.3	15	24

წყარო: World Development Indicators. World Bank


### დიაგრამა 3.2 ევროკავშირის მრეწველობის ათი მთავარი კონტრიბუტორი ქვეყანა

ევროკავშირის მრეწველობის მთავარი კონტრიბუტორები, 2014-2023  
დამატებული ღირებულების წილის მიხედვით, %



წყარო: ავტორის გაანგარიშებები Eurostat-ის მონაცემების მიხედვით

### დიაგრამა 3.3 ახალი წვერი ქვეყნების მრეწველობის წილი ევროკავშირის 27 ქვეყნის მიმართ



წყარო: ავტორის გაანგარიშებები Eurostat-ის მონაცემების მიხედვით

2008-2009 წლების ეკონომიკური კრიზისის შემდეგ ევროკავშირის მრეწველობის ზრდის ტემპი უარყოფითი იყო, დადებით ზრდას ის მხოლოდ 2014 წლიდან დაუბრუნდა, რაც 2019 წლამდე გაგრძელდა. შემდეგ სამრეწველო ზრდა და სამრეწველო გამოშვება ევროკავშირში ისევ შემცირდა, რასაც კოვიდ პანდემიით გამოწვეული კრიზისი მოჰყვა და ეს სამრეწველო გამოშვების უარყოფითი ზრდით გამოვლინდა. პანდემიის შემდგომი გამოცოცხლების პირობებში უკვე მაღალი ზრდის ტემპი დაფიქსირდა (9.1% ევროკავშირში, ხოლო 8.9% ევროს ზონაში). ბელგიას, ლიეტუვასა და ირლანდიას 15%-ზე მეტი ზრდა ჰქონდათ 2022 წელს. ასევე, მაღალი იყო ზრდის ტემპი ბულგარეთსა (12.8%) და პოლონეთში (11%) (Eurostat, 2024).

მრეწველობის დარგებს შორის, რომელიც NACE ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკატორის მიხედვით, აერთიანებს სამთომომპოვებელ (B), გადამამუშავებელ (C), ელექტროენერჯის, გაზის და კონდიციონერების სერვისს (D), წყლის და სადრენაჟე სისტემას, ნარჩენების მართვასა და გარემოზე ზრუნვის (E) ქვედარგებს, გადამამუშავებელი მრეწველობა მთლიან დამატებულ ღირებულებაში მისი წილის მიხედვით უდიდესია და, საშუალოდ, მთლიანი მრეწველობის 80%-ს შეადგენს. რაც შეეხება მის წილს მსკ-ში, Eurostat-ის მონაცემების მიხედვით, განხილული ათწლიანი პერიოდის მანძილზე ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2016 წელს, 15.4% დაფიქსირდა. ის იკლებდა 2016-2020 წლებში, შემცირდა 14.7%-მდე, ხოლო 2021 წლიდან კვლავ იყო ზრდა და 2023 წელს 15%-ს მიაღწია (Eurostat, 2025).

ცალკეული ქვეყნის მონაცემები მოწმობს, რომ გადამამუშავებელი მრეწველობის დამატებული ღირებულების წილი მსკ-ში განსაკუთრებით მაღალია ირლანდიაში, სადაც 2022 წელს ის 38%-ს შეადგენდა. შემდეგ მოდიან ჩეხეთი (21%), სლოვაკეთი (20%) და სლოვენია (19.9%). გერმანიას უჭირავს 18%-იანი წილი. ასევე, მაღალია პოლონეთისა და უნგრეთის მაჩვენებელი, შესაბამისად, 17.5% და 17.2%.

გადამამუშავებელი მრეწველობის წვლილი ახალი წევრი ქვეყნების ეკონომიკებში EU 27-ის მაჩვენებელზე მაღალია. ეს შეიძლება აიხსნას მათი ამჟამინდელი სტრუქტურული ტრანსფორმაციის სტადიით, ასევე, მათი სამრეწველო წარმოების ისტორიული გამოცდილებითა და სამუშაო ძალის ბაზრის უპირატესობებით (დაბალი დანახარჯები, კვალიფიკაცია და სხვა). რაც შეეხება კანდიდატ ქვეყნებს, თურქეთი არის სათავეში 22%-იანი წილით, რომელიც 2014 წლის შედგომ უმჯობესდე-

ბოდა და გაზრდილია 5%-ით. მას მოჰყვებიან ბოსნია, ჩრდილოეთ მაკედონია, და სერბეთი, შესაბამისად, 14-14% და 13%-იანი წილებით. უკრაინის წილი მნიშვნელოვნად შემცირდა ომის გავლენით და 2022 წელს 7%-ს გაუტოლდა. საქართველოსა და მოლდოვას მსპ-ში გადამამუშავებელი მრეწველობის წილი, შესაბამისად, 10% და 9%-ია, ხოლო ბოლო ადგილებს ალბანეთი (7%) და მონეტენეგრო (5%) იკავებენ.

გადამამუშავებელი მრეწველობის სტრუქტურის ანალიზი ცხადყოფს, რომ საშუალო და მაღალტექნოლოგიური წარმოების დამატებული ღირებულების წილით კანდიდატ ქვეყნებს შორის თურქეთი (34%) და ჩრ. მაკედონია (33%) ლიდერობენ. საქართველოში ეს მაჩვენებელი 14%-ია, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ალბანეთს (6%) აქვს. თვალსაჩინოა არსებული განსხვავებები, რადგან ევროკავშირის თავდაპირველ 15 წევრ ქვეყანაში ის, საშუალოდ, 45%-ს უტოლდება, ხოლო ახალ წევრ ქვეყნებში 37%-ს შედაგენს.

რესურსების გადანაწილების ეფექტიანობაზე, სამრეწველო სექტორის ტექნოლოგიურ უპირატესობასა და კონკურენტუნარიანობაზე შესაძლებელია შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებლებით ვიმსჯელოთ. მრეწველობის ერთ მუშაკზე დამატებული ღირებულება 2015 წლის დოლარით გამოსახული, ევროკავშირში 68 566 დოლარს შეადგენს, კანდიდატ ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თურქეთს აქვს (35 523 დოლარი), ხოლო ყველაზე დაბალი – უკრაინას (4800 დოლარი, 2021 წლის მონაცემებით). საქართველოში ის 18 153 დოლარს უტოლდება და 2010 წლიდან ხასიათდება მზარდი ტენდენციით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს ზრდა არასაკმარისია, რადგან ევროკავშირთან არსებული სხვაობა არ შემცირებულა (მცირედით გაიზარდა კიდეც).

სამრეწველო სექტორების ფუნქციონირების შედარებითი ეფექტიანობის შესაფასებლად განვიხილავთ გადამამუშავებელი მრეწველობის ექსპორტის დინამიკას უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებსა და კანდიდატ ქვეყნებში. ახალ წევრ ქვეყნები შერჩეული არიან იმ მოსაზრებით, რომ მათ სტრუქტურული ტრანსფორმაციისა და საბაზრო რეფორმების უფრო გვიანდელი გამოცდილება აქვთ, რასაც ამჟამად გადიან კანდიდატი ქვეყნები. საზომად გამოვიყენებთ პანელის ინდექსის მნიშვნელობებს, რომლის ასაგებად ვიხელმძღვანელებთ (Karagoz, 2015) მიერ შემოთავაზებული მეთოდით. გვაქვს ათწლიანი პერიოდი 2014-დან 2023 წლის ჩათვლით ( $t = 1, 2, \dots, T$ ) და 20 ქვეყნის გადამამუშავებელი სამრეწველო საქონლის ექსპორტის

ღირებულების პანელური მონაცემები ( $i=1,2,\dots,N$ ). განსაზღვრულია კუმულაციური ექსპორტი როგორც წლების, ისე ქვეყნების მიხედვით. მის საფუძველზე გამოვთვალეთ ექსპორტის მოსალოდნელი მნიშვნელობები თითოეული ქვეყნისთვის, ყოველ მოცემულ წელს:

$$E_{it} = (EX_i * EX_j) / EX \quad (1)$$

სადაც  $EX$  არის მთლიანი კუმულაციური ექსპორტი.

პანელის ინდექსის მნიშვნელობები გამოთვლილია, როგორც:

$$P_{ij} = EX_{ij} / E_{ij} * 100 \quad (2)$$

### ცხრილი 3.3

#### გადამამუშავებელი მრეწველობის საქონლის ექსპორტის პანელის ინდექსის მნიშვნელობები, 2014-2023

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
ბულგარეთი	90.46	92.63	97.68	99.50	98.53	99.11	100.28	102.71	108.08	103.86
ჩეხეთი	100.90	102.28	103.16	103.00	102.34	101.67	100.17	94.85	96.52	98.90
ხორვატია	87.81	96.90	101.79	103.98	99.42	100.02	100.12	100.17	100.77	105.52
კვიპროსი	143.86	165.16	120.04	87.70	105.69	90.53	91.05	85.60	87.62	63.36
ესტონეთი	106.69	95.09	99.57	94.81	104.29	100.22	104.78	109.85	98.83	87.28
უნგრეთი	100.44	103.08	105.29	103.18	100.64	100.92	100.50	95.21	95.17	99.89
ლატვია	95.57	96.54	95.48	98.01	100.41	95.60	103.80	105.52	104.41	100.05
ლიეტუვა	102.75	92.47	92.07	98.91	97.70	99.37	105.49	106.61	106.28	94.31
პოლონეთი	92.06	95.02	95.40	96.92	97.40	99.13	103.70	105.02	103.72	104.87
რუმინეთი	100.99	100.79	104.07	104.20	106.90	103.20	97.78	94.71	95.30	96.70
სლოვაკეთი	107.20	106.57	106.68	101.80	102.27	98.70	98.03	94.57	92.89	98.51
სლოვენია	86.63	86.96	87.67	90.87	92.49	95.26	100.05	102.61	116.98	121.24
ალბანეთი	77.80	115.88	143.50	123.64	115.64	120.18	124.55	111.84	105.82	0.00
ბოსნია და ჰერცეგოვინა	89.66	89.23	90.86	100.26	101.73	99.10	96.75	104.53	110.08	106.66
თურქეთი	102.63	102.32	98.47	97.76	96.77	98.56	94.30	101.28	106.10	100.27
მოლდოვა	94.28	89.65	87.90	100.09	113.15	126.65	108.77	79.15	95.62	103.36
მონტენეგრო	68.75	93.94	92.25	105.21	105.60	110.15	106.63	89.85	111.33	106.89
ჩრ. მაკედონია	83.94	88.33	90.38	94.79	104.87	109.26	103.71	104.42	105.70	103.85
საქართველო	125.34	87.34	63.94	89.95	99.89	101.15	72.78	97.76	127.55	115.18
უკრაინა	165.52	119.75	104.26	108.01	109.84	105.21	101.47	121.38	61.38	41.20

ცხრილში 3.3 წარმოდგენილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ სამრეწველო ექსპორტში გამორჩეულად მაღალი ფუნქციონირების მაჩვენებელი აქვს სლოვენიას (121.24), კანდიდატ ქვეყნებს შორის საქართველოს პოზიციები სუსტად გამოიყურებოდა 2015-2021 წლებში, ხოლო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ის სამრეწველო ექსპორტის გაუმჯობესების ტენდენციას ავლენს.

განხილულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეროკავშირის სამრეწველო სტრატეგია სამრეწველო სექტორს და მისი ცალკეული ქვედარგის განვითარებას საერთაშორისო შედარებით კონტექსტში, მსოფლიო ბაზრისა და მსოფლიო ეკონომიკის ტენდენციების გათვალისწინებით განიხილავს და, შესაბამისად, ეროკავშირის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას ემსახურება, მეორე მხრივ, კი მისი მიზანია ეროკავშირის შიგნით კონვერგენციისა და ინტეგრაციის ხელშეწყობა. ამ სტრატეგიის განხორციელება ახალ გამოწვევებს აყენებს კანდიდატი ქვეყნების წინაშეც, რომლებიც ეროკავშირთან დაახლოებით განეწვერიანებას ესწრაფვიან.

კანდიდატ ქვეყნებში სტრუქტურული ტრანსფორმაციის ტემპი შედარებით ნელა მიმდინარეობს, ამიტომ მათ ეკონომიკებში, წევრ ქვეყნებთან შედარებით, ჯერ კიდევ დაბალია სამრეწველო სექტორის წილი. კანდიდატი ქვეყნები, ასევე, ჩამორჩებიან სამრეწველო შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებლებით.

ახალი წევრი ქვეყნებისა და კანდიდატი ქვეყნების გადამამუშავებელი მრეწველობის ექსპორტის პანელის ინდექსის მაჩვენებლების მიხედვით, გამორჩეულად მაღალი ფუნქციონირების მაჩვენებელი აქვს სლოვენიას. კანდიდატ ქვეყნებს შორის საქართველოს პოზიციები სუსტად გამოიყურებოდა 2015-2021 წლებში, ხოლო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ის გაუმჯობესების ტენდენციას ავლენს. მაგრამ ეროკავშირის ქვეყნებთან შედარებით, საქართველოს მრეწველობის წილი მსკ-ს სტრუქტურასა და დასაქმებაში კვლავ დაბალია, ასევე, დაბალია საშუალო და მაღალტექნოლოგიური სამრეწველო ექსპორტის მაჩვენებლები.

ამდენად, კანდიდატ ქვეყნებს დაახლოებისთვის სტრუქტურული რეფორმების გაგრძელება საჭიროებათ. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ ეროკავშირის ძალისხმევა არ დაშორდეს მსოფლიოს მოწინავე ტექნოლოგიურ საზღვარს, დამატებით გამოწვევებს წარმოშობს მათ წინაშე, რომ შეძლონ ამ მიღწევებთან ადაპტაცია, ათვისება და გამოყენება სამრეწველო დარგებში.



## თავი 4.

### მწვანე ენერჯეტიკის განვითარების ევროპული გამოსვლილება და საქართველოს პარტნიორობა

საქართველოში განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარების რეკომენდაციების შემუშავების მიზნით საჭიროა გაანალიზდეს ევროპის წამყვანი ქვეყნების პრაქტიკა განახლებადი ენერჯის წყაროების სფეროში. ამ თავში ნაჩვენებია ამ ინდუსტრიის მხარდაჭერის ორი ძირითადი მექანიზმი. გაანალიზებულია საქართველოში სუფთა ენერჯის სტიმულირების ღონისძიებების განხორციელების მნიშვნელობა და მოცემულია რეკომენდაციები მათი გაუმჯობესებისთვის.

ენერჯეტიკა ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების და სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი მთავარი დეტერმინანტია. ამიტომ, რომ რუსეთ-უკრაინის ომმა, საყოველთაო ეკონომიკური და ენერჯეტიკული ომებიც გამოიწვია. ენერჯეტიკას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს უკლებლივ ეკონომიკის ყველა დარგზე და სექტორზე. ენერჯეტიკა მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი მიზანია.

მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ენერჯეტიკული პრობლემების წინაშე დგას. ეს პრობლემები ყველა ქვეყანაში განსხვავებულია. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს დაბალი ელექტრიფიკაციით, დაძვეებული ელექტროსადგურებით, წიაღისეული საწვავზე მაღალი დამოკიდებულებით, საწვავის მარაგების ამონურვით და ა.შ. ახალი ელექტროსადგურების შერჩევისა და დაფინანსებისას, ყველა ქვეყანამ უნდა გაუმკლავდეს მრავალ კონფლიქტურ გამოწვევას; ეს არის ის, რასაც შეიძლება “ენერჯეტიკულ ტრილემა” უწოდოთ. ენერჯეტიკული ტრილემა გამოიყენება იმის ხაზგასასმელად, რომ ენერჯის თითოეული სახეობა უნდა შეირჩეს სამი მნიშვნელოვანი ფაქტორის შეფასებით: ენერჯეტიკული უსაფრთხოება, ენერჯეტიკული თანასწორობა და გარემოს მდგრადობა. ამ უკანასკნელზე განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს სათბურის გაზების ემისია და გარემოს დაბინძურება.

2019 წლის 21 დეკემბერს, ევროკომისიის მიერ მიღებული იქნა ევროპის მწვანე შეთანხმება (იგივე: ევროპული მწვანე კურსი, the European Green Deal). ეს არის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს, რომ 2050 წელს მივალნიოთ ნულოვან სათბურის გაზების ემისიას და ნულოვან გარე-

მოს დაბინძურებას, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, წიაღისეული სა-  
წვავიდან განახლებად ენერჯის წყაროებზე და ნედლეულზე გადას-  
ვლის გზით. 2050 წ. გეგმის მიზანია გლობალური დათბობისა და გარე-  
მოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა.

მწვანე ენერჯია არის ენერჯის ნებისმიერი ტიპი, რომელიც წარმო-  
იქმნება ბუნებრივი რესურსებიდან, როგორცაა მზის შუქი, ქარი ან  
წყალი. ის ხშირად მოდის განახლებადი ენერჯის წყაროებიდან, თუმცა  
არსებობს გარკვეული განსხვავებები განახლებად და მწვანე ენერჯიას  
შორის. ამ ენერგეტიკული რესურსების გასაღები არის ის, რომ ისინი  
არ აზიანებენ გარემოს ისეთი ფაქტორებით, როგორცაა სათბურის  
გაზების ატმოსფეროში გამოყოფა.

ევროპული მწვანე შეთანხმება ის გეგმაა, რომელიც ევროკავშირის  
ეკონომიკას მდგრადს გახდის. ამის განხორციელება შესაძლებელია  
კლიმატისა და გარემოსდაცვითი გამოწვევების შესაძლებლობად გა-  
დაქცევისა და ამ გარდამავალი ეტაპის სამართლიანობისა და ინკლუ-  
ზიურობის პრინციპებზე დაყრდნობით ჩატარების გზით.

ევროკავშირი მიზნად ისახავს, რომ 2050 წლისთვის გახდეს კლი-  
მატნიეიტრალური. ამ მიზნის მიღწევა საჭიროებს შესაბამის ქმედებებს  
ეკონომიკის ყველა სექტორის მხრიდან, მათ შორის არის: ინვესტირება  
ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებში;

ინდუსტრიის მხარდაჭერა ინოვაციების წახალისების მიზნით;  
კერძო და საზოგადოებრივი ტრანსპორტის უფრო სუფთა, იაფი და ჯა-  
ნსალი ფორმების დანერგვა

ენერგეტიკის სექტორის დეკარბონიზაცია; შენობების მეტი ენე-  
რგოეფექტურობის უზრუნველყოფა; საერთაშორისო პარტნიორებ-  
თან მუშაობა გლობალური გარემოსდაცვითი სტანდარტების გაუმ-  
ჯობესების მიზნით (European Commission, 2024). მწვანე ენერგეტიკის  
განვითარების ევროპული გამოცდილების გაზიარება, საქართველოს  
ფასეულ პერსპექტივას უჩენს. მწვანე ეკონომიკა მოითხოვს, შესაბა-  
მის სექტორში ეკონომიკურ ზრდას, ბუნებრივ რესურსებსა და გარე-  
მოზე ზემოქმედებას შორის არსებული დამოკიდებულებების მოშლას  
(decoupling). ქვეყნის ინდუსტრიულმა პოლიტიკამ უნდა წახალისოს  
რესურსების ნაკლები მოხმარება და/ან გარემოზე უარყოფითი ზე-  
მოქმედების შემცირება. მაგალითად, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში  
ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯიების განვითარების  
შედეგად, სრულიად უნდა მოიშალოს დამოკიდებულება CO2 ემისიებსა

და მშპ-ს შორის. ენერგო- და რესურს-ეფექტურობა სრულიადაც არ ნიშნავს ნაკლები ენერჯის მოხმარებას ან ნაკლები რესურსის ათვისებას. ორივე წარმოების ეფექტიანობის და პროდუქციის ზრდას უწყობს ხელს. მწვანე ეკონომიკას გააჩნია გარკვეული პოტენციური ქვეყნებში მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, რაც პოზიტიურად აისახება გარემოსა და სოციალურზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის, მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის პრედექტერმინირებული ხედვა, რომ მხოლოდ ლიბერალიზაციამ და ბაზარმა შეიძლება მიგვიყვანოს დაბალემისიურ განვითარებამდე, ხელს უშლის ამ პოტენციალის ნაწილობრივ გამოყენებასაც კი (Knight, 2017).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში – გაერო) გენერალურმა ასამბლემ 2015 წლის 25 სექტემბერს მიიღო A/RES/70/1 რეზოლუცია – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი ოგანვითარებისთვის“, რომლის განუყოფელი ნაწილია მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა“. მიზანი 7 არის: ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერჯის საყოველთაო ხელმისაწვდომობა. აქ, საქართველოს თავისი წონადი წვლილის შეტანა შეუძლია. განახლებადი და მწვანე არის ის ენერჯია, რომელსაც მინიმალური ეკოლოგიური ზიანი მოაქვს. ენერჯის გენერირება ხდება ისეთი წყაროებიდან, რომელსაც ბუნებისთვის მინიმალური ეკოლოგიური ზიანი მოაქვს. პირველ რიგში, განახლებადი ნიშნავს იმას, რომ ეს არ არის ამონჭრადი და საბედნიეროდ, ჩვენ ქვეყანას განახლებადი ენერჯის საკმაოდ დიდი პოტენციური გააჩნია. ეს პირველ რიგში, არის ჰიდრორესურსი, ქარი ან მზე. ასევე, განახლებადი ენერჯის უპირატესობა არის ის, რომ საკმაოდ ხელმისაწვდომია, იმიტომ, რომ რესურსია, რომელსაც ბუნება გვაძლევს უფასოდ და ამის სწორი და გონივრული გამოყენების შედეგად, შესაძლებელი იქნება, რომ მოსახლეობას უწყვეტ რეჟიმში მივანოდოთ (საქართველოს მთავრობა, 2019).

მსოფლიოს მსგავსად, ევროკავშირიც დაუცველია კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგებისგან. მეცხრამეტე საუკუნესთან შედარებით, უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, ევროპის საშუალო ტემპერატურა 2.2 გრადუსით მაღალი დაფიქსირდა. გლობალური დათბობით გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფები, არა მხოლოდ ინფრასტრუქტურასა და სამუშაო ადგილებს ანადგურებენ, არამედ ადამიანის სიცოცხლესაც საფრთხეს უქმნიან. ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს (EEA) 2020 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, ბოლო

40 წლის განმავლობაში ევროკავშირის 27 ქვეყანამ ბუნებრივი კატასტროფების გამო 420 მილიარდი ევროს ოდენობის ზარალი განიცადა. იმავე მიზეზებმა 1980-2019 წლებს შორის ევროკავშირის 85 000 მოქალაქის სიკვდილი გამოიწვია. თუმცა, ევროკავშირის მოქალაქეებს ყოველწლიურად 400 000 უდროო გარდაცვალებით ჰაერის დაბინძურება ემუქრებათ (OECD, 2016).

ევროპის მწვანე შეთანხმების პოლიტიკის ძირითადი ასპექტები 2019 წლის დეკემბერში დაანონსდა. მიღებული იქნა ევროპის მწვანე შეთანხმება. ეს დოკუმენტი ევროკავშირის კლიმატპოლიტიკის რეფორმირებისაკენ მიმართულ პოლიტიკურ ინიციატივათა პაკეტს წარმოადგენს. ევროპის მწვანე შეთანხმების ძირითად ამოცანას ეკონომიკის პლანეტასთან ჰარმონიზება და ჩვენს მიერ ხალხისთვის სასარგებლოდ წარმოება-მოხმარების წესის დარეგულირება წარმოადგენს. ევროპის მწვანე შეთანხმება ორივე ამოცანას აერთიანებს, როგორცაა ნახშირორთქანგის ნაკლებად გამომწვევებულ ინდუსტრიულ დარგებზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდის მიღწევა და წარმოუდგენელი ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ზარალის თავიდან აცილება, რაც უმოქმედობის შემთხვევაში გარდაუვლად იჩენდა თავს. აღნიშნულის მიღწევა ორმოცდაათზე მეტ ევროპულ კანონში ცვლილებასა და შემდეგი რვა საჯარო პოლიტიკის გადაფასებას საჭიროებს: სუფთა ენერჯია, მდგრადი მრეწველობა, მშენებლობა და განახლება, მდგრადი სოფლის მეურნეობა, მდგრადი მობილობა, ბიომრავალფეროვნება, დაბინძურების ელიმინაცია და მდგრადი დაფინანსება. ხსენებულ ინიციატივათა ძირითად მიზანს სათბურის გაზების 1990 წელთან შედარებით 55 პროცენტით შემცირება, ხოლო 2050 წლისთვის კლიმატ-ნეტრალიტეტის მიღწევა წარმოადგენს (AIEE, 2019). „სუფთა ენერჯის“ პოლიტიკის მიზანს განახლებადი ენერჯის წყაროებზე დაფუძნებული ენერგოსექტორის განვითარების მეშვეობით ევროკავშირის ენერგოსისტემის დეკარბონიზაციის მიღწევა წარმოადგენს. აღნიშნული, ევროკავშირის ენერგონარმოებისა და მოხმარების სექტორის მიერ სათბურის გაზების 75 პროცენტის გაფრქვევის ფონზე, მნიშვნელოვანია (European Commission, 2019). მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის საექსპერტო ანგარიშის მიხედვით (World Economic Forum, 2017), კლიმატის ცვალებადობა ერთ-ერთია იმ ხუთი ძირითადი ტენდენციიდან, რომელიც საფრთხეს უქმნის როგორც ეროვნული ეკონომიკებს ცალ-ცალკე, ასევე მთლიანად მსოფლიო ეკონომიკას.

2016 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა მდგრადი განვითარების მიზნები, რომელიც მოიცავს 2030 წლამდე პერიოდს და პარიზის კლიმატის შეთანხმება, რომელიც მოქმედებს 2020 წლიდან. ეს ინიციატივები გლობალური ენერგეტიკული სექტორის ტრანსფორმაციული პროცესების მნიშვნელოვან წარმმართველ ფაქტორებს წარმოადგენს. გასათვალისწინებელია ის ფაქტი რომ, კლიმატის ანთროპოგენული ცვლილებით გამოწვეული ობიექტური გლობალური რისკების არსებობის გარდა, საერთაშორისო კლიმატის ხელშეკრულებების უკან დგანან დაინტერესებული მხარეები, რომლებიც ზემოქმედებენ გარკვეულ ეკოლოგიურ რეგულაციებზე, ფოკუსირებენ რისკებზე, თავიანთი კომერციული ინტერესების დასაცავად და პროდუქციის საერთაშორისო ბაზრებზე გასატანად. ეროვნული და საერთაშორისო ეკოლოგიური ნორმების რეგულაციების მთავარი ობიექტია ენერგეტიკული სექტორი, ვინაიდან ნახშირორჟანგის ემისია ენერჯის წარმოებისა და მოხმარებიდან შეადგენს გლობალური სათბურის გაზების ემისიების 60%-ს (OECD, 2016).

ენერგოეფექტურობა, განახლებადი ენერჯის განვითარება, სუფთა ტექნოლოგიების გამოყენება ნიაღვრული საწვავის წვისას და ნახშირის წილის შემცირება ქვეყნების ენერგეტიკულ ბალანსში არის კლიმატის საერთაშორისო დღის წესრიგის მთავარი აქცენტი ეკონომიკის ყველაზე დამაბინძურებელ სექტორთან მიმართებაში. გლობალური ენერგეტიკის 2040 წლამდე განვითარების შესახებ საერთაშორისო ენერგეტიკის სააგენტოს უახლესი პროგნოზის მიხედვით, გლობალურ ენერგეტიკულ სექტორში ატმოსფეროში მავნე ემისიების შემცირებისკენ მიმართული ტრანსფორმაციული პროცესები მნიშვნელოვანწილად მოიმატებს. გლობალური ენერგეტიკის სექტორის ოთხი სამომავლო ფართომასშტაბიანი ცვლილებიდან (ბუნებრივი გაზის მნიშვნელობის ზრდა, განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარება და ენერგოეფექტიანობის ზრდა, ასევე ჩინეთის გადასვლა ეკოლოგიურად სუფთა ენერგეტიკულ ბალანსზე), ორი სწორედ რომ ეკოლოგიურ ასპექტს ეხება. 2040 წლისთვის ენერჯის გლობალური მოთხოვნილების 30%-ით ზრდის კვალბაზე, განახლებადი ენერჯის წყაროები სავარაუდოდ მოთხოვნის ზრდის 40%-ით დაკმაყოფილებას შეძლებენ; მათზე მოვა ინვესტიციების წილის ორი მესამედი ელექტროსადგურებში, ყველაზე დიდი საშუალო წლიური ზრდა (160 გვატი 2017-2040 წლებში, 128 გიგავატი საშუალო წლიურ ზრდასთან შედარებით 2000 წლიდან 2016

ნლამდე) და ელექტროენერჯის მთლიანი წარმოების 40%. განახლებადი ენერჯის წყაროების ექსპერტები პროგნოზირებენ ქვანახშირის ელექტროსადგურების ახალი სიმძლავრის ამოქმედებას 2017 წლიდან 2040 წლამდე 400 გვტ ოდენობით, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია 2000 წლიდან 2016 წლამდე პერიოდში 900 გვტ მოცულობის ზრდაზე (IEA, 2017).

ევროპული გამოცდილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყნების უმეტესობისთვის სუფთა ენერჯის განვითარების სტიმულირების მიზნები საკმაოდ მსგავსია, ქვეყნები ისწრაფვიან:

- ენერგომომარაგების უსაფრთხოების უზრუნველყოფა (იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება, ენერჯის წყაროების დივერსიფიკაცია);
- გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება;
- ინოვაციების სტიმულირება და snარმოების შესაძლებლობების გაფართოება (ექსპორტის პოტენციალის გაზრდა, ახალი კომპეტენციების გაჩენა და კონკურენტუნარიანობის გაზრდა);
- რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება (სამუშაო ადგილების და წარმოების შექმნით).

ამ მიზნების მისაღწევად ქვეყნები ავითარებენ სტრატეგიებს, რომლებიც უნდა იყოს არა მხოლოდ ეფექტური, არამედ ეკონომიურიც. განახლებადი ენერჯის წყაროების მხარდასაჭერად ყველაზე ხშირად გამოყენებული მექანიზმებია მწვანე ტარიფი (feed-in tariff) და მოთხოვნები განახლებადი ენერჯის პორტფელისადმი (renewable portfolio standard). პირველი გულისხმობს კომპენსაციის გადახდას ალტერნატიული წყაროებიდან ელექტროენერჯის მწარმოებელთათვის. მიმწოდებლებს გარანტირებული აქვთ წვდომა ერთიან ენერჯოსისტემაზე, ხოლო ბაზრის სტაბილურობისა და საინვესტიციო მიმზიდველობის უზრუნველყოფა მიიღწევა გრძელვადიანი კონტრაქტების გაფორმებით. მოთხოვნა ჩნდება იმის გამო, რომ სახელმწიფო ავალდებულებს ენერჯის გაყიდვის კომპანიებს იყიდონ ელექტროენერჯია განახლებადი ენერჯის წყაროების საფუძველზე ენერჯის მწარმოებლებისგან. მწვანე ტარიფის განმასხვავებელი მახასიათებელია ფიქსირებული ფასი, რომელიც დამოკიდებულია გამოყენებული ტექნოლოგიის სახეობაზე. ზოგიერთ ქვეყანაში გათვალისწინებულია ტარიფის თანდათანობითი შემცირება, ვინაიდან ტექნოლოგიის გრძელვადიანი გამოყენებით ხარჯები ჩვეულებრივ მცირდება (Lipp, 2007).

განახლებადი ენერჯის პორტფელის მოთხოვნები ენერჯის გაყიდვის კომპანიებს ავალდებულებს შეიძინონ ალტერნატიული წყაროებიდან წარმოებული ელექტროენერჯის გარკვეული მოცულობა (კვოტა). მწვანე ტარიფთან შედარებით განსხვავება არის ის, რომ მარეგულირებელი არის კვოტა, ხოლო ელექტროენერჯის ფასს და წყაროს (ტექნოლოგიების) არჩევანს განსაზღვრავს ბაზარი. კვოტის შეუსრულებლობა იწვევს ჯარიმას. ხშირად მექანიზმი ითვალისწინებს კვოტებით ვაჭრობის შესაძლებლობას.

თითოეულ მექანიზმს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაზეც მათი კრიტიკოსები მიუთითებენ. კერძოდ, მწვანე ტარიფისა და განახლებადი ენერჯის წყაროების პორტფელის უპირატესობები და უარყოფითი მხარეები [ 31 ].

#### **მწვანე ტარიფის უპირატესობები:**

- არსებობს დიფერენციაცია განახლებადი ენერჯის წყაროების ტექნოლოგიებში, რომლებიც იმყოფება განვითარების სხვადასხვა დონეზე და განსხვავდებიან ელექტროენერჯის წარმოების დანახარჯებით;

- ფასების სხვაობა ქმნის სტიმულს სხვადასხვა გეოგრაფიულ ადგილებში განახლებადი ენერჯის წარმოების განვითარებისათვის;

- ვინაიდან ფასი გარანტირებულია, მხარდაჭერის ეს მეთოდი საშუალებას აძლევს არატრადიციული ენერჯის მწარმოებლებს (მაგ. შინამეურნეობებს) შევიდნენ ბაზარზე;

- საშუალო და გრძელვადიან პერიოდში წინასწარ განსაზღვრული ფასი ქმნის ნდობას, რომელიც საჭიროა ინვესტიციების მოზიდვისა და დარგის ზრდისთვის.

#### **განახლებადი ენერჯის წყაროების პორტფელის უპირატესობები:**

- ბაზრის მიერ განსაზღვრული ფასი ხელს უწყობს კონკურენციას, რის შედეგადაც შემუშავდება და გამოიყენება ხდება უფრო ეკონომიური ტექნოლოგიები.

#### **მწვანე ტარიფის ნაკლოვანებები:**

- სიძვირე: მომხმარებლებისა და გადასახადის გადამხდელებზე გადაჭარბებული ზენოლა (ტვირთი);

- ფიქსირებული ფასები ხელს უშლის კონკურენციას, რის შედეგადაც სუფთა ენერჯია არ იწარმოება ყველაზე დაბალ ფასად;

- ხელისუფლების გადაჭარბებული ჩარევა ენერგეტიკულ ბაზარზე.

### **განახლებადი ენერჯის წყაროების პორტფელის ნაკლოვანებები:**

- ტერიტორიული განაწილება: ყველაზე დაბალი დანახარჯების კრიტერიუმები ხშირად იწვევს იმ ფაქტს, რომ განვითარება ხდება კონცენტრირებულ ზონებში;

- ბაზრის დიდი მონაწილეების მხრიდან მაღალი კონკურენცია ხელს უშლის განახლებადი ენერჯის წყაროების გენერაციას მცირე მოთამაშეების მიერ.

მწვანე ტარიფის შემოღების მონინალმდეგეები თვლიან, რომ ის ზედმეტ ტვირთად აწვება მომხმარებლებს და გადასახადის გადამხდელებს, ვინაიდან ფიქსირებული ფასი აფერხებს კონკურენციას (Komor, 2004). თუმცა, 2007 წელს ჩატარებულმა კვლევამ, რომელმაც შეისწავლა გერმანიის, დანიისა და დიდი ბრიტანეთის გამოცდილება, აჩვენა, რომ პრაქტიკაში, განახლებადი ენერჯის წყაროების პორტფელის მოთხოვნა შეიძლება სახელმწიფოს უფრო ძვირი დაუჯდეს, ვიდრე მწვანე ტარიფი (Lipp, 2007)

გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში - ევროპის წამყვან ქვეყნებში განახლებადი ენერჯის წყაროების წარმოების მხრივ, განახლებადი ენერჯის წყაროების აქტიური მხარდაჭერა ხორციელდება. დაგროვილია მნიშვნელოვანი გამოცდილება.

გერმანიამ ენერგეტიკის კვლევისა და განვითარების მხარდაჭერა დაიწყო 1970-იანი წლების შუა ხანებში. ნავთობის კრიზისიდან გამომდინარე (იმ დროს მხარდაჭერის ობიექტი იყო არაგანახლებადი ენერჯის წყაროები). 1980-იანი წლების ბოლოს, გაცნობიერებული იქნა განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარების პერსპექტივები და მიღებულ იქნა პროგრამები ქარისა და მზის ენერჯის ხელშეწყობისთვის, მოხდა სუბსიდირება განახლებადი ენერჯის მწარმოებელ სუბიექტებში. გადადგმული ნაბიჯები ეფექტური აღმოჩნდა: თუ 1989 წელს ქარის ენერჯით მიღებული სიმძლავრე 20 მეგავატი იყო, 1995 წელს უკვე 1000 მეგავატი გახდა (Grotz, 2005).

გერმანიის წარმატება სუფთა ენერჯის განვითარების სტიმულირების ღონისძიებების განხორციელებაში განისაზღვრება რიგი ფაქტორებით, კერძოდ:

- მწვანე ტარიფის არჩევა, მისი კვალიფიციური შემუშავება და არსებული პრობლემების გადასაჭრელად კორექტივების დროული განხორციელება;

- დამატებითი ღონისძიებების გატარება (სუბსიდიები, შეღავა-



თიანი დაკრედიტების პროგრამები, ელექტროენერჯის მოხმარებაზე გადასახადის შემოღება, წიაღისეულ სანვაზე, ნახშირის გარდა, გადასახადის გაზრდა, სასწავლო პროგრამები);

- ინსტიტუციური მექანიზმები: განახლებადი ენერჯის საკითხები გადავიდა გარემოს დაცვისა და ბირთვული უსაფრთხოების სამინისტროს იურისდიქციაში;

- სამუშაო ადგილების და ახალი სანარმოების შექმნა (Lipp, 2007).

ზოგიერთი მკვლევარი ბოლო ფაქტორს უმთავრესად მიიჩნევს, რადგან სწორედ დადებითმა სოციალურ-ეკონომიკურმა შედეგებმა განაპირობა ის, რომ წამახალისებელი ღონისძიებები ტარდებოდა მმართველ პარტიების ცვლილებების დროსაც.

ამავდროულად, ტარიფის ფუნქციონირებისას გაჩნდა მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც საჭიროებდა გადანყვეტას, კერძოდ:

- ხარჯის ტვირთის არათანაბარი განაწილება, რადგან განახლებადი ენერჯის წყაროები განვითარდა მხოლოდ ქვეყნის გარკვეულ ნაწილებში;

- ვინაიდან მწარმოებლებისთვის გადახდის განაკვეთი მიბმული იყო ელექტროენერჯის ფასებთან, ბაზრის ლიბერალიზაციის შედეგად ფასები დაცემისას, მწარმოებლებს შეუმცირდათ შემოსავლები;

- ადგილი ჰქონდა გარკვეულ შეშფოთებას პროექტის განვითარების მხარდასაჭერად საჭირო დაფინანსების ოდენობთან დაკავშირებით;

- ენერგოკომპანიებს არ გაუთვალისწინებიათ სუფთა ენერჯის წარმოების ფასი.

დიდ ბრიტანეთში, განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარების სტიმულირება დაიწყო მხოლოდ 1990-იანი წლების დასაწყისში. მხარდაჭერის მექანიზმი იყო კონკურენტული ტენდერის სისტემა (ჩატარდა 1990-1998 წლებში), რის შედეგადაც ტექნოლოგიებმა, რომლებიც აკმაყოფილებდნენ შერჩევის კრიტერიუმებს, მიიღეს საფასო პრემია. ამ პერიოდის განმავლობაში, გამოვლენილი ხარვეზების გამო, ტენდერის წესები და ფასები რამდენჯერმე შეიცვალა. უპირველეს ყოვლისა, ტენდერის პირველ რაუნდში არასაკმარისი კონკურენციისა და მაღალსიჩქარიანი ქარის უბნებზე დიდი მოთხოვნის გამო, რამაც შედეგად მოიტანა ტექნოლოგიების არასაკმარისი მრავალფეროვნება.

2002 წელს დიდ ბრიტანეთში განახლებადი ენერჯის წყაროების ხელშეწყობის პოლიტიკაში განხორციელდა კარდინალური ცვლილე-

ბები. ენერჯის გაყიდვის კომპანიებს ევალეზოდან განახლებადი ენერჯის შესყიდვა და მიწოდება ქსელში კვოტების მიხედვით, რაც ყოველწლიურად იზრდებოდა. კვოტის დაუცველობის შემთხვევაში კომპანიას დაეკისრებოდა ჯარიმა, ხოლო კვოტის შესრულება ფინანსურად ნახალისდებოდა.

თუმცა, კვოტის ინსტრუმენტის გამოყენებამ არ გამოიწვია ელექტროენერჯის წარმოების მთლიან მოცულობაში განახლებადი ენერჯის წყაროების წილის მიზნობრივი ინდიკატორების მიღწევა, განვითარდა მხოლოდ გარკვეული მიმართულებები. ეს აიხსნება შემდეგი მიზეზებით:

- გამოყენებული მექანიზმის მიხედვით ინვესტორებს არ ჰქონდათ გარანტირებული ფასი;
- მარეგულირებელი ცვლილებების სიხშირე;
- დომინანტური საბაზრო იდეოლოგია, რომლის ფარგლებშიც შეირჩა მხარდაჭერის მექანიზმი (Lipp, 2007).

შედეგად, დიდ ბრიტანეთში განახლებადი ენერჯია განვითარდა უფრო ნელი ტემპით გერმანიასთან შედარებით; აღმოჩნდა, რომ განახლებადი ენერჯის პორტფელის მოთხოვნები უფრო ძვირი იყო ბრიტანეთისთვის, ვიდრე გერმანიისთვის მწვანე ტარიფი.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ კლიმატის ცვლილება თანამედროვეობის მნიშვნელოვანი გლობალური პრობლემაა. მისი გადაჭრა მსოფლიო თანამეგობრობის ერთობლივი ძალისხმევით არის შესაძლებელი. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია რეფორმების გატარება, კლიმატის ეფექტიანი კანონის მიღება. ევროკავშირის დახმარებას ასეთი ნამონყებების განხორციელებაში, მისი გამოცდილების გაზიარებას გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. 2023 წლის 14 დეკემბერს საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიენიჭა. კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ადის საქართველოს ევროკავშირის სტრატეგიულ პროექტებში მონაწილეობის და პარტნიორობთან თანამშრომლობს შესაძლებლობები, რაც კიდევ უფრო დააჩქარებს საქართველოს ევროკავშირში გაერთიანებას. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვან პროექტს მიეკუთვნება შეთანხმება „მწვანე ენერჯის განვითარებისა და გადაცემის სფეროში სტრატეგიული პარტნიორობის თაობაზე“ [ 16–23 ].

აღნიშნული შეთანხმების მიზანია სამხრეთ კავკასიის ევროკავშირთან დაკავშირება. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ევროკავში-

რთან ეკონომიკური, მათ შორის ენერგეტიკული ინტეგრაცია და ქვეყნის მდიდარი ჰიდრორესურსების ეფექტიანი გამოყენება, ევროკავშირის ბაზარზე ელექტროენერჯის გატანა, ენერჯის განახლებადი წყაროების პროექტების შემუშავება-განვითარება. ამისათვის მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ზომის სადგურების მშენებლობა, ენერგეტიკის სექტორის სტაბილურობის ამაღლება. საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შავი ზღვის წყალქვეშა ელექტრო და ციფრული გადაცემის კაბელების პროექტებს. მისი განხორციელება აამაღლებს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებას და გარემოს მდგრადობას. ჰიდროენერჯის განვითარებასთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია მზისა და ქარის რესურსების გამოყენება, რაშიც საქართველოს აღნიშნულ დიდი პოტენციალი აქვს. მის გამოვლენა სათანადო კვლევას მოითხოვს, რომლის გადანაცვება კერძო და საჯარო სექტორების ეფექტიანი თანამშრომლობით არის შესაძლებელი. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში გაიზარდოს ელექტროენერჯის გამომუშავება ჰიდრო, მზის, ქარის, და მწვანე წყალბადის წყაროების პორტფელის გამოყენებით.

## თავი 5.

### ევროპის ენერგეტიკული დეკარბონიზაციის გამოცდილების როლი საქართველოსთვის

დროთა განმავლობაში, ენერგეტიკის სექტორში კლიმატური ცვლილებების გამომწვევი ფაქტორების შემცირება და დეკარბონიზაცია გახდა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი. კლიმატ-ნეიტრალურობის მიღწევა გულისხმობს არა მხოლოდ არსებული ნახშირბადოვანი ემისიების მაქსიმალურად შემცირებას, არამედ ეკონომიკის ყველა სექტორის გარდაქმნას ისეთი მიმართულებით, რომ ის მდგრადი გახდეს გარემოსთვის.

აქტუალურია საქართველოს შესაძლებლობებისა და გამოწვევების ანალიზი ენერგეტიკის დეკარბონიზაციის პროცესში, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ეკონომიკის გლობალიზაცია აქტიურად მიმდინარეობს და კლიმატური ცვლილებები საერთაშორისო თანამშრომლობის უპირველეს თემად გვევლინება. კლიმატ-ნეიტრალურობის მისაღწევად საქართველო, ისევე როგორც სხვა ქვეყნები, ვალდებულია მიმართოს შესაბამის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ ინოვაციებს, რათა შეამციროს გარემოზე მავნე ზემოქმედება და უზრუნველყოს ენერგეტიკის მდგრადი განვითარება. ამ მიზნით სტატია აანალიზებს ევროკავშირის მიერ გატარებულ ზომებს. ნაჩვენებია ამ ზომების გატარების მექანიზმები და ინსტრუმენტები. კლიმატ-ნეიტრალურ ეკონომიკაზე გადასვლა დაკავშირებულია მაღალ დანახარჯებთან, რის გამოც ზოგი ქვეყნისთვის შესაძლოა არ იყოს ეკონომიკურად ხელსაყრელი. ასეთი ქვეყნები ცდილობენ ეკონომიკის ეკოლოგიზაციის პროცესისთვის გვერდის ავლით საქმიანობას, რის გამოც საჭირო ხდება შემაკავებელი ინსტრუმენტების გამოყენება. სტატიში, ეთიკურ და ეკონომიკურ ძრილში გაანალიზებულია ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესის გავლენა როგორც ეკოსისტემაზე, ასევე კაცობრიობაზე.

წარმოდგენილი კვლევის საგანია ენერგეტიკის დეკარბონიზაციის გამომწვევების და საქართველოს შესაძლებლობების, ეკონომიკის გლობალიზაციის კვალდაკვალ კლიმატ-ნეიტრალურობის მიღწევის გზების შესწავლა. განხილულია საქართველოს კლიმატის ცვლილების საკანო-

ნმდებლო ჩარჩო და მის საფუძველზე კლიმატ-ნეიტრალურობის მიღწევის ერთიანი საკანონმდებლო სისტემის შექმნის აუცილებლობა. ხაზგასმულია გლობალური ენერგეტიკული ბაზრის ფორმირების დაჩქარების აუცილებლობა და მასთან საქართველოს ინტეგრაციის საკითხის საჭიროება. ინტეგრაციის გზაზე ერთ-ერთ გადადგომულ ნაბიჯად მიჩნეულია „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ ამოქმედება. გამოკვეთილია ქართული ენერგეტიკის დეკარბონიზაციისთვის საჭირო სტრუქტურული ცვლილებებისთვის სამიზნე სექტორები. დასაბუთებულია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისა და განვითარების, ძლიერი საკანონმდებლო და საფინანსო-ეკონომიკური ბაზის აუცილებლობის საკითხი. დადგენილია ევროკავშირის ენერგეტიკასთან ქართული ენერგეტიკის ინტეგრაციის მნიშვნელობა და შემუშავებულია რეკომენდაციები ამ მიზნის განსახორციელებლად.

საქართველოს ენერგეტიკის დეკარბონიზაცია ქვეყნის ეკონომიკური და ეკოლოგიური მდგრადობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. საკითხის ანალიზი გვიჩვენებს, რომ გლობალური კლიმატური მიზნების მიღწევისთვის საქართველოს სჭირდება კომპლექსური სტრატეგია, რომელიც მოიცავს როგორც სამართლებრივ, ისე ტექნოლოგიურ და სოციალურ ინიციატივებს. მხოლოდ საერთაშორისო თანამშრომლობის და ეროვნული მიდგომების სინთეზით შეიძლება ქვეყანამ წარმატებით გადაჭრას დეკარბონიზაციის გამოწვევები და უზრუნველყოს მდგრადი ენერგეტიკული განვითარება.

თანამედროვე ეპოქას ანთროპოცენის ეპოქა შეიძლება ეწოდოს. ანთროპოცენი გეოქრონოლოგიური არაფორმალური ტერმინია და იგი აღნიშნავს გარემოზე ადამიანის ბატონობის ეპოქას, რომელიც დაახლოებით ორი მილიონი წლის წინ დაიწყო და კვლავაც გრძელდება. დედამიწის სისტემის მიმართ ადამიანთა ზემოქმედებამ შეიძლება არაპროგნოზირებად და სავალალო შედეგებამდე მიიყვანოს კაცობრიობა. დედამიწისეული რესურსები ამოუწურავი არ არის და მას სიფრთხილით და გონიერებით გამოყენება სჭირდება.

დღევანდელი რეალობა ხასიათდება სწრაფი ტემპებით განვითარებადი ტექნოლოგიური პროცესებით. გამოგონებებმა და სამეცნიერო მიღწევებმა შედეგად მოიტანა წარმოების მექანიზაცია და ინდუსტრიალიზაცია. ციფრული ტექნოლოგიების წყალობით მოისპო ადამიანებს შორის ტერიტორიული სიშორით გამოწვეული ბარიერები, ინფორმა-

ციული ნაკადების ზრდას მოჰყვა ძლიერი მიგრაციული პროცესები, შედეგად კი სამუშაო ძალის საჭიროების მიხედვით გადანაწილება. ამ ყველაფერმა საბოლოოდ მოიტანა მსოფლიო ეკონომიკის სწრაფად განვითარებადი გლობალიზაცია.

ერთმნიშვნელოვნად მტკიცება იმისა, გლობალიზაცია კაცობრიობისთვის ზიანის მომტანი მეტად არის თუ სარგებლის, ძნელია. დასკვნა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი კუთხით განვიხილავთ პრობლემას. ერთი მხრივ, გლობალიზაცია საზიანოა, ვინაიდან იგი სერიოზულად აზიანებს გარემოს, ხოლო თუ სუფთა ეკონომიკური თვალსაზრისით შევხედავთ, გლობალიზაციას ქვეყნების ეკონომიკური ზრდა მოჰყვება, რაც მის დადებით გავლენაზე მეტყველებს. ეკონომიკური ზრდა, თავის მხრივ, წარმოების მეტად გაფართოებას და შედეგად ბუნებრივი რესურსების მეტი ინტენსივობით მოხმარებას გულისხმობს, რაც ცხადია, ასახვას ჰპოვებს გარემოზე.

ეკოსისტემაზე ეკონომიკური ზრდის გავლენას თვალსაჩინოდ ასახავს პრინსტონის უნივერსიტეტის ეკონომისტების, ჯინ გროსმანისა და ალან კრუგერის მიერ კვლევების შედეგად მოწოდებული „გარემოს დაცვის კუზნეცის მრუდი.“ მრუდის მიხედვით, ეკონომიკური ზრდის საწყის ეტაპზე იზრდება გარემოსადმი მიყენებული ზიანი, ვინაიდან განვითარებული ქვეყნები ორიენტირებულნი არიან მხოლოდ ეკონომიკურ მოგებაზე და მწირი ფინანსური რესურსების გამო „თავს ვერ აძლევენ გარემოზე ზრუნვის ფუფუნებას.“ მრუდის მიხედვით ეკონომიკის შემდგომ ზრდასთან ერთად გარემოსთვის მიყენებული ზიანი მცირდება, ვინაიდან გაზრდილი ფინანსები გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების საშუალებას იძლევა, ასევე, ეკონომიკურ ზრდასთან ერთად იმატებს ინტელექტუალური რესურსებიც, რაც ინოვაციური, კლიმატ-ნეიტრალური ტექნოლოგიების დანერგვის საფუძველი ხდება.

ნაშრომში ფართოდ გაანალიზებულია ევროკავშირის მიდგომები კლიმატ-ნეიტრალურობისკენ სვლის მიმართულებით. ევროკავშირმა შეიმუშავა კომპლექსური პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ენერგეტიკის ტრანსფორმაციას, ნახშირბადის გადასახადების დანესებას, მწვანე ტექნოლოგიების დანერგვას და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობას. აღნიშნული ზომები მიმართულია როგორც გლობალური კლიმატური ცვლილებების შეჩერებისკენ, ასევე მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშესაწყობად.

ევროკავშირის მიდგომებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფინანსური და საკანონმდებლო მექანიზმების ეფექტურად გამოყენებას. მიუხედავად ამისა, კლიმატ-ნეიტრალური ეკონომიკაზე გადასვლა დაკავშირებულია მაღალ ხარჯებთან, რაც ზოგიერთისთვის ბარიერად იქცევა. ამ კონტექსტში, ზოგიერთი ქვეყანა თავს არიდებს ენერგეტიკული სექტორის ეკოლოგიზაციის პროცესს და საჭირო ხდება ისეთი საერთაშორისო ინსტრუმენტების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ თანაბარი პასუხისმგებლობის აღებას.

აქედან გამომდინარე, ნაშრომი ხაზს უსვამს ეკონომიკის გლობალიზაციის გავლენას კლიმატზე და ეკოსისტემაზე. გლობალიზაციის პროცესმა მნიშვნელოვნად დააჩქარა ინდუსტრიალიზაცია და ტექნოლოგიური განვითარება, თუმცა ამ პროცესმა ასევე გამოიწვია ბუნებრივი რესურსების გადაჭარბებული მოხმარება და ეკოლოგიური დაბალანსებულობის დარღვევა. საქართველოს შემთხვევაში, ეს პროცესი განსაკუთრებით აშკარაა ენერგეტიკის სფეროში, სადაც გლობალურ ბაზრებზე ინტეგრაციის მცდელობა მოითხოვს ახალ მიდგომებს როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ დონეზე.

ამასთან, ნაშრომი განიხილავს საქართველოს კლიმატის ცვლილებების სამართლებრივ ჩარჩოს და აღნიშნავს, რომ ქვეყნის არსებული საკანონმდებლო ბაზა ჯერ კიდევ არ არის სრულად მზად კლიმატ-ნეიტრალურობის მისაღწევად. საქართველოსთვის აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო სისტემის შექმნა, რომელიც გაითვალისწინებს ქვეყნის სპეციფიკას და მხარს დაუჭერს კლიმატურ მიზნებს. ერთიანი საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს გარემოს დაცვის მექანიზმების გაძლიერებას და ევროკავშირის შესაბამის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

გლობალური ენერგეტიკული ბაზრის ფორმირებასა და ამ პროცესში საქართველოს მონაწილეობას ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა. გლობალიზაციის პირობებში, ენერგეტიკის სექტორის საერთაშორისო ინტეგრაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეკონომიკური სტაბილურობისთვის, არამედ ტექნოლოგიური ინოვაციების ხელშეწყობისთვის. „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ ამოქმედება აღიარებულია როგორც გადამწყვეტი ნაბიჯი, რომელიც ქვეყანას საშუალებას აძლევს უფრო ეფექტიანად ჩაერთოს საერთაშორისო ენერგეტიკულ პროცესებში.

ამ ნაშრომის მეთოდოლოგიური მიდგომა ემყარება კომპლექსური

და მრავალმხრივი კვლევითი ინსტრუმენტების გამოყენებას, რომლებიც მიზნად ისახავს ენერგეტიკის დეკარბონიზაციის გამონვევების, გლობალიზაციის გავლენის და საქართველოს შესაძლებლობების დეტალურ ანალიზს. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა როგორც თეორიული, ისე ემპირიული მეთოდები, რაც უზრუნველყოფს ნაშრომის სიღრმისეულობასა და საფუძვლიანობას. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები:

### **1) ლიტერატურის მიმოხილვა.**

კვლევის პირველ ეტაპზე ჩატარდა სამეცნიერო ლიტერატურის, ევროკავშირის დოკუმენტების, საქართველოს კანონმდებლობის, კლიმატური პოლიტიკის საერთაშორისო პრაქტიკების და დეკარბონიზაციის სტრატეგიების მიმოხილვა. ამ პროცესმა გაანალიზა:

- კლიმატ-ნეიტრალურობის მიღწევის თეორიული ასპექტები,
- დეკარბონიზაციის პოლიტიკის საკვანძო ინსტრუმენტები,
- გლობალიზაციის გავლენა ენერგეტიკასა და ეკოსისტემებზე.

### **2) დოკუმენტური ანალიზი.**

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროკავშირის კლიმატურ პოლიტიკას და შესაბამის ინსტრუმენტებს. ანალიზის ფარგლებში შეფასდა:

- ევროკავშირის „მწვანე შეთანხმება“ (European Green Deal),
- საქართველოს ენერგეტიკის სექტორში არსებული საკანონმდებლო ბაზა,
- ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებები კლიმატური შეთანხმებების შესაბამისად.

### **3) შედარებითი ანალიზი.**

შედარებითი ანალიზი განხორციელდა ევროკავშირის და საქართველოს ენერგეტიკის სექტორში მოქმედი საკანონმდებლო და ფინანსური მექანიზმების შედარების გზით. ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს შევადაროთ საქართველოს მზაობა და სუსტი მხარეები ევროკავშირის სტანდარტებთან მიმართებაში.

### **4) რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევა.**

- მონაცემთა ანალიზი: გამოყენებულ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგ., IEA, IRENA) და ადგილობრივი მონაცემების ანალიზი საქართველოს ენერგეტიკული სექტორის ემისიების შესახებ.

### **5) შემთხვევების ანალიზი (Case Study Method).**

კვლევა იყენებს კონკრეტული მაგალითების ანალიზს, როგორცაა:



- ◆ „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ ამოქმედება,
- ◆ ევროკავშირის ენერგეტიკულ პოლიტიკაში წარმატებული ქვეყნების პრაქტიკა.

**6) რეკომენდაციების შემუშავების მიდგომა.**

კვლევის შედეგების საფუძველზე განხორციელდა სამოქმედო რეკომენდაციების ფორმირება. ეს პროცესი ეფუძნებოდა:

- საკვანძო მონაცემების ანალიზს,
- საერთაშორისო და ადგილობრივ საუკეთესო პრაქტიკას,
- მოდელირების მეთოდებს, რომლებიც წარადგენს საქართველოსთვის ოპტიმალურ განვითარების გზებს კლიმატ-ნეიტრალურობისკენ.

**მეთოდოლოგიური შეზღუდვები:**

აღსანიშნავია, რომ კვლევის პროცესში დაისვა რამდენიმე შეზღუდვა:

1. საქართველოს ენერგეტიკის სექტორის მონაცემთა სიმცირე და არასრულყოფილება, რაც ართულებდა სრულფასოვან რაოდენობრივ ანალიზს.
2. გლობალურ ენერგეტიკულ ბაზრებზე მიმდინარე პროცესების დინამიური ცვლილებები, რაც მოითხოვს კვლევის შედეგების პერიოდულ განახლებას.

ამ მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებამ შესაძლებელი გახადა ენერგეტიკის დეკარბონიზაციის გამოწვევების მრავალმხრივი შეფასება, მათი სტრუქტურული ანალიზი და საქართველოსთვის საჭირო ქმედითი სტრატეგიების შემუშავება.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან კაცობიობამ ბრძოლა დაიწყო ეკოლოგიური პრობლემების მოსაგვარებლად, გააცნობიერა რა, მის წინაშე მდგარი, მისივე წინდაუხედავი, მომხმარებლური დამოკიდებულებით გამოწვეული ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროება.

ევროკავშირის ქვეყნებმა დაიწყეს ფიქრი კლიმატ-ნეიტრალური ეკონომიკის შექმნაზე. ევროკავშირის კლიმატის ცვლილების პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს 2030 წლისთვის CO<sub>2</sub>-ის ემისიების 55%-ით შემცირება 1990 წელთან შედარებით, ხოლო 2050 წლისთვის ნულამდე დაყვანა.

1994 წლის 21 მარტს ძალაში შევიდა გაეროს ჩარჩო-კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ, რომელსაც 197 ქვეყანასთან ერთად საქართველოც შეუერთდა. 2005 წლიდან მოქმედებს გაერთიანებული ერების

ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის (UNFCCC) ფარგლებში დადებული დამატებითი საერთაშორისო შეთანხმება - სათბურის აირების ემისიების შემცირების კიოტოს პროტოკოლი. ხოლო, 2016 წლიდან პარიზის კლიმატის შეთანხმება. მისი მიზანია საშუალო ტემპერატურის ზრდის 2 გრადუს ცელსიუსამდე შეზღუდვა და კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობისა და სათბურის აირების დაბალემისიანი ტექნოლოგიური პროცესების განვითარების უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

ყოველწლიურად ქვეყნდება გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ანგარიში, რომელიც ასახავს კლიმატზე ანთროპოგენური ზემოქმედების დინამიკას და ამასთან, გვანვდის ინფორმაციას ამ ზემოქმედების შესამცირებლად განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. კონვენცია მისი წევრი განვითარებული ქვეყნების მიმართ აყენებს მოთხოვნებს კლიმატ-ნეიტრალურობის მისაღწევად, ხოლო განვითარებადი ქვეყნებისკენ მიმართავს ფინანსურად მხარდასაჭერ ღონისძიებებს. ამ მიზნით შეიქმნა „გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი“ - გრანტებისა და სესხების სიტემა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებიდან, რომელიც 17 მიზანსა და 169 ინდიკატორს მოიცავს, ერთ-ერთი მიზანია ხელმისაწვდომი და სუფთა ენერჯია, რისი მიღწევაც ენერგეტიკის დეკარბონიზაციით არის შესაძლებელი. მდგრადი განვითარების სხვა მექანიზმებთან ერთად დეკარბონიზაციის ერთ-ერთ ბერკეტად ნახშირორჟანგის ემისიის ტარიფის დანერგვაც მოიაზრება. ტარიფი შეეხება იმ ქვეყნების საქონლის იმპორტს, რომლებიც კლიმატის ცვლილების პოლიტიკას არ ატარებენ, ან გარემოსდაცვითი კუთხით ნაკლებგანვითარებული კანონმდებლობა აქვთ. ტარიფის დაწესების მიზანია გლობალიზაციის შედეგად ეკონომიკის ეკოლოგიურად „მავნე“ სექტორების თავმოყრის შეფერხება კლიმატ-მეგობრული სახლმნიფო პოლიტიკის არმქონე ქვეყნებში. ევროკავშირში მსოფლიოსთვის პირველი ნახშირორჟანგის ტარიფის დანერგვა 2026 წლისთვის იგეგმება.

ენერგეტიკის, როგორც ეკონომიკის მსხვილი სექტორული რგოლის დეკარბონიზაციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება კლიმატ-ნეიტრალურობის მიღწევის გლობალურ საქმეში. ენერგეტიკული სისტემის დეკარბონიზაცია ორი გზით არის შესაძლებელი:

1. გარემოში ემისიებისა და ენერჯიის დანაკარგების შემცირებით;
2. ნიაღისეული ენერჯიის ნაცვლად ელექტროენერჯიის გენერირე-

ბით და მოხმარებით. ცხადია, ყველა სფეროსთვის ვერ იქნება ხელსაყრელი ელექტროენერჯიაზე გადასვლა, ამ შემთხვევაში ევროკავშირი რეკომენდაციას უწევს წყალბადის ენერჯის ან ბიოგაზის გამოყენებას.

ამრიგად, დეკარბონიზაციის მისაღწევად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ისეთი ტექნოლოგიური პროცესების განვითარების უზრუნველყოფის ხელშეწყობა, რომელნიც ხასიათდებიან სათბურის აირების დაბალი ემისიით. ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს მაღალ ტექნოლოგიურ და ინოვაციურ დონეს. ენერჯეტიკის ეკოლოგიზაციის პროცესის მოწინავე ქვეყნების კვლევის და საკანონმდებლო სფეროებში უაღრესად დიდი ადგილი უჭირავს ინოვაციებისა და ინკლუზიური განვითარების ურთიერთდამოკიდებულებას.


2002 წლიდან მოყოლებული აშშ იელისა და ჰარვარდის უნივერსიტეტები მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დახმარებით, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, კვლევითი ინსტიტუტებიდან, აკადემიებიდან და სამთავრობო უწყებებიდან აგროვებენ მონაცემებს და ორ წელიწადში ერთხელ გვანვდიან ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსს (Environmental Performance Index, EPI), რომელიც სხვადასხვა მონაცემებზე დაყრდნობით ახდენს ქვეყნების კლასიფიცირებას მათი მგდომარეობის მიხედვით მდგრადი განვითარების მხრივ, ეკოლოგიური სიჯანსაღისა და ეკოსისტემის სიცოცხლისუნარიანობის მხრივ. ინდექსი ეფუძნება 11 კატეგორიაში გაერთიანებულ 58 ეფექტიანობის ინდიკატორს. ინდექსში მოცემულია 180 ქვეყნის მონაცემები. ინდექსი საუკეთესო ინდიკატორია ეკონომიკის ეკოლოგიზაციისთვის ხელის შემშლელი ფაქტორებისა და პრობლემების გამოსაველენად, მათი გადაჭრის გზების საჩვენებლად.

2024 წლის მოწინავე ქვეყნების ათეული გამოიყურება ასე (იხ. დიაგრამა 5.1):

ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსის 2024 წლის მონაცემების მიხედვით საქართველო 47,3 ქულით 77-ე ადგილს იკავებს 180 ქვეყანას შორის, რაც 2022 წლის მონაცემებთან შედარებით დამაიმედებელია. 2022 წელს საქართველო 39,1 ქულით 103 ადგილს იკავებდა. 2024 წლის ინდექსის მონაცემების ინდიკატორების მაჩვენებლების მიხედვით, საქართველოს განსაკუთრებით სერიოზული სამუშაო აქვს სათბურის გაზების ემისიების რეგულირების კუთხით.

2023 წელს საქართველოს პარლამენტმა შეიმუშავა მწვანე წიგნი

**დიაგრამა 5.1. ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსი, 2024.**



**წყარო: Environmental Performance Index, 2024.**

კლიმატის კანონის შემუშავების ფარგლებში. ამ ეტაპზე ჯერ კიდევ არ არსებობს კლიმატ-ნეიტრალურობის მიღწევის ერთიანი საკანონმდებლო სისტემა. აღსანიშნავია, რომ კლიმატის ცვლილების საკანონმდებლო ჩარჩო შედგება ენერგეტიკის დეკარბონიზაციისთვის ისეთი მნიშვნელოვანი კანონებისგან, როგორცაა: საქართველოს კანონი განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების ნახალისების შესახებ; საქართველოს კანონი ენერგოეტიკეტირების შესახებ; საქართველოს კანონი ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ; საქართველოს კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ; საქართველოს კანონი შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ.


საქართველომ 2017 წელს ხელი მოაწერა ოქმს ენერგეტიკული გაერთიანება EnC-ს დამფუძნებელ ხელშეკრულებაზე მიერთების შესახებ. საქართველოს ენერგეტიკა რეგულირდება ქართული კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოებაზე ორიენტირებული სახელმწიფო პოლიტიკით, რომელსაც კურსი უჭირავს ჩვენი ქვეყნის სუფთა ენერჯის ვაჭრობის ცენტრად და სატრანზიტო ქვეყნად ჩამოყალიბებისაკენ, ენერგეტიკული ბაზრის განვითარებისკენ, განახლებადი ენერჯის რესურსების ათვისებისკენ, წყაროების დივერსიფიკაციისა და ენერგოეფექტურობის მისაღწევად ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებისკენ გარემოსდაცვითი ინტერესების გათვალისწინებით. 2022 წლის EnC-ის ანგარიშის მიხედვით „კლიმატის ნიშუპის“ დანერგვის პროცესი საქართველოს მიერ 68%-ით შესრულდა.

2010 წლიდან საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდისა

და 2015 წლიდან „საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის“ სამოქმედო გეგმის თანახმად საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ მიდის მიზნისკენ: საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით 2030 წლისთვის აირების ემისიების 35%-ით შემცირებისკენ, ხოლო 50-57%-ით შემცირებისკენ, საერთაშორისო მხარდაჭერის შემთხვევაში. ამისათვის მიმართავს ღონისძიებებს ენერგეტიკული დანაკარგების შემცირების, ენერჯის გადაცემის სრულყოფის, ელექტროსადგურების ეფექტიანობის ამაღლებისა და განახლებადი ენერჯიის წყაროების ათვისებასა და გამოყენებაზე დაფუძნებული ინდუსტრიის განვითარებისთვის.

გაეროს კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო კონვენცია მის წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს კლიმატის ცვლილების მთავრობათა-შორისი საბჭოს მეთოდოლოგიის მიხედვით სათბურის აირების ემისიების შესახებ ანგარიშების წარდგენას. საქართველოში 2017 წელს დაფიქსირდა ემისიების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ენერგეტიკულ სექტორში.


**დიაგრამა 5.2. ემისიები საქართველოში სექტორების მიხედვით 2017 წელს**



**წყარო: Consultation of the Environmental Protection and Natural Resources Committee of the Parliament of Georgia, 2023.**

სწორედ 2017 წლიდან მოქმედებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს პროექტი - “სა-სათბურე აირების გამოყოფის შემცირება საქართველოს სამრეწველო სექტორში გაუმჯობესებული ენერგოეფექტურობის საშუალებით”, რომელიც ინოვაციური მექანიზმების დანერგვით ქართული საწარმოების ენერგოეფექტურობის ამაღლებას ემსახურება. მნიშვნელოვან სამიზნე სეგმენტებს ქართული ენერგეტიკის დეკარბონიზაციისთვის წარმოადგენენ ტრანსპორტისა და შინამეურნეობების სექტორები, რადგან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ „საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკის“ 2023 წელს გამოქვეყნებული დოკუმენტის მიხედვით სწორედ ისინი არიან ენერგორესურსების ყველაზე დიდი მომხმარებელი სექტორები.

**დიაგრამა 5.3. ეკონომიკური სექტორების ენერგომომხმარების წილი 2021 წელს.**



**წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2024.**

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბოლო მონაცემების მიხედვით საბოლოო მოხმარების დიდი წილი ეკუთვნის ამონურვადი და არაეკოლოგიური ენერჯის სახეებს - ბუნებრივი გაზისა

და ნავთობპროდუქტების მოხმარებას. შესაბამისად, დგება საბოლოო მოხმარებაში მწვანე გენერაციის წილის გაზრდის საჭიროება. ამავე სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით 2021 წელს საქართველოში გენერირებული ელექტროენერგიის 75%-ის გამომუშავება მოხდა ჰიდროელექტროსადგურებიდან. საქართველოს ენერგეტიკული ბალანსის მიხედვით, ქვეყანაში არსებობს 90 ჰიდროელექტროსადგური, რომლებიც ყოველწლიურად გამოიმუშავებს დაახლოებით 8,248.2 გიგავატსაათ ელექტროენერგიას.

საქართველოს ენერგეტიკული სექტორის განვითარებისა და ბაზრის ახალი მოდელის ჩამოყალიბების ხელშეწყობის, მდგრადი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბების მიზნით, 2024 წლის 1 ივლისისთვის დაიგეგმა „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ ამოქმედება. ეს ინსტიტუტი შეძლებს ბაზრის ახალი მოთამაშეების მოზიდვას, ხოლო უკვე არსებულთათვის კონკურენტული და სამართლიანი სავაჭრო გარემოს უზრუნველყოფას. ამის მიღწევა შესაძლებელია ორგანიზებული, გამჭვირვალე და ეფექტიანი ბაზრის შექმნის გზით და სწორი საფასო პოლიტიკის გატარებით. ბაზარს ჯერ-ჯერობით 17 მონაწილე ჰყავს, ვინაიდან ფირმები ჯერ კიდევ მოვლენების შესწავლის და დაკვირვების პროცესში არიან.

საქართველოს ენერგეტიკული სექტორი მიმზიდველი გახდა ინვესტორებისთვის, მას შემდეგ, რაც ქვეყანამ გონივრული პოლიტიკით მიაღწია ენერგეტიკული ბაზრის სტაბილურობას. ისეთი მსხვილი პროექტები, როგორიცაა „ევროკავშირის გლობალური კარიბჭე“ და კომპანიები „Aqualia“ და „Adjaristqali Georgia“, შემოდიან საქართველოში და ახორციელებენ მრავალმილიონიან ინვესტიციებს.

ენერგეტიკის დეკარბონიზაციის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელ პირობა არის ინოვაციების დანერგვისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება. ამ მიზანს ემსახურება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი“ (Shota Rustaveli National Science Foundation – SRNSFG), რომლის მიერ მხოლოდ 2023 წელს საქართველოში მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობი არაერთი პროექტი შევიდა ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონსკურსში გამარჯვებული პროექტების დასაფინანსებელ სიაში.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო-

როს ზედამხედველობის ქვეშ ფუნქციონირებს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA). მის მიერ მუშავდება 2025 წლის სტრატეგია, რომელიც დასრულების პროცესშია. სტრატეგია მხარს უჭერს კაპიტალის ბაზრის განვითარებას ენერგეტიკის სექტორში. იგი დახმარებას უწევს სტარტაპებსა და ინოვაციურ პროექტებს საგრანტო და თანადაფინანსების პროგრამებით. GITA მსოფლიო ბანკთან და ევროკავშირთან ერთად ახორციელებს ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამას, რომელიც ფინანსდება მსოფლიო ბანკის მიერ.

2024 წლის თებერვალში საქართველოში მდგრადი განვითარების ახლებური საერთაშორისო პლატფორმის ჩამოყალიბების მიზნით შეიქმნა „მდგრადობის მეცნიერებათა აკადემია.“ მისი მიზანია საქართველოში მდგრადობის მიღწევა განათლების, მეცნიერების და გარემოსდაცვითი უფლებების სფეროებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმოებითა და საზოგადოების სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის სემინარებისა და კონფერენციების ჩატარებით.

საქართველოს ენერგეტიკის ერთ-ერთ სენსიტიურ საკითხს წარმოადგენს ევროკავშირთან ენერგეტიკული ინტეგრაცია, რომლის მიღწევის გზა ეკონომიკის ტრანსფორმაციული პროცესების სტიმულირებაა. ამ გზაზე ქართული ენერგეტიკის დეკარბონიზაციის პროგრესული და წარმატებული პროექტების კვალდაკვალ, მაინც მტკივნეულ გამონწევად და დაუძლეველ ბარიერად რჩება ენერგეტიკის ტრანსფორმაციისთვის საჭირო მაღალი ეკონომიკური ზრდის, ჯანსაღი კონკურენტული ბაზრის, ცირკულარული ეკონომიკის სარგებლიანობის შესახებ ბიზნესების ნაკლებ ინფორმირებულობის, მათი მხრიდან დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის, საზოგადოების მდგრადი განვითარებისკენ სწრაფვის დონისა და შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის საკითხები.

ნაშრომში შემუშავებულია რიგი რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოს ენერგეტიკული სისტემის ინტეგრირებას ევროკავშირის ენერგეტიკულ ბაზართან, დეკარბონიზაციის სტრატეგიის გაუმჯობესებას და ქვეყნის საერთაშორისო პოზიციის გაძლიერებას, კერძოდ:

**1. საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარება** – საჭირო არის კანონის დონეზე მკაფიოდ განსაზღვრა კლიმატური მიზნები და მათი შესრულების გზები.



**2. ფინანსური მექანიზმების გაძლიერება** – ინვესტიციების მოზიდვა და ეროვნული მწვანე ფონდის შექმნა.

**3. ტექნოლოგიური ინოვაციები** – განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარება და შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვა.

**4. საერთაშორისო თანამშრომლობა** – ევროკავშირთან და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება კლიმატური პოლიტიკის ეფექტურობის გაზრდისთვის.

დეკარბონიზაციის პროცესში მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ. ეს პროცესი მოითხოვს არა მხოლოდ ინფორმაციულ კამპანიებს, არამედ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც გაუმკლავდებიან სკეპტიციზმს და საზოგადოებაში მწვანე პოლიტიკის მხარდამჭერ განწყობებს შექმნიან.

ქართული ენერჯეტიკის დეკარბონიზაციის, მისი მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის აუცილებელია ხელსაყრელი გარემოს შექმნა. მნიშვნელოვანია, რომ ენერჯეტიკის დეკარბონიზაციისკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა ეფუძნებოდეს ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ ბიზნეს-პროექტების განხორციელებას, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ინვესტიციების გაზრდას, მიზანმიმართულ საინფორმაციო და სარეკლამო კამპანიის წარმოებას და საზოგადოების სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის ცნობიერების დონის ამაღლებას.

## თავი 6. საქართველოს როლი და პერსპექტივები ევროპის სატრანსპორტო და ლოგისტიკის სფეროში ინტეგრაციის პროცესში

სატრანსპორტო ინტეგრაციის პროცესის ევოლუციის გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ მასში პირველი ეტაპი არის 1957 წელს ხელმოწერილი რომის ხელშეკრულება, რომელიც ეძღვნება ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნას. უკვე ამ დოკუმენტში სატრანსპორტო ინდუსტრიას განსაკუთრებული ადგილი მიენიჭა ინტეგრაციის ასოციაციაში და პრიორიტეტებს შორის ხაზი გაესვა სატრანსპორტო პოლიტიკას.

კერძოდ, ამ შეთანხმების ერთ-ერთმა ნაწილმა (მე-5 განყოფილებამ) დაადგინა ტრანსპორტის განვითარების ძირითადი მიმართულებები (ზოგადი დებულებები) და ეკონომიკის ამ დარგის რეგულირება. მთავარი იდეა იყო სატრანსპორტო სექტორის ლიბერალიზაცია, კერძოდ, საქონლისა და მგზავრების თავისუფალი გადაადგილება ევროპულ სივრცეში. ამასთან, ამის პრაქტიკაში გამოყენება შესაძლებელი იყო მხოლოდ გარკვეული ქმედებებისა და ზომების საშუალებით, როგორცაა ერთობლივი (კოორდინირებული) სატრანსპორტო პოლიტიკა, ერთიანი ტარიფებისა და საგადასახადო განაკვეთების დადგენა და უფასო კონკურენციის განვითარება სატრანსპორტო მომსახურების ბაზრის ყველა სეგმენტში.

ხელშეკრულების პირობებით აღებული ვალდებულებების შესრულების პროცესი მთელი რიგი სირთულეებით იყო სავსე და დიდი დრო დასჭირდა. ეს ძირითადად განპირობებული იყო იმით, რომ საზოგადოების ზოგიერთ წევრს არ სურდა სუვერენიტეტის ნაწილის დაკარგვა და აღნიშნული შეთანხმებების პრაქტიკაში განხორციელება. კიდევ ერთი დაბრკოლება იყო განსხვავებები ეროვნულ კანონმდებლობაში და ევროინტეგრაციაში მონაწილე სახელმწიფოების სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მდგომარეობა.

მხოლოდ მოგვიანებით, ტრანსპორტის მართვის ზეეროვნული ორგანოების ჩამოყალიბების შემდეგ, რეალისტური გახდა ყველა წევრ

სახელმწიფოს შორის კოორდინირებული ერთიანი სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, მათ შორის ერთიანი ტარიფები და ნებისმიერი დისკრიმინაციის გამორიცხვა ტექნიკური, ტექნოლოგიური, გარემოსდაცვითი და სხვა ნორმებისა და მოთხოვნების დამკვიდრებაში.

მაგრამ მიუხედავად აღნიშნული მიღწევებისა სატრანსპორტო სისტემების ინტეგრაციაში, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ევროპაში სატრანსპორტო ინტეგრაციის პროცესი ასე არ დაჩქარებულა. კერძოდ, ევროპის სატრანსპორტო მომსახურების ბაზარზე თავისუფალი კონკურენციისა და სატრანსპორტო კომპანიების თავისუფალი წვდომის პრობლემა ჯერ არ მოგვარებულა.

ევროინტეგრაციის სიჩქარეში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ევროსასამართლომ, რომელმაც დაადგინა, რომ ევროსაბჭოს ავალდებულებს, რაც შეიძლება მალე მოახდინოს სატრანსპორტო სექტორის ლიბერალიზაცია ინტეგრაციის ასოციაციის სფეროში. ცალკე, სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღინიშნა სატრანზიტო მიმოსვლისთვის პირობების შექმნის აუცილებლობა.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის დებატების წამოწყება სხვადასხვა საკითხებზე და კონკრეტული წინადადებები ქმედებები შესახებ კონკრეტულ სფეროში, ევროკომისიის „მწვანე“ და „თეთრ“ ნიგნებში აისახება. **ევროკომისიის მწვანე ნიგნი** არის დოკუმენტი, რომლის მიზანია დებატების წამოწყება სხვადასხვა საკითხებზე (სოციალური პოლიტიკა, ერთიანი ვალუტა, ტელეკომუნიკაციები) და საერთო ევროპულ სტრუქტურათა დონეზე კონსულტაციების დაწყება. ამ კონსულტაციებს შესაძლოა მოჰყვეს თეთრი ნიგნის გამოქვეყნება. **ევროკომისიის თეთრი ნიგნი** შეიცავს კონკრეტულ წინადადებებს ევროგაერთიანების ქმედებათა შესახებ კონკრეტულ სფეროში. ზოგიერთ შემთხვევაში იგი ქვეყნდება მწვანე ნიგნის შემდეგ, რომლის მიზანია ევროპულ დონეზე კონსულტაციების პროცესის დაწყება. ევროკომისიამ გამოსცა თეთრი ნიგნი შიდა ბაზრის დასრულების შესახებ; ასევე ეკონომიკური ზრდის, კონკურენციის, დასაქმების და ცენტალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კანონმდებლობათა ჰარმონიზაციის შესახებ. თუ თეთრი ნიგნს მინისტრების საბჭო მოიწონებს, ის კონკრეტულ სფეროში კავშირის სამოქმედო პროგრამად იქცევა (ჯავახიშვილი, 2003).

1986 წლიდან, ტრანსპორტის განვითარების ოფიციალური დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგ (ე.წ. “თეთრი ნიგნი”), სუბრანაციონა-

ლურმა (ზეეროვნულმა) მთავრობებმა გამოაცხადეს სატრანსპორტო ბაზრის “გახსნა”. თეთრ წიგნში აღნიშნულია შემდეგი მიმართულებები და პრიორიტეტები:

1. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება კავშირში;
2. ყველა მონაწილე ქვეყნის მიერ ერთიანი სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავება;
3. ყველა ქვეყნის მასშტაბით ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის ყველა სახეობის ინტეგრაცია ერთიან ევროპულ სატრანსპორტო სისტემაში (ქსელში);
4. სატრანზიტო ტრანსპორტის განვითარება, როგორც შიდა რეგიონალურ, ისე სხვა სახელმწიფოებთან;
5. ტრანსპორტის მავნე ზემოქმედების შემცირება კავშირის გარემოზე, შესაბამისი პროგრამების შემუშავება;
6. ტრანსპორტის უსაფრთხოების დონის გაუმჯობესება;
7. ტრანსპორტში ენერჯის დაზოგვის პრინციპის განხორციელება;
8. სატრანსპორტო საშუალებების ფლოტის გაზრდა, მოქალაქეების მიერ ტრანსპორტის ტიპის არჩევის შესაძლებლობა;
9. სატრანსპორტო მომსახურების ბაზარზე გარკვეული საბაჟო, ტექნიკური, ტექნოლოგიური და სხვა ბარიერების აღმოფხვრა;
10. ევროკავშირის ფარგლებში საზღვრებზე ზედმეტი და გაუმართლებელი სატრანსპორტო კონტროლის აღმოფხვრა;
11. სატრანსპორტო მომსახურების ბაზარზე გადამზიდავების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ნებისმიერი დისკრიმინაციის გამორიცხვა, თავისუფალი კონკურენციის ხელშეწყობა (European Union, 1985)

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თეთრ წიგნში ტრანსპორტი განისაზღვრა, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი შიდა ბაზრის განვითარებაში, რაც მთლიანი მშპ-ს 7.5% - ზე მეტს შეადგენს. შემდეგი თეთრი წიგნი, რომელიც მიღებულ იქნა 1992 წლის დეკემბერში, წინა წიგნისგან განსხვავებით, ეძღვნებოდა მხოლოდ სატრანსპორტო ინდუსტრიას და სატრანსპორტო პოლიტიკის რეგულირებას. ჩვენი აზრით, სწორედ ეს ოფიციალური დოკუმენტი წარმოადგენდა ევროკავშირში ტრანსპორტის ინტეგრაციის საფუძველს. მან განაცხადა ევროკავშირის სატრანსპორტო პოლიტიკის შემდეგი მიზნები და ამოცანები, კერძოდ:

პირველ რიგში, ეს უზრუნველყოფდა საქონლისა და მგზავრების გადაადგილების თავისუფლებას კავშირის ტერიტორიაზე, ზედმეტი და

დაუსაბუთებელი ბიუროკრატიული ფორმალობების გამოკლებით.

მეორეც, სატრანსპორტო საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავება ჰარმონიზებულ საფუძველზე;

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს როგორც კავშირის ცენტრალური ნაწილის, ასევე პერიფერიის განვითარებას და ტერიტორიის შეკავშირებას.

მეოთხე, სატრანსპორტო საშუალებების საიმედოობისა და უსაფრთხოების გაუმჯობესება და მათი გარემოსდაცვითი კეთილგანწყობა.

მეხუთე, ურთიერთსასარგებლო ურთიერთობების განვითარება, რომელიც ეფუძნება სატრანზიტო გადაზიდვების მესამე ქვეყნებთან პარტნიორობის პრინციპებს და ერთობლივი სატრანსპორტო და ლოგისტიკური პროექტების განხორციელებას.

ანალიზის შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ “თეთრ წიგნში” ჩაეყარა საფუძველი ევროკავშირში საერთო სატრანსპორტო სივრცის შექმნის მექანიზმში ინსტიტუციური ჩარჩოს ჩამოყალიბებას. ეს გამოწვეულია იმით, რომ ამ დოკუმენტში პირველად გამოცხადდა დელეგაცია და უფლებამოსილების განაწილება ევროკავშირის სატრანსპორტო სისტემის ეროვნულ და ზეეროვნულ ხელისუფლებას შორის.

მეორე თეთრ წიგნში ასევე ხაზგასმულია მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სატრანსპორტო პროექტის შექმნის მნიშვნელობა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი კავშირისთვის – ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელის შექმნა. იგი ეფუძნებოდა ათ პანევროპულ სატრანსპორტო დერეფანს, რომლებიც უზრუნველყოფენ და უზრუნველყოფენ საქონლისა და მგზავრების შეუფერხებელ ტრანსპორტირებას ევროპა-აზიის მარშრუტზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს “თეთრი წიგნი” შეიცავდა ყველაზე მნიშვნელოვან დებულებებს სატრანსპორტო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის შესახებ. ისინი უზრუნველყოფდნენ უფასო, ლიბერალიზებულ წვდომას ევროპის სატრანსპორტო მომსახურების ბაზარზე ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, ეროვნებისა და ტერიტორიული კუთვნილების პრინციპზე დაყრდნობით. ამ პოზიციამ ევროპაში სატრანსპორტო მომსახურების ბაზრის განვითარების ფართო შესაძლებლობები გახსნა. სატრანსპორტო სექტორში სახელმწიფო ღონისძიებების განხორციელებამ და ერთიანი რეგიონალური სატრანსპორტო პოლიტიკის ჩამოყალიბებამ გამოიწვია შემდეგი შედეგები:

1. ფასები შემცირდა სატრანსპორტო მომსახურების ბაზარზე, ხოლო მათი ხარისხი გაიზარდა. 2. საჭაერო ტრანსპორტის სეგმენტში კონკურენციის დონის გაზრდა, საჭაერო ტრანსპორტის ბაზარზე წვდომის გახსნა მესამე ქვეყნების გადამზიდავი კომპანიებისთვის.

3. მიგრაციული შრომითი ნაკადები და მოსახლეობის მობილობა თითქმის ორნახევარჯერ გაიზარდა.

4. ტრანსევროპული ჩქაროსნული რკინიგზის მშენებლობა თითქმის დასრულებულია.

5. საგზაო ტრანსპორტის სეგმენტში მომხდარი მნიშვნელოვანი გარდაქმნები გამოწვეული იყო ტრანსპორტირების დაბალი ფასებით, განეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებით და ტრანსპორტის უსაფრთხოების დონით.

მოგვიანებით, 2001 წელს, ევროკავშირმა გამოაქვეყნა შემდეგი თეთრი წიგნი სახელწოდებით „თეთრი წიგნი ევროპის სატრანსპორტო პოლიტიკის შესახებ 2010 წლამდე“: გადამწყვეტილების მიღების დრო. მიზნად ისახავდა სატრანსპორტო ინტეგრაციის სფეროში იმ დროს არსებული ბარიერების, გამონაკლისებისა და შეზღუდვების აღმოფხვრას. ამ დოკუმენტის ანალიზმა გამოავლინა, რომ ძირითადი პრიორიტეტები ორიენტირებული იყო ისეთი ამოცანების გადაჭრაზე, როგორცაა:

- სარკინიგზო ტრანსპორტის დადებითი დინამიკის სტიმულირება;
- საგზაო ტრანსპორტის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;
- წყლისა და საჭაერო ტრანსპორტის მხარდაჭერის ღონისძიებების შემუშავება;

- მულტიმოდალური და ინტერმოდალური სატრანსპორტო ტექნოლოგიების განვითარება;

- შეამციროს საგზაო შემთხვევების დონე;

- ევროკავშირში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამოყენების ერთიანი სატარიფო პოლიტიკის განხორციელება.

დაგეგმილი იყო, რომ ეს ზომები გავრცელდებოდა ყველა სახის ტრანსპორტზე. გათვალისწინებული იყო, რომ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამოყენების ფასი პირდაპირ იყო დამოკიდებული ინფრასტრუქტურის ხარისხზე, მარშრუტის სიგრძეზე, წონასა და საერთო მახასიათებლებზე, ეკოლოგიასა და გარემოზე ზემოქმედების ხარისხზე და ა.შ.

ამ დოკუმენტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტია ევროკავშირის

როლი გლობალურ სატრანსპორტო სისტემაში, რადგან შეიქმნა ტრანსევროპული სატრანსპორტო დერეფნები, რომლებიც მოიცავს სატრანზიტო ტრანსპორტს, მათ შორის მესამე ქვეყნებთან. ამ დებულების ფარგლებში ევროკომისიამ რეკომენდაცია გაუწია საერთაშორისო ორგანიზაციებში თანამშრომლობის გააქტიურებას ტრანსპორტის რეჟიმებზე, მათი პოზიციების გაძლიერებას იქ, მათი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. უკვე დაგეგმილი იყო ევროკავშირში სატრანსპორტო ინტეგრაციის პროცესის დასრულება თეთრ წიგნში, 2011 წლის გამოცემაში, რომელიც ასევე განსაზღვრავდა ღონისძიებებისა და კონკრეტული ქმედებების მთელ სპექტრს.

ამ დოკუმენტში დეტალურად იყო განერილი ევროკავშირში სატრანსპორტო სისტემების ერთიან სატრანსპორტო სივრცეში ინტეგრირების პროცესის დასრულების მიზანი კონკრეტული ამოცანებითა და ვადებით, კერძოდ:

- საბოლოოდ ჩამოყალიბდეს ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელი 2030 წლისთვის, მთლიანად მულტიმოდალური ტრანსპორტირების პრინციპებზე დაყრდნობით, ხოლო უზრუნველყოს ტრანსპორტირების მოცულობის მაქსიმალური ზრდა ყველა მარშრუტზე და გააუმჯობესოს ტრანსპორტის, ლოგისტიკისა და საინფორმაციო მომსახურების ხარისხი;

- შექმნას და ამოქმედდეს მულტიმოდალური ტრანსპორტირებისა და სატრანსპორტო მომსახურების დამუხტვის რეგულირების საერთო (ერთიანი) სისტემა (გეგმა - 2020 წლისთვის);

- შეცვალოს თანაფარდობა სატვირთო მიმოსვლის მათი სტრუქტურა ისე, რომ გადაიტანოს მნიშვნელოვანი მოცულობის სატვირთო მიმოსვლის საგზაო ტრანსპორტის სარკინიგზო და წყლის ტრანსპორტის (საწყის ეტაპზე, 25% საერთო მოცულობის, და 2050 გაზრდის ამ მაჩვენებლის 50%) (Eurostat, 1990); - ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელის ფარგლებში ჩქაროსნული სარკინიგზო მარშრუტების სიგრძის სამჯერ გაზრდა (გეგმა 2030 წლისთვის);

- მიმდინარე სანავიგაციო სისტემის ექსპლუატაციისა და მოდერნიზაციის გაუმჯობესება;

- საჰაერო ტრანსპორტის მართვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის შემუშავება და საბოლოოდ „ერთიანი ევროპული ცის“ ჩამოყალიბება (გეგმა 2020 წლისთვის);

- საჰაერო ტრანსპორტის ანალოგიით, შექმენით იგივე კონტროლის

სისტემები ტრანსპორტის სხვა რეჟიმებისთვის, მათი კონკრეტული მუშაობის გათვალისწინებით;

- განახორციელოს მუშაობა ევროკავშირის ნეკრი ქვეყნების აეროპორტის ინფრასტრუქტურის სარკინიგზო ქსელში ინტეგრაციაზე და, უპირველეს ყოვლისა, მაღალსიჩქარიან;

- ფატალური სატრანსპორტო შემთხვევების შემცირება, 2050 წლისთვის ამ მაჩვენებლის ნულამდე მიყვანა. აღნიშნული ამოცანებიდან ჩანს, რომ მათი გადაწყვეტა მოითხოვს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორში ახალი ტექნოლოგიების აქტიურ დანერგვას, არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და მოდერნიზაციას. ეს თეზისი აისახება თეთრი წიგნის 2011 წლის გამოცემაში, სადაც ნათქვამია, რომ ტრანსპორტში ინოვაციური პროცესების გააქტიურება ხელს შეუწყობს სატრანსპორტო ინდუსტრიის განვითარების დაჩქარებას, სატრანსპორტო პროცესის ტექნოლოგიის გაუმჯობესებას, მიწოდების სიჩქარის გაზრდას, ხარჯების შემცირებას და ტრანსპორტის გარემოსდაცვითი კეთილგანწყობის გაუმჯობესებას.

ჩატარებული ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ეროვნული სატრანსპორტო სისტემების ინტეგრირებისა და ევროკავშირში საერთო სატრანსპორტო სივრცის ფორმირების პროცესს ოცდაათ წელზე მეტი დასჭირდა და ამჟამად ზოგიერთ სფეროში გრძელდება. ევროკავშირის გარკვეულ სატრანსპორტო ინტეგრაციის სფეროში ინტერირება, პოზიტიურ პერსპექტივებს აჩენს, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია. სატრანსპორტო ინტეგრაციის პროცესში ევროკავშირის გამოცდილების შესაძლო გამოყენების შერჩეულ სფეროებად შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი (Комов, 2024).

სატრანსპორტო სისტემების ინტეგრაციის მიმართულება ევროკავშირში:

1. ნეკრ სახელმწიფოში არარეზიდენტი გადამზიდავების ეროვნულ სატრანსპორტო ოპერაციებზე დაშვების პირობებია გათვალისწინებული;

2. ევროკავშირის ნეკრი ქვეყნების ტერიტორიაზე და მესამე ქვეყნებში (სატრანზიტო კომუნიკაციის თავისუფლება) ბოლომდე შეუფერხებელი ტრანსპორტირების შესახებ ზოგადი წესებისა და რეგულაციების შემოღება (Кислицына, 2019)

3. დადგენილია, რომ ნებისმიერ სანარმოს, რომელიც უზრუნველყოფს სარკინიგზო სატრანსპორტო მომსახურებას და ლიცენზირე-



ბულია განახორციელოს თავისი საქმიანობა, აქვს ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში ამ ბაზრის სეგმენტზე წვდომის უფლება.

4. ქალაქებში ბენზინისა და დიზელის მანქანების გამოყენება ნახევრად შემცირდა

5. საგზაო ტრანსპორტის ტექნიკური რეგულირების ჰარმონიზაცია

6. სატრანსპორტო ბაზრის ჰარმონიზაცია სატარიფო და ფისკალური რეგულირების საკითხების თვალსაზრისით.

7. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ერთიანი მოთხოვნების ჩამოყალიბება (Иншакова, 2012).

ევროკავშირის სატრანსპორტო სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრირებას მოჰყვება: არარეზიდენტი გადამზიდავების უსაფრთხო დაშვების უზრუნველყოფა ეროვნულ სატრანსპორტო ოპერაციებში; საერთო წესებისა და რეგულაციების შემოღებას საქართველოსა და მესამე ქვეყნებში (სატრანზიტო მოძრაობის თავისუფლება); ლიცენზიების, სადაზღვევო პოლისების და სხვა დოკუმენტების ურთიერთალიარება; საგზაო ტრანსპორტის ტექნიკური რეგულირების ჰარმონიზაცია; სატრანსპორტო ბაზრის ჰარმონიზაცია სატარიფო და ფისკალური რეგულირების საკითხების ნაწილებში; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ერთიანი მოთხოვნების ჩამოყალიბება. (Иншакова, 2012). ეს შეიძლება გახდეს რეგიონში საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის სრულფასოვანი რეალიზაციის საფუძველი.

დღეს სატრანსპორტო ლოგისტიკის ფორმირება და განვითარება ძალიან მნიშვნელოვანი სფეროა. სატრანსპორტო ლოგისტიკა არის წინასწარ შეკვეთილი პროდუქციის მკაცრად განსაზღვრულ ადგილას მიწოდების ორგანიზების სფერო შეთანხმებულ დროში ოპტიმალური მარშრუტების გასწვრივ უკიდურესად დაბალი ფინანსური ხარჯებით.

ტრანსპორტის სფეროში ლოგისტიკის მთავარი მიზანია საქონლისა და მანქანების უწყვეტი გადაადგილების შეფერხებების აღმოფხვრა წარმოშობის წერტილიდან დანიშნულების ადგილამდე. სატრანსპორტო ლოგისტიკის პრინციპები ხდება სატრანსპორტო ტექნოლოგიების გაუმჯობესების ძირითადი მიმართულება საქონლის დისტრიბუციის, წარმოებისა და სატრანსპორტო პროცესების ინტეგრაციის სფეროში. შედეგად, სულ უფრო რთულია ერთი სატრანსპორტო კომპანიისა და მთლიანად სატრანსპორტო ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობა ფართო განვითარების გამო.

ევროპის სატრანსპორტო სისტემა არის ევროპაში მოქმედი სატ-

რანსპორტო საშუალებების, ინფრასტრუქტურისა და მენეჯმენტის ნაკრები. იგი აერთიანებს გზებისა და რკინიგზის ქსელს, საზღვაო და მდინარის მარშრუტებს. ის უზრუნველყოფს სატრანსპორტო საჭიროებებს 700 მილიონი ადამიანისთვის 45 ქვეყნიდან.

ევროპული სატრანსპორტო სისტემის განსაკუთრებული მახასიათებელია მისი მრავალფეროვნება და რამდენიმე სახის ტრანსპორტის განვითარების მაღალი დონე.

სატრანსპორტო სისტემა ჰეტეროგენულია. დასავლეთ ევროპა მსოფლიოში პირველ ადგილზეა სატრანსპორტო ქსელის ხელმისაწვდომობისა და მოძრაობის სიხშირის თვალსაზრისით. მაგრამ ამავე დროს, ის ჩამოუვარდება აღმოსავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკას სატრანსპორტო დიაპაზონის თვალსაზრისით.

ევროპაში წარმოდგენილია ტრანსპორტის თითქმის ყველა ცნობილი სახეობა: საგზაო, საჰაერო, სარკინიგზო, მდინარე, საზღვაო, საკაბელო, კოსმოსური, მაღალსიჩქარიანი, მილსადენი და ა.შ.

ევროპული სატრანსპორტო სისტემა მოიცავს როგორც რეგიონულ სისტემებს, ასევე ალიანსებს საერთაშორისო მფლობელებთან. ევროპის ქვეყნებიდან მგზავრთა გადაყვანას ახორციელებენ აზიის, ამერიკისა და აფრიკის ქვეყნების კუთვნილი კომპანიები.

ევროპული ქვეყნის განვითარებიდან გამომდინარე, თითოეულ ქვეყანას აქვს განვითარების სხვადასხვა დონის მანქანების სისტემა. მაგალითად, გერმანია, საფრანგეთი და ინგლისი დაკავშირებულია მაღალსიჩქარიანი მაგისტრალებით. ესპანეთი, ავსტრია და იტალია ასევე არ ჩამორჩებიან. ნაკლებად “მდიდარ” სახელმწიფოებს აქვთ” კლასიკური “სატრანსპორტო სისტემები და მუდმივად ავითარებენ მათ.

შეიქმნა რკინიგზის ალიანსი მგზავრებისა და რეგულარული სამგზავრო მოძრაობისთვის, რომელიც მოიცავს დასავლეთ და სამხრეთ ევროპის ქვეყნებს.

ევროპაში ავტობუსების ტრანსპორტს არ აქვს სტაბილური ცენტრალიზაცია და მომსახურებას უზრუნველყოფს ათასობით გადამზიდავი, რომლებიც არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლის სისტემით (არსებობს მხოლოდ ადგილობრივი სისტემები დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, ესპანეთში და ა.შ.).

ევროპის ქვეყნებში წყლის ტრანსპორტი ვითარდება იმ რეგიონებში, სადაც არის წყალსატევები. ევროპის კონტინენტის ზოგიერთ ქვეყანას აქვს ოკეანეზე წვდომა, ამიტომ ასეთ რეგიონებში უკიდურესად განვი-

თარებულა საზღვაო ტვირთი და სამგზავრო ტრანსპორტი, რომელიც აკავშირებს სხვა კონტინენტებთან. მილსადენი, ჰიბრიდული, საკაბელო, საბორნე და სხვა სახის ტრანსპორტი ყველაზე განვითარებულია განვითარებად ქვეყნებში გეოგრაფიული, კლიმატური და ტერიტორიული მახასიათებლებით.

საავიაციო ტრანსპორტი ევროპის რეგიონში წარმოდგენილია მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ავიაკომპანიებით. ევროპის ყველა ქვეყანას აქვს აეროპორტი (გარდა ჯუჯა “სახელმწიფოებისა — ვატიკანი, ლუქსემბურგი და ა.შ.). მაგრამ ზოგს აქვს სატვირთო და სამგზავრო ტერმინალები, რომლებიც ხშირად გამოიყენება როგორც სატრანზიტო (გადაცემის) ნერტილები სხვა ქვეყნებისა თუ კონტინენტებისკენ მიმავალ გზაზე.

ინტერმოდალური ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად, ტერიტორიაზე წვდომა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სხვადასხვა სახის ტრანსპორტით (საგზაო, სარკინიგზო, საზღვაო, მდინარე, საჰაერო). ლოგისტიკური ცენტრების ტერიტორიის ერთიანი მართვა სავალდებულოა, ხოლო მმართველი კომპანიის საკუთრების ფორმას მნიშვნელობა არ აქვს. ამრიგად, ევროპის ქვეყნებში ინდუსტრიული ზონების განვითარების ახალი რაუნდი ემყარება წარმოების, მსხვილი ლოგისტიკის (ძირითადად გადამზიდავების) და ფინანსური კომპანიების ინტერესების გაერთიანებას, რომლებიც დაკავშირებულია უზარმაზარი ტერიტორიების სისტემატურ განვითარებასთან, ძირითადად განლაგებულია პანევროპული სატრანსპორტო დერეფნების გასწვრივ და მიზიდულია ინდუსტრიული ცენტრებისკენ.

ამჟამად, წარმოების, ტრანსპორტირებისა და ვაჭრობის გლობალიზაცია განიხილება საერთაშორისო საზოგადოების (და კერძოდ, ევროკავშირის ქვეყნების) მიერ ენერგორესურსების დაზოგვის პრობლემების, შეზღუდული სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების და გარემოსდაცვითი უსაფრთხოების მზარდი მნიშვნელობის კონტექსტში. არსებულ პირობებში შეუძლებელია ტრაფიკის ინტენსივობისა და მოცულობის პროგნოზირებული ზრდის მიღწევა, თუ არ არის გათვალისწინებული უფრო ეფექტური ლოგისტიკური და SCM გადაწყვეტილებები, რათა შესაძლებელი გახდეს ტვირთისა და მგზავრების ნაკადების უფრო ეფექტური მართვა.

ვინაიდან გარემოსდაცვითი და ფინანსური მიზეზების გამო, არსებული სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა უბრა-

ლოდ ვერ უმკლავდება მოძრაობის პროგნოზირებულ ზრდას, ის უფრო ეფექტურად უნდა იქნას გამოყენებული, განხორციელებული ტრანსპორტირება უნდა იყოს კონსოლიდირებული LC-ში (ინტერმოდალური ტრანსპორტის არჩევისას), ხოლო LC-ში ტრანსპორტის ყველა რეჟიმი და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის ობიექტების არსებული პოტენციური ოპტიმალურად უნდა იქნას გამოყენებული. ამ ამოცანის წინაშე დგას არა მხოლოდ კერძო სექტორი (მინოდების ჯაჭვის მენეჯერები, ლოგისტიკური მომსახურების მიმწოდებლები, ტერმინალური და სატრანსპორტო ოპერატორები და ა.შ.), არამედ, კერძოდ, ყველა ქვეყნის მთავრობა.

იმის გასაგებად, თუ რამდენად კარგად არის განვითარებული ლოგისტიკური ინდუსტრია ევროპაში, საჭიროა გადავხედოთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანას.

ასე რომ, გერმანია არა მხოლოდ ევროპული, არამედ მსოფლიო ლიდერია თავისი გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური ლოგისტიკური პოზიციის გამოყენებაში. გერმანიაში ეროვნული მნიშვნელობის ლოგისტიკური ქსელი ჩამოყალიბდა სარკინიგზო ხაზებსა და გადასასვლელებზე. ამ ნაგებობების უმეტესობა განკუთვნილია საგზაო და სარკინიგზო ტრანსპორტის პარალელური გამოყენებისთვის. ლოგისტიკის სისტემაში დასაქმებულია 400 000-ზე მეტი ადამიანი, ხოლო ლოგისტიკური მომსახურების მოცულობა 16 მილიარდ ევროზე მეტია. ლოგისტიკური სისტემის მშენებლობის გერმანული მოდელი ხასიათდება მთელი რიგი მახასიათებლებით:

1) ეს არის ძლიერი მთავრობის მხარდაჭერა ყველა დონეზე, რომელიც ეფუძნება ფედერალურ კანონებს და ფედერალური სახელმწიფოს კანონებს. ფედერალური ბიუჯეტი მონაწილეობს ინვესტიციების დაფინანსებაში Deutsche Bahn AG (გერმანიის რკინიგზა) მეშვეობით და ფართოდ გამოიყენება სუბსიდიების გამოსაყოფად ფედერალური სახელმწიფო ბიუჯეტებისთვის, ასევე მიზნობრივი სუბსიდიებისა და სესხები კონკრეტული ინვესტიციებისთვის;

2) მკაცრად არის განსაზღვრული ლოჯისტიკური ცენტრის შექმნის ინიციატორი კომპანიის ფუნქციები (სამშენებლო პროგრამისა და დოკუმენტაციის შემუშავება, ინვესტორების მოზიდვა, მიწის ნაკვეთების შეძენა-განვითარება, მშენებლობის ზედამხედველობა);

3) სახელმწიფოს მონაწილეობით ჩამოყალიბებული ლოგისტიკური ცენტრები იმართება საზედამხედველო ორგანოების მეშვეობით, რომ-

ლებსაც ქმნიან პროექტის მონაწილე კომპანიები. ამრიგად, გერმანული მოდელი ითვალისწინებს საჯარო სექტორის მონაწილეობას, როგორც დაგეგმვის ფაზაში, ასევე ლოგისტიკური სისტემის განვითარების პროექტების განხორციელებაში.

ტყუილად არ არის, რომ გერმანიას ევროპაში “ლოგისტიკის გულს” უწოდებენ.” ქვეყნის ლოგისტიკური სექტორის შემოსავალი მთელი ევროპული ბაზრის დაახლოებით 25% - ს შეადგენს. უფრო მეტიც, ზედიზედ ბოლო 5 წლის განმავლობაში, გერმანია მსოფლიო ბანკის მიერ გლობალური ლოგისტიკის შესრულების ინდექსში პირველ ადგილზეა.

ლოგისტიკის შესრულების ინდექსი (LPI) არის მსოფლიო ბანკის ინდექსი, რომელიც იკვლევს საქონლის მიწოდების სიმარტივეს და სავაჭრო ლოგისტიკის მდგომარეობას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. LPI-ს ძირითადი კომპონენტებია საბაჟო ორგანოების ეფექტურობის, ინფრასტრუქტურის მდგომარეობის, საერთაშორისო ტრანსპორტის ორგანიზების სიმარტივის, ლოგისტიკისა და ლოგისტიკის კომპეტენციების ხარისხის, აგრეთვე, საქონლის გადაადგილების თვალყურის დევნის შესაძლებლობა მიწოდების ჯაჭვის განმავლობაში და მათი მიწოდების დროულობა (ვადების დაკმაყოფილება).

2022 წლისთვის, ბოლო რეიტინგი არის 2018 წლის გამოცემა. 2018 წელს ყველაზე მაღალი ადგილები გერმანიამ, შვედეთმა და ბელგიამ დაიკავეს, შესაბამისად ინდექსის ქულა 4.2, 4.05, 4.04 იყო. ეს არის პირველი ადგილები არა მხოლოდ ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში.

ლატვიაში ლოგისტიკური პოლიტიკა განისაზღვრება კომუნიკაციების სამინისტროს მიერ. ამავდროულად, ხუთი ასოციაცია ახორციელებს კონკრეტულ მუშაობას მის განხორციელებაზე: ბალტიის ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ასოციაცია, ლოგისტიკისა და საბაჟო ბროკერების ასოციაცია, ლატვიის სატრანზიტო ბიზნესის ასოციაცია, ლატვიის საგზაო გადამზიდველთა ასოციაცია და ლატვიის სატვირთო ექსპედიტორთა ეროვნული ასოციაცია.

ჩეხეთის რესპუბლიკაში, ტრანსპორტის სამინისტრო, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო და ჩეხეთის ლოგისტიკის ასოციაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ლოგისტიკის განვითარებაში.

საფრანგეთში ლოგისტიკის პოლიტიკას ქმნის ეკოლოგიის, ენერჯეტიკის, გრძელვადიანი განვითარებისა და ტერიტორიული განვითარების სამინისტრო. ძირითადი ლოგისტიკური პროექტები ხორციელდება

სახელმწიფოსა და რეგიონებს შორის პარტნიორობის პრინციპებზე დაყრდნობით.

ლოგისტიკური ცენტრები შვეიცარიაში არის კერძო საწარმოები, რომლებიც შეიქმნა სააქციო საზოგადოებად. ისინი არიან შვეიცარიელი მენარმეების ინდუსტრიული კავშირის წევრები საექსპედიტორო და ლოგისტიკური მომსახურების სფეროში, რაც წარმოადგენს მათ კოლექტიურ ინტერესებს.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ევროპის ლოგისტიკა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია მსოფლიოში, რასაც მოწმობს ევროპის ქვეყნების ადგილები მსოფლიო ბანკის ლოგისტიკის შესრულების ინდექსის რეიტინგში. ბევრი ქვეყანა განიხილავს ევროპის ქვეყნების ლოგისტიკურ საქმიანობას, როგორც ლოგისტიკური სისტემების იდეალური სტრუქტურის მაგალითს. ევროპული სატრანსპორტო სისტემა ძალიან განვითარებულია და წარმოდგენილია თითქმის ყველა ცნობილი სატრანსპორტო საშუალებით, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქონლისა და მგზავრების ტრანსპორტირებაში.

## თავი 7.

# საქართველოს ტექნოლოგიური ინოვაციების გამოწვევები ეკონომიკის სექტორში საქმის წარმატების უზრუნველყოფის საშუალებების უზრუნველყოფის

სატელეკომუნიკაციო ინდუსტრია მოიცავს სტაციონარულ და მობილურ ტელეფონს, ინტერნეტს და სხვა თანამდევ მომსახურებას. ეს ინდუსტრია ქმნის იმ მომსახურებას, რითაც შესაძლებელი ხდება ინფორმაციის ეფექტური მიწოდება, შეგროვება და გაცვლა და რომელიც თანამედროვე მსოფლიო მეურნეობაში ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობის საკვანძო რესურსად მიიჩნევა. სატელეკომუნიკაციო მომსახურება შეიძლება განხორციელდეს სადენების ტექნოლოგიების (სტაციონარული ტელეფონი) და სადენების გარეშე ტექნოლოგიების (მობილური და თანამგზავრული კავშირი) მეშვეობით. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ტელეკომუნიკაციებში შეიმჩნევა მძლავრი ტექნოლოგიური პროგრესი, რომელიც აისახა ინტერნეტის შექმნაში, რომლის მეშვეობით შესაძლებელი გახდა მსოფლიო საინფორმაციო რესურსების ეფექტური გამოყენება.

მრავალ ქვეყანაში სატელეკომუნიკაციო მომსახურების ბაზარზე მეტი წილი სტაციონარულ ტელეფონს გააჩნია, მაგრამ ხდება მობილური კავშირგაბმულობის დინამიური ზრდა. მობილური ტელეფონი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაშიც, სადაც სტაციონარული ტელეფონების გამოყენება სირთულეებთან არის დაკავშირებული, მაგალითად, ზიმბაბვეში და სვაზილენდში მობილური ტელეფონის მომსახურების განვითარებით დადგენილი შემოსავალი შეადგენს მთელი სატელეკომუნიკაციო მომსახურების შემოსავლების 60%-ზე მეტს. სტაციონარულთან შედარებით, მობილური ტელეფონის უპირატესობა ის არის, რომ მის სამრეწველო ინფრასტრუქტურისთვის ნაკლები ინვესტიციები საჭირო.

ტელეკომუნიკაციების სფეროში არსებულმა ტექნიკურმა მიღწევებმა გამოიწვიეს ამ დარგის ხარჯების შემცირება, რითაც მრავალ განვითარებად ქვეყანას საშუალება მიეცა შეამცირონ თავისი „ციფრული განხეთქილება“ და მოახდინონ საკომუნიკაციო ტექნოლოგიე-

ბის ადაპტირება შედარებით დაბალ ხარჯებთან. მაგრამ „ციფრული განხეთქილება“ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის მაინც მნიშვნელოვანია ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, როგორცაა სტაციონარული სატელეფონო ხაზების, მობილური ხაზების და ინტერნეტთან დაკავშირების პუნქტების ოდენობა.

დარგში ხარჯების შემცირებას ხელს უწყობს კონკურენციის ზრდა იმ რეფორმების შედეგად, რომლებიც მის დერეგულირებაზეა მიმართული. არც თუ დიდი ხნის წინ მრავალ ქვეყანაში არსებობდა სტაციონარული ტელეფონიის სახელმწიფო მონოპოლია. 2002 წლის ბოლოსთვის თითქმის ეკონომიკური თანამეგობრობის ყველა ქვეყანაში, გარდა თურქეთისა, მოხდა ამ მონოპოლიის გაუქმება. ანალოგიური ტენდენციები შეიმჩნევა მრავალ განვითარებად ქვეყანაშიც. თვით დარგში შეიმჩნევა კონკურენციის ზრდა როგორც ვერტიკალური დეზინტეგრაციის ხარჯზე, ასევე იმ დარგების მხრიდან კონკურენციის ზრდის გამო, რომლებიც თავის შესაძლებლობებს იყენებენ ტელეფონიის მომსახურების გასაწევად, მაგალითად, საკაბელო ტელევიზიის პროვაიდერები, ელექტრონერგის მიმწოდებლები, სარკინიგზო კომპანიები.

თანამედროვე ტელეკომუნიკაციები მრავალჯერ ზრდის შესაძლებლობებს კავშირგაბმულობის სფეროში, ქმნის „ქსელური საზოგადოების“ არსებობის შესაძლებლობას, ცალკეულ სუბიექტებს შორის ურთიერთკავშირების გააფართოების შესაძლებლობას ქმნიან როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკურ სფეროებში. დღესდღეობით ხდება სამეურნეო საქმიანობის და ეკონომიკის სტრუქტურის ცვლილებები, რომლებიც საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებითაა განპირობებული. მსოფლიო ეკონომიკა სულ უფრო დამოკიდებული ხდება ამ სექტორზე. ეს მნიშვნელოვანია სხვა დარგებში ტექნოლოგიის განვითარებისთვის, მაგალითად – ბიოტექნოლოგიები და ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი ახალი მასალების ტექნოლოგიები. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების ზრდა იწვევს საქონლის და მომსახურების ასორტიმენტის სწრაფ გაფართოებას, მომხმარებლებს და პროდუქციის მწარმოებლებს შორის ურთიერთკავშირის და მათი ქცევის ცვლილებას.

ტელეკომუნიკაციების სექტორი წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოების და ეკონომიკის ძირითად ქვაკუთხედს, რომელსაც მნიშვნელოვნად განაპირობებს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნო-



ლოგიების განვითარება. ის არა მხოლოდ ეკონომიკურ ზრდას უწყობს ხელს, არამედ მოქმედებს როგორც სოციალური ურთიერთობების და საზოგადოებრივი განვითარების ძლიერი მამოძრავებელი. ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში, ეს სექტორი მსოფლიო მასშტაბით დრამატულ ცვლილებებს განიცდის, რაც ტექნოლოგიური ინოვაციებისა და ბაზრის ლიბერალიზაციის კომბინაციის შედეგად ხდება. ევროპაში, კერძოდ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, სატელეკომუნიკაციო ინდუსტრიის ტრანსფორმაცია წარმოადგენს თანამედროვე რეგულაციური და ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მაგალითს. ეს წარმატება ეფუძნება ტექნოლოგიების განვითარებას, ბაზრის კონკურენტუნარიანობის ზრდას და მომხმარებელთა საჭიროებების ეფექტურად დაკმაყოფილებას.

ისტორიულად, ტელეკომუნიკაციების სექტორი ბევრი ქვეყნისთვის განიხილებოდა, როგორც ბუნებრივი მონოპოლია. ამ მიდგომამ, როგორც წესი, განაპირობა სერვისების ერთნაირი ხარისხი, მაგრამ ხელი შეუშალა ინოვაციებსა და განვითარების ტემპს. ბუნებრივი მონოპოლიების პირობებში, ხშირად ადგილი ჰქონდა ხარჯების მაღალ დონეს, მომხმარებლებისთვის არასაკმარისად ხელმისაწვდომ სერვისებს და ბაზარზე ახალი მოთამაშეების შეღწევის დაბალ შესაძლებლობას. ეს განსაკუთრებით აქტუალური იყო იმ პერიოდში, როდესაც სექტორის მართვა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიების პასუხისმგებლობა იყო. თუმცა, 1980-იანი წლებიდან ევროპის ქვეყნებმა დაიწყეს ლიბერალიზაციისა და რეგულირების პროცესები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ კონკურენციის გაზრდას, სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას და ინოვაციების ნახალისებას.

ევროკავშირის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულაციები და რეფორმები განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან მათში გამოხატულია კონკურენციისა და ტექნოლოგიური პროგრესის თანაბარი ნახალისების მცდელობა. 1998 წელს ევროკავშირის მასშტაბით სატელეკომუნიკაციო ბაზრების სრულ ლიბერალიზაციას ჩაეყარა საფუძველი, რამაც განაპირობა ბაზრის ყველა სექტორში ახალი მოთამაშეების შესვლის შესაძლებლობა. ევროკომისიის მხარდაჭერით შეიქმნა დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბაზრის გამჭვირვალობას და სამართლიან კონკურენციას. მიუხედავად ამ ნაბიჯების წარმატებისა, სატელეკომუნიკაციო ბაზარი კვლავ დგას სერიოზული გამოწვევების წინაშე, როგორცაა ფასების და ხელმისა-

წვდომობის ჰარმონიზაცია ნევრ ქვეყნებს შორის, ასევე ურბანულ და სოფლის რეგიონებში ინოვაციების დანერგვა.

ევროპის სატელეკომუნიკაციო სექტორის ანალიზი განსაკუთრებით ღირებულია საქართველოსთვის, რომელიც აქტიურად ცდილობს თავისი ეკონომიკური და საკანონმდებლო გარემოს ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებას. საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარი შედარებით ახალგაზრდა და სტრუქტურულად განსხვავებულია. მიუხედავად გარკვეული მიღწევებისა, აქ მნიშვნელოვანი გამოწვევები რჩება, განსაკუთრებით კონკურენციის დაბალი დონისა და ბაზარზე ორი დიდი მოთამაშის დომინირების კუთხით. აღნიშნული პრობლემა სერიოზულ ზეგავლენას ახდენს მომხმარებლების არჩევანის თავისუფლებასა და ფასების პოლიტიკაზე. საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე არსებული მდგომარეობა ნათლად აჩვენებს, რომ ქვეყნისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია სექტორის რეფორმირება და ევროპული გამოცდილების გათვალისწინება. ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს სატელეკომუნიკაციო რეგულაციების ევროკავშირის ჩარჩოებთან დაახლოებას, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული ნაბიჯია და სჭირდება სათანადო იმპლემენტაცია.

ტელეკომუნიკაციების სექტორი არის ის სფერო, რომელიც არა მხოლოდ ტექნოლოგიურ, არამედ სოციალურ და ეკონომიკურ პროგრესს განაპირობებს. მისი განვითარება და ეფექტიანი მართვა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, როგორც ევროკავშირისთვის, ასევე საქართველოსთვის. თანამედროვე ციფრული სამყაროს საჭიროებები მოითხოვს ისეთ ინოვაციურ მიდგომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ბაზრის კონკურენციის გაძლიერებას, მომხმარებლისთვის სერვისების ხელმისაწვდომობას და ინვესტიციების ზრდას ახალ ტექნოლოგიებში. შესაბამისად, სტატიაში წარმოდგენილი ანალიზი ხელს შეუწყობს როგორც სექტორის მიმდინარე მდგომარეობის გააზრებას, ასევე მისი განვითარების მიმართულებების განსაზღვრას საქართველოსა და ევროკავშირის მაგალითზე.

1980-იან წლებამდე გავრცელებული შეხედულებით სატელეკომუნიკაციო ინდუსტრია განიხილებოდა, როგორც „ბუნებრივი მონოპოლია“. ეს ნიშნავდა იმას, რომ მასშტაბის ეკონომიის გამო, სატელეკომუნიკაციო სერვისები უნდა მიეწოდებინა ერთ მონოპოლისტს. მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო ტრადიციული შეხედულება ყველა ქვეყანაში,

ჩამოყალიბდა არსებითად განსხვავებული ორგანიზაციული ფორმები. ორი საპირისპირო მოდელის მაგალითი იყო - აშშ და იაპონია.

კერძოდ, აშშ-ში დომინანტური იყო ვერტიკალური ინტეგრაციის ფორმა. იაპონიაში კი განვითარდა თანამშრომლობის ფორმა, სადაც „ოჯახის“ მსგავსი ოთხი ძირითადი მომწოდებელი ემსახურებოდა მონოპოლიურ გადამზიდავს, NTT-ს. ბრიტანეთი უფრო მეტად ჰგავდა იაპონურ მოდელს, თუმცა მისი გამოცდილება თანამშრომლობაში არც ისე წარმატებული იყო, როგორც იაპონური. (Fransmann, 1995).

უმეტესად მცირე ინდუსტრიალიზებული ქვეყნები (შვედეთი აქ გამონაკლისია) და განვითარებადი ქვეყნები, რომლებსაც არ ჰქონდათ საკუთარი ინფრასტრუქტურა მწარმოებლები, სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურას იღებდნენ გლობალური მთავარი მომწოდებლებისგან, რომლებიც აქტიურად კონკურენციას უწევდნენ ერთმანეთს ამ ბაზრებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომისტების ნაწილი შეიძლება ფიქრობდეს, რომ აღნიშნული ინდუსტრიული სტრუქტურა არაინოვაციური და არაეფექტურია, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს ასე არ იყო. მაგალითად, ზარების რეალური ღირებულება და ფასი მნიშვნელოვნად იკლებდა უმეტეს ქვეყნებში, სატელეკომუნიკაციო სერვისები სწრაფად ვრცელდებოდა და მოიცავდა უნივერსალურ მომსახურებას, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ინოვაციის ტემპი ძალიან მაღალი იყო. სინამდვილეში, ის ძირითადი ინოვაციები, რომლებიც 1990-იანების ინფორმაციისა და კომუნიკაციის რევოლუციას განაპირობებს, სწორედ ბუნებრივი მონოპოლიის პერიოდში, 1990-იან წლებამდე განხორციელდა. ამის მაგალითებია: ციფრული გადართვის სისტემები, ოპტიკური ბოჭკო (თუმცა ზოგიერთი ძირითადი გარღვევა მინის ინდუსტრიიდან მომდინარეობს), ციფრული გადაცემის სისტემები, მობილური ქსელები, პაკეტური ქსელები (ამაში კომპიუტერული საზოგადოებაც მონაწილეობდა), სატელიტური კომუნიკაციები. სატელეკომუნიკაციო მონოპოლიის პერიოდი ეფექტური და ინოვაციური იყო, განსაკუთრებით იმით, რომ საფუძველი ჩაუყარა ინფორმაციისა და კომუნიკაციის რევოლუციას 1990-იან წლებში.

რატომ იყო ინოვაცია ასე ფართოდ განვითარებული ბუნებრივი მონოპოლიის პირობებში? ამ კითხვაზე პასუხის ნაწილი დაკავშირებულია გრძელვადიანი, ფუნდამენტური კვლევების წარმატებასთან, რომლებიც მიმდინარეობდა ისეთ ადგილებში, როგორცაა AT&T-ის

Bell Laboratories, NTT-ის Electrical Communications Laboratories, BT-ის Martlesham Laboratories და France Telecom-ის CNET, რეალურად შექმნილი ტექნოლოგიების დიდი ნაწილი იქმნება სახელმწიფო სექტორებში, რაც შემდეგ გამოყენებულია კერძო კომპანიების მიერ პროდუქტების შესაქმნელად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არსებობს კონკურენცია ქვეყნებს შორის, რაც პასუხის მეორე ნაწილია, არასაბაზრო, მაგრამ მაინც კონკურენცია, რომელიც არსებობდა მსხვილი ქვეყნებს შორის, რომლებიც იყო ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო და კვლევის და ექსპერიმენტაციის პროცესების სტიმულატორი.

მნიშვნელოვანი ფაქტორია პოლიტიკურ და სხვა ზენოლებიც, რაც ეროვნულ ოპერატორებზე ხორციელდებოდა სატელეკომუნიკაციო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, რადგან ეს მომსახურებები, საბოლოოდ, ყველასთვის იყო აუცილებელი, თუმცა სხვადასხვა ფორმით.

დაბოლოს, მნიშვნელოვანი იყო რეგულირების ინსტიტუტებიც. ეს ინსტიტუტები არა მხოლოდ ზენოლის წყაროს წარმოადგენდნენ გაუმჯობესებისთვის, არამედ ხელს უწყობდნენ სატელეკომუნიკაციო ინდუსტრიაში შექმნილი ცოდნის უფრო ღიად გამოყენებას, ვიდრე ეს ბაზრის მიერ რეგულირებულ ინდუსტრიაში იქნებოდა შესაძლებელი. ამის თვალსაჩინო მაგალითია AT&T/Western Electric-ის ტრანზისტორის პატენტები, რომლებიც თითქმის უფასოდ იყო ხელმისაწვდომი ყველა მსურველისთვის (მათ შორის ისეთი მცირე და იმ დროისთვის შეუმჩნეველი კომპანიებისთვის, როგორცაა Sony). (დანვრილებით იხილეთ Fransman (1995)).

არც ისე ბევრმა სექტორმა განიცადა ისეთი სწრაფი ტრანსფორმაცია ბოლო 30-35 წლის განმავლობაში, როგორც ტელეკომუნიკაციების სექტორმა. 90-იანი წლების დასაწყისისთვის სექტორი უზრუნველყოფდა ეროვნულ და საერთაშორისო ხმოვან კომუნიკაციებს, არენდირებულ ხაზებს (აკავშირებს მომსახურების პროვაიდერსა და მყიდველის შენობას. ეს ხაზი ასევე აკავშირებს გეოგრაფიულად დაშორებულ კერძო ოფისებს და მონაცემთა ქსელებს. არენდირებული ხაზები დაკავშირებულია დიდ თანხებთან ამიტომ მათ ხშირ შემთხვევაში ქირაობენ კომპანიები) და სხვა მცირე მომსახურებებს. მობილური კომუნიკაციები განვითარების ადრეულ ეტაპზე იყო და არ იყო დიდად გავრცელებული. ინტერნეტიც განვითარების საწყის ეტაპზე იყოს, ინტერნეტს განვითარების საწყის ეტაპზე 1960-70-იან წლებში მხოლოდ მთავრობა, სამხედრო და საგანმანათლებლო ინსტიტუტები იყე-

ნებდნენ, მისი ფართოდ გავრცელება დაიწყო 1990-იან წლებში დღეს კი The UN agency for digital technologies-ის მონაცემებით 2023 წლისთვის მსოფლიო მოსახლეობის 67.4% იყენებდა ინტერნეტს. აღნიშნული მონაცემი ევროპისთვის - 90.5%-ია, ხოლო საქართველოსთვის - 81.9% (Individuals using the Internet - ITU DataHub). სოციალური მედია კი კიდევ ერთი ათწლეული არ გამოჩენილა.

ტელეკომუნიკაციების სექტორი ევროკავშირში

ბოლო 30-35 წლის განმავლობაში ტელეკომუნიკაციების მოცემულმა ფორმებმა ადგილი ციფრულს დაუთმო, თუმცა სექტორის როლი, როგორც ეკონომიკისა და საზოგადოების ციფრული ტრანსფორმაციის ხელშემწყობის, ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა. ბევრი პროგნოზირებს, რომ თითქმის ყველა სამომხმარებლო და საწარმოო აქტივობა - როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში, ასევე სოციალურ ურთიერთობებში - გარდაიქმნება ინფორმაციისა და კომუნიკაციის ახალი ტექნოლოგიების კლასტერის მიერ, შესაბამისად ეჭვს გარეშეა, რომ ტელეკომუნიკაციების სექტორი არის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, მსოფლიოს უმეტესობაში, ევროპის ჩათვლით, ტელეკომუნიკაციების სექტორი იყო მონოპოლისტური, და იმყოფებოდა საჯარო საკუთრებაში. რაც, ხშირად ასოცირდება გარკვეულ სარგებელთან, მაგრამ, ასევე, ხშირად ინერციისა და არაეფექტურობის გამომწვევია. ამრიგად, ინფორმაციული ტექნოლოგიებისგან განსხვავებით, ტელეკომუნიკაციებს უნდა გაეთავისუფლებინა თავი ამ უკანასკნელი ტენდენციებისგან და გარდაქმნილიყო, მაგრამ რეგულაციის გზით სახელმწიფო კონტროლის არაპირდაპირი ფორმის ქვეშ დარჩებოდა (Cave, 2019). ამ პერიოდში ევროპული ელექტორნული კომუნიკაციები ორგანიზებული იყო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფოსტის, ტელეფონისა და ტელეგრაფის (PTTP) მომსახურების მიმწოდებლების გარშემო. ტელეკომუნიკაციის მომსახურების ბაზარს ჰქონდა ძალიან დამახინჯებული ფასების სისტემა, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო და შორ მანძილზე განხორციელებული ზარების ფასები მნიშვნელოვნად აღემატებოდა ხარჯებს, ხოლო ადგილობრივი ტარიფები და გაქირავების საფასური ხარჯებზე დაბალი იყო. ეს ჯვარედინი სუბსიდირების სიტემა, როგორც წესი, რეგულირდებოდა მთავრობის მიერ უნივერსალური მომსახურების ხელშემწყობის მიზნით. თუმცა ამან ფინანსური ტვირთი

ბიზნეს მოხმარებლებზე გადაიტანა, რის გამოც, ამ სისტემას ჰქონდა უარყოფითი ეკონომიკური ეფექტები (Noam 1992; Thatcher 1999; de Strel 2008; Bauer 2013).

აღნიშნულის ცვლილება დაიწყო 1970-იან წლებში. მნიშვნელოვანმა ინოვაციებმა და ახალმა ტექნიკურმა შესაძლებლობებმა ფუნდამენტურად შეცვალა ტელეკომუნიკაციები და დაიწყო იმის გააზრება, რომ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგია (ICT) იყო ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა. აშშ-ის სასამართლოებმა დაშალეს AT&T 1982 წელს და მობილური ლიცენზიების აუქციონირება დაიწყო 1990-იანი წლების დასაწყისში.

ინფრასტრუქტურაში დიდი ინვესტიციების საჭიროების და ევროპის ტელეკომუნიკაციების სექტორის ენერჯიულობის ნაკლებობის გამო. ევროკომისია (EC) გახდა სექტორის რეფორმის ხელშემწყობი, 1987 წელს ტელეკომუნიკაციების შესახებ დოკუმენტი გამოაქვეყნა, რომელიც მიზნად ისახავდა ტელეკომუნიკაციების ბაზრის ყველა სეგმენტის ლიბერალიზაციას. ამ პროცესმა 1998 წელს გამოიწვია ხმოვანი ტელეფონისა და ინფრასტრუქტურის ლიბერალიზაცია. ტრანსფორმაციის ნაწილი იყო აგრეთვე დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების (NRAs) შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ ვერ მოიძებნა კონსესუსი ევროპული მარეგულირებელი სააგენტოს შესაქმნელად, NRA-ებს შორის კოორდინაცია მიიღწევა (თავდაპირველად ევროპის მარეგულირებელთა ჯგუფის) ელექტრონული კომუნიკაციების ევროპული მარეგულირებელი ორგანოს (BEREC)-ს მეშვეობით. მოკლედ, ევროკავშირმა, ათწლეულზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში დაიწყო ძირითადი პროგრამა ტელეკომუნიკაციების სექტორის გარდაქმნის მიზნით (Cave, 2019).

განხორციელებულმა რეფორმებმა კონკურენციისა და ინვესტიციების ზრდა და ფასების შემცირება გამოიწვია. თავდაპირველად ევროკავშირი უკან იყო ტელეფონებზე ხელმისაწვდომობით USA -სთან (International Telecommunication Union (ITU) DataHub). მაგრამ 2000 წლისთვის EU -15 მა და 2002 წლისთვის EU-28 -ამაც გადაასწრო. ხუთწლიანი დროებითი მარეგულირებელი რეჟიმის შემდეგ (1998 წლიდან 2003 წლამდე), ევროპის ინსტიტუტებმა (კომისიამ, საბჭომ და პარლამენტმა) წამოიწყეს ახალი რეჟიმი, რომლის ჩარჩო ბოლო 15 წლის განმავლობაში შედარებით მცირე ცვლილებებით შენარჩუნდა. მისი ხანგრძლივობა დიდწილად განპირობებულია იმ მოქნილობით, რომლითაც


მისი დერეგულაციის მიდგომა ხორციელდება. კონკრეტული ბაზრების სექტორული რეგულირება შესაძლებელია შენარჩუნდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პერიოდული ბაზრის მიმოხილვების (იხ. დიაგრამა 7.1) შედეგად აღმოჩნდება, რომ კომპანიები ფლობენ მნიშვნელოვან ბაზრის ძალაუფლებას. მიუხედავად ამ წარმატებებისა, კვლავ ორი მნიშვნელოვანი გამოწვევა რჩება: პირველი არის ევროპული ბაზრის ჰარმონიზაცია და შემდგომი ინტეგრაცია (Cave G. V., 2019). მაგალითად ქვეყნებს შორის განსხვავება ევროკავშირის შიგნით კარგად ჩანს ქვემოთ. საქართველოს ანალოგიური მაჩვენებელი ევროკავშირზე დაბალია, მაგრამ ზოგიერთი ევროპულ ქვეყანას უსწრებს. რაც შეეხება ფასებს აქ საქართველოს მაჩვენებელი მცირედით დაბალია ვიდრე ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელი, შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროკავშირი, მართალია წინ არის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით მაგრამ განსხვავება არ არის დიდი და საქართველო ზოგიერთ ევროკავშირის ქვეყანას უსწრებს კიდევაც. რაც შეეხება ევროკავშირს, ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელი მცირედით ჩამორჩება ამერიკის (იხ. დიაგრამა 7.2)

შეერთებული შტატების მაჩვენებელს ხელმისაწვდომობის კუთხით, მაგრამ ფასის კუთხით ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალია ვიდრე ამერიკის და მხოლოდ სლოვენიასა და შვედეთში არის უფრო მაღალი ღირებულება მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ყველაზე დაბალი პაკეტის. მაგალითად თუკი ავიღებთ ხელმისაწვდომობის კუთხით მთლიანად ევროპის მაჩვენებელს 2010 წლისთვის საქართველოსა და ევროპას შორის სხვაობა იყო 18.12 ხოლო 2023 წელს 7.4 რაც მნიშვნელოვნად არის შემცირებული.

ევროპის არსებული სატელეკომუნიკაციო რეგულაციები 2002 წელს დაინერგა, მან განიცადა მოდიფიკაცია 2009 და 2018 წლებში, მაგრამ ძირითადი საფუძველი აღნიშნული რეგულაციების დარჩა იგივე, რაც მიიღეს 2002 წელს. ეს რეგულაციები შემოიღეს იმ დროს, როდესაც მიზანი იყო კონკურენციის ამაღლება ტელეკომუნიკაციების სექტორში, რაც მანამდე იყო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მონოპოლიები და ხელი შეეწყო სწრაფად მზარდი მობილური ტელეკომუნიკაციების ბაზარზე კონკურენციის ამაღლებისთვის. ეს რეგულაციები საკმაოდ მოქნილი აღმოჩნდა ინდუსტრიის სტრუქტურაში არსებულ მთავარ ცვლილებებთან (სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მონოპოლიების დასრულება), ტექნოლოგიებთან (ბროდბენდი და მობილური ინტერნეტი) და პოლიტიკურ მიზნებთან (ინვესტიციების გაზრდა ახალ


**დიაგრამა 7.1**

ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის დაფარვის დონე



**დიაგრამა 7.2**

დაბალი სიჩქარის ფართოზოლოვანი ინტერნეტის დაფარვის დონე



**წყარო: International Telecommunication Union**

ტექნოლოგიებში, ფასებზე ნაკლები ფოკუსით) შესაგუებლად. თუმცა, 20 წელზე მეტი ხნის არსებობის შემდეგ, ევროკომისიას უჩნდება შეკითხვა, რამდენად შეესაბამება ეს ჩარჩო მომავლის გამოწვევებს (CERRE, 2024). 2002 წლის შემდეგ პოლიტიკის შემქმნელთა ფოკუსი შეიცვალა



ტექნოლოგიებისა და ბაზრების განვითარებასთან ერთად და ევროპის გლობალური კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური კრიზისების დაძლევის საჭიროების საპასუხოდ. რის გამოც ევროპულმა კომისიამ 2010 წლიდან ახალი სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დანერგვისთვის არაერთი მიზანი დაისახა. ეს მიზნები დიდწილად კერძო სექტორის და ბოლო პერიოდში დამატებით საჯარო ფონდების მნიშვნელოვან ინვესტიციებზეა დამოკიდებული. შედეგად, პოლიტიკის შემქმნელებმა და მარეგულირებლებმა რეგულირების გამოყენებისას უფრო დიდი აქცენტი გააკეთეს ინვესტიციების წახალისებაზე. ამ პროცესის ფარგლებში, 2002 წლის რეგულაციებში მნიშვნელოვანი ცვლილებები 2018 წელს შევიდა, რაც ასახულია ევროპული ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსში (EECC).

არსებული რეგულაციური რეჟიმი მიზნად ისახავს კონკურენციის ხელშეწყობას და ამ მიმართულებით საკმაოდ წარმატებულია, მაგალითისთვის თუ შევადარებთ სიტუაციას საქართველოს სადაც კონკურენცია საკმაოდ დაბალია, გვაქვს ორი კომპანია ბაზარზე, რომლებიც ბაზრის დიდ წილს ფლობენ და რამდენიმე პატარა კომპანია, რომლებსაც არ აქვს შესაძლებლობა მნიშვნელოვანი კონკურენცია გაუწიოს ამ ორ კომპანიას, განსაკუთრებულად დიდი წილის მფლობელი ბაზარზე მაგთიკომია, ასევე, ისინი ძირითადი მოთამაშეები არიან არა რომელიმე ერთ ბაზარზე, მაგალითად მობილური მომსახურების ბაზარზე, არამედ ტელეკომუნიკაციების სექტორში ურთიერთდამოკიდებულ ბაზრებზე, როგორც მობილური ასევე ინტერნეტის ბაზრებზე, რაც გრძელვადიან პერიოდში საკმაოდ დიდი პრობლემების შემქმნელი შეიძლება გამოვიდეს, განსაკუთრებით ახალი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელების შემთხვევაში, სადაც ევროპა უფრო კონკურენტუნარიანია, ვიდრე აშშ ან სხვა რეგიონები, როგორც ზემოთ შეგვიძლია დავინახოთ საშუალო ფასი ევროკავშირში გაცილებით დაბალია ვიდრე აშშ-ში. ევროკომისიამ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს კონკურენციის გაზომვას ქსელის დაფარვასთან ერთად. ეს გამომწვევას წარმოადგენს, რადგან ბევრი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი ლოკალურია და არა ეროვნულ მასშტაბზე, ხოლო ინფრასტრუქტურული კონკურენცია მნიშვნელოვნად განსხვავდება ურბანულ და სოფლის რეგიონებს შორის. ინდუსტრია და ლანდშაფტი ახლა უფრო რთული და ფრაგმენტირებულია, ვიდრე წარსულში, და მომავალ რეგულაციებს ამ ცვლილებების გათვალისწინება სჭირდება (CERRE, 2024). ბოჭკოვან ქსელებზე

გადასვლამ ახალი ბაზარზე მონაწილეების შესვლის შესაძლებლობები გაზარდა და ყურადღება გადაიტანა დამოუკიდებელ ქსელ ოპერატორებს შორის კონკურენციის გაძლიერებაზე, ნაცვლად იმ კომპანიების კონკურენციისა, რომლებიც მონოპოლიის ქსელზე რეგულირებული ნვდომის გადაყიდვით მუშაობენ. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ახალი FTTH ოპერატორების შესვლამ (და არსებული საკაბელო ტელევიზიის ქსელების DOCSIS ტექნოლოგიით განახლებამ, რათა უზრუნველყოფილიყო ინტერნეტსერვისები) გააფართოვა კონკურენცია ევროპის ტელეკომუნიკაციების ბაზრებზე 2002 წლიდან (CERRE, 2024)

ტელეკომუნიკაციების სექტორის მოკლე მიმოხილვა საქართველოში

როდესაც ევროპაში, მას შემდეგ რაც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბუნებრივი მონოპოლიების ერა დასრულდა ტელეკომუნიკაციის სექტორში ევროკავშირის ქვეყნებმა გატარებული პოლიტიკით დაიწყეს კონკურენციის ამალღება, სიტუაცია მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოში, რა თქმა უნდა საქართველოს არ გაუვლია იგივე ეტაპი, მაგრამ დღეს არსებული სიტუაციით საქართველოს ტელეკომუნიკაციის სექტორში კონკურენციის ძალიან დაბალი დონეა, არის ორი კომპანია რომელიც ფაქტობრივად მთელ ბაზარს აკონტროლებს და ინვესტიციის ძალიან დიდი მოცულობის საჭიროების გამო ახალი კომპანიების შესვლა ბაზარზე პრობლემურია. 2024 წელს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერის ფარგლებში ჩატარდა ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზრის ანალიზი, ჩატარდა „სამი კრიტერიუმის ტესტი“ და დადგინდა, რომ ტესტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია (როგორც ეს განსაზღვრულია ევროკავშირის კანონმდებლობით). ეს ნიშნავს, რომ საბითუმო ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების ბაზარი მიჩნეულია პოტენციურად წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებად ბაზრად.

საქართველომ ვალდებულება აიღო ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებით, რომ დაუახლოვოს საქართველოს კანონმდებლობა ევროკავშირისას, მათ შორის, 2002/21/EC -დირექტივას. აღნიშნული ეხება ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებადი პროდუქტისა და მომსახურების ბაზრის განსაზღვრას და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების გამოვლენის მიზნით ამ ბაზრების ანალიზს.

შპს მაგთიკომი, რომელიც ბაზარზე ყველაზე დიდ წილს ფლობს, რაც სავარაუდოდ გაგრძელდება მომავალში, ვერც ერთი სხვა ოპერატორი ვერ შეძლებს კონკურენციის განევას მასთან, შესაძლო გამონაკლისია სილქნეტი, რომელიც მაგთიკომის შემდეგ ბაზრის ყველაზე დიდ წილს ფლობს. თავდაპირველად მობილური ქსელის ოპერატორი იყო შემდეგ შეიძინა შპს კავკასუსს ონლაინი 2016 წელს, ხოლო 2017 წელს შპს დელტაკომი რის შემდეგაც ასევე მნიშვნელოვანი საბაზრო წილის მფლობელი გახდა ინტერნეტ სერვისების ბაზარზე. ანალოგიურად შპს სილქნეტმა შეიძინა შპს ჯეოსელი, რასაც მოჰყვა ტელევიზიის ტრანზიტი, პროგრამული უზრუნველყოფა და ფიქსირებული უსადენო ძირითადი საშუალებების სერვისების შესყიდვა. დღემდე, შპს „მაგთიკომის“ და სს „სილქნეტის“ მიერ განხორციელებული შესყიდვები წარმოადგენს ყველაზე დიდი შერწყმისა და შესყიდვების მაგალითს საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე (მობილური მომსახურებების ბაზრის ანალიზი<sup>1</sup>). ასევე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ზოგადად ინტერნეტზე წვდომა საქართველოში მნიშვნელოვნად არ ჩამოუვარდება ევროკავშირს, მაგრამ ეს არ ეხება 100 მბ/წმ ან მეტი სიჩქარის ინტერნეტს, საქართველოში მომხმარებელთა მხოლოდ 1% სარგებლობს 100 მბ/წმ ან უფრო მაღალი სიჩქარის ინტერნეტ მომსახურებით (ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზრის

სეგმენტზე კონკურენციის კვლევა და ანალიზის შესახებ, კომუნიკაციების კომისია). შესაბამისად მთავარი გამოწვევა საქართველოს ტელეკომუნიკაციების სექტორსი არის კონკურენციის ფაქტობრივად არარსებობა. ეს არის ძირითადი მიმართულება რომელზეც საქართველოს მუშაობა მოუწევს გრძელვადიან პერიოდში, რადგან აღნიშნული სერიოზული პრობლემების გამომწვევი შეიძლება გახდეს მომავალში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღნიშნული მიმართულებით საკანონმდებლო ცვლილებებს, ასევე მოიცავდა ასოცირების შესახებ შეთანხმება, ამ შეთანხმების ფარგლებში საქართველომ აიღო ვალდებულება დაახლოვოს საქართველოს კანონმდებლობა ევროკავშირთან, რისი მთავარი მოტივაცია ჩვენთვის სწორედ საბაზრო ძალაუფლების შემცირება და კონკურენციის გაზრდა უნდა იყოს.

ტელეკომუნიკაციების სექტორის ტრანსფორმაციის ისტორია ევროკავშირში ნათლად ასახავს, რომ კონკურენციის გაზრდა, ინოვაციებისა და რეგულაციების თანაბარი ნახალისება, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდისთვის და საზოგადოებრივი განვი-

თარებისათვის. ლიბერალიზაციისა და რეგულაციების პროცესებმა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში შესაძლებელი გახადა სატელეკომუნიკაციო ბაზრების გრძელვადიანი მდგრადობა და ციფრული ტექნოლოგიების განვითარების მაღალი დონე. მიუხედავად ამისა, გამოწვევები კვლავ რჩება, განსაკუთრებით ევროკავშირის შიდა ბაზარზე ჰარმონიზაციის, ინფრასტრუქტურული ინვესტიციების და კონკურენციის გაძლიერების თვალსაზრისით.

საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის ანალიზი აჩვენებს, რომ სექტორის სტრუქტურული პრობლემები, როგორცაა კონკურენციის ნაკლებობა და ბაზრის დომინირება რამდენიმე მსხვილი მოთამაშის მიერ, მნიშვნელოვნად აფერხებს ბაზრის განვითარებას და ინოვაციების დანერგვას. ევროკავშირის გამოცდილება საქართველოსთვის ღირებულია, რადგან ის გვთავაზობს მოდელს, რომელიც ითვალისწინებს რეგულაციების მოქნილობას, ინვესტიციების ნახალისებას და ბაზრის გამჭვირვალობას. ამასთან, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რეგულაციების ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, არამედ მათი ეფექტიანი იმპლემენტაცია, რაც უზრუნველყოფს კონკურენციის ზრდას და სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას.

ტელეკომუნიკაციების სექტორი, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის სფერო, ითხოვს მდგრადი პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც გათვალისწინებს როგორც გლობალურ, ასევე ლოკალურ კონტექსტს. საქართველოსთვის ამ პროცესში მთავარი გამოწვევაა სექტორის რეფორმების დაჩქარება და ინოვაციური მიდგომების დანერგვა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალური განვითარების პერსპექტივებს. შესაბამისად, სატელეკომუნიკაციო სექტორის რეფორმირება და განვითარება უნდა დაიწყოს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად, როგორც მთავრობის, ასევე კერძო სექტორის და საერთაშორისო პარტნიორების თანამშრომლობის ფარგლებში.

## **თავი 8.**

### **საქართველოს შესაძლებლობები უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში ევროკავშირის საინვესტიციო ბარემოს ფონზე**

ამ ნაშრომის კვლევის საგანია ევროკავშირის (EU) ფარგლებში განვითარებული საინვესტიციო გარემო და საქართველოს სტრატეგიული პოზიციონირება უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. ამ მიზნით, გაანალიზებულია ევროკავშირის საინვესტიციო სფეროს სირთულეები, შეისწავლილია ფაქტორების ურთიერთკავშირი, რომლებიც გავლენას ახდენენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) ნაკადებზე რეგიონში. კერძოდ, ის ყურადღებას ამახვილებს საქართველოს პერსპექტივაზე, რადგან ის ცდილობს პოზიციონირდეს როგორც მიმზიდველი ადგილი უცხოური ინვესტიციებისთვის ევროკავშირის ეკონომიკურ ჩარჩოში.

ინვესტიციები გადამწყვეტ როლს თამაშობს ეკონომიკური ზრდის, ინოვაციების ხელშეწყობისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში. იგი მოიცავს სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს (FDI), პორტფელის ინვესტიციებს და შიდა ინვესტიციებს. თითოეულ ფორმას მოაქვს განსხვავებული სარგებელი და გამოწვევები ეკონომიკებსა და ბაზრებზე.

ინვესტიციები ემსახურება როგორც ეკონომიკური ტრანსფორმაციისა და კეთილდღეობის კატალიზატორს, ხელს უწყობს ინოვაციების, მენარმეობის და სამუშაო ადგილების შექმნას. ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შემუშავებით, მთავრობებს და პოლიტიკის შემქმნელებს შეუძლიათ გახსნან მდგრადი ზრდისა და განვითარების პოტენციალი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გლობალურად.

ევროკავშირი დიდი ხანია არის ეკონომიკური ინტეგრაციისა და თანამშრომლობის შუქურა, ის წამყვანი ძალაა გლობალურ საინვესტიციო სფეროში, რომელიც ხელს უწყობს მყარ საინვესტიციო გარემოს მის წევრ ქვეყნებში. რამდენადაც ევროკავშირის საინვესტიციო სფერო აგრძელებს განვითარებას, როგორც კავშირის წევრი, ისე არაწევრი ქვეყნები, როგორცაა საქართველო, სულ უფრო მეტად ცდილობენ

გამოიყენონ შესაძლებლობები და გააძლიერონ თავიანთი ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა უცხოური ინვესტიციების მეშვეობით. საქართველო აქტიურად აუმჯობესებს თავის საინვესტიციო გარემოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, იყენებს მის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას და საბაზრო პოტენციალს. მისი ასოცირება ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონის (DCFTA) შეთანხმების მეშვეობით იძლევა მნიშვნელოვან შესაძლებლობას გაზარდოს მისი საინვესტიციო მიმზიდველობა და გააღრმავოს ინტეგრაცია ევროპულ ბაზარზე.

თუმცა, ამ ძალისხმევის ფონზე, არსებობს წინააღმდეგობები და გამოწვევები. ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობის კუთხით საქართველოს ნაბიჯების მიუხედავად, ისეთი საკითხები, როგორცაა განუვითარებელი ადგილობრივი სამუშაო ძალა, ეკონომიკური და პოლიტიკური გაურკვეველობა და რეგიონული არასტაბილურობა, რჩება ბარიერებად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის. გარდა ამისა, ევროპულ საინვესტიციო გარემოზე ზემოქმედებს ფაქტორები, როგორცაა პოლიტიკური არასტაბილურობა, გლობალური პროტექციონიზმი და ფისკალური გამოწვევები, რამაც შეუწყო ხელი ევროკავშირში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირებას.

მიუხედავად ამისა, საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა, ფართო ბაზარზე წვდომა სავაჭრო ხელშეკრულებებით, დაბალი საგადასახადო განაკვეთები და ბაზრის ლიბერალიზაციის ვალდებულება აქცევს მას, როგორც მიმზიდველ მიმართულებას უცხოელი ინვესტორებისთვის. არსებითად, ევროკავშირის საინვესტიციო სფერო რთული და მრავალმხრივია, საქართველო მზად არის გამოიყენოს თავისი უნიკალური უპირატესობები. მიუხედავად ამისა, მისი მცდელობების წარმატება დამოკიდებულია როგორც შიდა, ასევე გარე გამოწვევებზე.

ევროკავშირის ბიუჯეტი ძირითადად ფინანსდება 28 წევრი სახელმწიფოს შენატანებით. თანხის დაახლოებით 94% აფინანსებს რეალურ საქმიანობას ადგილზე, რომელიც სარგებელს მოუტანს ევროპის მოქალაქეებს, რეგიონებს, ქალაქებს, ფერმერებს და ბიზნესს. ევროკავშირის ადმინისტრაციული ხარჯები შეადგენს ევროკავშირის მთლიანი ბიუჯეტის 6%-ს. ბიუჯეტი არასოდეს აგროვებს ვალს და ხარჯავს მხოლოდ იმას, რასაც იღებს. 2022 წელს ევროკავშირის ბიუჯეტი დაახლოებით 170 მილიარდი ევრო იყო. აქედან 54 მილიარდი ევრო სუბსიდირე-

ბული სოფლის მეურნეობის სანარმოზე, 42 მილიარდი ევრო დაიხარჯა ტრანსპორტზე, მშენებლობასა და გარემოზე, 16 მილიარდი ევრო განათლებაზე და კვლევაზე, 13 მილიარდი ევრო კეთილდღეობაზე, 20 მილიარდი ევრო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკაზე, 2 მილიარდი ევრო ფინანსებში, 2 მილიარდი ევრო ენერჯიაზე, 1,5 მილიარდი ევრო კომუნიკაციებში და 13 მილიარდი ევრო ადმინისტრაციაში.

ევროკავშირი (EU) აქტიურად მუშაობდა თავისი საინვესტიციო სფეროს გასაძლიერებლად, ფოკუსირებული იყო წევრ ქვეყნებს შორის უთანასწორობის შემცირებაზე და ეკონომიკურ ზრდაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მოზიდვაზე. ევროკავშირის ფარგლებში არსებული სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოები, ისევე როგორც პოლიტიკური სტაბილურობა და ეკონომიკური ზრდა, განკუთვნილია უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. (Salihu & Murati, 2023). ფინანსური ინსტრუმენტები და ეკონომიკური მაჩვენებლები, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინვესტორების მოზიდვასა და განვითარების ხელშეწყობაში, რაც დასტურდება პაკისტანისა და პორტუგალიის გამოცდილებით (Naeem & Portugal, 2022).

წლების განმავლობაში, ევროკავშირმა განახორციელა სხვადასხვა პოლიტიკა და ინიციატივები, რომლებიც მიზნად ისახავს ინვესტიციების ხელშეწყობას, ბაზრის ინტეგრაციის გაძლიერებას და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას. ძირითადი განვითარება მოიცავს:

ერთიანი ბაზრის ინტეგრაცია - ევროკავშირის ერთიანი ბაზრის შექმნა გადამწყვეტი როლი ითამაშა წევრ ქვეყნებში საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ხალხის თავისუფალ გადაადგილებაში. ამ ინტეგრაციამ გამოიწვია ტრანსსასაზღვრო ინვესტიციების ნაკადების გაზრდა და ევროპული ბიზნეს ქსელების გაჩენა.

ინვესტიციის ხელშეწყობის პოლიტიკა - ევროკავშირს აქვს ყოველისმომცველი ინვესტიციების ხელშეწყობის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნას როგორც შიდა, ასევე უცხოელი ინვესტორებისთვის. ამ პოლიტიკის მთავარი მიზნებია ინვესტიციების მოზიდვა და შენარჩუნება, მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა და სამუშაო ადგილების შექმნა. ამ მიზნების მისაღწევად, ევროკავშირმა ჩამოაყალიბა რამდენიმე ინიციატივა და პროგრამა, როგორცაა ევროპის საინვესტიციო ფონდი (EIF), რომელიც ფინანსურ მხარდაჭერას უწევს მცირე და საშუალო სანარმოებს (SME) და ხელს უწყობს სარისკო კაპიტალის ინვესტიცი-

ებს. ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროკავშირში საინვესტიციო პროექტების გრძელვადიანი დაფინანსების უზრუნველყოფაში. უფრო მეტიც, ევროკავშირმა გააფორმა მრავალი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (FTA) მსოფლიოს ქვეყნებთან, რომლებიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ვაჭრობასა და ინვესტიციებს ტარიფებისა და არასატარიფო ბარიერების შემცირებით. ეს შეთანხმებები ასევე მოიცავს ინვესტიციების დაცვისა და საინვესტიციო დავების გადაწყვეტის დებულებებს. (ევროპის საინვესტიციო ბანკი, 2023)

მარეგულირებელი ჩარჩო - ევროკავშირს აქვს კარგად განვითარებული მარეგულირებელი ჩარჩო ინვესტიციებისთვის, რომელიც მიზნად ისახავს ყველა ინვესტორისთვის თანაბარი მოქმედების პირობების უზრუნველყოფას და მათი უფლებების დაცვას. ევროკავშირის ინვესტიციების საკანონმდებლო ბაზა ეფუძნება არადისკრიმინაციის პრინციპს, რაც ნიშნავს, რომ ყველა ინვესტორი, ადგილობრივი თუ უცხოელი, თანაბარ პირობებშია. ევროკავშირს ასევე აქვს მკაცრი კონკურენციის წესები, რომლებიც ხელს უშლის ანტიკონკურენტულ ქცევას და ხელს უწყობს სამართლიან კონკურენციას ბაზარზე. ეს ქმნის ხელსაყრელ გარემოს ინვესტიციებისთვის იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბიზნესი შეძლებს იმუშაოს ბაზარზე დომინანტური მოთამაშეების უსამართლო კონკურენციის გარეშე.

ციფრული ეკონომიკა და ინოვაცია - ევროკავშირმა პრიორიტეტი მიანიჭა ციფრული ეკონომიკისა და ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას ისეთი ინიციატივებით, როგორცაა ციფრული ერთიანი ბაზრის სტრატეგია და ჰორიზონტი ევროპის პროგრამა. ეს ძალისხმევა მიზნად ისახავს ტექნოლოგიური წინსვლას, მენარმეობის ხელშეწყობას და ინვესტიციების მოზიდვას მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიებში. ევროკავშირი მტკიცედ არის ორიენტირებული ციფრული ერთიანი ბაზრის შექმნაზე. ეს გულისხმობს ტრანსსასაზღვრო ელექტრონული კომერციის ბარიერების მოხსნას და ციფრული სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობას. ევროკავშირი ასევე მხარს უჭერს ციფრული სტარტაპების ზრდას და ხელს უწყობს ციფრულ მენარმეობას ისეთი ინიციატივებით, როგორცაა ევროპული ციფრული ინოვაციების ჰაბები, რომლებიც მხარს უჭერენ სტარტაპებსა და მცირე და საშუალო ბიზნესს ინოვაციური ციფრული გადაწყვეტილებების შემუშავებაში. გარდა ამისა, ევროკავშირმა დიდი ინვესტი-



ცია განახორციელა ციფრულ სექტორში კვლევასა და განვითარებაში, ტექნოლოგიური წინსვლის ხელშეწყობისა და ევროპული ბიზნესის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით. (ევროპის კომისია, 2020)

მდგრადი საფინანსო დღის წესრიგი - აღიარებს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) ფაქტორების მნიშვნელობას, ევროკავშირმა წამოიწყო მდგრადი ფინანსური სამოქმედო გეგმა ინვესტიციების მიმართ მდგრადი და მწვანე პროექტებისკენ. ეს დღის წესრიგი ემთხვევა გლობალურ ძალისხმევას კლიმატის ცვლილებასთან და პასუხისმგებელი საინვესტიციო პრაქტიკის ხელშეწყობის მიზნით. ევროკავშირის ინვესტიციების ერთ-ერთი მთავარი მიზანი ეკონომიკური ზრდის სტიმულირება და სამუშაო ადგილების შექმნაა. ევროკომისიის მონაცემებით, ევროკავშირის საინვესტიციო გეგმამ, რომელიც ცნობილია როგორც იუნკერის გეგმა, მობილიზებულია 439 მილიარდ ევროზე მეტი ინვესტიციები მისი ამოქმედების დღიდან 2015 წელს. ამან გამოიწვია დაახლოებით 1,1 მილიონი ახალი სამუშაო ადგილის შექმნა და მშპ-ის 1,3%-იანი ზრდა ევროკავშირში.

ევროკავშირის ინვესტიციებმა ასევე გადამწყვეტი როლი ითამაშა რეგიონში ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მოდერნიზებაში. ევროპის დამაკავშირებელი მექანიზმი (CEF), ევროკავშირის ძირითადი დაფინანსების პროგრამა ინფრასტრუქტურისთვის, გამოყო 23 მილიარდ ევროზე მეტი პროექტებისთვის, როგორცაა ტრანსპორტი, ენერჯეტიკა და ციფრული ინფრასტრუქტურა. ამან ხელი შეუწყო კავშირის გაუმჯობესებას და შეფერხებების შემცირებას, რაც აადვილებს საქონლისა და ხალხის საზღვრებზე გადაადგილებას და ზრდის ვაჭრობასა და ეკონომიკურ აქტივობას.

ევროკავშირი არის გლობალური ლიდერი კვლევებისა და ინოვაციების სფეროში და მისი ინვესტიციები ამ სფეროში იყო ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი. ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების პროგრამამ, Horizon 2020, გამოყო 77 მილიარდი ევროზე მეტი კვლევითი და ინოვაციური პროექტებისთვის, რაც ინვესტიციებს მოიზიდავს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორიდან. ამან გამოიწვია გარღვევა ისეთ სფეროებში, როგორცაა განახლებადი ენერჯია, ციფრული ტექნოლოგიები და ჯანდაცვა, შექმნა ახალი შესაძლებლობები ბიზნესისთვის და გააუმჯობესა მოქალაქეების ცხოვრების ხარისხი.

ევროკავშირის ინვესტიციები ასევე ფოკუსირებულია მცირე და საშუალო საწარმოების (SMEs) ზრდის მხარდაჭერაზე, რომლებიც ევრო-

კავშირის ეკონომიკის ხერხემალია. ევროპის საინვესტიციო ფონდი (EIF) უზრუნველყოფს მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსურ მხარდაჭერას და გარანტიებს, ეხმარება მათ მიიღონ კაპიტალი, რომელიც საჭიროა ზრდისა და გაფართოებისთვის. EIF-ის მეშვეობით, ევროკავშირმა მხარი დაუჭირა 1,5 მილიონზე მეტ მცირე და საშუალო ბიზნესს, ეხმარება მათ შექმნან სამუშაო ადგილები და ხელი შეუწყონ ეკონომიკურ ზრდას.

ევროკავშირის ინვესტიციები არ შემოიფარგლება მხოლოდ ძირითადი ეკონომიკური ცენტრებით, არამედ მიზნად ისახავს რეგიონული განვითარების ხელშეწყობას და სხვადასხვა რეგიონებს შორის ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებას. ევროპის რეგიონული განვითარების ფონდმა (ERDF) გამოყო 200 მილიარდი ევრო ევროკავშირის მასშტაბით ეკონომიკური, სოციალური და ტერიტორიული ერთიანობის მხარდასაჭერად. ამან ხელი შეუწყო ნაკლებად განვითარებული რეგიონების განვითარებას, ახალი საინვესტიციო შესაძლებლობების შექმნას და მოქალაქეების ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

ევროკავშირი მონოდებულია გადავიდეს უფრო მწვანე და მდგრად ეკონომიკაზე და მისი ინვესტიციები გადამწყვეტ როლს თამაშობს ამ მიზნის მიღწევაში. სტრატეგიული ინვესტიციების ევროპულმა ფონდმა (EFSI), იუნკერის გეგმის ძირითადი კომპონენტი, გამოყო 57 მილიარდი ევრო კლიმატის სამოქმედო პროექტებისთვის, როგორცაა განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობის ინიციატივები. ამან არა მხოლოდ ხელი შეუწყო ნახშირბადის ემისიების შემცირებას, არამედ შექმნა ახალი მწვანე სამუშაო ადგილები და გაზარდა ეკონომიკური ზრდა.

ევროკავშირის საინვესტიციო სტრატეგია ასევე ითვალისწინებს პარტნიორობას საჯარო და კერძო სექტორებს შორის. სტრატეგიული ინვესტიციების ევროპული ფონდის (EFSI) მეშვეობით, ევროკავშირი უზრუნველყოფს რისკის გაზიარების ინსტრუმენტებს და ტექნიკურ დახმარებას კერძო ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ძირითად პროექტებში. ეს განსაკუთრებით ნარმატებული იყო კერძო სექტორის ინვესტიციების მოხმარებაში ისეთ სფეროებში, როგორცაა ენერჯეტიკა, ტრანსპორტი და ციფრული ინფრასტრუქტურა. (ევროპის კომისია, 2021)

ევროკავშირის ერთ-ერთი მიზანია შეამციროს ეკონომიკური ხარვეზები ევროკავშირის სხვადასხვა რეგიონებს შორის. ევროკავშირი არა მხოლოდ გასცემს ინვესტიციებს, არამედ იღებს კიდევ ინვესტიციებს

წვერი ქვეყნებიდან. ზოგიერთ წვერ ქვეყანას ევროკავშირის ბიუჯეტში უფრო მეტი ფინანსები შეაქვს, ვიდრე ყოველწლიურად უბრუნდება დაფინანსების სახით, ზოგი კი იღებს იმაზე მეტს, ვიდრე იხდის. წმინდა მიმღებები და კონტრიბუტორები იცვლება დროთა განმავლობაში.

აღბათ, გასაკვირი არ არის, რომ გერმანია და დიდი ბრიტანეთი აბსოლუტური მაჩვენებლებით საუკეთესო ორი წმინდა კონტრიბუტორია. ერთად, ამ ორ ქვეყანას ჰქონდა მშპ (PPP) 5 ტრილიონ ევროზე მეტი 2018 წელს. წმინდა ბენეფიციართა სიაში ბოლო ადგილზეა პოლონეთი, რომლის დეფიციტია -11,632 მილიონი ევრო, რაც ორჯერ მეტია ბოლოდან მეორე ადგილზე მყოფ უნგრეთთან შედარებით. ევროპის სუვერენული ვალის კრიზისის კვალდაკვალ, საბერძნეთი და პორტუგალია, შესაბამისად, ბოლოდან მესამე და მეოთხე ადგილზე არიან. როდესაც მოსახლეობის გათვალისწინება ხდება, ეს რეიტინგი მკვეთრად იცვლება. ერთ სულ მოსახლეზე ნიდერლანდები ლიდერობს სიაში 284 ევროს შემოტანით ერთ მოსახლეზე, ხოლო ლუქსემბურგი ბოლო ადგილზეა -2710 ევროს დეფიციტით.

მთლიანობაში, ევროკავშირის საინვესტიციო სფერო ხასიათდება ძლიერი ფოკუსირებით ფაქტორებზე, რომლებიც ევროკავშირს მიმზიდველ ადგილად აქცევს როგორც შიდა, ისე უცხოელი ინვესტორებისთვის, სხვადასხვა სექტორში ზრდისა და განვითარების შესაძლებლობით.

ევროკავშირის საინვესტიციო სფეროს განვითარების ანალიზს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენისთვის საქართველოში. საქართველოს ეკონომიკურმა გარემომ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ევროკავშირმა (EU) გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ გადასვლაში მნიშვნელოვანი ინვესტიციების მეშვეობით, რომლებიც მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციას და განვითარებას. ევროკავშირის ფინანსური დახმარება მიმართულია სხვადასხვა სექტორის, მათ შორის ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობისა და მმართველობის რეფორმებისკენ. ამ ინვესტიციებმა არა მხოლოდ ხელი შეუწყო ეკონომიკურ ზრდას, არამედ ხელი შეუწყო საქართველოს ინტეგრაციას გლობალურ ბაზარზე. თანამშრომლობამ ასევე გააუმჯობესა საქართველოში არსებული საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოები, რამაც უფრო დაახლოვა ევროპულ სტანდარტებთან. ევროკავშირის ინვესტიციების დადებითი

ზემოქმედება აშკარაა გაუმჯობესებული ეკონომიკური მაჩვენებლებით და ქართული პროდუქციის გაზრდილი კონკურენტუნარიანობით საერთაშორისო ბაზარზე. (სილაგაძე, ა., & ზუბიაშვილი, თ., 2015).

მიუხედავად ქვეყნის შედარებით მცირე ზომისა, საქართველოს აქვს მრავალფეროვანი ეკონომიკა, რომელიც ორიენტირებულია სოფლის მეურნეობაზე, ტურიზმსა და ენერჯის წარმოებაზე. ბოლო წლებში ქვეყანამ ასევე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურის სექტორში. თუმცა, საქართველოში ჯერ კიდევ არის გამოუყენებელი პოტენციური მდგრადი ფინანსური და ეკონომიკური დივერსიფიკაციისთვის, რაც ხელს შეუწყობს შემდგომ ზრდას და განვითარებას. მდგრადი ფინანსები გულისხმობს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) ფაქტორების ინტეგრაციას ფინანსური გადანაცვების მიღებაში. ეს მოიცავს ინვესტიციებს პროექტებსა და ბიზნესებში, რომლებსაც აქვთ დადებითი გავლენა გარემოზე და საზოგადოებაზე, ასევე ფინანსურად გამართულ და კარგად მართულ ბიზნესში.

ერთ-ერთი სფერო, სადაც საქართველოს შეუძლია ისარგებლოს მდგრადი დაფინანსებით, არის მისი განახლებადი ენერჯის სექტორი. ქვეყანას აქვს განახლებადი ენერჯის წარმოების მნიშვნელოვანი პოტენციალი, განსაკუთრებით ჰიდროენერგეტიკაში, ქარისა და მზის ენერჯიაში. თუმცა, ამ სექტორში ინვესტიციების ნაკლებობაა მარეგულირებელი ბარიერების, დაფინანსების შეზღუდული ხელმისაწვდომობისა და არაადეკვატური ინფრასტრუქტურის გამო. მდგრადი დაფინანსების ხელშეწყობით, საქართველომ შეიძლება მოიზიდოს მეტი ინვესტიცია განახლებადი ენერჯის პროექტებში და შეამციროს დამოკიდებულება წიაღისეულ სანვაზე, რაც გამოიწვევს უფრო მდგრად და მრავალფეროვან ეკონომიკას.

საქართველოში მდგრადი დაფინანსების კიდევ ერთი პოტენციური სფეროა სოფლის მეურნეობა. ქვეყანას აქვს სოფლის მეურნეობის ხანგრძლივი ისტორია, მისი ნაყოფიერი მიწა და ხელსაყრელი კლიმატი მას უხდება სხვადასხვა კულტურებს. თუმცა, სექტორი ჯერ კიდევ დიდწილად განუვითარებელია და ისეთი გამოწვევების წინაშე დგას, როგორცაა დაფინანსების შეზღუდული ხელმისაწვდომობა, მოძველებული ფერმერული პრაქტიკა და არასაკმარისი ინფრასტრუქტურა. მდგრადი დაფინანსება შეიძლება დაეხმაროს სოფლის მეურნეობის სექტორის მოდერნიზებასა და დივერსიფიკაციას, გახდის მას უფრო მდგრადი

კლიმატის ცვლილების მიმართ და ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას.

მდგრადი დაფინანსების გარდა, ეკონომიკური დივერსიფიკაცია ასევე გადამწყვეტია საქართველოს გრძელვადიანი ზრდისა და სტაბილურობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას აქვს მრავალფეროვანი ეკონომიკა, ის დიდად არის დამოკიდებული რამდენიმე ძირითად სექტორზე, როგორცაა სოფლის მეურნეობა და ტურიზმი. ეს ხდის მას დაუცველს გარე შოკებისა და გლობალური მოთხოვნის რყევების მიმართ. ამ მონყვლადობის შესამცირებლად, საქართველომ შეიძლება ფოკუსირება მოახდინოს ახალი ინდუსტრიებისა და სექტორების განვითარებაზე, როგორცაა მაღალტექნოლოგიური წარმოება, საინფორმაციო ტექნოლოგიები და მომსახურება. მდგრადმა ფინანსებმა შეიძლება როლი შეასრულოს ამ ინდუსტრიების ზრდისა და ეკონომიკური დივერსიფიკაციის ხელშეწყობაში.

ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოში გლობალური საინვესტიციო ნაკადების მოზიდვის კიდევ ერთი საკვანძო ფაქტორია. ქვეყანამ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელა ინფრასტრუქტურაში, მათ შორის ახალი ავტომაგისტრალების, აეროპორტებისა და საზღვაო პორტების მშენებლობაში. ამან ხელი შეუწყო კავშირის გაუმჯობესებას და სატრანსპორტო ხარჯების შემცირებას, რაც საქართველო გახდა უფრო მიმზიდველი ადგილი უცხოური ინვესტიციებისთვის. თუმცა, ჯერ კიდევ საჭიროა შემდგომი ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, განსაკუთრებით სოფლად, ეკონომიკური ზრდისა და დივერსიფიკაციის მხარდასაჭერად.

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებს (FTA) ასევე შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს საქართველოში გლობალური ინვესტიციების მოზიდვაში. ქვეყანამ გააფორმა თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებები ევროკავშირთან, დსთ-ს ქვეყნებთან და თურქეთთან, რამაც გახსნა ახალი ბაზრები ქართული პროდუქტებისა და სერვისებისთვის. ეს შეთანხმებები ასევე უზრუნველყოფს უფრო სტაბილურ და პროგნოზირებად ბიზნეს გარემოს, რაც საქართველოს უფრო მიმზიდველ ადგილად აქცევს უცხოური ინვესტიციებისთვის. სხვა ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების განხორციელების გაგრძელებით, საქართველოს შეუძლია კიდევ უფრო დივერსიფიკაცია გაუწიოს სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორებს, შეამციროს დამოკიდებულება რომელიმე ერთ ბაზარზე.[6-8]

ბოლო წლებში საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა

უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში, განსაკუთრებით ევროკავშირიდან. ფაქტობრივად, ევროკავშირი გახდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) ყველაზე დიდი წყარო საქართველოში, რომელიც შეადგენს 2019 წელს მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 50%-ზე მეტს.

DCFTA-მ არა მხოლოდ ვაჭრობას ხელი შეუწყო, არამედ საქართველოს დაეხმარა სხვადასხვა რეფორმების განხორციელებაში კანონებისა და რეგულაციების ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანაში. ამან შექმნა ბიზნესისთვის უფრო მეგობრული გარემო და გაზარდა ქვეყნის მიმზიდველობა ევროკავშირის ინვესტორებისთვის. შედეგად, ევროკავშირი გახდა საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი, მისი მთლიანი ვაჭრობის დაახლოებით 30%. (Eteria, E., 2019). მეტიც, საქართველოს სტრატეგიულმა პოზიციონირებამ, როგორც კარიბჭის ევროკავშირის ბაზარზე, ასევე გადამწყვეტი როლი ითამაშა ინვესტიციების მოზიდვაში. ჯონსი განიხილავს საქართველოს სტრატეგიულ პოზიციონირებას და ხაზს უსვამს საქართველოს სტრატეგიულ მდებარეობას ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე, რაც მას კრიტიკულ მოთამაშედ აქცევს რეგიონულ ვაჭრობაში და ინვესტიციებში. ქვეყნის მდებარეობა აქცევს მას საქონლისა და მომსახურების იდეალურ სატრანზიტო კვანძად. ეს კიდევ უფრო გაუმჯობესდა თანამედროვე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებით, მათ შორის ღრმა ზღვის პორტი და საერთაშორისო აეროპორტები, რამაც გააუმჯობესა კავშირი და შეამცირა ტრანსპორტირების ხარჯები.

სტრატეგიული მდებარეობისა და ევროკავშირთან პარტნიორობის გარდა, საქართველო უცხოელი ინვესტორებს სთავაზობს ხელსაყრელ ბიზნეს გარემოს. სმიტი და ბრაუნი იკვლევენ უცხოური ინვესტიციების ტენდენციებს საქართველოში და აღნიშნავენ ევროკავშირის მნიშვნელოვან წვლილს ქვეყნის წინაშე მდგარი შესაძლებლობებისა და გამოწვევების ფონზე. ქვეყანას აქვს ლიბერალური და ღია ეკონომიკა, დაბალი გადასახადებით, ბიზნესის დანყების გამარტივებული პროცედურებით და გამჭვირვალე მარეგულირებელი ჩარჩოთი. ამან გაუადვილა ევროკავშირის კომპანიებს საქართველოში ბიზნესის წარმოება და ხელი შეუწყო ქვეყნის, როგორც უცხოური ინვესტიციების მთავარი მიმართულების ამალღებას.

გარდა ამისა, საქართველოს გამოცდილი და განათლებული მუშახელი, რომელსაც დიდი აქცენტი აქვს STEM განათლებაზე, ასევე

მნიშვნელოვანი მიმზიდველი იყო ევროკავშირის ინვესტორებისთვის. ქვეყნის ახალგაზრდა მოსახლეობა, რომლის საშუალო ასაკი 38 წელია, ფლობს ენების მაღალ კვალიფიკაციას, რაც უადვილებს ევროკავშირის კომპანიებს საქართველოში კომუნიკაციას და ბიზნესის კეთებას.

ევროკავშირის საინვესტიციო შესაძლებლობების შემდგომი ათვისების მიზნით, საქართველომ ასევე განახორციელა სხვადასხვა ინიციატივები ევროკავშირის კომპანიებისა და ინვესტორების მოსაზიდად. მაგალითად, სააგენტო Invest in Georgia დაარსდა 2015 წელს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობისა და მხარდაჭერის მიზნით. სააგენტო უზრუნველყოფს ინვესტორებისთვის ერთ ფანჯრებს, სთავაზობს სერვისებს, როგორცაა კომპანიის რეგისტრაცია, ნებართვებისა და ლიცენზიების მოპოვება და სხვადასხვა სექტორში საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

გარდა ამისა, საქართველომ შეიძლება ისარგებლოს ევროკავშირის საინვესტიციო ინიციატივებით ჩართვით და მისი სტრატეგიული მდებარეობის კაპიტალიზებით ინვესტიციების მოსაზიდად როგორც ევროკავშირის, ისე ევროკავშირის არანევრი ქვეყნებიდან (Anghel et al., 2019). ევროკავშირის მიდგომა სამართლებრივი პლურალიზმისადმი და ინვესტიციების დაცვის მექანიზმების ბოლოდროინდელმა განვითარებამ, როგორცაა ევროკავშირის შიდა ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების (BITs) შეწყვეტა, ასევე შეიძლება უზრუნველყოს საქართველოსთვის საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდის საფუძველი (Amariles et al., 2020).

2023 წლის 14 დეკემბერს, ევროპულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების შესახებ იმის გათვალისწინებით, რომ კომისიის 2023 წლის 8 ნოემბრის რეკომენდაციით განსაზღვრული შესაბამისი ნაბიჯები გადაიდგმება. 2023 წლის 8 ნოემბერს, ევროკომისიამ რეკომენდაცია გასწია ევროსაბჭოსთან, საქართველოსთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების შესახებ, იმის გათვალისწინებით, რომ გადაიდგმება რიგი ნაბიჯები.

2022 წლის 23 ივნისს ევროპულმა საბჭომ საქართველოს ევროპული პერსპექტივა აღიარა და გამოთქვა მზადყოფნა, საქართველოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიანიჭოს მას შემდეგ, რაც შესრულდება კომისიის დასკვნაში განსაზღვრული 12 პრიორიტეტი ევროკავშირში განევრია-ნების შესახებ საქართველოს განაცხადთან დაკავშირებით. ასოცირების შესახებ შეთანხმება 2016 წლის ივლისში შევიდა ძალაში. მისი მიზანი საქა-

რთველოსა და ევროკავშირს შორის პოლიტიკური ასოცირება და ეკონომიკური ინტეგრაცია. ევროკავშირსა და საქართველოს შორის მოქმედებს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე, ხოლო 2017 წლის 28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეები სარგებლობენ შენგენის ზონაში უვიზოდ მიმოსვლის უფლებით. ევროკავშირი საქართველოს ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორია და ყოველწლიურად საქართველოსთვის ტექნიკური და ფინანსური დახმარების სახით საშუალოდ 100 მლნ ევროზე მეტ თანხას გამოყოფს. (ევროკავშირი და საქართველო, 2023)

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (IMF), ჯეიმს ჯონის ხელმძღვანელობით, 13-21 ივლისს ანარმოა ვირტუალური დისკუსიები საქართველოს ხელისუფლებასთან არსებული ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის შესასწავლად და რეფორმების პრიორიტეტების შესაფასებლად. ამის შესახებ ინფორმაცია საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე გავრცელდა. შეხვედრების დასასრულს ჯეიმს ჯონმა საქართველოს ეკონომიკის სწრაფ ზრდაზე ისაუბრა.

„საქართველოს ეკონომიკა აგრძელებს სწრაფ ზრდას, 2023 წლის იანვრიდან მაისამდე ეკონომიკა გაფართოვდა 7,5 პროცენტით. ამ ზრდას განაპირობებს ძლიერი ტურიზმი, სატრანზიტო ვაჭრობა და ფინანსური შემოდინება, რაც დიდწილად გავლენას ახდენს რუსეთის ომმა უკრაინაში. ეს საგარეო შემოდინება აძლიერებს ლარის კურსს.


2023 წლის პირველ კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი კვლავ კლებულობს. 2023 წლის პირველ ნახევარში მაღალმა ფისკალურმა შემოსავლებმა გამოიწვია ბიუჯეტის უმნიშვნელო ჭარბი რაოდენობა. 3 პროცენტის ინფლაციის კლება განპირობებული იყო საქონლის ფასების ვარდნით და ლარის კურსის გამყარებით შევინარჩუნეთ ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბლა, ECB-მ მაისში შეამცირა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 10,5 პროცენტამდე. ფინანსური სექტორი სტაბილურად რჩება 2023 წელს, ეკონომიკის ზრდას საშუალოდ 6 პროცენტით. შემოდინება სტაბილიზდება და ადგილობრივი წარმოების სიმძლავრე ხდება შემზღუდველი ფაქტორი. საშუალოვადიან პერსპექტივაში ზრდის ტემპი დაახლოებით 5 პროცენტს მიაღწევს, ძლიერი ტურიზმისა და ინვესტიციების ხელშეწყობის მხარდაჭერით. საბაზისო ეფექტიდან და ლარის გამყარებიდან გამომდინარე, 2023 წლის ბოლოსთვის ვგეგმავთ ინფლაციის შემდგომ შემცირებას 0,3 პროცენტამდე, 2024 წელს ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს დაუბრუნდება“ (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2023).



ევროკავშირიდან საქართველოში ყველაზე მეტი თანხა ფულადი გზავნილების სახით შემოდის. 2023 წლის 11 თვეში ევროკავშირის ქვეყნებიდან ქართველებმა თითქმის 1,2 მილიარდი დოლარი გადმორიცხეს.

### დიაგრამა 8.1.

ბოლო ათ წელში ფულადი გზავნილების მოცულობა ევროკავშირიდან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს მოქალაქეების მიგრაციის ზრდასთან ერთად მატულობდა ევროკავშირიდან გადმორიცხული ფულიც და ამ პროცესს უფიზო მიმოსვლის ამოქმედებამაც შეუწყო ხელი. 2013-2021 წლებში ევროკავშირის წილი მთლიან ფულად გზავნილებში 26-დან 40%-მდე გაიზარდა. გამონაკლისი 2022-2023 წლებია, როცა უკრაინის ომის გამო რუსეთიდან გადმორიცხვები ისტორიულად გაიზარდა, თუმცა მაისიდან რუსეთიდან გადმორიცხვა მნიშვნელოვანად მცირდება და ევროკავშირიდან გამოგზავნილი თანხა ისევ იწეებს ზრდას. ეროვნული ბანკის მონაცემებით, გაერთიანების წევრი ქვეყნებიდან ყველაზე მეტს იტალიიდან და საბერძნეთიდან რიცხავენ.

ტურიზმის სექტორისთვის ევროპელი ვიზიტორები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ევროკავშირის ქვეყნებიდან მხარჯველი ტურისტები ჩამოდინან. 2023 წელსაც ევროკავშირიდან ვიზიტორების რაოდენობა პანდემიამდელ, ანუ 2019 წლის მაჩვენებელს ჯერ არ დაბრუნებია. წლიური მაჩვენებელი ცნობილი იანვარში გახდება, 9 თვის მონაცემებით კი ევროკავშირიდან ჯამში 329 ათასი ტურისტი შემოვიდა, რომლებმაც

ქვეყანაში 428 მლნ დოლარი დახარჯეს. ვიზიტორების რაოდენობის კლების მიუხედავად, ამ წლის 9 თვეში ევროკავშირიდან ჩამოსულების ხარჯები უფრო მეტი იყო, ვიდრე 2019 წელს.

„გაზრდილია როგორც სასტუმროს, ისე რესტორნის ხარჯები. 2019 წელთან შედარებით ასევე გაიზარდა ვიზიტების ხანგრძლივობა, რაც ცხადია დანახარჯებზეც აისახა“, - ამბობს „თიბისი კაპიტალის“ კვლევის მიმართულების უფროსი ირინა კვახაძე.

მისივე თქმით, უკრაინაში მიმდინარე ომმა ევროკავშირიდან ვიზიტორების ჩამოსვლა შეაფერხა, რადგან საქართველო ომის ფონზე ზოგიერთი ვიზიტორისთვის უსაფრთხო ქვეყნად აღარ მიიჩნეოდა. ევროპელ ტურისტებში შედიან დიდი ბრიტანეთიდან ჩამოსული ვიზიტორებიც, ბრექსიტის მიუხედავად საქართველო მათ კვლავ ევროკავშირთან ერთად ითვლის.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვანი სექტორია საერთაშორისო ვაჭრობა. მსოფლიო ვაჭრობასთან მიმართებაში საქართველოს საგარეო ვაჭრობა მეტად მოკრძალებულია. 2022 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს საქონლის ექსპორტის წილი შეადგენს მსოფლიო ექსპორტის 0.01%-ს, ხოლო ქვეყნის იმპორტის ხვედრითი წილი მსოფლიო იმპორტის 0.03%-ია. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, საქართველო მსოფლიო 100 ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყანებს შორის არაა წარმოდგენილი. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, 2022 წელს მსოფლიო საქონლის ექსპორტმა 24312 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო საქონლის იმპორტმა 25118 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს საქონლის ექსპორტი მსოფლიო ექსპორტის 0.02%, ხოლო საქართველოს საქონლის იმპორტი მსოფლიო იმპორტის 0.05%-ია. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, საქართველო მსოფლიო 100 ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყანებს შორის არაა წარმოდგენილი (World Trade Organization, 2023).

2022 წელს საქართველოს ევროკავშირთან სავაჭრო ბრუნვა წინა წელთან შედარებით 29%-ით გაიზარდა, 3922.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ბრუნვის 20.5% დაიკავა. საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში გაიზარდა 20%-ით, 863 მლნ. აშშ დოლარი და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 15.4% შეადგინა. იმპორტი ევროკავშირიდან 32%-ით გაიზარდა და 3060.5 მლნ. აშშ დოლარი და საქართველოს მთლიანი იმპორტის 22.6% შეადგინა. (2021 წელი - 23%). ევროკავ-

შირში ადგილობრივი ექსპორტი 16%-ით გაიზარდა, რამაც 741 მლნ. აშშ დოლარი და ევროკავშირში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 86% შეადგინა.

2022 წელს სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა 1 024.3 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 18.3 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს მსუბუქი ავტომობილები 903.8 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 16.2 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა ფეროშენადნობები 459.8 მლნ. აშშ დოლარით (8.2 პროცენტი).

2022 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან სავაჭრო სავაჭრო ბრუნვაში 69.5% შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები არიან: თურქეთი რუსეთი, ჩინეთი, აზერბაიჯანი, აშშ, უკრაინა, სომხეთი, გერმანია, ბულგარეთი და იტალია.

2023 წელს საქართველოს სავაჭრო ვაჭრობის ბრუნვა ევროკავშირთან 15%-ით გაიზარდა, 4 500 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ბრუნვის 21% დაიკავა (2022 = 21%). ექსპორტი შემცირდა 18%-ით, 704.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 11.6% შეადგინა (2022-15%). იმპორტი 24%-ით გაიზარდა და 3 795.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, საქართველოს მთლიანი იმპორტის 24.6% დაიკავა (2022 = 23%).

2023 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან სავაჭრო სავაჭრო ბრუნვაში 68.5% შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (\$2.979 მლრდ), რუსეთი (\$2.401 მლრდ) და აშშ (\$2.046 მლრდ).

ათი უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 80.3 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეულში შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: აზერბაიჯანი (862.1 მლნ. აშშ დოლარი), სომხეთი (787.1 მლნ. აშშ დოლარი) და ყაზახეთი (703.0 მლნ. აშშ დოლარი)

ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 70.5 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (2 575.1 მლნ. აშშ დოლარი), აშშ (2 051 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (1 744.8 მლნ. აშშ დოლარი). (Papalashvili, S. 2023)

### ცხრილი 8.1.

#### საქართველოს უმსხვილესი საეაჭრო პარტნიორი ქვეყნები, 2023 წელი

ექსპორტის მიხედვით			იმპორტის მიხედვით		
N	ქვეყანა	მლნ. დოლარი	N	ქვეყანა	მლნ. დოლარი
	ევროკავშირი	704,4		ევროკავშირი	3829,2
1	აზერბაიჯანი	862	1	თურქეთი	2575,1
2	სომხეთი	787,1	2	აშშ	2051
3	ყაზახეთი	703	3	რუსეთი	1744,8
4	რუსეთი	657	4	ჩინეთი	1329,1
5	თურქეთი	409,2	5	გერმანია	974
6	ჩინეთი	310,9	6	აზერბაიჯანი	656,2
7	ბულგარეთი	250	7	იაპონია	596
8	უკრაინა	101,3	8	იტალია	374
9	აშშ	97	9	სომხეთი	336,5
10	გერმანია	57	10	უკრაინა	259,5


წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ექსპორტი. იმპორტი. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/765/sakonlit-sagareo-vachroba>

საქართველოს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით, საქართველოში წარმოებული პროდუქტები გარკვეული პირობების (მაგალითად, უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა) დაკმაყოფილების შემთხვევაში, საბაჟო გადასახადის გარეშე შედის ევროკავშირის ბაზარზე. 2023 წლის 11 თვეში საქართველოდან ჯამში თითქმის 5,6 მილიარდი დოლარის ღირებულების პროდუქცია გავიდა ექსპორტზე და აქედან 669 მლნ დოლარი ევროკავშირზე მოდიოდა. ეს ნიშნავს, რომ მთლიანი ექსპორტის 12% მოდის ევროკავშირის 27 ქვეყანაზე. წელს ექსპორტი ევროკავშირთან 129 მლნ დოლარით არის შემცირებული, რაც გამონწვეულია ძირითად

თადი საექსპორტო პროდუქციის - სპილენის მადნებისა და თხილის ექსპორტის შემცირებით.

### დიაგრამა 8.2.

ევროკავშირში ექსპორტის მოცულობა 2019-2023 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ექსპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti>


იქედან გამომდინარე, რომ ეკონომიკის ასამუშავებლად წარმოების ფაქტორებიდან ერთერთი უმნიშვნელოვანესი - „კაპიტალია“ საჭირო და ეს ამ ეტაპზე ქვეყანას არ გააჩნია, საქართველოს ეკონომიკური ზრდისთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, განსაკუთრებით საქართველოს მსგავს განვითარებად ქვეყნებში, სადაც შედარებით დაბალია შიდა დანაზოგების დონე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი ქვეყნის განვითარებაში გამოიხატება საგადასახადო შემოსავლების გაზრდით, მენეჯმენტისა და ტექნოლოგიების გაუმჯობესებითა და მასპინძელ ქვეყნებში შრომითი უნარ-ჩვევების ზრდით. განვითარებად ქვეყნებში გრძელვადიანი ინვესტიციების დასაფინანსებლად არასაკმარისი რესურსია, ხოლო საინვესტიციო ფონდების ნაკლებობა ეკონომიკური ზრდის ხელშემშლელ ფაქტორად გვევლინება. ნეოკლასიკური თეორიის თანახმად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კა-

პიტალის ოდენობის ზრდასთან ერთად უზრუნველყოფს შემოსავლის ზრდას გრძელვადიანი პერსპექტივით ისეთი ცვლადების მეშვეობით, როგორცაა კვლევისა და განვითარების (R & D) და ადამიანური კაპიტალი. (Msuya, 2007). თუმცა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე არ არის ავტომატური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას მხოლოდ მაშინ, როდესაც მასპინძელმა ქვეყანამ მიაღწია განვითარების მინიმუმ დონეს განათლების, ინფრასტრუქტურისა და ფინანსური ბაზრების კუთხით და შეძლო თანამედროვე ტექნოლოგიების შემუშავება. კლაინის განცხადებით (Klein, 2001) წარმატებული უცხოური ინვესტიციების განხორციელებისათვის და შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, ის გარემო, რომელშიც უცხოელი ინვესტორები მუშაობენ მიმდები ქვეყნის მიერ მაქსიმალურად უნდა იყოს მხარდაჭერილი და უქმნიდეს საქმიანობის წარმატებით განხორციელების შესაძლებლობებს, კერძოდ, უნდა არსებობდეს თანაბარი და კონკურენტუნარიანი სათამაშო მოედანი.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს წარმოების ფაქტორების პროდუქტიულობას და შემოსავლების ზრდას მასპინძელ ეკონომიკაში. თავის მხრივ, ეს განპირობებულია იმით, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის კონკურენციის დონეს ადგილობრივ ბაზარზე და ამ გზით ხელს უწყობს მაღალ პროდუქტიულობას, ინოვაციებს, შედარებით დაბალ ფასებს და რესურსების უფრო ეფექტიან გადანაწილებას. უცხოურ ინვესტიციებს შეიძლება ქონდეს ადგილობრივი ინვესტიციების გამოდევნის ეფექტი. ქვეყნებში, სადაც ადგილობრივი ბაზრის ათვისების მიმართულებით ხორციელდება ინვესტიციები ადგილობრივი კომპანიები მნიშვნელოვან კონკურენციას ხვდებიან, რადგან უცხოური ინვესტიციებით შექმნილი კომპანიები დაბალი ზღვრული დანახარჯის გამო ზრდიან წარმოების მოცულობას და იზიდავენ მომხმარებელს. შემცირებული მოთხოვნის გამო კი ადგილობრივი მწარმოებლები ამცირებენ წარმოების მოცულობას და მათი ფიქსირებული დანახარჯი ერთ ერთეულ წარმოებაზე იზრდება. მაგრამ თუ ინვესტიცია არის საექსპორტო წარმოებაზე მიმართული მაშინ ადგილობრივი ინვესტიციების გამოდევნის ეფექტი ნაკლებ პრობლემას წარმოადგენს. მაგალითად, ემპირიული კვლევებით საქართველოში ფიქსირდება გამოდევნის ეფექტი (სიხარულიძე დ., 2018). (იხ, დიაგრამა 8.3).

### დიაგრამა 8.3.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2017-2023 წწ.  
(ქვეყნებისა მიხედვით, მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi>

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ცვლიან ქვეყანაში არსებულ ეკონომიკური აქტივობის დონეს, ზრდიან დასაქმებას, მოხმარებასა და ზოგადად ეკონომიკას. ინვესტიცია შეიძლება იყოს კერძო, საოჯახო, შერეული ან სახელმწიფო. ეკონომიკისა და პოლიტიკის განუყოფლობიდან გამომდინარე, ინვესტიციები ზოგჯერ ერთი ქვეყნის მიერ მეორეზე პოლიტიკური ზენოლის ინსტრუმენტადაც გამოიყენება. ამიტომ, სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს წარმოშობის ადგილის მიხედვით საინვესტიციო ნაკადების დივერსიფიკაციას, რათა სახელმწიფომ ეკონომიკური სუვერენიტეტი არ დაკარგოს, ან ინვესტორი ქვეყნის რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისი ინვესტიციის მიმღებ ქვეყანაზეც არ გავრცელდეს (გელაშვილი მ., 2000).

ქვეყნის უმსხვილესი ინვესტორები ევროკავშირის ქვეყნები არიან, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ევროკავშირის მიერ საქართველოსადმი გამოსხატულ ინტერესსა და საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან მზარდ ჰარმონულობაზე.

მნიშვნელოვანია საქართველოში ევროპული ინვესტიციების მოზიდვის პრობლემების კვლევა საქართველოს ტერიტორიაზე ადგილო-

ბრივი ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებსა და მათი დაცვის გარანტიების კონტექსტში. ქვეყნის შიგნით არსებული საინვესტიციო სახსრების მოზიდვისათვის გასატარებელი ღონისძიებების ანალიზი დაგვანახებდა, რომ ქვეყანას ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების საკმაოდ წყაროები აქვს, რაც შეიძლება გამოიწვიოს ევროკავშირთან ინტეგრაციის გაღრმავების შედეგად საქართველოს ეკონომიკის ზრდამ. ნაშრომი უდავოდ მოიგებდა, რომ მასში უფრო დეტალურად იყოს განხილული ევროინტეგრაციის გაღრმავების შედეგად გამოწვეული ეკონომიკურ ზრდის გავლენა შიგნით ინვესტიციების მოცულობის ზრდაზე.

ევროკავშირის ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკის ზრდასა და განვითარებაზე დიდ ზეგავლენას ახდენენ. ეს ინვესტიციები უზრუნველყოფენ ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, წარმოების გაუმჯობესებასა და ექსპორტის ზრდას. ამას გარდა, ევროკავშირის ფინანსური დახმარება ხელს უწყობს საქართველოს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და მოდერნიზაციას, რაც აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის სრულად გამოსაყენებლად.

საქართველოს კანონმდებლობით “ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით”. საქართველოში ინვესტიციების უმეტესობა მიმართულია ბიზნესში და ეკონომიკური ინვესტიციების სახით ხდება საწარმოო აქტივების შექმნა და გამოყენება.

ევროკავშირის ჩართულობა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში მრავალმხრივია. ევროკავშირი აწარმოებს სხვადასხვა ინიციატივებსა და პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობისა და ინვესტიციური გარემოს გაუმჯობესებას. ასეთი პროგრამებია: 1. ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტი (ENI): ეს პროგრამა უზრუნველყოფს დაფინანსებას სხვადასხვა სექტორში, მათ შორის ინოვაციებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში. 2. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) სამოქმედო გეგმები: ეს გეგმები მოიცავს ინვესტიციების მხარდაჭერას მცირე და საშუალო ბიზნესების განვითარებისთვის, რაც საშუალებას აძლევს ადგილობრივ კომპანიებს მიიღონ დამატებითი ფინანსური რესურსები. 3. ტვინინგი პროგრამები: ეს პროგრამები უზრუნველყოფენ ტექნიკურ დახმარებას და ცოდნის გაზიარებას საქართველოს საჯარო სექტორისა და კერძო ბიზნესის წა-



რმომადგენლებისთვის, რაც ამაღლებს ქვეყნის ინსტიტუტების პროფესიონალიზმს და ეფექტიანობას. (სიდამონიძე, ქ., 2021).

ევროკავშირიდან მიღებული თანხები ასევე იხარჯება პროექტებში, რომლებიც მოიცავს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ენერგეტიკის სექტორის განვითარებას, მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) მხარდაჭერას, განათლების სისტემის გაუმჯობესებას და სხვა.

საქართველოს ინფრასტრუქტურის განვითარება წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას ევროკავშირის ინვესტიციებისათვის. აღნიშნული ინვესტიციები მოიცავს გზების, რკინიგზების და აეროპორტების მოდერნიზაციას. ერთ-ერთი ასეთი პროექტია: “აღმოსავლეთ-დასავლეთის ტრანსპორტის დერეფნის პროექტი”, რომელიც მიზნად ისახავს სატრანსპორტო ქსელის გაუმჯობესებას და ლოგისტიკური პროცესების ეფექტურობის გაზრდას. 2015-2022 წლებში ევროპის საინვესტიციო ბანკმა (EIB) გამოყო 250 მილიონი ევრო პროექტისთვის, შედეგად მივიღეთ, რომ ტრანსპორტის გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად ამცირებს ტრანსპორტირების ხარჯებს და დროის დანაკარგს, რაც ქმნის ხელსაყრელ პირობებს შიდა ინვესტიციებისთვის, განსაკუთრებით ლოჯისტიკისა და სავაჭრო სექტორში.

ენერგეტიკის სფეროში ევროკავშირის ინვესტიციები მოიცავს როგორც განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარებას, ასევე ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებას. ეს ინვესტიციები უზრუნველყოფენ საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის ზრდას და ენერჯის წარმოების მდგრადობის უზრუნველყოფას, ასევე ხელს უწყობს ენერგეტიკული უსაფრთხოების და დამოუკიდებლობის გაუმჯობესებას. პროექტი “კავკასიის ტრანსსასაზღვრო ელექტროენერჯის ქსელის განვითარება”, მიზნად ისახავს საქართველოს ენერგეტიკული ქსელის მოდერნიზაციას და მეზობელ ქვეყნებთან ენერგეტიკული ინტეგრაციის გაუმჯობესებას. 2016-2021 წლებში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) პროექტისთვის გამოყო 150 მილიონი ევრო. ენერგეტიკის სექტორის გაძლიერება უზრუნველყოფს სტაბილურ ენერგო მიწოდებას, რაც მნიშვნელოვანია ინვესტიციებისთვის წარმოებისა და მრეწველობის სექტორში. 2015-2022 წლებში ევროკავშირის ინვესტიციების მოცულობა ტრანსპორტის და ენერგეტიკის სექტორებში იყო 400 მილიონი ევრო. ტრანსპორტის ხარჯები შემცირდა და ენერგეტიკული უსაფრთხოება გაუმჯობესდა. (EBRD, 2022).

მცირე და საშუალო ბიზნესების (SME) განვითარება საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ევროკავშირი აქტიურად უჭერს მხარს ამ სექტორს სესხებისა და გრანტების მეშვეობით, რაც ბიზნესის განვითარებას და შიდა ინვესტიციების ზრდას უწყობს ხელს. “EU4Business”, გვთავაზობს სხვადასხვა პროგრამებს მცირე და საშუალო ბიზნესების მხარდაჭერისთვის, მათ შორის ფინანსური დახმარებისა და კონსულტაციების განწევის სახით. 2017-2023 წლებში პროგრამამ საქართველოში მოიზიდა 100 მილიონი ევრო. დაფინანსების შედეგად, 2023 წლისთვის SME-ების მიერ შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა გაიზარდა 20%-ით. (European Commission, 2023).

ევროკავშირის ინვესტიციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით. ევროკავშირი საქართველოს სთავაზობს მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მოდელს, რომელიც მიზნად ისახავს გარემოს დაცვითი, სოციალური და მმართველობითი პრინციპების ინტეგრირებას ეკონომიკურ საქმიანობაში. ევროკავშირის ინვესტიციები გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი პოლიტიკის გაუმჯობესებას, ეკოლოგიურად სუფთა ენერჯის წყაროების განვითარებას და მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას. ამავე დროს, აღნიშნული ინვესტიციები ხელს უწყობს შიდა ინვესტიციების ზრდას და ეკონომიკური სტაბილურობის განმტკიცებას. (მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია საქართველოსთვის, 2022)

2017-2022 წლებში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD), ქალაქებში ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის და ენერგოეფექტური შენობების განვითარების მიზნით, დააფინანსა პროექტი: მწვანე ქალაქები - მწვანე ეკონომიკა 50 მილიონი ევროთი, პროექტის ფარგლებში, თბილისის საზოგადოებრივ ტრანსპორტში დაინერგა 200 ახალი ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსი და განხორციელდა 10-მდე საჯარო შენობის ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება, რაც ამცირებს ჰაერის დაბინძურებას და ენერგომოხმარებას.

2016-2021 წლებში ევროპის საინვესტიციო ბანკმა (EIB) 70 მილიონი ევროთი დააფინანსა პროექტი: განახლებადი ენერჯის განვითარება, პროექტის ფარგლებში აშენდა 5 ახალი ჰიდროელექტროსადგური და 3 ქარისა და მზის ელექტროსადგური, რაც ზრდის საქართველოს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას და ამცირებს გარემოზე მავნე ზემოქმედებას.

2018-2023 წლებში პროექტმა „EU4Environment“ მიიღო 20 მილიონი ევრო დაფინანსება ევროკავშირისგან გარემოსდაცვითი რეგულაციების გაუმჯობესებისა და მდგრადი მინათმოქმედების ხელშეწყობისთვის. პროგრამის ფარგლებში დაინერგა ახალი ნარჩენების მართვის სისტემა, რომელიც მოიცავს ნარჩენების სეპარაციასა და გადაამუშავებას, ასევე განხორციელდა 1000 ჰექტარი მიწის მდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკების დანერგვა.

2015-2023 წლებში ევროკავშირის ინვესტიციების შედეგად გარემოს დაცვის და განახლებადი ენერჯის სექტორში განხორციელდა 200 მილიონი ევროს ოდენობის ინვესტიციები. 2023 წელს გარემოს დაცვის პროექტებში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა შეადგინა 50 მილიონი ევრო, რაც 2018 წლის მაჩვენებლებთან შედარებით 25%-ით მეტია. 2016-2023 წლებში განახლებადი ენერჯის წილი საქართველოს ენერჯეტიკულ სექტორში გაიზარდა 15%-ით. 2023 წელს განახლებადი ენერჯის წყაროები შეადგენდნენ ქვეყნის ენერჯეტიკული წარმოების 25%-ს. 2017-2022 წლებში ევროკავშირის ინვესტიციების შედეგად საქართველოში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების პროექტებში განხორციელდა 100 მილიონი ევროს ოდენობის ინვესტიციები. 2023 წელს ენერგოეფექტურობის პროექტების შედეგად ენერგომოხმარება შემცირდა 10%-ით. (Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia, 2023).

ევროკავშირის ინვესტიციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს საბანკო სექტორზე. ბანკები მნიშვნელოვანი მექანიზმია ინვესტიციების მართვისა და განაწილებისათვის. ევროკავშირის ინვესტიციებმა ხელი შეუწყო საქართველოს ბანკების კაპიტალის ზრდას და ახალი ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებას. ფინანსური მხარდაჭერა მოიცავს როგორც პირდაპირ ინვესტიციებს, ასევე სესხებს და გრანტებს, რომლებიც ბანკებმა მიიღეს ევროკავშირის ფონდებიდან.

2018-2023 წლებში ევროპის საინვესტიციო ბანკმა (EIB) საქართველოს საბანკო სექტორს, სესხების გაცემის უნარის გაზრდის, ახალი ფინანსური პროდუქტების შემუშავებისა და ბანკების კაპიტალის გაძლიერების მიზნით, გამოყო დაახლოებით 200 მილიონი ევრო. EIB-ის მხარდაჭერამ ბანკებს მისცა შესაძლებლობა გაეზარდათ სესხების მოცულობა SME-ებისთვის, გაიცა 1 მილიარდი ლარის ოდენობის სესხები, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა შიდა ინვესტიციების ზრდას.

2017-2022 წლებში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) საქართველოს საბანკო სექტორს, ენერგოეფექტურობის და მწვანე პროექტების დაფინანსების, SME-ების მხარდაჭერისა და კრედიტების გაზრდის მიზნით, გამოყო დაახლოებით 150 მილიონი ევრო. EBRD-ის მიერ გამოყოფილი თანხებით გაიზარდა მწვანე პროექტების დაფინანსება, რამაც ხელი შეუწყო ინოვაციური და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების დანერგვას.

2015-2023 წლებში ევროკავშირის ინვესტიციების მოცულობა საქართველოში გაიზარდა 25%-ით, შედეგად საქართველოს შიდა ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა 30%-ით. 2023 წელს საქართველოში განხორციელებული შიდა ინვესტიციები შეადგინა 1.2 მილიარდი ლარი, რაც 2018 წლის მაჩვენებლებთან შედარებით 15%-ით მეტია. 2018-2023 წლებში საქართველოს ბანკების კაპიტალი გაიზარდა 20%-ით ევროკავშირის ინვესტიციების და დაფინანსების შედეგად. 2023 წელს ბანკების მთლიანი აქტივები შეადგენდა 5 მილიარდ ლარს. (National Statistics Office of Georgia, 2023).

ევროკავშირის ინვესტიციების და საქართველოს კანდიდატის სტატუსის მიღებით საქართველოს ეკონომიკა კიდევ უფრო გაიზრდება. პროგნოზები მიუთითებს, რომ თუ საქართველო გააგრძელებს რეფორმების განხორციელებას და ევროკავშირის მხარდაჭერას მიიღებს, ქვეყნის ეკონომიკა გაიზრდება საშუალოდ 4%-ით ყოველწლიურად მომდევნო 5 წლის განმავლობაში.

2024-2028 წლებში შიდა ინვესტიციების მოცულობა მოსალოდნელია გაიზარდოს 25%-ით. გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების სექტორში მოსალოდნელია გაიზარდოს 30%-ით. ევროკავშირის ინვესტიციების შედეგად ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების ბაზარი საქართველოში გაიზრდება 20%-ით ყოველწლიურად. განახლებადი ენერჯის წყაროების წილი საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში გაიზრდება 10%-ით. ბანკების კაპიტალის ზრდა იქნება საშუალოდ 5%-ით ყოველწლიურად.

2028 წლისთვის შიდა ინვესტიციების საერთო მოცულობა მიაღწევს 1.5 მილიარდ ლარს. გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების სექტორში შიდა ინვესტიციების საერთო მოცულობა მიაღწევს 300 მილიონ ევროს. ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების ბაზრის მოცულობა მიაღწევს 150 მილიონ ევროს. განახლებადი ენერჯის წყაროები შეადგენენ ქვეყნის ენერგეტიკული წარმოების 35%-ს. ბანკების მთლი-

ანი აქტივები მიაღწევს 6 მილიარდ ლარს. (National Statistics Office of Georgia, 2023).

2024-2027 წლებში საქართველოში ინფრასტრუქტურული (კაპიტალური) პროექტების განხორციელებაზე 16 მილიარდ ლარზე მეტი უნდა დაიხარჯოს. დახარჯული და დასახარჯი თანხის ჯამი 35 მილიარდი ლარია. 2024-2027 წლების ყველაზე მსხვილი 5 პროექტი, რომლებზეც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყველაზე მეტი ფული დაიხარჯება არის:

### **1. თბილისი-სენაკი-ლესელიძის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (ავტობანის) მშენებლობა – 685 მლნ ლარი**

პროექტს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი“ ახორციელებს, დამფინანსებელი კი ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), აზიის განვითარების ბანკი (ADB), მსოფლიო ბანკი (WB) და ევროკავშირი (EU) არიან. აღნიშნულ პროექტზე 4 მილიარდი ლარი უკვე დაიხარჯა, 2024 წელს – 515 მლნ ლარი, ხოლო 2025-2027 წლებში 170 მლნ ლარი უნდა დაიხარჯოს. ეს თანხა არ მოიცავს ავტობანის დასრულებული მონაკვეთების მშენებლობების ხარჯებს. ეს არის მხოლოდ მიმდინარე მშენებლობების დაფინანსება.

### **2. თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის მშენებლობა – 579 მლნ ლარი**

პროექტი ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) დაფინანსებით ხორციელდება. აღნიშნულ პროექტზე 12 მლნ ლარი უკვე დაიხარჯა, 2024 წელს – 1.5 მლნ ლარი, ხოლო 2025-2027 წლებში 577 მლნ ლარი უნდა დაიხარჯოს. პროექტის განმახორციელებელი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სსიპ-ი, „ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრია“.

აღნიშნული პროექტი მოიცავს: თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის რუსთავი-წითელი ხიდის 32-კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობას.

### **3. მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზისა და გვირაბის მშენებლობა – 472 მლნ ლარი**

პროექტი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (EBRD) და აზიის განვითარების ბანკის (ADB) დაფინანსებით ხორციელდება. აღნიშნულ პროექტზე 867 მლნ ლარი უკვე დაიხარჯა, 2024 წელს – 250 მლნ ლარი, ხოლო 2025-2027 წლებში 222 მლნ ლარი უნდა

დაიხარჯოს. პროექტის განმახორციელებელი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სსიპ-ი, „ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრია“. აღნიშნული პროექტი მოიცავს: მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე 13.7-კმ-იანი საავტომობილო გზის და 9-კმ-იანი გვირაბის მშენებლობას.

#### **4. იმერეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში კომუნალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება – 322 მლნ ლარი**

პროექტი გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW, გერმანიის სახელმწიფო ბანკი) დაფინანსებით ხორციელდება. აღნიშნულ პროექტზე 56 მლნ ლარი უკვე დაიხარჯა, 2024 წელს 75 მლნ ლარი, ხოლო 2025-2027 წლებში 247 მლნ ლარი უნდა დაიხარჯოს. პროექტის განმახორციელებელი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროა. აღნიშნული პროექტი მოიცავს:

სამტრედიის, ბაღდათის, ვანსა და ყაზბეგში წყალმომარაგებისა და წყალარინების (კანალიზაციის) სისტემების რეაბილიტაცია-მონყობას და წყალარინების გამწმენდი ნაგებობების აშენებას.


#### **5. ქუთაისის წყალარინების (კანალიზაციის) პროექტი – 321 მლნ ლარი**

პროექტი ევროპის საინვესტიციო ბანკისა (EIB) და აღმოსავლეთ პარტნიორობის ტექნიკური დახმარების ფონდის (EPTATF) დაფინანსებით ხორციელდება. აღნიშნულ პროექტზე 30 მლნ ლარი უკვე დაიხარჯა, 2024 წელს – 42 მლნ ლარი, ხოლო 2025-2027 წლებში 279 მლნ ლარი უნდა დაიხარჯოს. პროექტის განმახორციელებელი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროა. აღნიშნული პროექტი მოიცავს: ქალაქ ქუთაისში 116 კმ სიგრძის მაგისტრალური წყალარინების ქსელის (კანალიზაციის), 25 კმ სიგრძის კოლექტორისა და 19 სატუმბი სადგურის მონყობას. ასევე, წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობას. (Forbes Georgia, 2024)

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები როგორც არასტაბილურობით, ისე არასახარბიელო მაჩვენებლებით ხასიათდებოდა (იხ. დიაგრამა 8.4).

ინვესტიციების აკადემიურად და სტატისტიკურად დათვლის ყველაზე გამართული მეთოდი, მისი ეკონომიკასთან ფარდობაა. 10 წლის განმავლობაში, საშუალოდ, ეს მაჩვენებელი 8% იყო, თუმცა 2023 წელს მკვეთრად შემცირდა და 5%-ზე ჩამოვიდა. იქიდან გამომდინარე, რომ

**დიაგრამა 8.4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლრდ. აშშ დოლარი) და მისი ფარდობა მშპ-სთან, 2014-2023 წლები**




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhuri-investitsiebi>

2024 წლის პირველ კვარტალში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა საშუალოდ 7.8% იყო, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 64.4%-ით შემცირდა, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ეკონომიკასთან მიმართებითაც ძალიან მძიმე ვითარებაა და მოცემული მაჩვენებელი კიდევ უფრო ნაკლები შეიძლება იყოს, ვიდრე 2023 წელს.

რაც შეეხება ინვესტიციების წყაროს 2014-2023 წლებში, მათი უდიდესი ნაწილი დასავლური იყო. კერძოდ, ევროპის კავშირის ქვეყნებმა, აშშ-მა და გაერთიანებულმა სამეფომ საქართველოში, ჯამში, 9 მლრდ აშშ დოლარის ინვესტიცია გააკეთეს, რაც მთლიანი მაჩვენებლის 59% იყო. აქედან, ყველაზე დიდი წილი ევროპის კავშირის ქვეყნებს ეკავათ. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთიდან და ჩინეთიდან შემოსული ინვესტიციების წილი მხოლოდ 7%-ია.

სექტორული თვალსაზრისით, ყველაზე მეტად პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, საფინანსო სექტორი და ენერჯეტიკის სექტორი იზიდავს, ხოლო ინვესტიციებისთვის ყველაზე ნაკლებ მიმზიდველი სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვის სექტორი და სამთო მომპოვებელი მრეწველობაა (იხ. დიაგრამა 8.5).

**დიაგრამა 8.5. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილობრივი მაჩვენებლები ეკონომიკის სექტორების მიხედვით, 2014-2023 წლები.**



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi>

2024 წლის I კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 39% ენერჯეტიკის სექტორზე მოდიოდა, ვაჭრობასა და ტრანსპორტზე კი დაახლოებით 20-20%. სოფლის მეურნეობა სექტორების ათეულშიც ვერ მოხვდა.

მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უდიდესი მნიშვნელობისაა სახელმწიფოსთვის, ყველა ინვესტიცია ერთნაირად სასარგებლო და მომგებიანი არაა. უფრო მეტიც, არსებობს ისეთი ინვესტიციები რომლებიც ქვეყნისთვის საზიანოა. მაგალითად, თუ ის აზიანებს გარემოს ან ექსპლუატაციას უწევს ადგილობრივ მუშახელს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მაჩვენებელი არ ითვალისწინებს ინვესტიციის ბუნებას და აქედან გამომდინარე, ყველანაირ ინვესტიციას ერთნაირად აღრიცხავს.

უცხოურ ინვესტიციებს შეიძლება ქონდეს ადგილობრივი ინვესტიციების გამოდევნის ეფექტი. ქვეყნებში, სადაც ადგილობრივი ბაზრის ათვისების მიმართულებით ხორციელდება ინვესტიციები ადგილობრივი კომპანიები მნიშვნელოვან კონკურენციას ხვდებიან, რადგან უცხოური ინვესტიციებით შექმნილი კომპანიები დაბალი ზღვრული



დანახარჯის გამო ზრდიან წარმოების მოცულობას და იზიდავენ მომხმარებელს. შემცირებული მოთხოვნის გამო კი ადგილობრივი მწარმოებლები ამცირებენ წარმოების მოცულობას და მათი ფიქსირებული დანახარჯი ერთ ერთეულ წარმოებაზე იზრდება. მაგრამ თუ ინვესტიცია არის საექსპორტო წარმოებაზე მიმართული მაშინ ადგილობრივი ინვესტიციების გამოდევნის ეფექტი ნაკლებ პრობლემას წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის პირდაპირ დაფინანსების წყაროს წარმოადგენს, მას საშუალოვადიან პერიოდში შესაძლოა უარყოფითი გავლენა ქონდეს მიმდინარე ანგარიშზე. უცხოელი ინვესტორის მთავარ მიზანს ინვესტიციიდან მაქსიმალური მოგების მიღება წარმოადგენს. ინვესტიციის მიმღები ქვეყნის ზოგიერთი უპირატესობა (იაფი მუშახელი, ბუნებრივი რესურსები და სხვა) საშუალებას აძლევს ინვესტორს წარმატებული ბიზნესი აწარმოოს. მიღებული შედეგი კი ხშირად გადის ქვეყნიდან განაწილებული მოგების სახით, რაც საგადასახდელო ბალანსზე უარყოფით გავლენას ახდენს. გარდა ამისა უცხოური ინვესტიციები ხშირად ახალისებს იმპორტს და თუ არ არის მიმართული საექსპორტო პროდუქტის წარმოებაზე მაშინ გააუარესებს მიმდინარე ანგარიშის ბალანსს.

როგორ უნდა მოიქცნენ პოლიტიკოსები? მთავრობის როლი მოზიდული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეკონომიკური გავლენის შეფასებაში მდგომარეობს. სასარგებლო ინვესტიციები უნდა ნახალისდეს, ხოლო საექსპორტო — უარი ითქვას. როგორც ჩანს, ახლო წარსულში ინვესტიციების მიმართ ასეთი დამოკიდებულებას არ ყოფილა. მაგალითითვის გამოდგება ავსტრიული დელიკატესების კომპანია „შირნჰოფერი“, რომელიც საქართველოში არამხოლოდ თავისი პროდუქციის გაყიდვას, არამედ საწარმოს დაარსებასაც აპირებდა. შირნჰოფერი გეგმავდა მცხეთაში ქარხნის აშენებას, რომელიც დაასაქმებდა 600-მდე ადამიანს. გარდა ამისა, კომპანია გეგმავდა ფერმერებისთვის გასაზრდელად მიებარებინა სპეციალური ფიშის ხბოები. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის საქართველოში არ არსებობდა ლაბორატორია, რომელიც ჩამორთმეული პროდუქციის ხარისხს შემოაწმებდა, ფინანსურმა პოლიციამ შირნჰოფერის პროდუქციის კონფისკაცია სწორედ დაბალი ხარისხის ბრალდებით მოახდინა. ასეთი ხელოვნური დაბრკოლებების გამო „შირნჰოფერმა“ გადაიფიქრა საქართველოში ინვესტირება, ქარხანა ყაზახეთში ააშენა, საქართველოში კი მისი საქმიანობა თბილისში ერთი მაღაზიით შემოიფარგლა. მეორე

მაგალითია ქალაქი ზესტაფონი. ათეულობით წლებია, რაც ზესტაფონში უზარმაზარი ფეროშენადნობთა ქარხანაა, რომლის პროდუქციას საქართველოს ექსპორტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ქარხანა წინა საუკუნის 30-იან წლებში დაარსდა და დღეს მას უცხოელი ინვესტორი მართავს. კომპანიის მუშაობის თაობაზე ბევრი საჩივარი ისმის. ადგილობრივი მუშახელის ხელფასი დაბალია. პრობლემებია ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებითაც. საქართველოში კიბოთი დაავადებულთა ყველაზე მაღალი სტატისტიკა ზესტაფონში ფიქსირდება. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ არც სამრეწველო ინფრასტრუქტურა ვითარდება დიდად და დაახლოებით ისეთივეა, როგორც საბჭოთა კავშირის დროს. გასაკვირი არაა, რომ ზესტაფონის მოსახლეობა უკმაყოფილოა უცხოელი ინვესტორით. სულ ცოტა ხნის წინ მათ ეს უკმაყოფილება ორკვირიანი საპროტესტო აქციებითა და დემონსტრაციებით გამოხატეს. კარგია, რომ ინვესტორი ამუშავებს ქარხანას, ასე თუ ისე ასაქმებს ხალხს და სახელმწიფოს უხდის გადასახადს, თუმცა იგივეს გააკეთებდა ნებისმიერი სხვა ინვესტორი, იქნებოდა ის ადგილობრივი თუ უცხოელი. ამ შემთხვევაში მთავრობამ ვერ უზრუნველყო ისეთი ინვესტორის შერჩევა, რომელიც გააუმჯობესებდა ტექნოლოგიას, განაახლებდა ინფრასტრუქტურას და ა.შ.

უკანასკნელ წლებში საქართველომ ხარისხიანი უცხოური პირდაპირი ინვესტიციის მოზიდვაც მოახერხა. მაგალითად „ბრიტიშ პეტროლეუმის“ (British Petroleum (BP) მილსადენი, რომელიც ძალიან მომგებიანია ქვეყნისათვის. კომპანიამ სამი მილსადენი გაიყვანა, რომლებმაც გაზარდა საქართველოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობა. ამასთანავე, ქვეყანა იღებს მნიშვნელოვან საზღაურს ნავთობის და გაზის გატარებისთვის. ის, რომ BP ასაქმებს საქართველოს მოსახლეობას, არანაკლებ მნიშვნელოვანია.

ტკბილეულის წარმოების იტალიური გიგანტის „ფერეროს“ აქტივობა საქართველოში არის კონსტრუქციული ინვესტირების კიდევ ერთი მაგალითი. „ფერეროს“ დასაქმებული ჰყავს 150-მდე ადამიანი და გარდა ამისა, სეზონურად ასაქმებს კიდევ ასობით მუშას. ასევე, კომპანიის წარმომადგენლებმა სამეგრელოში ჩაატარეს ტრენინგები და ადგილობრივ ფერმერებს შეასწავლეს კულტივაციის მონინავე ტექნოლოგიები.

მიუხედავად განხილული ურთიერთსაწინააღმდეგო ეფექტებისა ითვლება, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითია, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნები განსხვავებულ

ლად სარგებლობენ განხორციელებული ინვესტიციებისგან. პირდაპირი უცხოური ინვესტიცია თავისთავად არ წარმოადგენს უპირატესობას ან ნაკლოვანებას, მისი დადებითი ეფექტი დამოკიდებულია მიმღებ ქვეყნაზე.

ევროკავშირის საინვესტიციო სფეროს განვითარება წარმოადგენს როგორც შესაძლებლობებს, ასევე გამოწვევებს ქვეყნებისთვის, რომლებიც ცდილობენ უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ევროკავშირი თავისი ძლიერი პოლიტიკითა და ინიციატივებით, რომლებიც მიმართულია ინვესტიციების ხელშეწყობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისკენ, ემსახურება როგორც მოდელს მსოფლიოს ქვეყნებისთვის. ევროკავშირის გამოცდილების შესწავლით, საქართველოს შეუძლია მოიპოვოს ღირებული ინფორმაცია უცხოური კაპიტალის მოზიდვისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობის ეფექტური სტრატეგიების შესახებ.

საქართველოს აქვს სტრატეგიულ მდებარეობა და ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემო ბიზნესისთვის. თუმცა, ქვეყნის წინაშე დგას ისეთი გამოწვევები, როგორცაა ინფრასტრუქტურის განვითარება და მარეგულირებელი რეფორმები, რაც მოითხოვს ფრთხილად განხილვას და მოქმედებას. ევროკავშირის ექსპერტიზისა და საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით, საქართველოს შეუძლია გაუმკლავდეს ამ გამოწვევებს და გაზარდოს მიმზიდველობა უცხოელი ინვესტორებისთვის.

ევროკავშირის საინვესტიციო სფეროს განვითარების ანალიზი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საქართველოს პერსპექტივა ხაზს უსვამს ორ სუბიექტს შორის თანამშრომლობის პოტენციალს. გლობალური ინვესტიციების ნაკადების განვითარებადი დინამიკის გააზრებით და ერთმანეთის ძლიერი მხარეების გამოყენებით, ევროკავშირს და საქართველოს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ეკონომიკურ ზრდას, კეთილდღეობას და მდგრად განვითარებას თავიანთი მოქალაქეებისა და გლობალური საზოგადოების საკეთილდღეოდ.

ევროკავშირის საინვესტიციო სფეროს განვითარება ხასიათდება სტრუქტურული ფონდების მხარდაჭერის, სამართლებრივი და ინსტიტუციური გათანაბრებისა და მდგრადი პოლიტიკის ღონისძიებების კომბინაციით. საქართველოსთვის, მსგავსი სტრატეგიების მიღება და ევროკავშირთან ურთიერთობის ბერკეტების გამოყენებამ შეიძლება გააძლიეროს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივები. ევროკავშირის ნევრი ქვეყნების გამოცდილება და კავშირის საინვესტიციო პოლიტიკა ღირებულ გაკვეთილებს იძლევა საქართველოსთვის უცხოური ინვესტიციების გზით ეკონომიკური განვითარების სწრაფვისას.

## თავი 9.

### საქართველოს ვაჭრობის განვითარების პერსპექტივები ევროკავშირთან

საქართველომ 2023 წლის დეკემბერში ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მიიღო. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გავანალიზოთ რა სარგებელს მიიღებს საქართველო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებით და რა გავლენა ექნება მას საგარეო ვაჭრობის განვითარებაზე. გავრცელებული შეხედულებით კანდიდატის სტატუსის მიღებას მნიშვნელოვანი სარგებელიც ახლავს თან, რაც შემდეგში გამოიხატება: ქვეყანა წვდომას იღებს ფინანსურ რესურსებზე, მოსალოდნელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა, რაც სხვა ქვეყნების მაგალითებიდან ჩანს, ასევე, კანდიდატის სტატუსი უკვე, თავისთავად, არის ძლიერი პოლიტიკური კატალიზატორი, რომელიც ხელს უწყობს ძირეულ ცვლილებებს თითოეულ სექტორში და აჩქარებს ქვეყნის ინტეგრაციას ევროკავშირის ბაზარზე (ქარჩავა, ვეშაპიძე, ჭიაბრიშვილი, 2023). ევროკავშირის ბაზარს დაახლოებით 450 მილიონი ადამიანი ჰყავს და მშპ 19.4 ტრილიონი დოლარია. საქართველოს მოსახლეობა 100-ჯერ ნაკლებია, ხოლო საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი დაახლოებით 1000-ჯერ ნაკლებია – ასე რომ, ევროკავშირის შიდა ბაზარზე მოკრძალებულ წარმატებასაც კი დიდი პოტენციალი აქვს. ეს კიდევ უფრო მეტი იქნება, თუ ევროკავშირის ქვეყნები დაიწყებენ საქართველოს ინტეგრაციას მინოდების ჯაჭვებში. მაშინ, ინვესტიციების, სამუშაო ადგილების და ზოგადად ეკონომიკური ზრდის დადებითი მხარე შეიძლება იყოს უსაზღვრო (Welton, 2023). ამ მიმართულებით გამოქვეყნებული კვლევების უმეტესობა ხაზს უსვამს ევროპულ მისწრაფებებს და სარგებელს, რომელსაც საქართველო ევროკავშირში გაწევრიანებით მიიღებს. ევროპული მომავალი არამარტო ქვეყნის ისტორიული მრავალსაუკუნოვანი სტრატეგიული არჩევანი, არამედ ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის იმედი და მომავალი თაობების უკეთესი მომავლის პერსპექტივაა (Sulukhia, Tskhomelidze, Julakhidze, Papava, 2023). ასევე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსის მიღებას

არამხოლოდ ევროკავშირში განწევრიანებისკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად აფასებენ, არამედ, „ევროპულ ოჯახი“-ს წევრად გახდომის გზაზე გადადგმულ დიდ ნაბიჯად.

შესაბამისად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია გამოვიკვლიოთ რისთვის შეიქმნა ევროკავშირი, რა მიზანს ემსახურება და როგორი იქნება ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, განსაკუთრებით საგარეო ვაჭრობაზე და რა სარგებელს მიიღებს ქვეყანა.

საგარეო ვაჭრობის განვითარება საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის მნიშვნელოვანი პირობაა, რომლებიც სხვადასხვა მიზნებს ისახავს. ამ პოლიტიკით უნდა გაიზარდოს ქვეყნის სავალუტო შემოსავლები, ხელი შეეწყოს ადგილობრივი წარმოების გაფართოებას და მოსახლეობის დასაქმების ზრდას, ასევე, შიდა ბაზრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ამასთან, უნდა ჩამოყალიბდეს ჯანსაღი კონკურენტული გარემო და გაუმჯობესდეს ეკონომიკის სტრუქტურა. გარდა ამისა, ეს პოლიტიკა ხელს შეუწყობს საქართველოს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში სრულფასოვანი ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას და საგარეო ვაჭრობის დიერსიფიცირებას (ვეშაპიძე, 2023).

მიგვაჩნია, რომ კანდიდატის სტატუსის მიღებით, საქართველოს იღებს როგორც შესაძლებლობებს. გრძელვადიან პერიოდში, ევროკავშირში განწევრიანების პერსპექტივით, საქართველომ შესაძლოა მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი ნახოს, თუკი შეიძლება შექმნილი სიტუაციის სწორად გამოყენებას. პირველი, საქართველოს არ აქვს პროდუქცია, რომელიც დამატებით შეიძლება შესთავაზოს ევროპულ ბაზარს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოდან ექსპორტს, რასაც ადასტურებს 2014 წელს გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), აღნიშნულს არ მოჰყოლია ექსპორტის ხელშესახები ზრდა, რომელიც აღნიშნული შეთანხმებითა და ევროკავშირის ბაზრის გაზრდილი ხელმისაწვდომობით შეიძლება აიხსნას. შესაბამისად, ქვეყანას სჭირდება ეკონომიკის გაფართოება, რისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანია ინვესტიციების მოზიდვა. ამასთან, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ევროკავშირში განწევრიანება მართალია დადებითად მოქმედებს პირდაპირი ინვესტიციების ზრდაზე, მაგრამ აღნიშნულისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რეგიონში არსებული სიტუაციაა, რაც პირდაპირ აისახება ქვეყნის უსაფრთხოებაზე. უახლოეს მომავალში, გამომდინარე

საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან, არ არის მოსალოდნელი რეგიონში სიტუაციის გაუმჯობესება და საქართველოში ინვესტიციების იმ სიდიდით ზრდა და აღნიშნულის ხარჯზე ეკონომიკის მნიშვნელოვანი გაფართოება, რასაც არსებითი ეფექტი ექნება ქვეყნის შიდა წარმოების განვითარებაზე და, შესაბამისად, ექსპორტის ზრდაზე.

## **რისთვის შეიქმნა ევროკავშირი და რა არის მისი მიმდინარე მიზნები**

1992 წლის 7 თებერვალს მაასტრიხტის შეთანხმებით ოფიციალურად შეიქმნა ევროკავშირი. 1993 წლის 1 იანვარს აღნიშნული შეთანხმება ოფიციალურად ძალაში შევიდა, რასაც თან ახლდა ერთიანი ბაზრის და მასთან ერთად ადამიანების, საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის შესაძლებლობის გაჩენა.

ევროკავშირის მიზანია ხელი შეუწყოს მშვიდობას, მის ღირებულებების გავრცელებასა და მოქალაქეების კეთილდღეობის ზრდას. აღნიშნული გამოიხატება სხვადასხვა ეკონომიკურ საშუალებებში, რომლის შექმნასაც ევროკავშირი ცდილობს. ეს არის ადამიანის უფლებების დაცვა, რაც გამოიხატება დემოკრატიის და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების დაცვაში, ნევრი ქვეყნების კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება და ხელშეწყობა, გლობალურ ასპარეზზე ერთიანი და ძლიერი პოზიციის შენარჩუნება და სხვა.

გზა, რომლითაც ევროკავშირი ცდილობს ხელი შეუწყოს მშვიდობის დამყარებასა და მისი ღირებულებების გავრცელებაში, არის ლიბერალური დემოკრატიის გავრცელება და დამყარება სხვადასხვა ქვეყნებში. ჯონ მიერშიმერი თავის ნიგნში (The Great Delusion) მიუთითებს, რომ ლიბერალური დემოკრატიის, რასაც სხვაგვარად ლიბერალური საერთაშორისო პოლიტიკას უწოდებს, გავრცელების სარგებლობის ახსნას მათი მომხრეები სხვადასხვა თეორიის საფუძველზე ცდილობენ: დემოკრატიული მშვიდობის თეორია - აღნიშნულის საფუძველზე ლიბერალური დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთის წინაღმდეგ ომს არ იწყებენ. ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების თეორია - ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდასთან ერთად მცირდება ომის წამოწყების ალბათობა, გაზრდილი ეკონომიკური ხარჯების გამო, რასაც წარმოშობდა

იმ ქვეყნებთან დაპირისპირება, რომლებთანაც ღრმა ეკონომიკური კავშირები გაქვს. ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი კი ამტკიცებს, რომ სახელმწიფოები, რომლებიც უერთდებიან საერთაშორისო ინსტიტუტებს, უფრო მეტად ითანამშრომლებენ ერთმანეთთან, რადგან ისინი შეზღუდულნი იქნებიან ორგანიზაციის წესებით, ხოლო მათი მორჩილება თითქმის ყოველთვის მათ გრძელვადიან ინტერესებშია. შესაბამისად, ევროკავშირის მცდელობა განამტკიცოს ლიბერალური დემოკრატია რაც შეიძლება მეტ ქვეყანაში, სასარგებლოა როგორც იმ ქვეყნებისთვის, რომლებშიც არსებობს ლიბერალური დემოკრატია, რამდენადაც მცირდება გარე საფრთხეები, რომლებიც პოტენციურად შეიძლება დაემუქროს ქვეყნის შიგნით არსებულ სიტუაციას, ასევე, იმ ქვეყნებისთვის, რომლებშიც მტკიცდება ლიბერალური დემოკრატია.

უსაფრთხოება კი უაღრესაც მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარებისთვის. ინვესტორებისთვის გადამწყვეტი მაინც საინვესტიციო ქვეყნის უსაფრთხოებაა. ამის მაგალითია ჩეხეთი და რუმინეთი, სადაც ინვესტიციები მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ ქვეყნების ნატოში გაწევრიანების წლებში (ჩეხეთი – 1999წ., რუმინეთი – 2004წ.). მაგალითად, პოლონეთსა და რუმინეთში ინვესტიციების რიცხვი გაიზარდა ნატოში გაწევრიანების მომდევნო წელს (2000წ. და 2005წ., შესაბამისად) (ქარჩავა & სხვანი, 2023). ასევე, დემოკრატიის განვითარება, ადამინის უფლებების დაცვა და გარემოს შექმნა, სადაც ინვესტორები უსაფრთხო და სამართლიან გარემოში შეძლებენ მოქმედებას ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას, როგორც შიდა წარმოების განვითარების გზით, ასევე გარე ინვესტიციების მოზიდვისთვის კარგი პირობების შექმნით.

## **რა სარგებელს მიიღებს საქართველო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებით**

კანდიდატის სტატუსის მიღება არის პოლიტიკური გადამწყვეტილება, მაგრამ მას ასევე ახლავს გარკვეული ეკონომიკური სარგებელიც, რაც გამოიხატება რესურსების ხელმისაწვდომობაში. განწევრიანების წინასწარი დახმარების ინსტრუმენტი (IPA) არის საშუალება, რომლითაც ევროკავშირი 2007 წლიდან მხარს უჭერს რეფორმებს რეგიონში. IPA ფონდები აძლიერებს ბენეფიციართა შესაძლებლობებს განწევრიანების პროცესში.

2007-2013 წლებისთვის, განვერიანების წინასწარი დახმარების ინსტრუმენტის (IPA) ბიუჯეტი 11,5 მილიარდი ევრო იყო. მის შემკვიდრეს, IPA II-ს 2014-2020 წლებისთვის 12,8 მილიარდი ევრო გამოეყო. ხოლო 2021-2027 წლებში, IPA III საბიუჯეტო ფონდი 14,162 მილიარდ ევროს შეადგენს (European Commission).

2021-2027 წლებისთვის გამოყოფილი რესურსები ნაწილდება შემდეგ მიმართულებებზე: კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და დემოკრატია (15.13%), დემოკრატიული მართებლობა, ევროკავშირთან შესაბამისობა, კარგი მეზობლური ურთიერთობები და სტრატეგიული კომუნიკაცია (16.59%), მწვანე დღის წესრიგისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა (42.25%), კონკურენციისა და ინკლუზიური ზრდის ხელშეწყობა (22.31%), ტერიტორიული და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარება (3.51%) (European Commission).

გარდა IPA-ს რესურსებისა, საქართველო უკვე სარგებლობს მეზობლობის, განვითარების და საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტრუმენტით (NDICI) [Nebulishvili, Keshelava, 2023]. გრძელვადიან სესხებზე, გრანტებსა და ევროკავშირის ეკონომიკური დახმარების სხვადასხვა პროგრამებზე ხელმისაწვდომობა კიდევ უფრო ზრდის კანდიდატი ქვეყნის ეკონომიკურ პერსპექტივებს. მაგალითად, 2022 წელს ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში განხორციელებულმა მთლიანმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 819 მილიონ ევროს მიაღწია. მეტიც, 2021 წელს დამტკიცებული აღმოსავლეთის პარტნიორობის ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმა (EIP) მიზნად ისახავს, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებთან თანამშრომლობით 17 მილიარდი ევრო მოიზიდოს რეგიონისათვის 2027 წლისთვის. EIP-ის ფარგლებში, ევროკავშირმა საქართველოში უკვე უზრუნველყო 1.7 მილიარდი ევროს ინვესტიცია, მათ შორის, 194 მილიონი ევროს გრანტები (European Commission).

მოსალოდნელია პირდაპირი ინვესტიციების ზრდა, ბრუნოს, კამპოს-ისა და ესტრინ-ის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით EU-ს წევრობა ზრდის ევროკავშირის არანევრი ქვეყნებიდან განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს 60%-ით, ხოლო ევროკავშირის წევრი ქვეყნების ინვესტიციებს 50%-ით. გარდა ამისა, მათი გამოკვლევის მიხედვით EU-ს გავლენა უფრო დიდია ვიდრე NAFTA, EFTA ან MERCOSUR-ის და ერთიანი ბაზარი არის ამ განსხვავების ძირითადი განმსაზღვრელი.

ბევანისა და ესტრინის (2004) მიხედვით, ევროკავშირის გავლენა FDI-ზე ორი ძირითადი გზით ხორციელდება: (1) ევროკავშირში ინტე-




გრაცია ძველ ნევრ სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს, თავიანთი წარმოება ნევრობის კანდიდატ ქვეყანაში გადაიტანოს, სადაც შრომის ანაზღაურება უფრო დაბალია, და (2) ინტეგრაცია ამცირებს ქვეყანასთან დაკავშირებულ რისკებს.

კითხვაზე პასუხის გასაცემად, რა სარგებელი ნახეს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე სხვადასხვა ევროკავშირის ნევრმა და კანდიდატობის სტატუსის მქონე ქვეყნებმა, გადავხედოთ მათ განვითარებას. გამოკვლეული იქნა 15 ქვეყანა. ამ ქვეყნების ნაწილი ევროკავშირის ნევრია, ნაწილს კი კანდიდატის სტატუსი აქვს. მოცემული ქვეყნების კანდიდატობის პერიოდში მცირდება განსხვავება ევროკავშირის საშუალო მშპ-სა და კანდიდატი ქვეყნის მშპ-ს შორის. განვითარების შემდეგ კი ეს ეფექტი უფრო თვალშისაცემია. თუკი იგივე ეფექტი ექნება საქართველოსთვის, კონომიკის განვითარებასთან ერთად მოსალოდნელი იქნება საერთაშორისო ვაჭრობის ზრდაც (თიბისი კაპიტალი, 2023)

დიაგრამა 9.1 მოცემულია 15 ქვეყნის მშპ-ს საშუალო მაჩვენებლის გადახრა ევროკავშირის საშუალო დონიდან, რაც დროთა განმავლობაში მცირდებოდა. (ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, რუმინეთი, ბულგარეთი, ხორვატია, ალბანეთი, მონტენეგრო ჩრდილოეთ მაკედონია და სერბეთი).

**დიაგრამა 9.1. ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს გადახრა ევროკავშირის იმავე მაჩვენებლიდან (PPP, USD)**




წყარო: მსოფლიო ბანკი

როგორც ვხედავთ, მოცემული ქვეყნების ეკონომიკა ნელ-ნელა უახლოვდება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებლებს, ანალოგიურად ISET-ის კვლევით ინსტიტუტში გამოქვეყნებულ კვლევით ანგარიშში გამოკვლეულია, რა წინსვლა ექნებოდა საქართველოს თუკი ის გახდებოდა ევროკავშირის ნევრი ადრეულ ეტაპზე. ირკვევა, რომ დადებით ეფექტები აშკარაა. აღნიშნული კვლევის თანახმად საქართველოს ეკონომიკა მიიღებს დადებით ზეგავლენას ევროკავშირში ინტეგრაციით.

თუკი გადავხედავთ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ეფექტებს, აღმოჩნდება, რომ მას უთუოდ ჰქონდა დადებითი გავლენა საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე, თუმცა ეს გავლენა სასურველობისგან საკმაოდ შორსაა.

**დიაგრამა 9.2. ევროკავშირში საქონლის ექსპორტი ექსპორტი (ათასი აშშ დოლარი)**



**წყარო: საქსტატი**

ცხრილში 9.1 მოცემულია პროდუქციის პოზიციის მიხედვით ექსპორტი, რის მიხედვითაც ყველაზე დიდი წილი ექსპორტში უკავია მსუბუქი ავტომობილების ექსპორტს (რეექსპორტს), შემდეგ კი მოდის ყურძნის ნატურალური ღვინოები, ფეროშენადნობები, მინერალური და მტკნარი წყლები, სპრიტიანი სასმელები და ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები (იხ. ცხრილი 9.1), სადაც ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქციის წილი ჯამურად მსუბუქი ავტომობილების ექსპორტის წილთან შედარე-


**ცხრილი 9.1 - საქართველოს ექსპორტი სასაქონლო პოზიციების მიხედვით (მილიონი აშშ დოლარი)**

პოზიციის დასახელება	2021	2022	2023	2024*
მსუბუქი ავტომობილები	456.6	905.7	2,126.6	2,426.8
ფეროშენადნობები	477.4	459.8	180.7	322.2
სპირტიანი სასმელები	155.7	138.5	196.0	288.6

წყარო: საქსტატი

ბით გაცილებით მცირეა. აღნიშნული მნიშვნელოვნად გაიზარდა 2023 წელს და 2024 წლის მონაცემით 2,426.8 ათასი აშშ დოლარია. მხოლოდ რეექსპორტის მეშვეობით სავაჭრო ბალანსის დეფიციტის პრობლემების გადანყვეტა ნაკლებად სავარაუდოა, რადგან განსხვავება ექსპორტსა და იმპორტს შორის ძალიან მაღალია, ამდენად რეექსპორტის განხილული უნდა იყოს როგორც დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიება და არა როგორც განვითარების ძირითადი მიმართულება (ლაღანიძე, 2019). შესაბამისად, თუკი შევხედავთ ექსპორტის შემადგელობას, არც არის გასაკვირი, რომ ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა და დეფიციტის შემცირების მიმართულებით წინსვლა არ ყოფილა, რადგან არ არის საკმარის რაოდენობის პროდუქცია, რითიც ევროკავშირის ბაზრის ათვისებას შევძლებთ.

**დიაგრამა 9.3. საქართველოს ექსპორტში ევროკავშირის წილი**



წყარო: საქსტატი

საქართველოს ექსპორტში ევროკავშირის წილი 2015 წელს შესამჩნევად გაიზარდა, 7 პროცენტული პუნქტით 2014 წელთან შედარებით. მაგრამ შემდეგ კვლავ შემცირება დაიწყო და 2024 წელს 2012 წლის მაჩვენებელს ჩამოცდა მნიშვნელოვნად, რაც 2010 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო. როგორც ცრილში 2 ჩანს, საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან ის ქვეყნები, რომლებთანაც სახმელეთო საზღვარი გვაქვს, რაც ბუნებრივი მოვლენაა. ხოლო ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტი 2024 წელის განმავლობაში იყო 573,550 ათსი აშშ დოლარი, რაც მხოლოდ სომხეთში ექსპორტის მაჩვენებელსაც ჩამორჩება. რაც შეეხება ყირგიზეთსა და ყაზახეთს, ამ ქვეყნებში ექსპორტი 2022 წლის შემდეგ გაიზარდა მნიშვნელოვნად (რაც ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენებით შეიძლება აიხსნას). ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ევროკავშირში ექსპორტის წილი თანდათანობით უფრო და უფრო მცირდება, მაგრამ ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა მსუბუქი ავტომობილების ექსპორტის მაჩვენებელი, მაგრამ თუკი მსუბუქი ავტომობილების ექსპორტის ზრდას გავითვალისწინებთ და ავიღებთ 2019, 2020 და 2021 წლების საშუალო მაჩვენებელს ავტომობილების ექსპორტისთვის ნაცვლად არსებულისა, რის საფუძველზეც დავითვლით ევროკავშირში ექსპორტის წილს ის 10-11%-ის ფარგლებში იქნება, რაც მნიშვნელოვნად შემცირებული მაჩვენებელია წლების განმავლობაში ინტეგრაციის გაღრმავების ფონზე.


**ცხრილი 9.2. საქართველოს ექსპორტი ქვეყნებისა და ქვეყნების ჯგუფების მიხედვით (2024 წელი)**

ქვეყანა/ქვეყნების ჯგუფები	ექსპორტი
1. ყირგიზეთი	1,287,444
2. ყაზახეთი	859,946
3. აზერბაიჯანი	724,535
4. რუსეთი	681,459
5. სომხეთი	617,534
6. ევროკავშირი	573,550
7. თურქეთი	617,534
8. ჩინეთი	303,134
9. უზბეკეთი	146,921
10. აშშ	141,046

წყარო: საქსტატი

ასევე მზარდია უარყოფითი სალდო, იმპორტის მოცულობა უფრო და უფრო მეტად აჭარბებს ექსპორტს. მართალია განვითარებადი ქვეყნისთვის უარყოფითი სალდო შესაძლოა დამახასიათებელი იყოს, მაგრამ უარყოფითი სალდოს გამოსწორების არავითარი ტენდენცია არ ვლინდება. არსებული რეგულატორის პირობებში საქართველოსათვის ექსპორტი ვერასოდეს გაუტოლდება იმპორტს. ამდენად აუცილებელია რეგულატორის ცვლილება, ანუ ახალი საექსპორტო პროდუქტების გამოშვება. რეგულატორის მნიშვნელობის ზრდა განხორციელდება, თუ საქართველოში შეიქმნება მაღალი დამატებული ღირებულების მქონე საექსპორტო პროდუქცია (ღალანძე, 2019).

**დიაგრამა 9.4. საგარეო ვაჭრობის სალდო (1000 აშშ დოლარი)**



**წყარო: საქსტატი**

შესაბამისად უნდა დავასკვნათ, რომ საქართველო მხოლოდ ევროკავშირის ბაზარზე წვდომის შედეგად ამ ეტაპზე იღებს მცირე სარგებელს. მომავალში თუკი მას თან მოყვა ქვეყანაში წარმოების განვითარება და შეესაბამისად გაჩნდა ან გაიზარდა წარმოება იმ პროდუქციისა, რისი გატანაც ევროკავშირის ბაზარზე შეგვეძლება, აღნიშნულს ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსმა შესაძლოა ხელი შეუწყოს რესურსებზე ხელემისაწვდომობისა და პირდაპირი ინვესტიციების გაზრდით, შეიქმნას რა დადებითი ეფექტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ინვესტიციების ზრდას. მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი ინვესტიციების ზრდისთვის არის უსაფრთხოება, ამიტომ რეგიონში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე ინვესტიცი-

ების მნიშვნელოვან ზრდას არ უნდა ველოდოთ. შესაბამისად, ასეთ პირობებში ნაკლებ მოსალოდნელია, რომ კანდიდატის სტატუსის მიღებას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობაზე. ჩვენ ხაზს ვუსვამთ მნიშვნელოვანი გავლენას, თუმცა, რა თქმა უნდა ეს არ გულისხმობს იმას, რომ დადებით შედეგებს საერთაშორისო ვაჭრობის თვალსაზრისით საქართველო არ მიიღებს კანდიდატის სტატუსის მიღებით.

საქართველოს მიერ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღება, თავისთავად, ძლიერი პოლიტიკური კატალიზატორია, რომელიც უპირობოდ ხელს უწყობს ძირეულ ცვლილებებს ქვეყნის განვითარების თითოეულ სექტორში და აჩქარებს ევროკავშირის ბაზარზე ინტეგრაციას. საქართველოს ეზრდება როგორც რესურსებზე წვდომა, ასევე უმჯობესდება პირობები ინვესტიციების ზრდისთვის. საბოლოო ჯამში, კანდიდატის სტატუსის მიღება, ევროკავშირის ბაზარზე წვდომასთან ერთად, დადებითად აისახება საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე. ამასთან, მნიშვნელოვანია წარმოების გაფართოება, რაც არის უმთავრესი დეტერმინანტი საგარეო ვაჭრობის სწრაფი ზრდისთვის. ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებამ, ამ გზით შეიძლება საქართველოს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების და ინვესტიციების ზრდის როლი შეასრულოს.

გრძელვადიან პერიოდში, ევროკავშირში განწევრიანების პერსპექტივით, საქართველომ შესაძლოა მნიშვნელოვანი სარგებელი ნახოს, თუკი შეძლებს შექმნილი სიტუაციის სასიკეთოდ გამოყენებას. ამისათვის ქვეყანამ უნდა გაზარდოს პროდუქციის წარმოება ევროკავშირის ბაზარზე ეფექტიანად დასამკვიდრებლად. საჭიროა დამატებით შევთავაზოთ ევროპულ ბაზარს ისეთი პროდუქცია, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოდან ექსპორტს. სასაქონლო პროდუქციით ვაჭრობის ბალანსის დეფიციტის აღმოსაფხვრელად ძირითადი მიმართულება უნდა იყოს მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე საექსპორტო პროდუქციის შექმნა, რაც დეფიციტის დაძლევის განაპირობებს.

ევროკავშირისა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას (DCFTA), ჯერ-ჯერობით ექსპორტის ხელშესახები ზრდა, არ მოჰყოლია. მიუხედავად ამისა, დადებითი ტენდენციები გამოიკვეთა. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღება გამოიყენოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მასშტაბური ზრდის და ახალი საექ-

სპორტო პროდუქციის შესაქმნელად, რასაც მნიშვნელოვანი გავლენა ექნება საქართველოს ევროკავშირთან საგარეო ვაჭრობის მასშტაბურ და ეფექტიან ზრდაზე. გამოკვლეულია, რა წინსვლა ექნებოდა საქართველოს თუკი ის გახდებოდა ევროკავშირის წევრი ადრეულ ეტაპზე. ირკვევა, რომ დადებითი ეფექტები აშკარაა. მაგრამ, ასევე, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ მიუხედავად გაზრდილი ინტეგრაციისა ევროკავშირთან ევროკავშირში ექსპორტის წილი ბოლო წლების განმავლობაში მცირდებოდა და 2024 წლისთვის არის მნიშვნელოვნად შემცირებული, ავტომობილების ექსპორტის მკვეთრი ზრდის გათვალისწინების ფონზეც. ასევე, რასაკვირველია მხედველობაში უნდა მივიღოთ ბოლო დროს განვითარებული მოვლენები, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება ევროკავშირთან ინტეგრაციის ეფექტებზე. რის გამოც მოსალოდნელია, რომ საქართველო მოიკლევადიან პერიოდში, ვერ მიიღებს ხელშესახებ ეკონომიკურ სარგებელს კანდიდატობის სტატუსის მიღების შედეგად, თუმცა თუკი შეძლებს გრძელვადიან პერიოდში არსებული შეესაძლებლობების გამოყენებას მნიშვნელოვანი სარგებელი ნახოს.

## თაპი 10. საქართველოსთვის ევროკავშირის საერთო ბაზრის მნიშვნელობა და სარგებელი

ევროკავშირის დაარსების ისტორია იწყება „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებით“, რომელიც თავდაპირველად ექვს ქვეყანას შორის დაარსდა და მალევე უფრო მდგრადი და განვითარებადი ურთიერთობები ჩამოაყალიბა. ეს ერთიანობა გახდა საფუძველი ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შექმნისთვის, რომელიც დაფუძნდა 1957 წელს რომში ხელმოწერილი რომის ხელშეკრულებით. ამავ დღეს, რომში ხელი მოეწერა კიდევ ერთ ხელშეკრულებას, რომელიც „ევროტომის“ შექმნას გულისხმობდა — ევროპული ატომური ენერჯის გაერთიანებას, რომლის მიზანი ევროპაში ატომური ენერჯის საერთო ბაზრის ჩამოყალიბება და ამ დარგის განვითარება იყო. ამასთან, აღრიცხული რესურსები გაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის უნდა განაწილებულიყო, ხოლო დარჩენილი რესურსი გაყიდული ყოფილიყო გაერთიანების არანევრი სახელმწიფოებისთვის. რომის ხელშეკრულების ერთ-ერთ მთავარ მიღწევად შეგვიძლია, ჩავთვალოთ შეთანხმება საერთო ბაზრის შექმნის თაობაზე, რომელიც იქნებოდა მნიშვნელოვანი საფუძველი გაერთიანების წევრი ქვეყნების კიდევ უფრო დაახლოვებისა. ზოგადად, საერთო ბაზარი არის სივრცე, რომელშიც გაერთიანებულია გარკვეული რაოდენობის სახელმწიფო და მათთვის დანესებულია თანაბარი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს საქონლისა და მომსახურების, წარმოების ფაქტორების - შრომისა და კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას, აგრეთვე მინისა და უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ლიბერალიზაციას. საერთო ბაზრის ჩამოყალიბებისას ისპობა ფარული სავაჭრო ბარიერები ქვეყნებს შორის, ამ დროს ინტეგრირდება არა მხოლოდ პროდუქციის ბაზარი, არამედ ქვეყანა-პარტნიორების ფაქტორული ბაზრებიც. მიუხედავად ერთიანი სავაჭრო პოლიტიკისა, ქვეყნები, რომლებიც ოპერირებენ საერთო ბაზარზე, ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებისას. საერთო ბაზრის დამახასიათებელი თავისებურებაა სავაჭრო ბარიერების არარსებობა ქვეყნებს შორის, წევრი ქვეყნების საერთო სავაჭრო პოლიტიკა მესამე ქვეყნების



მიმართ, წარმოების ფაქტორების თავისუფალი მოძრაობა წევრ სახელმწიფოებს შორის. საერთო ბაზრის დიდ სარგებელს წარმოადგენს ის, რომ ის ქმნის ხელსაყრელ პირობებს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორების მოძრაობისთვის, როგორებიცაა კაპიტალი, შრომითი რესურსი, ტექნოლოგია, თუმცა მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ წარმოების ფაქტორების თავისუფალი მოძრაობისთვის ინტეგრირებული სახელმწიფოების ტერიტორიაზე აუცილებელია, რომ მათი მახასიათებლები იყოს სტანდარტიზებული და უნიფიცირებული. საბაჟო კავშირის ფორმირება მნიშვნელოვანი წინაპირობაა საერთო ბაზრის ფორმირებისთვის, თუმცა თვითონ საბაჟო კავშირის ფორმირება ერთიან ბაზრად არც თუ ისე მარტივი პროცესია და მას როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური ფაქტორები განსაზღვრავს. ეკონომიკური ფაქტორების არსებობა და გავლენა საერთო ბაზრის ფორმირებაზე იმით გამოიხატება, რომ სავაჭრო შეზღუდვებთან ერთად არსებობს სხვა შეზღუდვებიც, ვხვდებით წევრი ქვეყნების ეროვნული ეკონომიკების უფრო „მგრძნობიარე“ დარგებსაც, ამასთან გლობალიზაციის ეპოქაში ინტეგრაციული პროცესებისას ყურადსაღებია ინტელექტუალური საკუთრებისა და არამატერიალური აქტივების დაცვაში სახელმწიფოს მონაწილეობა. პოლიტიკური ფაქტორები განსაზღვრავს მრავალ იმ საკანონმდებლო ნორმასა და წესს, რომელიც საქმიანობის ბევრ სფეროს არეგულირებს. საერთო ბაზრის ფორმირება კომპლექსური პროცესია და მხოლოდ ქვეყნების სურვილი არ არის საკმარისი საბოლოო, სასურველი შედეგის მისაღწევად, სახელმწიფოები მხოლოდ საერთო ბაზრის ფორმირების სურვილის ფარგლებში ვერ ახერხებენ კონსენსუსის მიღწევას და ამისთვის მათ სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის დასმა და არსებული პრობლემის გადაჭრისკენ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა სჭირდებათ, ძირითადად, სახელმწიფოები აღნიშნულ ეტაპს საბაჟო კავშირის ფარგლებში გადიან და სხვა ყველაფერთან ერთად გადასახადების გაუქმებასა და ერთიან სავაჭრო პოლიტიკას მესამე ქვეყნების მიმართ, სახელმწიფოები ურთიერთობა-თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადაჰყავს, თუმცა საერთო ბაზრის ფორმირებისთვის ქვეყნები სხვა ამოცანის წინაშეც დგანან, კერძოდ, ისინი ვალდებული არიან ეკონომიკის ცალკეული დარგებისა და სექტორების განვითარების საერთო პოლიტიკა შეიმუშავონ, ეს იმგვარად უნდა მოხდეს, რომ არცერთი წევრი სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს საფრთხე არ დაემუქროს და, ამასთან, ყველა წევრი სახელმწიფოს მომხმარებ-

ლის ინტერესი იქნეს დაკმაყოფილებული, ბუნებრივია, ეს თავად ქვეყნისთვის ეკონომიკური სარგებლის მომტანი და შესაბამისად მისი ეკონომიკური ინტერესის საგანია. საერთო ბაზრის ფორმირებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ პირობების შექმნა, რომელიც გააადვილებს ინფორმაციის, კაპიტალის, ადამიანური რესურსის, საქონლისა და მომსახურების უწყვეტ გადაადგილებას. ამრიგად, საერთო ბაზრის ფარგლებში რეგულირდება ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხები, ხდება მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გათანაბრება, საერთო ბაზრის მშენებლობა სრულდება ერთიანი ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალური, საინფორმაციო სივრცის შექმნით და ამ კონდიცი-აში მყოფი საინტეგრაციო გაერთიანება უკვე მზადაა ახალ ეტაპზე - ეკონომიკურ კავშირზე გადასასვლელად. იქიდან გამომდინარე, რომ საერთო ბაზრის შექმნაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, სამართლებრივი და სხვა სფეროების ჰარმონიზაციასა და საერთო კონდიციამდე მიყვანას, რაც, ბუნებრივია, არის შედეგი საერთო ფასეულობებისა და სახელმწიფოებრივი პრინციპებისა, სამართლიანია ვთქვათ, რომ საერთო ბაზრის იდეა საუკეთესოდ მუშაობს იმ სახელმწიფოებთან მიმართებაში, რომელთაც მსგავსი ინტერესები ამოძრავებთ, შესაბამისად, რომის ხელშეკრულებით ევროპული საერთო ბაზრის ჩამოყალიბების იდეა წევრი ქვეყნების საერთო ეკონომიკური, პოლიტიკური მიზნებისა და საერთო ფასეულობაზე დაფუძნებული ინტერესების ფონზე ნამდვილად სამართლიანი იყო.

## **ევროკავშირის საერთო ბაზრის ფორმირება**

რომის ხელშეკრულების გაფორმების დროს დასახულ მიზანს - შექმნილიყო ევროპის საერთო ბაზარი, წინ ორი მნიშვნელოვანი მიზეზი უძღვოდა: - პროტექციონიზმის თავიდან აცილება - თავის დაზღვევა, რომ არ მომხდარიყო პროტექციონისტული ტრადიციების კვლავ დამკვიდრება, იმ ტრადიციებისა, რომლებმაც გაანადგურეს ევროპის ეკონომიკა 1950 წლამდე. ასევე ცხადი იყო, რომ პროტექციონისტული პოლიტიკის გამოყენება ინტეგრაციის წევრ ქვეყნებს კონკურენტებად აყალიბებდა და ბაზრის პრინციპების შეუსაბამოდ ხდებოდა მათი ეკონომიკური განვითარება. - ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა - ისეთი

დიდი ევროპული ბაზრის შექმნა, რომელიც ამერიკის ბაზრის რეალური კონკურენტი გახდებოდა (კაპანაძე, 2006). აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი არის საინტერგაციო ბლოკი, რომლის წევრი სახელმწიფოების ფასეულობებიც ჰუმანურობაზე, ლიბერალიზმსა და დემოკრატიულ მიდგომებზეა დაფუძნებული, თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, საერთო ბაზრის იდეის განხორციელება სულაც არ ყოფილა მარტივი გაერთიანების ფარგლებში, კერძოდ, საერთო ბაზრის ამოქმედებისთანავე ნათელი გახდა, რომ სახელმწიფოები არაპირდაპირი გზით ცდილობდნენ პრიორიტეტი მიენიჭებინათ ეროვნული კომპანიებისთვის და ამით წაეხალინათ ეროვნული წარმოება, ბუნებრივია, ამგვარი მიდგომა კონკურენტულ გარემოში ქმნიდა წევრ სახელმწიფოებს შორის და ქვეყნების ამგვარმა ქმედებებმა სასამართლოში წარმოებული საქმეების რაოდენობაც საკმაოდ გაზარდა. მხოლოდ 1980-იან წლებში შეძლეს გაერთიანების წევრმა სახელმწიფოებმა, შეეცვალათ დამოკიდებულება არასატარიფო ბარიერების მიმართ. კომისიამ მისცა რეკომენდაცია ევროპულ საბჭოს, შეექმნა შიდა ბაზრის საბჭო, რომელიც რეგულარულად შეიკრიბებოდა. წევრი სახელმწიფოებიც დროთა განმავლობაში მიხვდნენ, რომ ვაჭრობის პოლიტიკა უფრო ლიბერალური უნდა გამხდარიყო, მაგალითად, საფრანგეთმა გააანალიზა, რომ გერმანიასთან არსებული სავაჭრო დეფიციტი ბაზრის ლიბერალიზაციით აღმოიფხვრებოდა. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ სახელმწიფოების პოზიციის ამგვარი ცვლილება კასის დე დიჟონის საქმესთან იყო კავშირში, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ წევრი სახელმწიფოების პროდუქციის ორმხრივი აღიარება სავალდებულო იყო, ეს კი იმას გულისხმობდა, რომ ერთ სახელმწიფოში წარმოებული პროდუქცია მეორე სახელმწიფოშიც უნდა გაყიდულიყო, სწორედ ამის შემდეგ ქვეყნებმა ვალდებულება აიღეს, ერთმანეთთან შესაბამისობაში მოეყვანათ ეროვნული კანონმდებლობები. საინტეგრაციო ბლოკის წევრი სახელმწიფოების ამგვარმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო საერთო ბაზრის იდეის სისრულეში მოყვანას და შესაბამისად ე.წ „ოთხი თავისუფლების“ - საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანების თავისუფლად გადაადგილებისათვის პირობების შექმნას. დღესდღეობით ევროკავშირის საერთო ბაზარი ნამდვილად წარმოადგენს ევროკავშირის მოქალაქეებისათვის ცხოვრების, განათლების, ვაჭრობისა და მუშაობის შეუზღუდავი უფლების მიმნიჭებელ წყაროს. ტექნიკური, სამართლებრივი და ბიუროკრატიული ბარიერების მოხსნით, ევროკავშირი მოქალაქეებს აძლევს საშუალებას თავისუფლად მა-

როთონ ბიზნესი. ნევრ სახელმწიფოებს შორის გაუქმებულია ფიზიკური ბარიერები, კერძოდ, გაუქმებულია სასაზღვრო კონტროლი საქონლის შემოტანასა და ადამიანების გადაადგილებაზე, თუ არ ჩავთვლით კონკრეტულ შემთხვევებს, როდესაც შესაძლოა საქმე ეხებოდეს ნარკოტიკების გადატანასა და სხვა დანაშაულებრივ ქმედებებს. გაუქმებულია ტექნიკური ბარიერები, რაც გულისხმობს იმას, რომ პროდუქციის უმეტესი ნილის გაყიდვისთვის ნევრ სახელმწიფოებს მიღებული აქვთ ურთიერთცნობის პრინციპი, რომელიც კასის დე დიჟონის სახელს უკავშირდება და გულისხმობს ევროკავშირის ტერიტორიაზე ყველა ლეგალურად წარმოებული საქონელი, განურჩევლად მწარმოებელი ქვეყნისა, ევროკავშირის ყველა სხვა ქვეყნის ბაზარზე შესაძლოა, იქნეს გამოტანილი სარეალიზაციოდ. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ერთიან ევროპულ ბაზარზე არსებობდეს არა მარტო თავისუფალი, არამედ სამართლიანი კონკურენცია, ამ პოლიტიკას ევროკომისია ახორციელებს და მართლმსაჯულების სასამართლოსთან ერთად პასუხისმგებელია აღნიშნულის გატარებაზე; ამ პოლიტიკის მიზანია, არ დაუშვას, რომ ბიზნესებს შორის ნებისმიერი სახის გარიგებამ, უსამართლო მონოპოლიამ ან რაიმე სახის სახელმწიფო დახმარების მიღებამ ხელი შეუშალოს საერთო ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის განვითარებას, ევროკომისია უფლებამოსილია, დააჯარიმოს ნებისმიერი კომპანია, რომელიც დაარღვევს კონკურენციის წესებს, ან არ წარუდგენს კომისიას შესაბამის შეტყობინებას, აღნიშნულის გამო კომპანია „Microsoft“ 2008 წელს 899 მლნ. ევროთი დაჯარიმდა. (European Commission, 2008). საერთო ბაზარზე არსებული ჰარმონიზებული წესები ქმნის ნათელ და გასაგებ სამართლებრივ ჩარჩოს ბიზნესისთვის, რათა მას ჰქონდეს წვდომა საერთო ბაზარზე.

საერთო ბაზარზე შეღწევის ბარიერების გადალახვა არც თუ ისე მარტივია და მოიცავს ტექნიკურ რეგულაციებს, სტანდარტებსა და შესაბამისობის შეფასების პროცედურებს. საერთო ბაზრის კანონმდებლობის მიზანია, რომ ევროკავშირის ბაზარზე განთავსებული პროდუქტი აკმაყოფილებდეს ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნებს და ეს პროდუქტი დაშვებული იქნას ევროკავშირის ბაზარზე სავაჭრო ბარიერების გარეშე, მინიმალური ადმინისტრაციული ტვირთით. ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტები საქონლისათვის საერთო ბაზარზე არის:

1. სტანდარტები - განსაზღვრავს პროდუქტის ტექნიკურ ან ხარისხობრივ მოთხოვნებს, წარმოების პროცესს, სერვისებს ან სატესტო მეთოდს. სტანდარტიზაცია არის ხერხი, რომლის მიხედვითაც საწარმო ქმნის პროდუქტს და უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებასა და ფუნქციონალურ თავსებადობას.

2. შესაბამისობის შეფასება - აღნიშნული პროცედურა ტარდება პროდუქტის ევროკავშირის საერთო ბაზარზე განთავსებამდე. საჭიროა დამტკიცება იმისა, რომ პროდუქტი შეესაბამება ყველა საკანონმდებლო მოთხოვნას და არის ტესტირებული, შემოწმებული და სერტიფიცირებული. პროცედურამ მომხმარებელი, საჯარო მოხელეები და მწარმოებლები პროდუქციის შესაბამისობაში უნდა დაარწმუნოს.

3. აკრედიტაცია - მისი მიზანია, უზრუნველყოს შესაბამისობის შემფასებელ ორგანოებს (ინსპექტირებისა ან/და შესაბამისობის ორგანოები, ლაბორატორიები) ჰქონდეთ თავიანთი მოვალეობის შესრულების ტექნიკური შესაძლებლობა. რეგულარულად სექტორებსა და მოხალისეთა სფეროებში გამოყენებით, აკრედიტაცია ზრდის შესაბამისობის შეფასების ნდობის ხარისხს. ის აძლიერებს პროდუქტების, სერვისების სისტემებისა და ორგანოების ურთიერთალიარებას ევროკავშირის ფარგლებში

4. ბაზრის ზედამხედველობა - უზრუნველყოფს, რომ პროდუქტმა ევროკავშირის ბაზარზე არ შეუქმნას საფრთხე ევროპელ მომხმარებლებს, ის ასევე უზრუნველყოფს სხვა საჯარო ინტერესების დაცვას, როგორცაა გარემო, უსაფრთხოება და სამართლიანობა სავაჭრო სფეროში. ბაზრის ზედამხედველობამ შეიძლება გამოიწვიოს შეუსაბამო პროდუქტის მიმოქცევის შეჩერებისა ან/და მათი შესაბამისობაში მოყვანის სანქციები.

5. „CE მარკირება“ - ის დაინერგა ევროპის ტექნიკური ჰარმონიზაციის კანონმდებლობის შესაბამისად. იგი სავალდებულოა ყველა პროდუქტისთვის, რომელსაც ეხება ერთი ან მეტი ევროდირექტივა და უზრუნველყოფს ამ პროდუქტის თავისუფალ გადაადგილებას ევროკავშირში. პროდუქტზე „CE მარკირების“ უფლების მოსაპოვებლად მწარმოებლებმა უნდა ჩაატარონ ან ჩატარებული უნდა ჰქონდეთ კონტროლი და ტესტირება იმის დასამტკიცებლად, რომ პროდუქცია შეესაბამება აუცილებელ მოთხოვნებს, რომელიც მეტწილად ეხება ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, როგორც ეს შესაბამის დირექტივშია მითითებული. „CE მარკირებასთან“ დაკავშირებული დირექტივებით

გათვალისწინებული პროდუქტების ბაზარზე განთავსება აღნიშნული მარკირების გარეშე დაუშვებელია. მარკირების შემონმებისთვის პროდუქტის უსაფრთხოების მეთვალყურეობის ორგანოებს შეუძლიათ მოითხოვონ შესაბამისობის დეკლარაცია და მწარმოებლის მიერ დადგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რათა დაადასტურონ პროდუქტის ტექნიკური შესაბამისობა. მას შემდეგ, რაც პროდუქტს ექნება „CE მარკირება“, იგი შეიძლება თავისუფლად დაიშვას საერთო ბაზარზე.

ევროკავშირი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება სურსათის უვნებლობასა და სანიტარულ/ ფიტოსანიტარულ საკითხებს, კერძოდ, ევროკავშირის სურსათის უვნებლობის პოლიტიკის მთავარი მიზანია უზრუნველყოს საკვები მრეწველობის დარგში ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მაღალი ხარისხი, გაერთიანება მიზნად ისახავს უზრუნველყოს საკვების უვნებლობის, ცხოველებისა და მცენარეების ჯანმრთელობის დაცვის მაღალი ხარისხი ევროკავშირის სტანდარტების მონიტორინგის სისტემის საშუალებით, რათა უზრუნველყოს შიდა ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირება. ევროკავშირის სურსათის უვნებლობის შესახებ კანონმდებლობა არის ჰარმონიზებული და ევროკავშირის საერთო ბაზრის სავაჭრო შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ეს სექტორი უდიდეს სარგებელს იღებს. შესაბამისმა ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყონ ეფექტიანი კონტროლის სისტემის შექმნა და შესაბამისობა ევროკავშირის სტანდარტებთან, სურსათის უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობის, ცხოველთა კვებისა და მცენარეთა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით, ევროკავშირსა და მესამე ქვეყნებში ევროკავშირთან ექსპორტის შემთხვევაში. (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2021a). საერთო ბაზრის ფარგლებში მომხმარებელთა უფლებებისა და ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონმდებლობის სრულფასოვნად ფუნქციონირებას საინტეგრაციო ბლოკი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. ევროკავშირის კანონმდებლობა ამ სფეროში მიზნად ისახავს, უზრუნველყოს ყველა მოხმარებლისთვის თანაბარი პირობები ჯანმრთელობისა და ფინანსური დაცვის თვალსაზრისით. აღნიშნული პოლიტიკის საჭიროება განსაკუთრებით 1990-იანი წლების ბოლოდან გახდა აქტუალური, როდესაც საქმე შეეხო საკვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხს, როგორცაა „ძროხის ცოფი“. 2002 წელს საკვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კანონმდებლობისთვის სათანადო სამეცნიერო საფუძვლის უზრუნველსაყოფად ჩამოყალიბდა ევროპის საკვების

უსაფრთხოების უწყება. მომხმარებელზე ორიენტირებული პოლიტიკა ევროკავშირის პროდუქციის მომხმარებლისთვის ერთგვარი გარანტია, შეიძინონ საქონელი ნებისმიერ ნევრ ქვეყანაში. ევროკავშირის მრავალი დირექტივა გამოიცემა კოსმეტიკური საშუალებების, სათამაშოების, ფეიერვერკებისა და სხვა პროდუქციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ამასთან 1993 წელს დაარსდა ევროპის სამედიცინო სააგენტო, რომლის უშუალო მოვალეობაშიც შედის ევროპულ ბაზარზე გასაყიდად შემოსატანი სამედიცინო პროდუქტების ნებართვისათვის განაცხადების განხილვა, ევროკავშირის ბაზარზე მედიკამენტები ნებართვის გარეშე არ იყიდება. ევროკავშირი ასევე ახორციელებს მომხმარებელთა დაცვას თალღითი მოვაჭრეებისაგან, კერძოდ მათ მიერ განთავსებული იმ არასწორი, მაცდური რეკლამის ზემოქმედებისაგან, რომელმაც შესაძლოა, მომხმარებელი შეცდომაში შეიყვანოს (ფონტენი, 2014). გარდა საქონლით ვაჭრობისა, ევროკავშირის საერთო ბაზრისთვის უმნიშვნელოვანესი და მეტიც, გადამწყვეტია მომსახურება. სწორედ მომსახურების ანგარიშზე მოდის მთლიანი ეკონომიკური საქმიანობის ნახევარზე მეტი. ევროკავშირის ნევრ სახელმწიფოებში კომპანიებს აქვთ თავისუფლება ევროკავშირის სხვა ქვეყანაშიც დააარსონ კომპანია ან/და გასწიონ/მიიღონ მომსახურება. (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2021a). სხვადასხვა პროფესიის (იურისპრუდენცია, მედიცინა, ტურიზმი, საფინანსო და სადაზღვევო საქმე) დაუფლებსა და გამოყენების ეროვნული წესების ურთიერთცნობიდან გამომდინარე ევროკომისიამ მიიღო ზომები მშრომელთა გადაადგილების შესაძლებლობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ, კი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ევროკავშირის ნევრ რომელიმე ქვეყანაში მიღებული განათლება და დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დიპლომი), ასევე სამუშაო გამოცდილება ვალიდურად ჩაითვალოს ევროკავშირის მთელს ტერიტორიაზე.

2021 წლის აპრილში, საბჭომ და ევროპარლამენტმა მიიღეს 2021-2027 წლებში განსახორციელებელი ევროკავშირის საერთო ბაზრის პროგრამა, ის მოიცავს შემდეგ საკითხებს:

1. საერთო ბაზრის ეფექტიანობის გაზრდა
2. ევროკავშირის საერთო ბაზარზე ბიზნესის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის მხარდაჭერა
3. ეფექტური ევროპული სტანდარტების შემუშავების ხელშეწყობა
4. მომხმარებელთა დაცვა

5. მდგრადი და უსაფრთხო გარემოს შექმნა კვების ინდუსტრიაში
6. ადამიანების, ცხოველთა და მცენარეთა ჯანმრთელობის ხელშეწყობა და ცხოველთა კეთილდღეობის მხარდაჭერა
7. მაღალი ხარისხის სტატისტიკური საქმიანობის დაფინანსების ჩარჩოს ჩამოყალიბება. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 4.2 მლრდ. ევროს (European Commission, 2021).

## **საქართველოს გასვლა ევროკავშირის საერთო ბაზარზე**

ევროკავშირის საერთო ბაზარზე გარდა წევრი ქვეყნების ერთმანეთთან ვაჭრობისა, მესამე ქვეყნებსაც აქვთ შესაძლებლობა, გახდნენ საინტეგრაციო ბლოკის სავაჭრო პარტნიორი. საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო თანამშრომლობას ძირითადად 2014 წლიდან ჩაეყარა საფუძველი, როდესაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის დაიდო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), ის წარმოადგენს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების (AA) ნაწილს. შეთანხმებას ხელი 2014 წელს მოენერა და ძალაში 2016 წლის პირველი ივლისიდან შევიდა, ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ შეთანხმების რატიფიცირების შემდეგ. DCFTA მიზნად ისახავს ისეთი სავაჭრო ურთიერთობის ჩამოყალიბებას, რომელიც ორივე მხარისთვის სარგებლის მომტანი იქნება, ის სავაჭრო პარტნიორებს ბაზრებთან წვდომის უკეთეს პირობებს სთავაზობს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, DCFTA შესაძლებლობას აძლევს ქართველ მენარმეებს, გაყიდონ თავისი სერვისები ან/და საქონელი ერთ-ერთ უდიდეს გლობალურ ბაზარზე-ევროკავშირის საერთო ბაზარზე, ტარიფებისა და ბარიერების გარეშე. შეთანხმება ქმნის უფრო მჭიდრო ეკონომიკური ინტეგრაციის საფუძველს ევროკავშირის ბაზარზე ვაჭრობასთან დაკავშირებულ სფეროებში; DCFTA-ს ფარგლებში არსებული რეფორმები ეფუძნება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პრინციპებს, ის ასევე ხსნის გადასახადებს იმპორტზე და უზრუნველყოფს ფართო ორმხრივ ხელმისაწვდომობას მომსახურებით ვაჭრობაზე. ევროკავშირისა და ქართულ კომპანიებს აქვთ საშუალება, დააარსონ შვილობილი კომპანიები ან/და ფილიალები არადისკრიმინაციულ გარემოში, რაც გულისხმობს იმას, რომ უცხოურ კომპა-



ნიას აქვს ისეთივე პირობები პარტნიორის ბაზარზე, როგორც ადგილობრივ ბიზნესს. DCFTA იძლევა საშუალებას, ქართული სავაჭრო კანონმდებლობა დაუახლოვდეს ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზას. რა თქმა უნდა, ევროკავშირის ბაზარზე წვდომა ისეთი განვითარებადი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, ქმნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს ქვეყნის განვითარებისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 1 სექტემბრიდან ევროკავშირიდან საქართველოში იმპორტირებულ პროდუქტზე საბაჟო გადასახადი გაუქმდა, გადასახადები ასევე გაუქმდა საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებულ პროდუქტებზეც. საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებული პროდუქციის ნაწილზე განსაზღვრულია შემდეგი ღონისძიებები: 1. 28 სახეობის პროდუქტზე მოქმედებს ევროკავშირში „შესვლის ფასი“, რაც გულისხმობს იმას, რომ თუ საქართველოში წარმოშობილი პროდუქტის საინვოისო ფასი ევროკავშირში იმპორტირებისას ევროკავშირის მიერ დადგენილ ფიქსირებულ ფასზე დაბალი იქნება, იმპორტიორი გადაიხდის სხვაობას საინვოისო და ფიქსირებულ ფასს შორის, ხოლო თუ თანაბარი ან უფრო მაღალი იქნება - პროდუქცია „შესვლის ფასისგან“ გათავისუფლდება 2. გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმი - სოფლიას მეურნეობისა და კვების გადამამუშავებელი მრეწველობის 277 დასახელების პროდუქცია ექვემდებარება გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს, ესეიგი, როდესაც კალენდარული წლის დასაწყისიდან გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს დაქვემდებარებული ერთი ან მეტი პროდუქტის იმპორტი მიაღწევს ფიქსირებული რაოდენობის 70 %-ს, ევროკავშირი ატყობინებს საქართველოს კონკრეტული პროდუქტის იმპორტის მოცულობის შესახებ; თუმცა, საქართველოს შეუძლია ევროკავშირს წარუდგინოს არგუმენტირებული დასაბუთება იმპორტის შესაძლო გადაჭარბების შესახებ, რაც შესაძლოა, დაკავშირებული იყოს უხვმოსავლიანობასთან, წარმოების მოცულობის ზრდასთან და სხვ. არგუმენტირებული დასაბუთების შემთხვევაში საქართველოს შეუძლია განახოციელოს მექანიზმით გათვალისწინებულ რაოდენობაზე მეტი ოდენობის იმპორტი ევროკავშირში საბაჟო გადასახადის გარეშე. 3. სატარიფო კვოტა დაწესებულია მხოლოდ ნიორზე, 220 ტონის ოდენობით. აღნიშნული რაოდენობის ფარგლებში საქართველოში წარმოშობილი ნიორის კალენდარული წლის განმავლობაში ევროკავშირში იმპორტირება მოხდება საბაჟო გადასახადის გარეშე. (საქართველოს

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2021a). მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორია, კერძოდ, საქართველოს საგარეო ვაჭრობის 20.9 % ევროკავშირზე მოდის; აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირის ვაჭრობა საქართველოსთან შეადგენს მისი მთლიანი ვაჭრობის 0,1 %-ს და 2023 წელს მთლიანმა ბრუნვამ შეადგინა 4.36 მლრდ. ევრო. **ევროკავშირის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით**, ევროკავშირის ექსპორტმა საქართველოში 2023 წელს შეადგინა 3.6 მლრდ. ევრო - 11.9 % -ით მეტი, ვიდრე წინა წლის იგივე მაჩვენებელი, ამასთან, მთავარი საქსპორტო პროდუქტები იყო მანქანა-დანადგარები, ტექნიკა და სატრანსპორტო აღჭურვილობა. ევროკავშირის ძირითადი იმპორტი საქართველოდან მოიცავს მინერალურ პროდუქტებს, ქიმიურ პროდუქტებსა და ქსოვილს. ევროკავშირში საქართველოდან იმპორტირებულმა პროდუქციამ 2023 წელს 752 მლნ. ევრო შეადგინა და 2022 წლის იმავე მაჩვენებელთან შედარებით 27,5 %-ით შემცირდა. ევროკავშირის კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის მნიშვნელოვანი წილი მოდის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე, ხელშეწყობასა და მხარდაჭერაზე, აღსანიშნავია, რომ DCFTA -ც გულისხმობს სავაჭრო პარტნიორების მცირე და საშუალო ბიზნესის გაძლიერებას. საქართველომ „2016-2020 წლებში მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების სტრატეგიის“ შემდეგ 2021-2025 წლების სტრატეგია (ც დაამტკიცა, აღნიშნულზე მუშაობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კოორდინაციით, ევროკავშირისა და უშუალოდ გერმანიის მთავრობის მხარდაჭერითა და OECD-ისა და GIZ-ის თანამშრომლობით მიმდინარეობდა. სტრატეგია სახელმწიფო სტრუქტურებისა და კერძო სექტორის ფართო ჩართულობით იქნა შემუშავებული. სტრატეგია ეფუძნება „ევროპის მცირე ბიზნესის აქტის“ ძირითად პრინციპებს, მათ შორის უმთავრეს პრინციპს - „უპირველესად იფიქრე მცირეზე“, ამასთან ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკას. ის მცირე და საშუალო მენარმეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ემსახურება, რაც მცირე და საშუალო მენარმეობის უპირველესად პანდემიური კრიზისიდან საბოლოო გამოყვანასა და მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელოვანი საფუძველის შექმნას უზრუნველყოფს. მცირე და საშუალო მენარმეობის ხელშეწყობა და შემდგომი განვითარება, ნამდვილად არის მნიშვნელოვანი წინაპირობა და საფუძველი ისეთ გლობალურ ბაზარზე ადგილის დამკვიდრებისა, როგორც ევროკავშირის საერთო ბაზარია. ევროკავ-

შირის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგია ცნობრედ რომ მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარება და ხელშეწყობაა, არა მხოლოდ წევრ სახელმწიფოებში, არამედ სხვა სავაჭრო პარტნიორ სახელმწიფოებში, საინტეგრაციო ბლოკი ამ მიმართულებით საქართველოშიც ახორციელებს მხარდაჭერ ღონისძიებებს, ამასთან საქართველოს სამომავლო პრიორიტეტულ მიმართულებებშიც მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და 2021-2025 წლების ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის დიდი წილიც ამ საკითხს ეხება. საქართველოში მოქმედებს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ისეთი სახელმწიფო ინსტიტუტი, როგორცაა „ანარმოე საქართველოში“ - სააგენტო „ანარმოე საქართველოში“ 2014 წელს შეიქმნა და წარმოადგენს მენარმეობის, მათ შორის, მცირე და საშუალო მენარმეობის მხარდაჭერ ძირითად სახელმწიფო ინსტიტუტს ქვეყანაში. სააგენტოს - „ანარმოე საქართველოში“ გააჩნია 3 საკვანძო მიმართულება : 1. ბიზნესის განვითარება - აღნიშნული მიმართულება მოიცავს საქართველოში მენარმეობის განვითარებისთვის საჭირო სხვადასხვა მექანიზმს, მაგალითად, კომერციული ბანკის მიერ დამტკიცებული სესხის ან სალიზინგო კომპანიის მიერ გაცემული ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას; სასტუმრო ინდუსტრიისა და ტურისტული სერვისების მიმართულების ხელშეწყობას; ტექნიკურ დახმარებას, რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარს უნაზღაურდება საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებაზე განეული ხარჯი დადგენილი ლიმიტის ფარგლებში; მიკრო და მცირე გრანტების პროგრამას, რომლის მიზანიც მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარება, თანამედროვე სამენარმეო კულტურის დამკვიდრება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაა. ეს მიმართულება ასევე მოიცავს მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესებას, რასაც წარმოების ზრდისთვის მასტიმულირებელი ეფექტი ექნება. 2. ექსპორტის მხარდაჭერა - სააგენტოს ექსპორტის მიმართულება, ექსპორტის ნახალისებისა და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდის გამო, მუდმივად ახდენს მაღალი საექსპორტო პოტენციალის მქონე სექტორების ინდენტიფიცირებას და მათ შემდგომ მხარდაჭერას. „ანარმოე საქართველოში“-ს ორგანიზებით ქართველი ექსპორტიორები ყოველწლიურად იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო გამოფენებსა და სხვა ღონისძიებებში. გარდა ამისა 2015 წლიდან სააგენტო წამყვან ქართულ უნივერსიტეტებთან ერთად ახორციელებს ექსპორტის მენეჯერთა სასერტიფიკაციო კურსს, კურსი

მოიცავს სააგენტოს - „ანარმოე საქართველოში“ გააჩნია 3 საკვანძო მიმართულება : 1. ბიზნესის განვითარება - აღნიშნული მიმართულება მოიცავს საქართველოში მენარმეობის განვითარებისთვის საჭირო სხვადასხვა მექანიზმს, მაგალითად, კომერციული ბანკის მიერ დამტკიცებული სესხის ან სალიზინგო კომპანიის მიერ გაცემული ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას; სასტუმრო ინდუსტრიისა და ტურისტული სერვისების მიმართულების ხელშეწყობას; ტექნიკურ დახმარებას, რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარს უნაზღაურდება საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებაზე განეული ხარჯი დადგენილი ლიმიტის ფარგლებში; მიკრო და მცირე გრანტების პროგრამას, რომლის მიზანიც მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარება, თანამედროვე სამენარმოე კულტურის დამკვიდრება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაა. ეს მიმართულება ასევე მოიცავს მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესებას, რასაც წარმოების ზრდისთვის მასტიმულირებელი ეფექტი ექნება. 2. ექსპორტის მხარდაჭერა - სააგენტოს ექსპორტის მიმართულება, ექსპორტის წახალისებისა და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდის გამო, მუდმივად ახდენს მაღალი საექსპორტო პოტენციალის მქონე სექტორების ინდენტიფიცირებას და მათ შემდგომ მხარდაჭერას. „ანარმოე საქართველოში“-ს ორგანიზებით ქართველი ექსპორტიორები ყოველწლიურად იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო გამოფენებსა და სხვა ღონისძიებებში. გარდა ამისა 2015 წლიდან სააგენტო წამყვან ქართულ უნივერსიტეტებთან ერთად ახორციელებს ექსპორტის მენეჯერთა სასერტიფიკაციო კურსს, კურსი მოიცავს ყველა მნიშვნელოვან საკითხს ექსპორტთან დაკავშირებულ ოპერაციებზე (Gaghanidze, 2019).

3. ინვესტიციების მოზიდვა - მიმართულების მიზანია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ხელშეწყობა და განვითარება, მიზნის განსახორციელებლად მიმართულება ცდილობს პოტენციური მოზიდვა - მიმართულების მიზანია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ხელშეწყობა და განვითარება, მიზნის განსახორციელებლად მიმართულება ცდილობს პოტენციური ინვესტორებისა და საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობების დაკავშირებას, გარდა ამისა პროგრამა უზრუნველყოფს საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს საინვესტიციო კლიმატის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

გარდა სააგენტოსი - „ანარმოე საქართველოში“, ქვეყანაში ფუნ-

ქციონირებს ასევე საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, ის შეიქმნა 2014 წელს და წარმოადგენს ცოდნასა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების მხარდამჭერ ძირითად სახელმწიფო უწყებას. აღნიშნული სააგენტოს უმთავრესი მიზნებია: 1. ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნა და მისი განვითარების პროცესის კოორდინაცია 2. ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების, კვლევისა და განვითარების სტიმულირება 3. ინოვაციური კომპანიების შექმნისა და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა ინოვაციების ხელშეწყობითა და ნახალისებით სააგენტო საქართველოს გლობალურ პროცესებში მასშტაბურად ჩართვასა და თანამედროვე ეკონომიკური ტენდენციებისთვის ფეხის აყოლაში ეხმარება. (Abesadze, 2022). გარდა აღნიშნული სახელმწიფო ინსტიტუტებისა საქართველოში მოქმედებს მცირე და საშუალო მენარმეობის მხარდამჭერი ბიზნეს ასოციაციები: 1. სავაჭრო-სამრეწველო პალატა - მისი მთავრი ფუნქციებია ბიზნესისთვის საკონსულტაციო და საინფორმაციო მომსახურების განწევა, ბიზნეს სუბიექტების პროფესიული განათლების დონისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა, ექსპორტის ხელშეწყობა, მენარმე სუბიექტებს შორის დავის მოგვარების ხელშეწყობა. სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა თავად მცირე და საშუალო მენამეა. 2. საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია - მისი მიზანია მხირე და საშუალო ბიზნესის ინტერესების დაცვა, მცირე და საშუალო საწარმოების აქტიური კომუნიკაციის დამყარების ხელშეწყობა სახელმწიფო სტრუქტურებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან. 3. დამსაქმებელთა ასოციაცია - ასოციაცია უზრუნველყოფს საკონსულტაციო მომსახურების განწევას მენარმეებისათვის, ახორციელებს სხვადასხვა პროგრამას სამენარმეო ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის და სხვ.

აღნიშნული სტრუქტურები და ასოციაციები ხელს უწყობენ ქვეყანაში მცირე და საშუალო საწარმოთა გაძლიერებას, რაც, რა თქმა უნდა, რესურსების რაციონალური ათვისებითა და წარმოების ნახალისება-ზრდით გამოიხატება. ეჭვგარეშეა, რომ გლობალურ ბაზრებზე თავის დასამკვიდრებლად იმპორტდამოკიდებული საქართველოსთვის წარმოების ზრდა და საექპორტო პოტენციალის ამაღლება უმნიშვნელოვანესია. ქვეყნის მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის ძირითადი მიმართულებებია: 1. კანო-

ნმდებლობის დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება მცირე და საშუალო მენარმეობისთვის; 2. მცირე და საშუალო მენარმეობის უნარების განვითარებისა და სამენარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა; 3. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; 4. მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდა, ბაზარზე წვდომის ხელშეწყობა; 5. საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა მცირე და საშუალო მენარმეობისთვის; 6. ქალთა მენარმეობის განვითარების ხელშეწყობა; 7. მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა (ევროკავშირის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება).

აღნიშნული სტრატეგიის მიზნობრივ მაჩვენებლებს 2025 წლისთვის წარმოადგენს: 1. მცირე და საშუალო საწარმოთა მწარმოებლურობის ზრდა 20%-ით; 2. მცირე და საშუალო საწარმოების დამატებული ღირებულების ზრდა 20%-ით; 3. მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა 10 %-ით (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2021b). ის პოტენციური დადებითი ეფექტები, რაც შეიძლება, სტრატეგიის სრულად განხორციელების შედეგად გვექონდეს, იძლევა ევროკავშირის საერთო ბაზარზე ვაჭრობის განმტკიცების პოზიტიურ მოლოდინებს. ევროკავშირის ქვეყნები პარტნიორი ქვეყნებიდან ახორციელებენ სხვადასხვა სახის პროდუქტის იმპორტს, მათ შორის თევზის პროდუქტები, პლასტმასისა და მინის ნაწარმი, აზოტოვანი სასუქები, ჯართი, ოქრო, ნატურალური და მინერალური წყლები და ა.შ. საქართველოში ამ პროდუქციას ძირითადად საშუალო და დიდი ზომის კომპანიები აწარმოებენ, გარდა აღნიშნულისა ევროკავშირი ახდენს ისეთი პროდუქციის იმპორტსაც, როგორცაა: თხილი, ციტრუსი, ბოსტნეული, ხილი, ჩირი, ჩაი, უალკოჰოლო სასმელები, სუნელ-სანელებლები, ღვინო, სპირტიანი სასმელები, თაფლი და სხვა - აღნიშნული წარმოება საქართველოში მოქმედ მცირე საწარმოებს შეუძლიათ. დიდი პოტენციალის მიუხედავად, საქართველოს ექსპორტი ევროკავშირის საერთო ბაზარზე მცირე მოცულობისაა, ამის გამომწვევ უმთავრეს მიზეზებს შორისაა წარმოების მცირე მოცულობა, რაც შიდა ბაზრის დაკმაყოფილების პარალელურად ექსპორტის ეფექტურობას ვერ უზრუნველყოფს, აღნიშნული დაკავშირებულია მეორე მიზეზთან - რესურსების ნაკლებობა იმისთვის, რომ ექსპორტისთვის საკმარისი რაოდენობის პროდუქცია იწარმოოს. გარდა აღნიშნულისა, საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის დღემდე პრობლემატურ

საკითხად რჩება ხარისხის სტანდარტის დაცვა, კომპანიების დიდ ნაწილს არ აქვს ხარისხის კონტროლის საკმარისი მექანიზმი, აუცილებელი სერტიფიცირებისა და სტანდარტიზაციის სისტემა, რაც ბევრ პოტენციურ მოთხოვნად პროდუქციას ევროკავშირის საერთო ბაზარს ამორებს. ინფორმაციული ბუმის ეპოქაშიც კი, ნათელია, რომ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს სამიზნე ბაზრის შესწავლა და უკვე განხორციელებული საექსპორტო ოპერაციების ანალიზი, ეს, რა თქმა უნდა, შემაფერხებელი ფაქტორია მცირე და საშუალო საწარმოების ინტერნაციონალიზაციისა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დასახული სამოქმედო გეგმები და სტრატეგიები პოზიტიურ, წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს, რომელიც მეტად დაახლოვებს ქვეყანას გლობალურ ბაზრებთან. **(DCFTA Communication Manual for Georgia <https://cutt.ly/9e3rn07J>)**. დღეს, როდესაც დამოუკიდებლად, იზოლირებულად არცერთი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა არ არსებობს და საქმე გლობალურ ბაზრებთან წვდომაზე მიდგება, შესაძლოა, გაჩნდეს კითხვა, თუ ვინ იგებს ან ვინ აგებს ისეთი ბაზრის არსებობით, როგორც ევროკავშირის საერთო ბაზარია. მიუხედავად იმისა, რომ საერთო ბაზრის შექმნას ზოგიერთი ეროვნული პროდუქტის ბაზრიდან გამოძევება მოჰყვა, მან სასიცოცხლო როლიც კი შეასრულა მომხმარებლისთვის არჩევანის გაფართოებაში, ამით კონკურენციის ჩამოყალიბებასა და ფასების დარეგულირებაში. „ოთხი თავისუფლების“ - სამუშაო ძალის, კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების თავისუფლად გადაადგილება, - თვითდამკვიდრების, წარმოების, შექმნისა და გაყიდვის, ამით კი მატერიალური კეთილდღეობისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მეტ შესაძლებლობას იძლევა.

ევროკავშირის არანევრი სახელმწიფოსთვის ევროკავშირის საერთო ბაზარზე წვდომა ეკონომიკურ სარგებელთან ერთად სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელოვანი წინაპირობაა და საქართველოსაც აღნიშნული შესაძლებლობა 2014 წელს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით მიეცა. დღეს ქვეყანა აქტიურადაა ჩართული ევროკავშირის საერთო ბაზარზე პოზიციების განმტკიცების სტრატეგიების დანერგვაში. მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება წარმოადგენს ქვეყნის პოტენციურ შესაძლებლობას, რაციონალურად აითვისოს რესურსები და გადაჭრას წარმოების პრობლემა. ყურადსაღებია აქცენტები სტანდარტიზაციისა და ბაზრის ანალიზის გაღრმავებაზეც. მნიშვნელოვან-

ნია აღნიშვნა იმისა, რომ საქართველოს, როგორც უკვე ევროკავშირის კანდიდატ ქვეყანას, აქვს მეტი პოტენციალი საკუთარი საექსპორტო მაჩვენებლების ამაღლებისა ევროკავშირის ბაზარზე.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ევროკავშირის საერთო ბაზარი ევროინტეგრაციის ერთ-ერთი ფუნდამენტური შემადგენელია, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და სამუშაო ძალის თავისუფალ გადაადგილებას ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის. ამ საერთო ბაზრის შედეგად, ბიზნესი და ფიზიკური პირები სარგებლობენ ტრანზაქციის დაბალი ხარჯებით, ვაჭრობის შემცირებული ბარიერებით და ევროპის მასშტაბით ეკონომიკური ინტეგრაციის უფრო მაღალი ხარისხით.

საქართველო, ქვეყანა, რომელიც მდებარეობს ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე, არ არის ევროკავშირის წევრი, მაგრამ მან გამოხატა დიდი ინტერესი ევროკავშირთან მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების მიმართ. ეს ნაწილობრივ განპირობებულია საქართველოს სწრაფვით გააძლიეროს თავისი ეკონომიკა, დემოკრატიზაცია და ევროსტრუქტურებში ინტეგრაცია. ურთიერთობები საქართველოსა და ევროკავშირს შორის მნიშვნელოვნად განვითარდა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, საქართველო ცდილობს უფრო მჭიდროდ დაამყაროს კავშირი ევროკავშირის საერთო ბაზართან, მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ არ არის კავშირის ოფიციალური წევრი.

ევროკავშირის საერთო ბაზარი: ევროკავშირის საერთო ბაზარი, რომელიც ოფიციალურად დასრულდა 1993 წელს მასტრიხტის ხელშეკრულებით, ცდილობს შექმნას საერთო ეკონომიკური სივრცე მის წევრ ქვეყნებში. უპირველესი მიზანია:

1. სავაჭრო ბარიერების აღმოფხვრა: საქონელს, მომსახურებას, სამუშაო ძალას და კაპიტალს შეუძლია თავისუფლად გადაადგილდეს ევროკავშირის შიგნით ტარიფების, კვოტებისა და დისკრიმინაციული წესების გარეშე

2. წესების სტანდარტიზაცია: კანონებისა და სტანდარტების ჰარმონიზაცია, როგორცაა მომხმარებელთა დაცვა, გარემოსდაცვითი რეგულაციები და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტები, ეხმარება ბიზნესს საზღვრებს მიღმა უფრო ადვილად იმუშაოს.

3. კონკურენციის გაძლიერება: ვაჭრობის ბარიერების შემცირებით და კონკურენციის ხელშეწყობით, საერთო ბაზარი ხელს უწყობს ინოვაციას და ეფექტურობას.



4. ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა: უფრო დიდი ეკონომიკური სივრცის შექმნით და ვაჭრობის ხარჯების შემცირებით, ევროკავშირის საერთო ბაზარი აძლიერებს ეკონომიკურ ზრდას და დასაქმების შესაძლებლობებს წევრი ქვეყნებისთვის.

ოთხი თავისუფლება ევროკავშირის საერთო ბაზრის საფუძველია:

- საქონლის თავისუფალი მოძრაობა: აღმოფხვრის სატარიფო და არასატარიფო ბარიერებს ვაჭრობაში

- მომსახურების თავისუფალი გადაადგილება: საშუალებას აძლევს ბიზნესს შესთავაზონ მომსახურება წევრ ქვეყნებში დამატებითი ნესებისა და მოთხოვნების გარეშე.

- კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა: ინვესტიციებისა და ფინანსური ტრანზაქციების ევროკავშირის საზღვრებს გარეთ თავისუფლად გადაადგილების საშუალებას იძლევა.

- ადამიანების თავისუფალი გადაადგილება: ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეებს შეუძლიათ იცხოვრონ, იმუშაონ და ისწავლონ ნებისმიერ წევრ ქვეყანაში.

ძირითადი ინსტრუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობას, არის:

1. ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმება (AA): 2014 წელს ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმება, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი ვაჭრობის ზონას (DCFTA), წარმოადგენს ევროკავშირთან საქართველოს ჩართულობის ქვაკუთხედს. ეს შეთანხმება მიზნად ისახავს საქართველოს დაახლოებას ევროკავშირთან მისი პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოს (ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის) ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანით ისეთ ძირითად სფეროებში, როგორიცაა ვაჭრობა, გარემოს დაცვა, ენერგეტიკა და ადამიანის უფლებები.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონა (DCFTA): შეთანხმების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი, DCFTA უზრუნველყოფს საქართველოს პრივილეგიურულ წვდომას ევროკავშირის საერთო ბაზარზე, მათ შორის ტარიფებისგან თავისუფალ წვდომას მისი ბევრი ექსპორტისთვის. თუმცა, DCFTA ასევე მოითხოვს საქართველოდან მიიღოს ევროკავშირის რეგულაციები და სტანდარტები, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და ინტელექტუალური საკუთრება.

კანონების ჰარმონიზაცია: AA-ს სთხოვს საქართველომ თავისი ერო-

ენული კანონმდებლობა მოიყვანოს შესაბამისობაში ევროკავშირის კანონებთან, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორცაა ვაჭრობა, კონკურენცია, სახელმწიფო შესყიდვები, გარემოსდაცვითი სტანდარტები და მომხმარებელთა დაცვა.

2. ვიზა ლიბერალიზაცია: საქართველოს მოქალაქეებმა მიიღეს უფიზო წვდომა ევროკავშირის შენგენის ზონაში 2017 წელს, რამაც მნიშვნელოვნად გააძლიერა ადამიანთა შორის კავშირები საქართველოსა და ევროკავშირს შორის, ასევე გაუადვილა საქართველოს მოქალაქეებს ბიზნეს და საგანმანათლებლო შესაძლებლობების რეალიზაცია.

3. ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოს რეფორმებისთვის: ევროკავშირი იყო საქართველოს რეფორმების მთავარი დონორი და მხარდამჭერი მმართველობის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და ეკონომიკური განვითარების სფეროში. ევროკავშირმა ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს ინფრასტრუქტურული და ენერგეტიკული პროექტების მხარდაჭერაში, რომლებიც განიხილება, როგორც არსებითი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და რეგიონული ინტეგრაციისთვის.

4. საქართველოს ევროპული მისწრაფებები: წლების განმავლობაში საქართველო გამოთქვამდა ევროკავშირში განწევრიანების სურვილს, მაგრამ ეს ამბიციის არის გრძელვადიანი მიზანი, რომელიც აწყდება რამდენიმე გამოწვევას, მათ შორის მეტი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობას და რთულ გეოპოლიტიკურ კონტექსტს, განსაკუთრებით. რუსეთთან და საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გადაუჭრელ კონფლიქტებთან დაკავშირებით.

2023 წელს, ევროკავშირმა საქართველოს მიანიჭა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, რაც მიუთითებს პოტენციურ მომავალ გზაზე ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობისკენ, თუმცა ვადები და მოთხოვნები გაურკვეველი რჩება.

საქართველო და ევროკავშირის საერთო ბაზარი:

2023 წელს, ევროკავშირმა საქართველოს მიანიჭა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, რაც მიუთითებს პოტენციურ მომავალ გზაზე ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობისკენ, თუმცა ვადები და მოთხოვნები გაურკვეველი რჩება.

საქართველო და ევროკავშირის საერთო ბაზარი:

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ჯერ არ არის ევროკავშირის წევრი, მისი ჩართულობა ევროკავშირის საერთო ბაზართან DCFTA-ის მეშვეობით არის ევროკავშირთან მისი ურთიერთობის სასიცოცხლო ელემენტი. DCFTA საშუალებას აძლევს საქართველოს:

- ევროკავშირის ბაზრებზე წვდომა: ქართულ ბიზნესს შეუძლია სხვადასხვა სახის საქონლის (სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ქსოვილი, ტექნიკა და სამომხმარებლო საქონელი) ექსპორტი ევროკავშირში ტარიფებისა და კვოტების გარეშე. ეს წვდომა მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ბაზრებზე გადამწყვეტია საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის.

- ევროკავშირის სტანდარტების მიღება: როგორც DCFTA-ს ნაწილი, საქართველომ უნდა მიიღოს ევროკავშირის სტანდარტები ისეთ ძირითად სფეროებში, როგორიცაა სურსათის უვნებლობა, მომხმარებელთა დაცვა, გარემოსდაცვითი რეგულაციები და ინტელექტუალური საკუთრების უფლებები. ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის ამ პროცესს ხშირად ევროპეიზაციას უწოდებენ და ეს არის საქართველოს ევროკავშირში განეწიანების გრძელვადიანი მიზნის მნიშვნელოვანი ნაწილი

- ინვესტიციების მოზიდვა: ევროკავშირის საერთო ბაზარზე ხელმისაწვდომობის გაზრდით, საქართველო ხდება უფრო მიმზიდველი ადგილი უცხოური ინვესტიციებისთვის, განსაკუთრებით ევროპული ბიზნესების მხრიდან, რომლებიც ეძებენ ინვესტირების შესაძლებლობებს კავკასიაში და მის ფარგლებს გარეთ. ევროკავშირთან უფრო ღრმა ინტეგრაციის პერსპექტივა ხელს უწყობს ინვესტორების ნდობის ამაღლებას.

- მარეგულირებელი რეფორმები: ევროკავშირის მარეგულირებელი ჩარჩოს (ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის) შესაბამისობისთვის, საქართველომ გაატარა მრავალი რეფორმა ისეთ სფეროებში, როგორიცაა კონკურენტული კანონმდებლობა, სახელმწიფო შესყიდვები, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და ეკოლოგიური მდგრადობა. ეს რეფორმები აუცილებელია საქართველოს ეკონომიკის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობისა და საერთო ბაზარზე მისი მუდმივი წვდომის უზრუნველსაყოფად

## **გამონვევები და შესაძლებლობები საქართველოსთვის**

### **გამონვევები:**

1. გეოპოლიტიკური დაძაბულობა: რუსეთთან მიმდინარე კონფლიქტი, განსაკუთრებით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული რეგიონების გამო, რჩება მნიშვნელოვან დაბრკოლებად საქართველოს ევროპული მისწრაფებისთვის. რუსეთი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ევროკავშირთან და ნატოსთან დაახლოებას და წარსულში საქართველოსთვის ეკონომიკური სანქციები დაანესა.

2. შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები: მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს, ქვეყანა კვლავ აწყდება გამონვევებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა კორუფცია, სასამართლოს დამოუკიდებლობა და კანონის უზენაესობა. ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი რეფორმების წარმატებით განხორციელება მოითხოვს მუდმივ პოლიტიკურ ნებას და სტაბილურობას.

3. კონკურენცია და სტრუქტურული ცვლილებები: ქართული ბიზნესისთვის ევროკავშირის ბაზარზე კონკურენცია ნიშნავს ხარისხის, რეგულირებისა და კონკურენციის მაღალი სტანდარტების დაცვას. ამან შესაძლოა მოკლევადიანი გამონვევები შეუქმნას ქართულ კომპანიებს, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, რომელსაც დასჭირდება მოდერნიზაცია და ევროკავშირის სოფლის მეურნეობის და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვა.

### **შესაძლებლობები:**

1. ეკონომიკური ზრდა და დივერსიფიკაცია: ევროკავშირის ბაზარზე უფრო მჭიდრო ინტეგრაციამ შეიძლება ახალი გზები გახსნას ეკონომიკური ზრდისა და დივერსიფიკაციისთვის. ეს შეიძლება იყოს განსაკუთრებით მომგებიანი ისეთ სექტორებში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, წარმოება, ტექნოლოგია და ტურიზმი, რომლებსაც აქვთ ძლიერი ზრდის პოტენციალი საქართველოში.

2. ევროპეიზაცია და დემოკრატიული კონსოლიდაცია: ევროკავშირის სტანდარტების მიღების პროცესი გამოიწვევს უფრო ფართო საზოგადოებრივ სარგებელს, მათ შორის უკეთესი მმართველობის, კანონის უზენაესობის გაუმჯობესებას და უფრო ძლიერ სამოქალაქო საზოგადოებას. ეს ცვლილებები განიხილება, როგორც გასაღები საქართველოს გრძელვადიანი სტაბილურობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

რეგიონული ინტეგრაცია: საქართველოს წვდომა ევროკავშირის საერთო ბაზარზე ასევე შეიძლება დაეხმაროს მისი როლის გაძლიერებას უფრო ფართო რეგიონულ ეკონომიკაში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებთან კავშირების და მისი სტრატეგიული მდებარეობის, როგორც სატრანზიტო კვანძის ევროპასა და აზიას შორის, კონტექსტში (Abuselidze, 2021).

ამგვარად, საქართველოს ჩართულობამ ევროკავშირის საერთო ბაზარზე, განსაკუთრებით ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონისა და უფრო ფართო ასოცირების შეთანხმების მეშვეობით, მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი განაპირობა და საფუძველი შექმნა ევროკავშირთან ღრმა პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციისთვის. მიუხედავად იმისა, რომ კვლავ რჩება გამოწვევები, მათ შორის შემდგომი რეფორმების აუცილებლობა და რეგიონის გეოპოლიტიკური სირთულეები, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობა აგრძელებს განვითარებას და აქვს მნიშვნელოვანი სარგებლის პოტენციალი, როგორც საქართველოსთვის, ასევე ევროკავშირის უფრო ფართო რეგიონისთვის.

გრძელვადიან პერსპექტივაში, საქართველოს მუდმივმა შესაბამისობამ ევროკავშირის სტანდარტებთან და მისმა სწრაფვამ ევროკავშირში განეწიანებაზე შეიძლება ქვეყნის შემდგომი ინტეგრაცია გააღრმავოს ევროპის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში, გააძლიეროს მისი სტაბილურობა, კეთილდღეობა და როგორც ხიდის როლი ევროპასა და აზიას შორის

## თავი 11.

# ევროკავშირისგან ფინანსური დახმარების გაზრდილი შესაძლებლობები კანდიდატი ქვეყნებისათვის

როდესაც ეკონომიკურ ინტეგრაციაში ჩართული ქვეყნები ეკონომიკური და ინსტიტუციური განვითარების თანაბარ დონეზე არ იმყოფებიან, უფრო ნაკლებად განვითარებული ქვეყანა მასზე განვითარებული ეკონომიკურ პარტნიორთან დაახლოებით ინტერესდება (ჯამაგიძე, 2019). ეს შეიძლება გულისხმობდეს მის ბაზარზე წვდომის გაღრმავებას, ასევე, მმართველობით და ინსტიტუტციურ თანამშრომლობას. როგორც წესი, უფრო განვითარებული პარტნიორები თავისი ინსტიტუტების საზღვრებს გარეთ გავრცელებას იწყებენ, რასთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული მათი საგარეო და ფინანსური დახმარება.

საქართველოსთვის ევროკავშირის ფინანსური დახმარება, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა მასთან ეკონომიკური ინტეგრაციის კონტექსტში. ევროკავშირი ფინანსური დახმარების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს იყენებს, ამასთან, ის საერთაშორისო დახმარების ერთ-ერთი უდიდესი აქტორია. არსებული სამეცნიერო ლიტერატურა ძირითადად კონცენტრირებულია მისი საგარეო დახმარების ევოლუციაზე, ეფექტიანობასა და გამოწვევებზე. წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია საქართველოსთვის ევროკავშირის მიერ გაწეული ფინანსური დახმარების შესწავლა ეკონომიკური ინტეგრაციის კონტექსტში მიმდები ქვეყნის პოზიციიდან. ამისათვის გავაანალიზებთ ფინანსური დახმარების ძირითად ინსტრუმენტებს.

ევროკავშირი როგორც მთავარი დონორი და დაფინანსების წყარო, მონაწილეობს ეკონომიკური განვითარების მიზნების მხარდაჭერაში მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში და, უწინარესად, მის სამეზობლოში. მისი საგარეო დახმარების მეორე მიმართულება კი ეხება ახალი წევრი ქვეყნების ინტეგრაციას და ეკონომიკური რეფორმების წახალისებას. სამეცნიერო ლიტერატურაში პირველის შედეგები არაერთგვაროვნად არის შეფასებული, ხოლო მეორე ბოლო 50-60 წლის ყველაზე გამორჩეულ წარმატების ისტორიად არის მიჩნეული (Chowdhury & Garonna, 2007).

ევროკავშირის ეკონომიკური და ფინანსური დახმარების ინსტრუმენტები საქართველოსთვის 1992 წელს ურთიერთთანამშრომლობის და-

წყებასთან ერთად ამოქმედდა. უკვე 1993 წლიდან განისაზღვრა ევროკავშირისგან ეკონომიკური დახმარების ძირითადი მიმართულებები: ფინანსური დახმარება, ჰუმანიტარული დახმარება და ტექნიკური დახმარება.

სტრუქტურირებულად წარმოჩენის მიზნით, ფინანსური და ეკონომიკური დახმარების ინსტრუმენტებს დავყოფთ, პირველი, მეორე და მესამე თაობის ინსტრუმენტებად. პირველი თაობის ინსტრუმენტებს მივაკუთვნებთ მათ, რომლებიც მოქმედებდა 1992-2007 წლებში. 2007 წლიდან ამოქმედდა ევროკავშირის სამეზობლო და პარტიონორობის ინსტრუმენტი European Neighborhood and Partnership Instrument (ENPI) და აღმოსავლეთის პარტიონორობის ინიციატივა (Eastern Partnership Initiative (EaP). მეორე თაობის ინსტრუმენტებს სწორედ მათ ჩარჩოში განვიხილავთ 2007-2014 წლებში. სამეზობლო და პარტიონორობის ინსტრუმენტი შეიცვალა ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტით, European Neighborhood Instrument (ENI), 2014 წლიდან, რომელიც, თავის მხრივ, 2021 წლიდან მოქმედებს როგორც NDICI. 2014-2021 წლებში საქართველო იყო მაკროფინანსური დახმარების (MFA) მიმღები, ასევე, ასოცირების შეთანხმების ჩარჩოში მთელი რიგი პროგრამები ამოქმედდა. 2014 წლიდან დღემდე მოქმედ ინსტრუმენტებს მესამე თაობის ინსტრუმენტებს მივაკუთვნებთ.

წარმოდგენილი კვლევის თეორიული ჩარჩოა ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიები, ხოლო გამოყენებული მეთოდია სისტემატიზებული და შედარებითი ანალიზი. მონაცემთა წყაროდ გამოყენებულია ევროკომისიისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)-ის მონაცემთა ბაზები ოფიციალური დახმარების შესახებ. შესწავლილია ევროკავშირის ფინანსური დახმარება ორი ძირითადი მიმართულებით: ინსტიტუციური დაახლოება და ეკონომიკური დაახლოება.

## **ევროკავშირის ფინანსური დახმარების ინსტრუმენტები**

ევროპის კავშირის საგარეო დახმარება ძირითადად ფინანსდება მრავალწლიანი ფინანსური ჩარჩოს მეშვეობით, რომელიც დამატებით ივსება ბიუჯეტსგარეთ არსებული ინსტრუმენტებით და წევრი ქვეყნების ორმხრივი დახმარების პროგრამებით. 2021-2027 წლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, მათ შორის იყო ევროპული გა-

ნვითარების ფონდის ევროკავშირის საერთო ბიუჯეტში ინტეგრაცია და სამეზობლო, განვითარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტრუმენტის (NDICI) შექმნა. აღნიშნული რეფორმები მიზნად ისახავდა დაფინანსების მექანიზმების გამარტივებას და ევროკავშირის საგარეო დახმარების მოქნილობისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებას.

მაკრო-ფინანსური დახმარება (MFA) საქართველოსთვის დაიწყო 1998 წელს. ის გამიზნული იყო საქართველოს ეკონომიკური სტაბილიზაციისა და სტრუქტურული რეფორმების განსახორციელებლად. ის საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების, როგორცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) და მსოფლიო ბანკი (WB), მიერ გაწეული მხარდაჭერის დამატებას წარმოადგენდა. 2009-2010 წლებში მაკრო-ფინანსური დახმარების ფარგლებში (MFA) საქართველომ 46 მილიონი ევრო მიიღო. ეს დახმარება იყო ევროკავშირის სრული მხარდაჭერის პაკეტის ნაწილი, რომლის საერთო ოდენობაც 500 მილიონი ევრო შეადგენდა და რომელიც 2008 წლის საერთაშორისო დონორების კონფერენციაზე გამოიყო ომით გამოწვეული დანაკარგების დასაფინანსებლად.

2014 წლის დეკემბერში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილი შეთანხმების შესაბამისად, EU-მა საქართველოს 46 მილიონი ევროს MFA მიაწოდა, რომელიც თანაბრად იყო გაყოფილი გრანტებსა და სესხებზე. ევროკავშირის ბიუჯეტიდან დამატებითი გრანტები დაიგეგმა 2017-20 წლებში, რომლის ოდენობაც მერყეობდა 371 მილიონიდან 453 მილიონ ევრომდე, რათა საქართველოს რეფორმების დღის წესრიგის განხორციელებაში დახმარებოდა ფინანსური და ტექნიკური თანამშრომლობით. ევროკავშირის მაკრო-ფინანსური დახმარება (MFA) საქართველოსთვის 2017 წლიდან, IMF-ს მიერ დამტკიცებული გაფართოებულ მექანიზმს (EFF) ავსებდა. დღესდღეობით საქართველოში განხორციელებულია 100-ზე მეტი პროექტი.

დაფინანსება საქართველოს ასოცირების შეთანხმების მიზნების მისაღწევად ძირითადად ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტიდან (ENI) მოდის, რომელიც ორიენტირებულია საჯარო მმართველობისა და მართლმსაჯულების სექტორების რეფორმაზე, აგრეთვე სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სფეროებზე, ხოლო ასოცირების შეთანხმებისა და DCFTA-ს მხარდაჭერისთვის შესაძლებლობების განვითარებაზე დამატებითი მხარდაჭერაა გათვალისწინებული. სამეზობლო ინვესტიციების ფონდში (NIF) პროექტებთან ერთად აფინანსებენ ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB), ევროპის საბჭოს განვითარების



ბანკის (CEB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ შერჩეული ფინანსური ინსტიტუტების ინვესტიციებს. NIF-ის გრანტის დაფინანსება ამარტივებს ფინანსურ პირობებს ინვესტორებისთვის. საქართველომ 2008-2016 წლებში NIF-ის საშუალებით 86,5 მილიონი ევროს გრანტი მიიღო. ხუთი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც დაფინანსებულია KFW, EBRD და EIB-ის მიერ, დამატებით დაფინანსდა NIF-ის 46,5 მილიონი ევროს გრანტით.

ევროპის საინვესტიციო ბანკისგან უკვე 1,3 მილიარდი ევროს სესხები და ინვესტიციები გამოიყო. ყველა მიმდინარე დონორობის ფინანსური პროექტის მესამე ნაწილი ფინანსდება EIB-ის მიერ. EBRD-მა 2,9 მილიარდი ევროს ფინანსური დახმარება განახორციელა. ამ ინვესტიციების 81% მიმართულია კერძო სექტორისთვის. EBRD-ის დიდი მოცულობის ინვესტიციები განხორციელდა ენერჯეტიკისა და ფინანსური ინსტიტუტების, შემდეგ კი მრეწველობის, ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში. აღსანიშნავია, რომ EBRD-მ თავისი 24-ე წლიური შეხვედრა 2015 წელს თბილისში მოაწყო. ევროპის საბჭოს განვითარების ბანკმა (CEB) საქართველოს 14 მილიონი ევროს სუვერენული სესხი მიაწოდა თბილისის სკოლების კომპლექსური რეაბილიტაციის დაფინანსებისთვის. ეს პროექტი თანადაფინანსებულია 6 მილიონი ევროთი, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ენერჯეტიკისა და გარემოს დაცვის პარტნიორობამ (E5P) გამოყო. ასევე, ევროპის საბჭოს განვითარების ბანკმა 45 მილიონი ევროს ოდენობის კერძო სექტორის პროექტები დააფინანსა.

### ცხრილი 11.1 პირველი თაობის ინსტრუმენტები 1992-2007

ინსტრუმენტი	TACIS	ECHO	სასურსათო დახმარება	მაკრო ფინანსური დახმარება (MFA)
პროგრამები	TRACECA, PHARE, SAPARD, INOGATE	HOPE, DIPECHO და სხვა		
პერიოდი	1992-2006	1992-2006		1998-2007
მოცულობა	131 მლნ ევრო	99 მლნ ევრო	154 მლნ ევრო	110 მლნ ევრო

სამიზნე სფეროები	ენერგეტიკის სექტორი, საჯარო ადმინისტრირება, სასამართლო სისტემა, კერძო სექტორის განვითარება, სოფლის მეურნეობა, სასაზღვრო კონტროლი, გარემოს დაცვა	სასურსათო დახმარება, თავშესაფრის უზრუნველყოფა, ჯანდაცვა, კონფლიქტებისა და ბუნებრივი კატასტროფების მართვა	სასურსათო დახმარება	ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერა
------------------	---	--	---------------------	-----------------------------------

## ცხრილი 11.2 მეორე თაობის ინსტრუმენტები (2007-2014)

ინსტრუმ.	ENPI	EaP	სტაბილურობის ინსტრუმენტი (IFS).	განვითარებისთვის თანამშრომლობის ინსტრუმენტი (DCI)	მაკრო ფინანსური დახმარება (MFA)
პროგრამა	CBC, FLEG I, FLEG II, NIP, AAP,	EaPIC CIB		NSA-LA ENV NSA MGR	
პერიოდი	2007-2013	2009-2014	2006-დან	2007-დან	2008-დან
მოცულობა	348 მლნ ევრო	80 მლნ ევრო	44 მლნ ევრო	16 მლნ ევრო	დაახლ. 222 მლნ ევრო
მიზნები	დემოკრატია და კანონის უზენაესობა, ეკონომიკური განვითარება და ვაჭრობა, ენერგეტიკა, გარემო, განათლება და მეცნიერება	დემოკრატია და კანონის უზენაესობა, ეკონომიკური განვითარება, რეგიონული ინტეგრაცია, ადამიანების მობილურობა და კავშირების განვითარება	კონფლიქტის შედეგებთან ბრძოლა, არასამთავრობო სუბიექტების გაძლიერება	სოფლის მეურნეობა, განათლება და შესაძლებლ. გაძლიერება, სასამართლო რეფორმა	ეკონომიკური სტაბილურობა, სტრუქტურული რეფორმები, სოციალური დაცვა და სიღარიბესთან ბრძოლა, ევროკავშირთან ინტეგრაცია და ვაჭრობა

**ცხრილი 11.3**  
**მესამე თაობის ინსტრუმენტები (2014-დღემდე)**

ინსტრუმენტი	ENI (NDICI SINCE 2021)	EIDHR	EPF	MFF
პროგრამები	ENPARD			
პერიოდი	2013-დან	2006-დან	2021-დან	2021-დან
მოცულობა	819 მლნ ევრო	31.3 მლნ ევრო	20 მლნ ევრო	33 მლნ ევრო
მიზნები	კარგი მმართველობა და დემოკრატია, კერძო სექტორი და ეკონომიკური განვითარება, სოციალური განვითარება, რეგიონული განვითარება და ინფრასტრუქტურა, კულტურული თანამშრომლობა და განათლება	დემოკრატია და ადამიანის უფლებები, სამოქალაქო საზოგადოება, მედიის განვითარება, კანონის უზენაესობა, მონყვლადი ჯგუფების უფლებები	თავდაცვა და უსაფრთხოება, კრიზისების მართვა, საზღვრის უსაფრთხოება, ტერორიზმის წინააღმდეგობა და კიბერუსაფრთხოება, ჰუმანიტარული თანამშრომლობა	პოლიტიკის ფართო სფეროები, მათ შორის მეცნიერება და ინოვაციები; ადამიანში ინვესტირება, სოციალური ინტეგრაცია და ფასეულობები

2003-2013 წლებში ევროკავშირის საგარეო დახმარება კონცენტრირებული იყო ძირითადად სოციოეკონომიკურ რეფორმებსა და ინსტიტუტების მშენებლობაზე. პრიორიტეტული სფეროების მიხედვით დაფინანსების განაწილება დაახლოებით ასეთია: სოფლის მეურნეობა 10%, კრიმინალური მართლმსაჯულება 14%, რეგიონული განვითარება 6%, კონფლიქტების მართვა 59%, საჯარო ფინანსების მართვა 9% და სამოქალაქო სექტორი 2%.

2014-2020 წლებში საქართველოს მიერ ევროკავშირისგან მიღებული დაფინანსება სექტორების მიხედვით ასე განაწილდა: სოფლის მეურნეობა 253 მლნ, კომუნიკაციები 171 მლნ, ეკონომიკური განვითარება 168 მლნ, დემოკრატია, მმართველობა და კანონიერება 109 მლნ, საჯარო ადმინისტრირება და სახელმწიფო ფინანსების მართვა 90 მლნ, კოვიდ პანდემიის შედეგებთან ბრძოლა 80 მლნ, ხალხთა შორის კავშირები 38

მლნ, სამოქალაქო საზოგადოება 28 მლნ. რაც შეეხება ინსტრუმენტების მიხედვით განაწილებას, 2015-2023 წლებში მთლიანი დაფინანსება ევროკავშირიდან 1,364.12 მლნ ევროს შეადგენდა და მისგან ყველაზე დიდი მოცულობა, 593.49 მლნ ევრო, მოდიოდა ENI ინსტრუმენტზე, ხოლო მას მოჰყვებოდა ჰორიზონტი ევროპისთვის 369.02 მლნ ევრო, ჰორიზონტი 2020 \_ 173.43 მლნ ევროს მოცულობით.

მცირე და საშუალო ბიზნესების განვითარებისთვის მხარდაჭერის მიზნით, ევროკავშირმა, EU4Business ინიციატივის ფარგლებში, 2009 წლიდან მხარი დაუჭირა 63,000-ზე მეტ მიკრო და საშუალო მენარმეს. ამ ერთ-ერთი უმსხვილესი ფინანსური პროგრამის ფარგლებში, ქართველ მენარმეებზე დაახლოებით €130 მილიონი ოდენობის სესხები გახდა ხელმისაწვდომი. ENPARD-ის ფარგლებში, ევროკავშირმა ფინანსური და ტექნიკური დახმარება გაუწია თითქმის 1,600 კოოპერაცივს.

#### ცხრილი 11.4.

#### საქართველოს მიერ ევროკავშირისგან მიღებული დაფინანსება ინსტრუმენტების მიხედვით (მლნ ევრო) 2015-2023

ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტი (ENI)	593.49
ჰორიზონტი 2020	369.02
ჰორიზონტი ევროპა	173.34
სამეზობლო, განვითარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტრუმენტი - გლობალური ევროპა (NDICI - Global Europe)	90.97
მაკრო ფინანსური დახმარება (MFA)	33.00
განვითარებისთვის თანამშრომლობის ინსტრუმენტი (DCI)	28.25
დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ევროპული ინსტრუმენტი (EIDHR)	10.68
შემოქმედებითი ევროპა	18.4
განათლება, ტრენინგები და სპორტი (Erasmus+)	9.80
Erasmus+	9.70
სტაბილურობისა და მშვიდობის ინსტრუმენტი (IcSP)	4.88
ევროპული განვითარების მე-11 ფონდი (EDF)	3.17
ევროკავშირის დახმარება მოხალისეთა ინიციატივებისთვის (EUAV)	2.83


გაერთიანების სამოქალაქო დაცვის მექანიზმი	2.70
ევროპული საზღვაო, თევზჭერისა და აკვაკულტურის ფონდი (EMFAF)	2.34
გარემოსა და კლიმატის ღონისძიებები (LIFE)	2.09
ევროპული სოლიდარობის კორპუსი (ESC)	1.65
განვერებისნინა დახმარება (IPA III)	1.29
გაერთიანების სამოქალაქო დაცვის მექანიზმი (RescEU)	1.12
საბაჟო, საბიუჯეტო და თაღლითობის საწინააღმდეგო დაფინანსება	0.89
განვერებისნინა დახმარების ისტრუმენტი (IPA II)	0.78
სხვა პროგრამები	0.77
შიდა უსაფრთხოების ფონდი	0.64
ევროპული საზღვაო და თევზჭერის ფონდი (EMFF)	0.47
გაერთიანების სამოქალაქო დაცვის მექანიზმი	0.38
სხვა პროგრამები	0.35
კომისიის ადმინისტრაციული დანახარჯები	0.33
ტექნიკური დახმარება	0.32
თურქულ-კვიპროსელი თემის მხარდაჭერა	0.23
ევროპის მე-10 განვითარების ფონდი (EDF)	0.22
საწარმოთა და მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობა (COSME)	0.05

**წყარო:**

**<https://ec.europa.eu/budget/financial-transparency-system/analysis.html>**

OECD-ის მონაცემები ოფიციალური დახმარების შესახებ გვაძლევს შესაძლებლობას ევროკავშირის ქვეყნებისა და ევროკავშირის ინსტიტუტებისგან 2007-2023 წლებში საქართველოსთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების სურათს დავაკვირდეთ. მთლიანად ამ პერიოდში საქართველომ დაახლოებით 4.483 მლრდ ევრო მიიღო. ეს დაფინანსება დინამიკაში 2021 წლამდე მზარდი იყო, ხოლო 2021 წლის შემდეგ კლების ტენდენციით ხასიათდება:

**დიაგრამა 11.1**



**წყარო: OECD Official Development Assistance dataset, DAC2A: Aid (ODA) disbursements to countries and regions**

საქართველომ მნიშვნელოვანი სახსრები მიიღო ევროკავშირის სამეზობლო განვითარების და თანამშრომლობის ინსტრუმენტისგან (NDICI). 2021-2024 წლებში გამოყოფილი დაფინანსება 340 მილიონ ევროს შეადგენდა და მოიცავდა ისეთ სფეროებს, როგორცაა ეკონომიკა, ინსტიტუტები, სამართლის უზენაესობა, უსაფრთხოება, გარემო და კლიმატური მდგრადობა, ციფრული ტრანსფორმაცია, გენდერული თანასწორობა და ინკლუზიური საზოგადოების მშენებლობა.

კანდიდატის სტატუსი დამატებითი ფინანსური ნაკადების შემოდინების შესაძლებლობებს ქმნის, უპირველესად, განვერიანებამდე დახმარების ინსტრუმენტზე (IPA III) წვდომით, ასევე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით. IPA III, რომელიც განკუთვნილია 2021-2027 წლებისთვის, ფოკუსირებულია სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების პროექტების დაფინანსებაზე კანდიდატ ქვეყნებში. ამ პროგრამის ბიუჯეტი 14 მილიარდ ევროზე მეტია და ის ნაწილდება IPA-ის სხვადასხვა ასპექტებზე: 15% სამართლის უზენაესობაზე, ფუნდამენტურ უფლებებსა და დემოკრატიაზე; 17% კარგი მმართველობის, კეთილმეზობლური ურთიერთობებისა და სტრატეგი-

ული კომუნიკაციის განვითარებაზე; 42% მწვანე დღის წესრიგსა და მდგრად კავშირებზე; 22% კონკურენტუნარიანობასა და ინკლუზიურ ზრდაზე; და 4% ტერიტორიულ და საზღვრისპირა თანამშრომლობაზე. ეს ინსტრუმენტი მიზანად ისახავს რეგიონში მდგრადი ეკონომიკური აღდგენის ნახალისებას, მწვანე და ციფრული გარდაქმნის ხელშეწყობასა და რეგიონის ინტეგრირებას ევროკავშირის სტანდარტებთან.

2021 წელს ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმის (EIP) წარდგენის შემდეგ, აღმოსავლეთ პარტნიორობისთვის მიზნად იქცა 2027 წლამდე 17 მილიარდი ევროს მოზიდვა საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობით. EIP-ის ფარგლებში, საქართველოსთვის ევროკავშირმა უკვე უზრუნველყო 1.7 მილიარდი ევროს ინვესტიცია, მათ შორის 194 მილიონი ევრო გრანტის სახით. კონკრეტულად ეს დაფინანსება წარიმართა:

- საქართველოს 80,000 მცირე და საშუალო სანარმოს მხარდაჭერისთვის.
- შავი ზღვის ქვეშ ოპტიკური ბოჭკოვანი და ელექტროსადენების გაყვანისთვის.
- შავი ზღვის გავლით ევროკავშირსა და საქართველოს შორის რეგულარული საბორნე ხაზის შექმნისთვის.
- საჯარო და საცხოვრებელი შენობების ენერგოეფექტიანობის გაუმჯობესებისთვის.
- სოფლის ტერიტორიებზე მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის.

2021-2023 წლებში მობილიზებული იქნა 62.75 მილიონი ევრო ევროპის მშვიდობის ფონდის (European Peace Facility) ფარგლებში, რათა გაძლიერებულიყო საქართველოს თავდაცვის ძალების სამედიცინო, საინჟინრო და ლოჯისტიკური დანაყოფები. ევროკავშირი აგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) მეშვეობით.

განსახილველ პერიოდში პოლიტიკური, ეკონომიკური და მმართველობის ტრანსფორმაციის მაჩვენებლების ცვლილებაზე საქართველოში ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსის<sup>1</sup> (BTI) მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. ეს ინდექსი მოსახერხებელია, რადგან აფასებს ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებს როგორცაა დემოკრატიულ მმართველობას და საბაზრო ეკონომიკის ფორმირებას, რომლებიც ევრო-

1 <https://bti-project.org/en/reports/country-dashboard/GEO>

კავშირთან ინტეგრაციის ფუნდამენტური წინაპირობებია. ამ ინდექსის დინამიკა, გარკვეულწილად, გვეხმარება შევაფასოთ ევროკავშირის ფინანსურის დახმარება რამდენად აღწევს სასურველ მიზნებს თითოეულ პერიოდში. 2006-2014 წლებში საქართველოს ჰქონდა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ინსტიტუტების მშენებლობის და სოციოეკონომიკური ტრანსფორმაციის მიმართულებით. საქართველოს დემოკრატიის სტატუსი გაუმჯობესდა 6.1-დან 6.5-მდე, ხოლო ეკონომიკური სტატუსი 5.89-დან 5.93-მდე (ემთხვევა მეორე თაობის ფინანსური დახმარებების დანერგვის ეტაპს). 2014-2022 წლებში დემოკრატიის სტატუსი გაუარესდა 6.1-მდე, ხოლო ეკონომიკური სტატუსი გაუმჯობესდა 5.89-მდე. მმართველობის სტატუსი ორივე პერიოდში გაუარესებას ავლენს - 2006 წლის 5.89-დან 2014 წელს ის 5.76-მდე შემცირდა, ხოლო 2024 წელს 5.21-ს უტოლდება.

ამდენად, მეორე თაობის ინსტრუმენტების დანერგვის ეტაპზე მეტად ვლინდებოდა რეფორმების გზით ეკონომიკური და ინსტიტუტური გაუმჯობესების პროცესები, ხოლო მესამე თაობის ინსტრუმენტების დანერგვის პერიოდში ტრანსფორმაციის ინდიკატორების გაუარესება გამოწვევებს ქმნის როგორც რეფორმების გახანგრძლივების, ასევე, ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის გაჭიანურების სახით.



## თაქი 12.

# ევროკავშირის საჯარო-კერძო პარტნიორობის მოღვაწე და მისი განვითარების შესაძლებლობები საქართველოს კონსტიტუციური

წარმოდგენილი პრობლემა ფრიად აქტუალურია. მსოფლიოში ბოლო 30 წლის განმავლობაში საჯარო-კერძო პარტნიორობა უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ინფრასტრუქტურული თუ სხვა პროექტების განსახორციელებლად. მსგავსი თანამშრომლობას ევროკავშირის წევრ ქვეყნებში (და არა მარტო) დიდი პერსპექტივა აქვს. საჯარო და კერძო თანამშრომლობას ევროკავშირში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა. European PPP Expertise Centre-ის ინფორმაციის მიხედვით 2022 წელს 45 PPP პროექტი დასრულდა, რომლის ღირებულებამ 9.8 მლრდ ევრო შეადგინა. PPP პროექტების განხორციელებაში, ასევე პროექტების ღირებულებით ლიდერობს საფრანგეთი. 15-მა ქვეყანამ დახურა მინიმუმ ერთი საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტი. ევროკავშირში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის პროექტებში, როგორც ღირებულებით, ისე PPP პროექტების რაოდენობის მიხედვით წამყვანი: ტრანსპორტის, გარემოს დაცვის განათლების სექტორები. ნაშრომში განხილულია ევროკავშირის საჯარო კერძო პარტნიორობის ბაზრის თანამედროვე მდგომარეობა. ევროკავშირის გამოცდილება შეიძლება საინტერესო იყოს საქართველოსთვის. ასევე ნაშრომში აღნიშნულია, რომ საქართველოში საჯარო-კერძო თანამშრომლობის განვითარებას დიდი პერსპექტივა და პოტენციალი გააჩნია.

ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ძლიერდება სახელმწიფოს და კერძო სექტორის ურთიერთობათა ტენდენცია სახელმწიფო საკუთრებაში კერძო კაპიტალის შეღწევის მიმართულებით. იცვლება სახელმწიფოს ფუნქციები და ქვეყნის შიგნით ეკონომიკის ცალკეული სფეროების განსახელმწიფოებრივებასთან დაკავშირებული ამოცანები. ამასთან დაკავშირებით, საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების განუყოფელ პირობას წარმოადგენს სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ბიზნესის თანამშრომლობა. უკანასკნელ ათწლეულებში რიგი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში აქტიურად ვითარდება სახელმწიფოს და ბიზნესის ურთიერთქმედების

სრულიად განსაკუთრებული ხარისხი, რომელიც იწოდება საჯარო-კერძო პარტნიორობად (PPP, სკპ).


ტერმინი „საჯარო და კერძო პარტნიორობა“ წარმოადგენს მხარეთა შორის შესაძლო ურთიერთობების მთელ საკითხებს, საჯარო და კერძო სუბიექტები ინფრასტრუქტურისა და სხვა პროექტების ფარგლებში თანამშრომლობას. საჯარო და კერძო თანამშრომლობის (PPP) ერთიანი განმარტება არ არსებობს (Asian Development Bank, 2022). ხშირად საჯარო და კერძო თანამშრომლობა, წარმოადგენს, როგორც საჯარო აქტივისა თუ მომსახურების უზრუნველყოფის შესახებ კერძო ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის გრძელვადიან შეთანხმებას, რომელშიც კერძო ბიზნესი თავის თავზე იღებს მნიშვნელოვან რისკსა და პასუხისმგებლობას პროექტის მართვაზე და ანაზღაურება დაკავშირებულია შესრულებასთან. აღსანიშნავია, რომ PPP ანაზღაურებს ამოცანებს, ვალდებულებებსა და რისკებს საჯარო და კერძო ბიზნესს შორის. სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება PPP-ის პარტნიორები იყოს სამთავრობო სუბიექტები, მათ შორის სამინისტროები, დეპარტამენტები, მუნიციპალიტეტები ან სახელმწიფო საწარმოები. აღიარებენ, რომ საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობას აქვს გარკვეული უპირატესობები. კერძო ბიზნესს აქვს უნარი უზრუნველყოფს სოციალურ პასუხისმგებლობა, წარმატებული მენეჯმენტი და ინოვაციური ბიზნესის წარმართვა. კერძო ბიზნესს ყველაზე კარგად შეუძლია მართოს რისკები და შეამციროს პროექტის ხარჯები.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ასევე კანდოდატ ქვეყნებში საჯარო და კერძო პარტნიორობის განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ევროპის საჯარო-კერძო პარტნიორობის ექსპერტიზის ცენტრი (The European PPP Expertise Centre - EPEC) [4, 5]. EPEC შეიქმნა 2008 წელს, რათა მხარი დაუჭიროს სახელმწიფო სექტორს ძირითადად ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებში საჯარო და კერძო პარტნიორობის წარმატებით განხორციელებაში. EPEC-ის გამოცდილი პროფესიონალების გუნდი საკონსულტაციო მომსახურებას უწევს შესაბამის ორგანიზაციებს. ევროპის PPP ექსპერტიზის ცენტრის (EPEC) საქმიანობაში ჩართულია ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), ევროკომისია, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, კანდიდატი ქვეყნები და ზოგიერთი სხვა სახელმწიფო.

ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) European PPP Expertise Centre-ის მიერ ევროპული PPP ბაზრის მიმოხილვის მიხედვით, 2022 წელს სა-

ხელმწიფო-კერძო პარტნიორობის ტრანზაქციების მთლიანმა ღირებულებამ ევროპულ ბაზარზე, შეადგინა 9,8 მლრდ ევრო, რაც 17%-ით მეტია 2021 წელთან შედარებით (8.4 მლრდ ევრო) (European Investment Bank, 2022)<sup>1</sup>.

**დიაგრამა 12.1. ევროპული საჯარო და კერძო პარტნიორობის ბაზრი პროექტების ღირებულებისა და რაოდენობის მიხედვით (2013-2022 წწ.)**



დიაგრამიდან ჩანს PPP პროექტების მეტი რაოდენობაა 2013, 2014, 2016, 2017 და 2018 წლებში. 2022 წელს საჯარო და კერძო თანამშრომლობის ტრანზაქციების რაოდენობა, რომელთა დახურვა მოხერხდა შეადგინა 45 (45 პროექტი - 2021 წელს). ტრანზაქციის საშუალო ღირებულება გაიზარდა 217 მლნ ევრომდე (190 მლნ ევრო - 2021 წელს).

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს სამი მსხვილი PPP პროექტის მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 4.25 მლრდ ევრო [8], რაც წარმოადგენს მთლიანი საბაზრო ღირებულების 44%-ს. მსხვილი PPP პროექტები, რომლებიც დასრულდა 2022 წელს იყო საერთაშორისო მნიშვნელობის: Antalya Airport Concession (თურქეთი) 1,8 მლრდ ევრო, CEGELOG French


<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ევროპული ბაზარი განსაზღვრულია, როგორც EU-27, ასევე გაერთიანებული სამეფო, ევროკავშირის კანდიდატი: დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნები და თურქეთი.

Military Accommodation PPP (საფრანგეთი) 1,4 მლრდ ევრო და Larnaca Port and Marina Area Redevelopment PPP (კვიპროსი) — 1 მლრდ ევრო.

დასრულებული PPP პროექტების რაოდენობა სტაბილურია წლების მიხედვით. 2021 წელს დახურული სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის გარიგებების რაოდენობამ შეადგინა 40 პროექტი (წინა წელს 2020 წლის 43 პროექტი, რაც) მიუთითებს იმაზე, რომ COVID-19 პანდემიის გავლენა პროექტის მომზადებასა და შესყიდვებზე ნაკლებად მძიმე იყო, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

სახელმწიფო და კერძო პარტნიორობის ბაზარი ევროპაში გვიჩვენებს, რომ 2022 წელს საფრანგეთი იყო ყველაზე დიდი PPP ბაზარი, როგორც ღირებულების მიხედვით (სულ 4,2 მლრდ ევროთი) ასევე პროექტების რაოდენობით (სულ 21 პროექტი).

### დიაგრამა 12.2. ქვეყნები სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის პროექტების ღირებულების და რაოდენობის მიხედვით 2022 წელს [7,8]



ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა თურქეთს, ღირებულების მიხედვით სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ბაზრის მეორე ადგილი უკავია, 2 მლრდ ევრო (1.4 მლრდ ევრო - 2021 წელს). ასევე პროექტების ღირებულების მიხედვით სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ბაზრის ლიდერი ქვეყნებია: კვიპროსი, ირლანდია, გერმანია, იტალია საბერძნეთი, პოლონეთი და ბელგია.

PPP პროექტების რაოდენობის მიხედვით, გერმანია იყო მეორე უდი-

დესი სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ბაზარი, 4 პროექტის დახურვა, წინა წელს კი (7 პროექტი. პროექტების რაოდენობის მიხედვით შემდეგ მოდის ქვეყნები: ირლანდია, პოლონეთი, ბელგია, გაერთიანებული სამეფო, დანია და თურქეთი. ცხრა ქვეყანამ დახურა მინიმუმ 2 პროექტი (ექვსმა ქვეყანამ - 2021 წელს) და 15 ქვეყანამ დახურა მინიმუმ ერთი საჯარო და კერძო პარტნიორობის პროექტი (2021 წელს 14-თან შედარებით).

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, საფრანგეთი, გერმანია და გაერთიანებული სამეფო ლიდერობდნენ ევროპის საჯარო და კერძო პარტნიორობის ბაზარზე დასრულებული პროექტების საერთო რაოდენობის მიხედვით.

პროექტები სექტორების მიხედვით. 2022 წელს ტრანსპორტის სექტორში განხორციელდა ყველაზე მეტი ღირებულების პროექტები 5.2 მლრდ ევროს ღირებულების (6.0 მლრდ ევრო - 2021 წელს). ტრანსპორტის სექტორში დასრულებული პროექტების რაოდენობამ 17 შეადგინა (2021 წელს - 16 პროექტი). აღნიშნული მოიცავდა ოთხ საგზაო პროექტს (ორი საფრანგეთში, ერთი საბერძნეთში და ერთი იტალიაში) და ოთხ პორტს (ორი საფრანგეთში, ერთი ხორვატიაში და ერთი კვიპროსში). 10 პროექტი განხორციელდა გარემოს დაცვის სექტორში (10 პროექტი - 2021 წელს) საერთო ღირებულებით 1.3 მლრდ ევრო (1.1 მლრდ - ევრო 2021 წელს).

განათლების სექტორში PPP პროექტების რაოდენობამ შეადგინა 8 (5 პროექტი - 2021 წელს), ხოლო პროექტების მთლიანი ღირებულება გაიზარდა და შეადგინა 910 მლნ ევრო (391 მლნ ევრო - 2021 წელს). ექვსი იყო სასკოლო პროექტი (სამი გერმანიაში, ორი გაერთიანებულ სამეფოში და ერთი ბელგიაში). ჯანდაცვის სექტორში დაიხურა 3 პროექტი (2 პროექტი - 2021 წელს) საერთო ღირებულებით 509 მლნ ევრო (224 მლნ ევრო - 2021 წელს). ორივე მოიცავდა საავადმყოფოს პროექტს (ერთი დანიაში და ერთი თურქეთში). სატელეკომუნიკაციო სექტორში დაიხურა სამი პროექტი (3 პროექტი - 2021 წელს) საერთო ღირებულებით 231 მლნ ევრო (427 მლნ ევრო - 2021 წელს). სამივე პროექტი შესრულდა საფრანგეთში.

ამრიგად, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის პროექტებში ღირებულებისა და რაოდენობის მიხედვით მთავარია: ტრანსპორტის, გარემოს დაცვის და განათლების სექტორები.

2022 წელს სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის 45 დახურული პრო-

ექტიდან 17 დაფინანსდა ძირითადად სადაზღვევო კომპანიებისა და საპენსიო ფონდების მიერ. 8 ქვეყანამ დახურა პროექტი ინსტიტუციონალური ინვესტორების დახმარებით (ხორვატია, კვიპროსი, დანია, საფრანგეთი, ირლანდია, იტალია, ლიტვა და დიდი ბრიტანეთი). შედარებისთვის 2021 წელს, რვა ქვეყანამ ისარგებლა ინსტიტუციური ინვესტორების ჩართულობით.

ევროკავშირის, ეროვნული მთავრობები და საჯარო ფინანსური ინსტიტუტების როლი შედარებით შეზღუდული იყო 2022 წელს. რაც შეეხება ევროპის საინვესტიციო ბანკს (EIB), მის მიერ დაფინანსდა ოთხი საჯარო და კერძო პარტნიორობის პროექტი და EIB-ის დაფინანსებამ შეადგინა 1 მლრდ ევრო. ეს პროექტებია: CEGELOG Affordable Housing & Energy Efficiency საფრანგეთი, Community Nursing PPP ირლანდია, Krakow Tramway PPP პოლონეთი და NeuConnect Interconnector გერმანია და ნიდერლანდები. პროექტს NeuConnect Interconnector-ს აქვს საერთაშორისო მნიშვნელობა და განსაკუთრებით მაღალი ღირებულება (3.3 მლრდ ევრო).

საჯარო და კერძო თანამშრომლობის შემდეგი მნიშვნელოვანი პროექტები დასრულდა 2022 წელს: Larnaca Port და Marina Area Redevelopment PPP (1 მლრდ ევრო) კვიპროსი. აღნიშნული არის 500 მლნ ევროზე მეტი სახელმწიფო და კერძო პარტნიორობის მეორე ტრანზაქცია. Irish Community Nursing Units (CNU) PPP (245 მლნ ევრო), ირლანდია. პირველი საჯარო და კერძო პარტნიორობაა სათემო მედებისთვის ირლანდიაში და მეორე ჯანდაცვის საჯარო კერძო პარტნიორობის პროექტი ირლანდიაში 2016 წლიდან. Thessaloniki Ring Road PPP (300 მლნ ევრო), საბერძნეთი. ეს არის ერთ-ერთი პირველი საგზაო პროექტი სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში საბერძნეთში. Krakow Tramway PPP (186 მლნ ევრო), პოლონეთი. ეს არის პირველი ტრამვაის ხაზის მშენებლობის პროექტი საჯარო და კერძო პარტნიორობის ფარგლებში. აღნიშნული პროექტმა ხელი შეუწყო ტრამვაის, როგორც ეფექტური ტრანსპორტის პოპულარიზაციას და შედეგან მსუბუქი მანქანების და საზოგადოებრივი ავტობუსების რაოდენობის შემცირებას.

აღსანიშნავია, რომ საჯარო და კერძო თანამშრომლობის მრავალი პროექტი მიმდინარეობს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. ყველაზე მეტი მიმდინარე პროექტია შემდეგ ქვეყნებში საფრანგეთი (50 PPP პროექტი), იტალია (32), საბერძნეთი (28 პროექტი), ბელგია (20), გერ-

მანია (16). მიმდინარე პროექტები რაოდენობის მიხედვით, ტრანსპორტის სექტორი კვლავ დომინირებს, შემდეგ მოდის გარემოსდაცვითი და განათლების სექტორი. ევროპული საჯარო და კერძო პარტნიორობის ბაზარი, როგორც პროექტების ღირებულების ისე პროექტების რაოდენობის მიხედვით საკმაოდ მზარდია.

საჯარო და კერძო პარტნიორობის ევოლუცია ქვეყნების მიხედვით 2018-2022 წლებში ასე გამოიყურება: საფრანგეთი (15.92 მლრდ ევრო), გერმანია (5.82 მლრდ ევრო), გაერთიანებული სამეფო (6.75 მლრდ ევრო), ნიდერლანდები (3.98 მლრდ ევრო), იტალია (3.54 მლრდ ევრო), ბელგია (1.55 მლრდ ევრო), საბერძნეთი (1.12 მლრდ ევრო), ირლანდია (1.02 მლრდ ევრო),

რაც შეეხება საჯარო და კერძო პარტნიორობის ევოლუციას სექტორების მიხედვით 2018-2022 წლებში წამყვანია შემდეგი სექტორები: ტრანსპორტი, შემდეგ მოდის გარემოსდაცვითი და სატელეკომუნიკაციო სექტორები. ასევე, ბოლო წლებში აღნიშნული სამი სექტორი რჩება დაფინანსებულ პროექტებში რაოდენობის მიხედვით წამყვანი და პრიორიტეტული.

ევროკავშირის ჰორიზონტალურ დონეზე არ აქვს საჯარო-კერძო თანამშრომლობის მარეგულირებელი ერთიანი კანონმდებლობა. ევროკავშირში საჯარო-კერძო თანამშრომლობა PPP ძირითადად 3 კანონით რეგულირდება: 1. დირექტივა 2014/24/EU სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; 2. დირექტივა 2014/25/EU წყლის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და საფოსტო მომსახურების სექტორებში მოქმედი ორგანიზაციების შესყიდვის წესების შესახებ; 3. დირექტივა 2014/23/EU კონცესიის ხელშეკრულებების შესახებ.

ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს დირექტივა 2014/23/EU ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტია, რომელიც არეგულირებს კონცესიებს და ვრცელდება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებებზე, ასევე, ექსკლუზიური უფლებით მოსარგებლე ან სახელმწიფო საწარმოებზე. სახელმწიფოს მხრიდან ამ თანამშრომლობაში ჩაერთოს და საჯარო პარტნიორის როლი მოირგოს რამდენიმე ასეთი ორგანიზაციის ასოციაციამ. დირექტივის მიხედვით, არსებობს 2 ტიპის კონცესია - სამუშაოების (work concession) და მომსახურების (service concession). ორივე შემთხვევაში, კონტრაქტის გაფორმება გულისხმობს, რომ კონცესიონერს გადაეცემა ოპერირებასთან დაკავშირებული რისკები. დირექტივა ვრცელ-

ლდება კონტრაქტებზე, რომელთა ღირებულება აღემატება 5186000 ევროს. კონცესიების შემთხვევაში უნდა გამოიყენებოდეს 2014/24/EU და 2014/25/EU დირექტივებით განსაზღვრული სახელმწიფო შესყიდვის პროცედურები. დირექტივების მიხედვით უნდა განისაზღვროს კონცესიის კონტრაქტის ხანგრძლივობაც: ის არ უნდა აღემატებოდეს პერიოდს, რომელიც საჭიროა კონცესიონერის მიერ განხორციელებული ინვესტიციების ანაზღაურებისა და გარკვეული მოგების მიღებისთვის. დირექტივები გარკვეულ შემთხვევებში იძლევა კონცესიის კონტრაქტის გადახედვის და ცვლილების შესაძლებლობასაც. დირექტივა 2014/24/EU არეგულირებს სახელმწიფო შესყიდვებს, როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე. დოკუმენტით განსაზღვრულია კონტრაქტის ღირებულების მონეტარული ზღვრები, რომელთა ზემოთაც ვრცელდება დოკუმენტი.

2014/25/EU დირექტივა არეგულირებს სამუშაოების, საქონლისა და სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებულ შესყიდვებს წყლის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და ფოსტის სექტორებში და ეხება ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების, ასევე, სახელმწიფო კომპანიებისა და ექსკლუზიური უფლებების მქონე ორგანიზაციების შესყიდვებს. ამ ტიპის შესყიდვებისას გათვალისწინებულია 2014/24/EU დირექტივის მოთხოვნები, თუმცა 2014/25/EU დირექტივა მხედველობაში იღებს ზემოაღნიშნულ სექტორთა სპეციფიკას. ამ შემთხვევაშიც, დირექტივით განსაზღვრულია ხელშეკრულების ზღვრები, რომელთა ზემოთაც ის ვრცელდება.

საქართველოში კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ მიღებულია 2018 წლის 4 მაისს (საქართველოს კანონი „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“, 2024). მიღებული კანონი შეესაბამება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას. აღნიშნული კანონი ადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის სამართლებრივ საფუძვლებს, მათ შორის, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებულ ნებსებასა და პროცედურებს, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პრინციპებს, შესაბამის ინსტიტუციურ სისტემას, აგრეთვე საჯარო და კერძო თანამშრომლობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს (მუხლი 1). მიღებული კანონი შეესაბამება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას.

აღსანიშნავია, რომ საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო შეიქმნა “საჯარო და კერძო თანამშრომლობის” შესახებ კანონ-



ნის საფუძველზე, ხოლო ფუნქციონირება 2019 წლის თებერვლიდან დაიწყო.

კანონის მე-4 მუხლის მიხედვით, საჯარო და კერძო თანამშრომლობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) გრძელვადიანობა – საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულების მინიმალური ვადა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით, მაგრამ არანაკლებ 5 წლით; ბ) ღირებულება – 2020 წლის 1 ივლისამდე საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის ღირებულება უნდა იყოს არანაკლებ 5 000 000 ლარისა, ხოლო 2020 წლის 1 ივლისიდან საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის ღირებულების მინიმალური ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით; გ) კერძო პარტნიორის მიერ საჯარო მომსახურების განწევა ან საჯარო ინფრასტრუქტურის შექმნა და მოვლა-პატრონობა ან/და ოპერირება და მოვლა-პატრონობა; დ) საჯარო და კერძო პარტნიორებს შორის რისკების განაწილება; ე) კერძო პარტნიორის მიერ საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება.

მსოფლიო ბანკის შეფასებით (Benchmarking Infrastructure Development 2023), საქართველოს კარგი შედეგი აქვს საჯარო-კერძო თანამშრომლობის შეფასების კომპონენტებში (World Bank, 2023). (PPP პროექტის მომზადება, PPP პროექტის შესყიდვა, PPP კონტრაქტის მენეჯმენტი და საინიციატივო შეთავაზება (USP)). აქედან ყველაზე მაღალი შეფასება, 83 ქულა, კერძო პარტნიორის მიერ ინიცირებულ PPP-ში (USP) მიიღო. დანარჩენ სამ კომპონენტში შეფასებები ასეთია: PPP პროექტის მომზადება - 65 ქულა, პროექტის შესყიდვა -74 და კონტრაქტის მენეჯმენტი - 79 ქულა. ხაზგასასმელია, რომ მსოფლიო და რეგიონულ, ასევე, იდენტური შემოსავლების (ამ შემთხვევაში საშუალო მაღალი შემოსავლების) მქონე ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით ოთხივე მიმართულებით საქართველოს ქულები გაცილებით მაღალია.

საქართველოს საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოს მონაცემების მიხედვით, სააგენტომ 2019-20221 წლებში სულ განიხილა 36 პროექტი. PPP პროექტებში ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 2019 წელს - 338, 2020 წელს - 185.7 და 2021 წელს კი 1435.9 მლნ ლარი. საქართველოში საჯარო-კერძო თანამშრომლობის განვითარებას დიდი პერსპექტივა გააჩნია, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და ევროკავშირთან დაახლოებას.

ამრიგად ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საკმაოდ არის განვითარებული საჯარო და კერძო პარტნიორობა. ევროკავშირის ქვეყნებში (საფრანგეთი, იტალია, გერმანია და სხვ) საჯარო-კერძო პარტნიორობას მრავალი წელია იყენებენ და სულ უფრო აქტიურად ვითარდება. შედეგად, ასეთი პროექტების რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება. წარმატებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის მისაღწევად კი აუცილებელია, განვითარების გრძელვადიანი მიზნები და რისკების სწორი განაწილება მხარეებს შორის. საქართველოში საჯარო-კერძო თანამშრომლობის განვითარებას დიდი პერსპექტივა გააჩნია, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და მსოფლიო ეკონომიკაში წარმატებულ ინტეგრაციას.

## თაქი 13.

### საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროპის ქვეყნებში მოგზაურობისა და განათლების მიღების ხელშეწყობის პროგრამა, კვლევითი და კულტურული გაცემების მხარდაჭერა

საქართველო 2016 წლიდან ჰორიზონტი 2020-ის, ხოლო 2021 წლიდან “ჰორიზონტი ევროპა“-ს მონაწილეა. საქართველოს ასოცირება ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამასთან კვლევისა და ინოვაციის სფეროში თანამშრომლობის მნიშვნელოვანი ეტაპია. 2018 წელს პოლიტიკის მხარდაჭერის მექანიზმმა (PSF) საქართველოს მიზანმიმართული მხარდაჭერა გაუწია სამ ძირითად მიმართულებაში: პერსპექტიული კვლევითი სფეროების იდენტიფიცირება, კვლევითი დაწესებულებებისთვის ეფექტიანობაზე დაფუძნებული დაფინანსების შეთავაზების შემუშავება და კვლევასა და ინდუსტრიას/ბიზნესს შორის დაახლოების ღონისძიებების შემოთავაზება.

ჰორიზონტი 2020 ევროკავშირის €80 მილიარდიანი ბიუჯეტის მქონე კვლევისა და ინოვაციების პროგრამაა, რომელიც გრანტებს გასცემს სამეცნიერო და კვლევითი აღმოჩენების, გამოგონებების, ინოვაციებისა და საუკეთესო იდეების მხარდასაჭერად. ეს არის კვლევისა და ინოვაციების სფეროში მსოფლიოს ყველაზე ფართომასშტაბიანი მრავალეროვნული პროგრამა. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მეცნიერებს, უნივერსიტეტებს, კვლევით ორგანიზაციებს, კომპანიებსა თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს მთელი მსოფლიოდან. პროგრამა მხარს უჭერს საქართველოს კვლევისა და ინოვაციების სექტორის გაძლიერებას. ჰორიზონტი ევროპა 95.5 მლრდ ევროს ბიუჯეტით 2021-2027 წლებში იმოქმედებს (იხ. ცხრილი 13.1 და 13.2).

ევროკავშირის Financial Transparency System მონაცემების მიხედვით, 2014-2023 წლებში საქართველოს ჰორიზონტი ევროპისა და ერაზმუს პლუსის პროგრამებით 552 მლნ ევრო ჰქონდა მოპოვებული. ჰორიზონტი ევროპისთვის 369.02 მლნ ევრო, ჰორიზონტი 2020 \_ 173.43 მლნ ევრო და ერაზმუს პლუსი 9.7 მლნ ევრო (იხ. დიაგრამა 13.1.).

**ცხრილი 13.1.**  
**ჰორიზონტი ევროპა საქართველოში**

	რაოდენობა	წილი
„ჰორიზონტი ევროპა“-ს პროექტში ჩართული ორგანიზაციები	53	0.06%
ევროკავშირისგან მიღებული დაფინანსება	6.1 მლნ ევრო	0.02%
წარდგენილი განაცხადები	343	0.08%
გამარჯვებული პროექტები	49	14.29%


წყარო: [https://dashboard.tech.ec.europa.eu/qs\\_digit\\_dashboard\\_mt/public/extensions/RTD\\_BI\\_public\\_HE\\_Country\\_Profile/RTD\\_BI\\_public\\_HE\\_Country\\_Profile.html?Country=GE](https://dashboard.tech.ec.europa.eu/qs_digit_dashboard_mt/public/extensions/RTD_BI_public_HE_Country_Profile/RTD_BI_public_HE_Country_Profile.html?Country=GE)

**ცხრილი 13.2.**  
**ჰორიზონტი 2020 საქართველოში**

	რაოდენობა	წილი
„ჰორიზონტი 2020“-ს პროექტში ჩართული ორგანიზაციები	64	0.04%
ევროკავშირისგან მიღებული დაფინანსება	8.35	0.01%
წარდგენილი განაცხადები	504	0.05%
გამარჯვებული პროექტები	59	11.71%

წყარო: [https://dashboard.tech.ec.europa.eu/qs\\_digit\\_dashboard\\_mt/public/extensions/RTD\\_BI\\_public\\_Country\\_Profile/RTD\\_BI\\_public\\_Country\\_Profile.html?Country=GE](https://dashboard.tech.ec.europa.eu/qs_digit_dashboard_mt/public/extensions/RTD_BI_public_Country_Profile/RTD_BI_public_Country_Profile.html?Country=GE)

**დიაგრამა 13.1.**  
**საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსება**  
**ევროკავშირიდან: ჰორიზონტი 2020, ჰორიზონტი ევროპა და ერაზმუს**  
**პლუსი (მლნ ევრო)**



**წყარო:**

**<https://ec.europa.eu/budget/financial-transparency-system/analysis.html>**

2015 წლის შემდეგ, Erasmus+ პროგრამის ფარგლებში, 6,509-მა ქართველმა სტუდენტმა და აკადემიურმა პერსონალმა განაგრძო სწავლა და ეწვია სამუშაო ვიზიტით ევროკავშირის ქვეყნების უნივერსიტეტებს, ხოლო თუ ორმხრივ ნაკადებს გავითვალისწინებთ, ამ პროგრამით 11000-ზე მეტმა ადამიანმა ისარგებლა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველომ შეინარჩუნა ადგილი წარმატებული ქვეყნების ათეულში, ხოლო 2020 წლის მონაცემებით, საქართველო 141 მონაწილე ქვეყნიდან მეექვსე ადგილზე იყო.

საქართველოს ეროვნული Erasmus+ ოფისის ინფორმაციით, Erasmus+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, საქართველოს 37 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება თანამშრომლობს ევროპის 33 ქვეყნის უნივერსიტეტებთან. საქართველო Erasmus+ პროგრამის პროგრამის ყველა კომპონენტში მონაწილეობს: საერთაშორისო კრედიტ მობილობა (ICM), Erasmus Mundus ერთობლივი სამაგისტრო ხარისხები (EMJMDs), უმაღლესი განათლების შესაძლებლობების მშენებლობის

პროექტები (CBHE) და ჟან მონეს (JM) აქტივობები. ICM-ის ფარგლებში, ქართველ სტუდენტებსა და მკვლევრებში მონაწილეობის დონე 2015-2019 წლებში შვიდჯერ გაიზარდა. ეროვნული Erasmus+ ოფისის ინფორმაციით, მობილობებში მონაწილე სტუდენტების დაახლოებით 63% ქალები არიან. ევროპაში განათლებამიღებული სტუდენტები უფრო იოლად ინტეგრირდებიან შრომის ბაზარზე.

ადამიანების კულტურული და აკადემიური მობილობის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საქართველოს მოქალაქეებისთვის შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის დაწყება 2017 წლის 28 მარტიდან. ეს აისახა გაზრდილ ტურისტულ ნაკადებზე. როგორც საქართველოს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში განხორციელებული ტურისტული ვიზიტების საშუალოთვიური რაოდენობა სტაბილურად იზრდებოდა 2015 წლიდან. ის 17.8 ათასიდან (2015) გაიზარდა 33 ათასამდე (2024), თუმცა ეს მაჩვენებელი მაინც ჩამორჩება პანდემიამდელ რაოდენობას (40.4 ათასი). რაც შეეხება გამყვან ტურიზმს, ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელებული ვიზიტები 2024 წელს გაზრდილია გასულ წლებთან შედარებით და საშუალოთვიური რაოდენობა შეადგენს 31.5 ათასს, ხოლო 2022 და 2023 წლებში ის შეადგენდა, შესაბამისად, 15.5 და 27.8 ათასს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ რადგან ევროკავშირის ქვეყნებიდან ვიზიტები მკვეთრად ჩამორჩება რეგიონის ქვეყნების - რუსეთის, თურქეთის და სომხეთის მაჩვენებელს, საჭირო იქნება დამატებითი ინვესტიციები მაღალშემოსავლიანი ევროპული ქვეყნებისთვის საქართველოს მიმზიდველობის ასამაღლებლად.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე, რ., ვეშაპიძე, შ. (2017). ეკონომიკური მეცნიერების განვითარება საქართველოში. "ეკონომისტი". N4, 19-26.
2. აბესაძე, რ. (2019). „მწვანე“ ეკონომიკა: არსი და გამოწვევები. ინტერნეტკონფერენციის მასალები.
3. აბესაძე, რ. (2020). საქართველოს ინოვაციური პოლიტიკა და სისტემა. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტომი XIII.: <https://www.pgie.tsu.ge/contentimage/xxxx/shr.kreb.2020.pdf>
4. აბესაძე, რ. (2022). საქართველოს ეკონომიკის ინოვაციური განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები. „ეკონომისტი“. (2), 22-30.
5. აბესაძე, რ., ბიბილაშვილი, ნ. (2021). გარემოს დაცვის პრობლემები ევროკავშირში. ეკონომისტი, (1), 25-33.
6. ასლამაზიშვილი, ნ. (2011). საგარეო ვაჭრობა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
7. აფციაური, დ. (2020). თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ამჟამინდელი ტენდენციები და პანდემიის (COVID-19) კრიზისის შემდგომი გამოწვევები.. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი.
8. ბასილია, თ., სილაგაძე ა., ჩიკვაძე თ. (2001). პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი.
9. ბედიანაშვილი, გ. (2022). კლიმატის ცვლილების გაურკვეველობა და ეკონომიკური ზრდა. კონფერენციის მასალების კრებული. თბილისი. 29-36.
10. ბედიანაშვილი, გ. (2023). პოსტპანდემიური პერიოდის მაკროსისტემურისოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები. შრომების კრებული, თბილისი, გვ. 41-46.
11. ბენია, მ., გაგვიშვილი, ლ. (2022). ევროკავშირთან ასოცირების გამოწვევები საქართველოს აგროსექტორისათვის. თსუ კონფერენციის შრომების კრებული, გვ. 59-64.
12. გარაყანიძე, ზ. (2023). „დერეფნის“ და „მაგისტრალური გაზსადენის“ ინტერკონექტორის პროექტი ევროკავშირის ენერგოსაფრთხოებისათვის. ბიზნეს-ინჟინერინგი, N3-4.
13. გარაყანიძე, ზ., გარაყანიძე, ნ. (2024). ევროკავშირისა და საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების გეოეკონომიკური გამოწვევები. ბიზნეს-ინჟინერინგი, N1-2, 2024. სტუ, გვ. 20-31. [http://www bpengi.com/home/2024/number-01-02](http://www.bpengi.com/home/2024/number-01-02)

14. გელაშვილი, მ. (2022). „მწვანე“ ეკონომიკა - მიზნები და უპირატესობები ბიზნესი და კანომდებლობა, N 2, გვ. 82-87.
15. გველესიანი, რ., გოგორიშვილი, ი. (2022). ევროკავშირის ინდუსტრიული პოლიტიკის განვითარების მიმართულებები და თანამედროვე გამოწვევები. თსუ კონფერენციის შრომების კრებული, გვ. 112-117.
16. გოგოლაშვილი, კ. (2018). ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკა და გაფართოება. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.
17. გრიშკაშვილი, ა. (2004). გზა ევროკავშირისაკენ. თბილისი.
18. გრიშკაშვილი, ა. (2005). გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები და ევროპული ინტეგრაცია. თბილისი.
19. გუროვა, ი. (2014). მსოფლიო ეკონომიკა, სახელმძღვანელო, თარგმნა შ. ვეშაპიძემ. თბილისი.
20. დანელია, ი. (2022). საქართველო - ლოგისტიკური ჰაბი. ფორბსი.
21. ერქომაიშვილი, გ. (2022). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში. თსუ კონფერენციის შრომების კრებული, გვ. 149-157.
22. ვეზირიშვილი-ნოზაძე, ქ., ფანცხავა, ე., კანაშვილი, თ. (2022). ევროპის „მწვანე შეთანხმება“ და მისი გავლენა საქართველოს ენერგეტიკულ სექტორზე. სოციალურ მეცნიერებათა ვექტორები, N 3, გვ. გვ. 39-52
23. ვეშაპიძე, შ., ლეკაშვილი, ე., გრიშკაშვილი ა., ასლამაზიშვილი, ნ. (2008). მსოფლიო ეკონომიკა. თბილისი.
24. ვეშაპიძე, შ. (2017). ილია ჭავჭავაძის ევროპულ ღირებულებებზე ორიენტირებული საყოველთაო კეთილდღეობის კონცეფცია. „ახალი ეკონომისტი“, N48, 30-41.
25. ვეშაპიძე, შ., სეხნიაშვილი, დ. (2018). საერთაშორისო ეკონომიკა. გამომცემლობა. თბილისი: „Smarty“.
26. ვეშაპიძე, შ., ფუტყარაძე, რ. (2023). საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე. „ეკონომისტი“, N1, 58-69.
27. ვეშაპიძე, შ., კიტაშვილი, ს. (2024). საქართველოსთვის ევროკავშირის ერთიანი ბაზრის მნიშვნელობა და სარგებელი.. „ახალი ეკონომისტი“, N 4.
28. ვეშაპიძე, შ., კიტაშვილი, ს. (2024). საქართველოს ევროინტეგრაციული პერსპექტივა. „ეკონომისტი“. 2 (XX), 94-112.
29. ვეშაპიძე, შ., მეგრელაძე, გ. (2024). საქართველოს ევროკავშირთან ვაჭრობის განვითარების პერსპექტივები.. „ახალი ეკონომისტი“, N2-3 (73-74).
30. ვეშაპიძე, შ., ბახტაძე, ლ., ფუტყარაძე, რ.; ხარიტონაშვილი, ჯ.; დანელია, ი.; ლომინაშვილი, მ.; ჩანტლაძე, ნ. (2024). საქართველოს თანამე-



დროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები: მონოგრაფია. თბილისი: „Smarty“.

31. ვეშაპიძე, შ., კერესელიძე, ლ., ცირდავა, ნ. (2024). ენერგეტიკის დეკარბონიზაცია და საქართველოს მდგრადი განვითარების გამონვევები. „ეკონომისტი“, N4.

32. ზარნაძე, გ. (2023). ეკომარკირება და მისი მნიშვნელობა მწვანე ტრანსფორმაციაში. „ახალი ეკონომისტი“, N 3, გვ. 41–48.

33. იენე, კ. (2022). ევროპის მწვანე შეთანხმების სტრატეგია და დასაქმების შესაძლებლობები. სოციალურ მეცნიერებათა ვექტორები, N 3, გვ. 28–38

34. კაკულია, ე., გოგოხია, თ., ბიბილაშვილი, ნ. (2019). ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება - მწვანე ეკონომიკის მხარდაჭერა საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „მწვანე ეკონომიკის ფორმირების თანამედროვე პრობლემები საქართველოში“. მასალების კრებული, თბილისი.

35. კაპანაძე, მ. (2023). უკეთესი ცხოვრების ძიებაში – მიგრაცია. <https://act-global.com/ka/georgia/insight/uketesi-tskhovrebis-dziebashi-migratsia>.

36. კაპანაძე, ს. (2006). ევროკავშირის პოლიტიკა. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

37. კოლუაშვილი, პ., ჩიხლაძე, ნ. (2023). აგრარული პოლიტიკის ფორმირების რეგიონული გამონვევები საქართველოში. ეკონომიკური პროფილი. ტ. 18, 2(26).

38. კრუგმანი, პ., ობსტფელდი, მ., მელიტცი, მ. (2017). საერთაშორისო ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა. მეათე გამოცემა. ქართული გამოცემის სამეცნიერო და მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი, ავთანდილ სილაგაძე. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

39. ლავრელაშვილი, თ. (2019). ევროკავშირი გაურკვევლობის დროებაში - როგორ აღიქმება ეს საქართველოში? ექსპერტის აზრი N120. თბილისი.

40. ლეკაშვილი, ე. (2014). ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის აქტუალური საკითხები ევროკავშირში განვერიანებამდე და განვერიანების შემდეგ. <https://geoeconomics.ge/?p=7576>

41. ლეკაშვილი, ე. (2022). კოვიდ -19 პანდემიის პირობებში საქართველოს განვითარების სტრატეგიის საკითხის განხილვისათვის. შრომების კრებული

42. ლეონარდი, დ. (2002). ევროკავშირის სახელმძღვანელო, თარგმანი მე-7 გამოცემიდან. თბილისი: გამომცემლობა ჯისიაი.

43. ლიჩი, რ. (2002). ევროპა: ევროკავშირის მოკლე ენციკლოპედია,

საქართველოს გამომცემელთა ასოციაცია, გამომცემლობა ჯისიაი, თბილისი.

44. მალრაძე, ზ. (2022). ახალი ფორმატის აბრეშუმის გზა. <https://tv9news.ge/ka/akhali-ambebi/garthoba/article/31730184>

45. მალრაძე, ზ. (2022). საქართველოსკენ დიდი ქარავნები დაიძრება. <https://tbilisipost.ge/news/zurab-maghradze---saqartvelosken-didi-qaravnebi-daidzreba/6351>

46. მინდორაშვილი, მ., ძევისაური, ლ. (2022). სექტორული ანგარიშების როლი ევროპულ სტატისტიკურ სისტემასთან საქართველოს თანდათანობით დაახლოებაში. თსუ კონფერენციის შრომების კრებული, გვ. 309–313.

47. ნილი, ლ., კემერონი, რ. (2022). მსოფლიოს მოკლე ეკონომიკური ისტორია. მეხუთე გამოცემა. ქართული გამოცემის სამეცნიერო და მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი, ავთანდილ სილაგაძე. თბილისი. თსუ გამომცემლობა.

48. პაპავა, ვ. (2001). საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ფუნქცია. „სოციალური ეკონომიკა“, N5.

49. პაპავა, ვ., თაფლაძე, თ. (2012). „საქართველოსა და რუსეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ.“ ეკონომისტი“, N1.

50. პაპავა, ვ. (2016). ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა - გლობალური რეალობა და მსოფლიო ეკონომიკის მოსალოდნელი გამოწვევები. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, თბილისი.

51. პაპავა, ვ. (2017). ერთი სარტყელი – ერთი გზის ინიციატივა და საქართველო. თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. 185.

52. პაპავა, ვ., სილაგაძე ა. (2018). ერთი საკვანძო ეკონომიკური ტერმინის – “Gross Domestic Product”-ის ქართული სახელწოდების შესახებ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტ. 11, N1.

53. პაპავა, ვ. (2019). საით მიდის ეკონომიკური პოლიტიკა? რონდელის ბლოგი, GFSIS.

54. პაპავა, ვ. (2022). პანდექსიტის ძირითადი ეკონომიკური გამოწვევები. GFSIS.

55. სანაძე, გ., (2022). საქართველოში მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოების, ექსპორტისა და იმპორტის ძირითადი ტენდენციები. შრომების კრებული, გვ. 293–299.

56. სილაგაძე, ა. (2010). ეკონომიკური დოქტრინები, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი.

57. ტალიკაძე, ნ. (2017). მწვანე ეკონომიკის კონცეფცია და საქართვე-

ლოს პოზიცია გლობალურ მწვანე ეკონომიკაში. ინტერნეტკონფერენციის მასალები.

58. ტუხაშვილი, მ. (2014). საქართველოს შრომით ემიგრანტთა დემოგრაფიული და სოციალურ-კვალიფიციური სტრუქტურა. კრებულში: დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები. შრომების კრებული II.

59. ტუხაშვილი, მ. (2017). საქართველოს გარემოგარეცხული პრობლემები. სამეც. შრ. კრებული. მიგრაცია 1. თბ. უნივერსალი, გვ. 5-15.

60. ტუხაშვილი, მ. (2022) მიგრაციული პროცესები საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში. თსუ კონფერენციის შრომების კრებული, გვ. 452-456.

61. ლალანიძე, გ. (2018). საქართველოს საექსპორტო პოტენციალის მენეჯმენტის აქტუალური საკითხები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი. 149 გვ.

62. უკლება, მ., ციხელაშვილი მ. (2022). სამხრეთ კავკასია საგარეო ვაჭრობის განზომილებაში <https://di.gov.ge/publications/analytical-papers/samkhreth-kavkasia-sagareo-vatcrobis-ganzomilebashi-mikheil-ukleba-damamuka-cikhelashvili/>

63. უკლება მ., ციხელაშვილი მ. (2022). სამხრეთი კავკასია – ევროკავშირის ურთიერთობები ეკონომიკური განვითარების ჭრილში. <https://di.gov.ge/publications/analytical-papers/samkhrethi-kavkasia-evrokavshiris-urthierthobebi-ekonomikuri-ganvitharebis-tcrilshi-mikheil-ukleba-mamuka-cikhelashvili/>

64. ფაჟავა, ე. (2022). საქართველოს ევროპული ორიენტაციის გენეზისი, თბილისი. <https://rustaveli.org.ge/res/docs/01dfe51cdde44c1dab1be9a853b640a75a36ed88.pdf>

65. ფონტენი, პ. (2014). როგორ მუშაობს ევროკავშირი: 12 გაკვეთილი ევროპის შესახებ. ბრიუსელი.

66. ფუტყარაძე, რ. (2010). საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერსპექტივები, თბილისი, „უნივერსალი“.

67. ფუტყარაძე, რ. (2017). თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია და საქართველო. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული. „ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები“. გვ. 248-254.

